X

კარი მეათე

# [illegible]

# ყარამანიანი

Магазинъ ... Вартанова въ Тифлисѣ



გამოცემული

ნ. კობალაძისაგან და დ. ლაზარევისაგან.

ТИФЛИСЪ.
Типографія С. Г. Меликова.
1879

კარი მეათე

# ქუჩუკ ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი".

გამოცემა მეორე

გამოცემული დ. ლაზარევის-მიერ.

ტფილისი

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა № 21.

1904.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Марта 1904 года.

# შინა-არსი

---

აქ ყარამანის გახიზვნის და განდეგილობის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ სარ-ვიხურამანისა და ყარამანის უკანასკნელი დღის გამოსალმების ამბავი.—აქ ყა-რამანის ანდერძი მოიხსენიეთ.—აქ ყარამანის გამომშვიდობება თავის სასახლის ფალევნებთან და სარდლებთან.—აქ ყარამანის განდეგილებით ცხოვრება უდაბ-ნო ადგილას ტყეში სადმე, ათ-თხუთმეტი წელიწადი, ტანჯვით ღვთის ლოცვა-ში.—აქ ჭუჩუკისა და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ ლხინში დაუტეოთ და მცირე რამ ჭუჩუკისა და მათუზ-დევისა მოიხსენიეთ.—აქავ ნიშ-კალ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.—ესენი ამ სიარულში დაუტეოთ და კვალად ჭუჩუკის ამბავი.—აქ ესენი ჭუჩუკის ძებნაში დაუტეოთ და კვალად ჭუჩუკისა მოიხსენიეთ.—კვალად ჭუჩუკისა მოიხსენიეთ.—აქ მცირე რამ ამბავი დევებისა მოიხსენიეთ.—აქ სანგურ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ლხინში და სიხარულში დაუტეოთ და მცირე რამ ჭუჩუკისა მოიხსენიეთ.

## 2 სურათით

1 ჭუჩუკის ბრძოლა მაისრებთან, ოკეანეს ზღვის კუნძულში.
2 აფთარ ზანგის ომი ძლიერი.

# X

# კარი მეათე

## ქუჩუკ

# ყარამანიანი

აქ ყარამანის გახიზვნის და განდეკილობის ამბავი მოიხსენიეთ.

რა დროიდამაც ქუჩუკი გამოეთხოვა ყარამანს ზარბაქ-დევზე წასასვლელად, იმ დროიდამ ორმა წელმა განვლო და ყარამანსაც ქუჩუკის იმედი ჰქონდა რომ მტრის ქვეშ არ დარჩებოდა და ყველაფრის ამსრულებელი იყო. შემდეგ არდევან-შაჰსაც (უშანგის შვილს), თავის ქვეყნები და ხალხი ისე დაუმშვიდა რომ თხა და მგელი ერთად სძოვდნენ, ისე რომ არას მხრიდამ მტერი აღარა ჰყვანდათ. მაშინ რაც თავისთან დიდებულნი დევნი თუ ადამის ტომნი ჰყვანდა ყოველთა თავთავის შესაფერი ქვეყნები და ხაზინა უბოძა და ისე პატივით გაისტუმრა ყოველი. შემდეგ ბრძანა: ორმოც სალაროს გახსნა თავის საბრძანებელში, რაც გლახაკნი თუ შეწუხებულნი და ქვრივ-ობოლ-ოხერნი იყვნენ ყოველი დაიბარა: იმოდენა წყალობა გასცა ხალხსა რომ წადება ეზარებოდათ. რა ამათგან მოიცალა, მერე სადაც ვიწრო გზანი იყო და წამხდარნი, ანუ კლდიანნი, სრულიად გაასწორებინა და გაამჯობესა. ამის გარდა ათას ექვსასი ღვთის სალოცავი მეჩითი ააშენა, მერე საკუთრად თავისთვის და თავის გვარისთვის ერთი საუკეთესო მეჩითი ააგებინა, ოთხი ფერი მადნის ქვით, თეთრ მარმარილოთი, ლურჯ-ლაჟვარდ ცის ფერ რეშმით, და მწვანე მარმარილოთი, ამ საკუთარ მეჩითს ას სამოცი გუმბაზი დაატანა, შიგნიდამ სრულიად ოქროთი მოსჭედა და გარედამ საუკეთესო თვალ-მარგალიტით. ამ მეჩითს რვაასი მოლა, მუფთი და ახუნდნი დაუდგინა, ამ მეჩითს შესწირა ერთი დიდი ქალაქი, რამდენიმე ქარვასლა და სოფლები, რომელიც ამით შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ამ მეჩითს, რომელსაც წელიწადში ჰქონდა შემოსავალი ასი ათასი თუმანი ოქრო, ამას გარდა მეჩითის სიახლოვეს, მე-

ჩითის მამულზედვე დაასახლა ხუთი ათასი დამახინჯებულნი უძლურნი და უსახლ-კარონი, რათა მარადის მეჩითის შემოსავლიდამ ეცხოვრათ და ესაზღოვნათ უკუნის-უკუნისამდე და ტანთ შემოსილიყვნენ. რა ესეც მოიყვანა სისრულეში, შემდეგ რომელიც თავის საკუთარი ქვეყნები ჰქონდა ყველა სწორე გზაზე დააყენა, თითო ფუნდრუკი და გვერდთ წყარონი აუჩინა თავის სახსოვრად. აქამომდეც კი არსებობს ინდოეთის მხარეს ის წყარონი რომელიც ყარამანისაგან არის ედიგრათ და სახსოვრად დარჩენილი, რომელიც ბურჯ-ვეზირისაგან არის ნაწარმოები და გაკეთებული ყარამანის ბრძანებით. რა ყოველი ესენი დაასრულა ღვთის შეწევნით მაშინ გულიც დაუმშვიდდა და მაშინ ღმერთის დიდი მადლობა შესწირა და ცოტა ხნით იცხოვრა თავის სარვიხურამანთან.

დღეს ერთსა დრო დაიცვა და სარვიხურამანთან შევიდა იმის სადგომში, სიყვარულით მოიკითხა და მცირე რამ საუბარი დაუწყო და მოჰყვა ღვთის მიერ გზის საუბარსა, ვით თავის პაპა სიამქამ-შაჰამ როგორ აილო ამიერ სოფლიდამ ხელი და ანუ ვითაარ წმიდათ წასულიყო, უდაბნოსა სადმე და იქ ღვთის ლოცვა-დიდებაში გარდაცვლილიყო და ას ოცდა ათი წელიწადი მკვდარი დებულიყო და ნადირთ არ შეეჭამათ იმის გვამი და არცა თუ სუნი დასდებოდა არც დამპალიყო, ისე რომ ვით მძინარე ისე ყოფილიყო, ვიდრე მამა ჩემმა თახ-მურად ხელმწიფემ მრავალჟამიერ ძებნით ჰპოვა მისი გვამი უდაბნო მთასა, მაშინ მისი მცხედარი უცხო პატივით და მრავლის გაცემით იქავ დაემარხა, შემდეგ მის სასაფლაოზე მშვენიერი ბადი გააშენებინა თავის ხელით. ახლა მეც შეუდგი ღვთის გზას, რადგანაც ჩემის ხელიდამ მრავალი ღვთის გაჩენილი კაცნი დახოცილან, არ იქნება რომ მათი ცოდვა ღმერთმა არა მკითხოს, ახლა მმართებს რომ ამა ჩემის სიცოცხლის მცირე ხანს ღმერთს ვემსახურო. და ამას გევედრები შენ რომ, წაბრძანდეთ ან თქვენ შვილ ნარიმანთან ანუ მამიშენის ქვეყანას, მაგრამ სჯობს რომ ისევ ნარიმანთან წაბრძანდეთ და ვიდრე ცოცხალ იქმნებით ინდოეთის ქვეყანას ეპატრონებოდეთ და იმსახურებდეთ—და როდესაც ღვთის ბრძანება აღსრულდეს და განისვენებთ მაშინ ეს ქვეყანაც ნარიმანს დარჩება—თუ ისურვებთ აქვე ბრძანდებოდეთ სიკვდილამდე, ესე ოდენი ქვეყნები, ხაზინა, მხევალნი და მსახურნი მოიხმარე კეთილად. იმყოფებოდეთ ლხინით და შექცევით, ნურც მე დამივიწყებთ და ჩემს სულს კეთილად მოიხსენიებდეთ ხოლმე.

როდესაც სარვიხურამანმა ამისთანა საუბარი მოისმინა ყარამანისაგან, თვალთაგან მდუღარე ცრემლები გადმოუშვა და მწუხარის გულით მოახსენა: „თვალთა ჩემთა ნათელო და საყვარელო სააბუირანო, თქვენ ისეთ გზას

დასდგომიხართ რომ ჩემგან დაშლა არ შეიძლება და უნდა თქვენი ნება აღსრულდეს და ანუ ვის ძალუძს თქვენი წინააღმდეგობა?“ რა ყარამანმა, სარვიხურამანისაგან ესეთი თანხმობის პასუხი მოისმინა, არა მცირე სიხარულს მიეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, მერე უთხრა ყარამანმა: საყვარელო სარვიხურამან, მე ამასაც გირჩევ რომ ამ ქვეყანას არ მოშორდე, როდესაც ქუჩუკი მოვიდეს, აქ დასვი ამ ქვეყნის პატრონად და მასზედ იხარე, მეც ანდერძს დაუგდებ რომ ყოველთვის თქვენ გმორჩილებდეს. სარვიხურამანმა მოახსენა ტირილით, სააბუირანო, მე მორჩილი გახლავარ თქვენის ბრძანებისა ყოველთვის, მაგრამ როგორ უნდა დაგთმო და დაგივიწყო? ყარამანმა კვალად უთხრა: საყვარელო სარვიხურამან, ჯერ-ჯერობით თუ ცოცხალი დავრჩი ამ სამ-ოთხ წელიწადს შენთან დავყოფ და ყოველ ჩემ ქვეყნებს მოვივლი და მსურს უფრო რიგზე დავადგინო, ამიტომ რომ უსამართლობა არსად სუფევდეს, რადგანაც მათი უსამართლობის ცოდვა მე მეკითხვის.

როდესაც ესე დარიგება დაასრულა, მაშინვე სამზადისს ხელი მიჰყო, ხუთის დღის შემდეგ რამდენიმე ფალევანს და სარვიხურამანს გამოესალმა ნუგეშის ცემით და წავიდა თავის საბრძანებლებში. ყოველი ქვეყნები ორს წელიწადს მოიარა, სწორი კანონები და რიგ-წესი დაამყარა, ისე რომ ბევრი მდიდარი და ღარიბი სულ ყარამანს ლოცვიდნენ. რომელს ქვეყანასაც მიაღწევდა, ხუთის დღის სავალზედ წინ ეგებებოდნენ და ფერხთ ულოშნიდნენ. ისე გაამდიდრა ყოველი რომ გლახაკი და შეწუხებულნი აღარსად მოიპოებოდა. რა ესენიც გაარიგა, მუნიდგან უკან შემოიქცა და ორს წელს თავის ქვეყანას დაჰყო, იქაც ყოველი განაწესა და კეთილი სამართალი დაამყარა, მერე ათი წერილი რვეულზედ თავის ხელით ოქროს ვარაყით ნაწერი დაბეჭდა და სარვიხურამანს უბოძა და უთხრა: აჰა საყვარელო ჩემო ეს წერილები, როდესაც მე აქ ვეღარ მიხილო მაშინ გახსენ და ხეებზედ მიაკვრევინე რომ ამით სცნან და თქვენ გმორჩილებდნენ ყოველთვის, აბა შენ იცი და შენმა ღმერთმა როგორც ნარიმანს და ჩემ ქუჩუკს შემინახავ და უპატრონებ.

რა ესე წერილებიც გადასცა, რამდენიმე დღე კვალად შინ დაჰყო, ერთი ხელი შალის ძონძი ტანისამოსი შეაკერვინა საიდუმლოთ და ერთს ღამეს გამოვიდა, თავის ტანთსაცმელი ერთს გლახაკ ვისმეს აჩუქა და იგი შალის ძონძი თვითონ შეიმოსა, იმ ღამესვე რაც შეეძლო იარა მთაყაჭის მხრისაკენ, აბრაამის ლოცვის თქმით.

რა დილა გათენდა ერთ უალაგო-ალაგ ხევში ჩავიდა და მცირე მოსვენებას მიეცა, დაიჩოქა და ღვთის ლოცვა-ვედრება იწყო და იტყოდა:

„უფალო მოიხსენიე მონისა შენისა ვედრება და რა გზასაც დავდგომივარ შენ მომიმართე ხელი, რაც წუთსა სოფელს ცოდვა შემთხვევია და ანუ კაცი მომიკლავს უშენნებოთ ყოველივე მაპატიე“. ამგვარ ღვთის ღაღადით აგრძელებდა თავის გზას, ერთ ჟამად იხილა იმ უდაბურ ხევში რომ რამდენიმე სავსე პარკები ეყარა, ფეხი წამოჰკრა ნახა რომ სრულიად ბაჯაღლო ოქროებით იყვნენ სავსენი, ყარამანმა ერთიდ განიზრახა, რადგან ჯერეთ ქალაქი ახლოს იყო, ეს პარკები მიეზიდნა და მერე გამობრუნებულიყო და წასულიყო თავის გზაზე, მერე გონებას მოეგო და თქვა თავის გულში: თავო ჩემო შენ რა გზას დასდგომიხარ და ახლა რას აპირებ? რამდენი ესე ოდენი ათასი გამიცია და მქონია, იგი ყველა გაუშვი და ახლა ესენი მე ჩემ ცოდვებისაგან ვერ დამიხსნიან, წყეულიმც იყოს ამის მიმყოლი. იქნება ისეთს კაცს შეხვდეს და ერგოს რომ ღირსი იყოს ამისი, მხოლოდ მე კი ეს ოქროები არას მარგებენ.

რა ესე იფიქრა, მცირე გაიარა დაიჩოქა, განიპყრა ხელნი და ორ ჟამამდე ლოცვას მოჰყვა და ღვთის ვედრებაში შევიდა. რა საღამოს ჟამი შეიქმნა მუნიდგან თავის გზას შეექცა, როდესაც უნდა წასულიყო მაშინ ახილა რომ იგი პარკები ნაყარნი ოქროები დიდრონი ქვანი ეყარნენ. რა იგინი ესე იხილა, მართლა გაშინჯა და ღმერთს არა მცირე მადლობა შესწირა რომ ეშმაკთაგან ვერ შესცდა.

რა მას ხევიდამ გავიდა, კვალად თვისს გზას შეუდგა, სამი დღე და ღამ იარა, მეოთხე დღეს ასეთი თოვლი მოვიდა და ყინვა დაიჭირა რომ გზა და კვალი აღარა ჩნდა ისე რომ კაცის თვალი ვერას გაარჩევდა და სასტიკ სიცივისაგან ფრინველნი და მხეცნი იყინვებოდნენ და იხოცებოდნენ.

რა ყარამანმა ესე განიცადა, იფიქრა რა სარგებელი და სახელი იქნება ჩემთვის რომ მე ამისთანა ალაგს თავი მოვიკლა, მერე ჩემ ნაცვლად ვინდა უნდა მოინანოს ჩემი ცოდვები და ანუ ღვთის სამსახური გადაიხადოს, მე ვგონებ რომ მოვალეც დავრჩე ღვთისა. უმჯობეს იქნება რომ ამ ტყეში შევიდე როგორმე შეშა მოვნახო და დავანთო, ღვთის ბრძანებით თავი ჩემი ვაცოცხლო და ჩემი ვალიც გადავიხადო. მაშინვე შევიდა ტყესა მივიდა ერთ ხმელ ხის ძირას, როგორც იყო თვალი მოიწმინდა და იმ ხეზე ავიდა შტონი ჩამოყარა და ცეცხლი დაავზნო, ამით მოსვენებას და სითბოს მიეცა, მაშინ მუნვე დაიჩოქა ილოცა და თქვა: „ჰოი უფალო! ცოსა და ქვეყნის გამჩენო, თქვენვე ინებეთ რომ ვალი ჩემი გარდამეხადს თორემ ამისთანა სიცივის დროს ვერა რომელს შეეძლო თავი თვისი ეცოცხლებინა და იმედიც მაქვს რომ არ მომკლავ ამ შუა გზაზედ რომ გადავიხადო ვალი ცოდვისა ჩემისა და ნუ უბოძებ ნებას ეშმაკთა ჩემსა ზე-

და და ნუ დამკარგავ საუკუნოდ, მომე შეძლება და ძალა ვითარცა გიბოძებია მრავალთათვის“.

ამ ლოცვა ვედრებით დაჰყო ყარამანმა ათთხუთმეტი დღე მას ალაგს, მხოლოდ მისი საზრდო ბალახის ძირი იყო და ორ დღეთა შუა მცირე თოვლს მოიღებდა მუჯით ცეცხლზედ ატბობდა და მას სვამდა, ესე იყო მისი საზრდოება.

## აწ ყარამანი ამ ალაგს დაუტეოთ და მცირე რამ სარვიხურამანისა მოიხსენიეთ.

ამ ჟამად როდესაც სარვიხურამანმა და ყარამანმა მოიუბნეს როგორც იყო იგი დღე განვლეს და ღამეც. რა მეორე დილა გათენდა, მაშინ იხილა რომ ყარამანი თვისსა საწოლს აღარ იყო. სარვიხურამანი ყარამანის საწოლს დაეცა და მრავალი იტირა, ასე რომ ყარამანის მგონებელი სარვიხურამანი უცნობო შეიქმნა, მაგრამ აშკარად არას იმჩნევდა, ამისთვის რომ ვიდრე ყარამანის ანდერძის ნაწერ ქაღალდებს არ მიაკრავდა ხეებზედ როგორც იმან უბრძანა, შემდეგ იგი თითო ნაწერი რვეული თითო ხეზე მიაკვრევინა და მაშინ ყველამ წაიკითხეს. ვინც კითხულობდა და ესმოდათ, იმის განდეგილება, არა მცირედ ენანებოდათ, რომლებზედაც ესე ეწერა:

## აქ ყარამანის ანდერძი მოიხსენიეთ.

მკითხველნო ერნო, ამ ჩემის წერილისა ისმინეთ ვედრება ჩემი, მოიგონეთ ჭირნახული ჩემი თქვენზედ. აჰა მე წაველ ქუჩუკის მხრისაკენ მის შემწედ და თქვენ მორჩილებდეთ ჩემს სარვიხურამანს ღვთის წინაშე ჩემს ნაცვლად, ყოვლის გულის სიწმიდით, ყოველ ჟამს თაყვანსა სცემდეთ თქვენს დამბადებელს, თქვენის წმიდის ლოცვითა, და უფალი იყოს თქვენი შემწე. და იქნება რომ მეორედ მოსვლამდის ველარ გიხილოთ. ქუჩუკ-ყარამანი მალე მოვა და იმედი მაქვს რომ იგი უკეთ გიპატრონებთ და იყავით მშვიდობით.

რა ესე წერილი აღმოიკითხეს და სცნეს მისი ამბავი, იტყოდნენ ყარამანიც თავის სიამქაშ პაპასავით მთაში წასულა სალოცავად. და მისი მოშორებით ყოველთა მრავალი მწუხარება დაიწყეს და გლოვა-ტირილი გაამრავლეს დიდით პატარამდის, ორ თვემდის ყოველ ქვეყანას განითქვა ყარამანის განშორების ამბავი, ყარამანი განდეგილად წასულა სალოცავადაო. ამისთვის ექვს თვემდის ვითარცა მართებდათ იმ გვარ გლოვაში

იყვნენ და მის ნაცვლად ყოველნი სარვიხურამანს მორჩილობდნენ და უც-
ხო საუბრით გულს უდებდნენ და მისს ბრძანებას აღსრულებდნენ. სარვი-
ხურამანმაც მოინება ყოველს თავის საბრძანებელში უხვად მოწყალების გა-
ცემა გლახაკთა და ქვრივთა-ობოლთა ზედა. რაც ღვთის სამო საქმე იყო
ის აასრულა. ამ ყოფით იქცეოდა ყარამანის სულის გულისთვის. ქუჩუკის
საყვარელი გულიჯანიც მოაყვანინა და იგიც ხუთასის ფერიის ქალებით
მოვიდა და ერთად იმყოფებოდნენ ხელმწიფურის წესით სცხოვრებდნენ და
ქუჩუკს მოელოდნენ დღე-დღეზე.

## ესენი ამ ცხოვრებაში დაუტყოთ და კვალად ყარამანის ამბავი მოისმინეთ. აქ ყარამანის ცხოვრება ათ-თხუთმეტ წელს მას უდაბურ ტყეში.

ყარამანი იმ ჟამად ბალახით და ტყის ნაყოფით იკვებებოდა, იმის
სასმელი წყალი ზამთარში გამდნარი თოვლი იყო. წუთისოფლის ჩვეუ-
ლებრივ ხასიათმა ერთ ჟამად ყარამანი სასოწარკვეთილებაში ჩაგდო, მას
ჟამად ერთი საშინელი ქარი ატყდა ისეთი რომ გარდასახვეწი არსად ჰქონ-
და იმ არე-მარეში, საცა თოვლი იყო ბუქისაგან მოგროვებული იმ ხევში
ჩაგდო ყარამანი, ქარისაგან ყარამანს ის ძალა დადგა რომ მისთანა კაცი
არა მცირედ შეაწუხა, ისე რომ მიწა გათხარა და შიგ ჩაჯდა, როდესაც
ქარი დამშვიდდა მუნიდამ ამოვიდა და ტყეშივე ცხოვრებდა ბალახის ძი-
რებით იკვებებოდა. ერთ ალაგ მიადგა ნახა რომ მრავალი პური ეყარა
ნამზადი, რა ესე იხილა ღმერთს მადლობა შესწირა, მაგრამ გულსა შინა
განიზრახა და იტყოდა ამისთანა ალაგს პური საიდამ უნდა იყოსო! ნუ
თუ მოჩვენება არის რამ, სჯობს რომ აღთქმა დავდვა ჩემს სიცოცხლეში
პური არა ვჭამო, მხოლოდ ჩემი საჭმელი ბალახის ძირი და ხის ნაყოფი
იყოს, არამც თუ ესეც მისსავით ცდუნება რამ იყოს ეშმაკთა მახენი. რა
ესე განიზრახა, მაშინვე ვედრება იწყო და იტყოდა ესრედ, ჰი, შენ უფა-
ლო, თუმცა ამ ჟამად ჩემთვის სიკვდილი გიბრძანებია, არცა თუ პურის
უჭმელობით მოვკვდები. ესე სთქვა და მცირედ წაიარა რამდენიმე ბალა-
ხის ძირი შეკრიბა თავის საზრდოთ, მასვე დროს იხილა რომ იგი პურნა-
ხის ფუტუროს ნაჭრებით იყო გარდაქცეული. რა ეს ესე იხილა, ღმერთს
დიდი მადლობა შესწირა რომ მას ეშმაკთა მანქანებს გადურჩა, (ამიტომაც
კაცის მარადის მოთმენა აჯობებს ყოველ განსაცდელს), რა ესე გა-
ნიზრახა მაშინვე მთა-ყაჯისაკენ გაემართა, ამ სახით მრავალი მთა და ბა

რი გადავლო და ორ თვემდის რის ყოფით მუნ მიაღწია, რამის მთაზედ ავიდა, ერთ ალაგს სადა ინება ერთი საფლავის მზგავსათ მიწა გათხარა და შიგ ჩაჯდა და იტყოდა: „ეს არს სასახლე და სადგომი ჩემი, ვიდრე სიკვდილმა შემძებოს და მიპოვოს", ეს იქნება მზად სამარე ჩემი. იქ დაჰყო ორი წელიწადი, მის საკვები შეკრებილი ბალახის ძირი იყო და სასმელად მდგარი წვიმის წუმპე.

რა უარამანისაგან ესეთი ღვთის სიყვარული იხილა ეშმაკმა, მას ზედშური მიიტანა და უარამანი თავით ფეხამდის ბოროტებით და წყლულით აავსო, ისეთი საზარო სუნი დაედო რომ თავის სუნისაგან თვითონვე თავზარი ეცემოდა, ისე გახდა რომ სხეულიდამ მყრალი წყალი და ჩირქი სდიოდა. არასოდეს ის არ ნანობდა იმისთანა ცხოვრებისთვის, მხოლოდ ესე იტყოდა: „ჰი, დამბადებელო ღმერთო, მომიტევე ცოდვანი ჩემნი, მე დიდი ბრალი და შეცოდება მაქვს შენთან", ჯერ ესეც მცირე სასჯელია ჩემთვის, მარადის ნება თქვენი აღსრულდეს, რა სატანჯველის ღირსიც ვიყო აქავ გარდამახდევინე რომ მეორედ მოსვლას თქვენსას უპასუხო არ დავრჩე თქვენს წინაშე წმიდა სამართალში.

ამისთანა სატანჯველით თორმეტმა წელიწადმა განვლო, ისე რომ უარამანს ძვლისა და სულის მეტი აღარა შერჩარა. მას დროს ნახა რომ ერთ კაცს ქუნქურის წვრილი ჩარექები მრავალი მხართა და ზურგთა ჰკიდია და მასთან გამოიარა. რა უარამანმა იგი ნახა დიდათ გაიკვირვა და იტყოდა გულსა შინა, აქ ადამის ძეს რა ხელი აქვს!? საიდამ მოვა და ან სად მიდის!?—მაშინ დაუძახა: ჵეი შენ კაცო! ვინ ხარ, ან აქ რას აკეთებ და ანუ საიდამ მოხვალ? მან კაცმა მიუგო: „ჵეი შენ ღვთის მონავ! მე მურდანის ბანდა საჰაბის ჯარის უფროსი ვარ, მე მივალ ზურაბათის ხელმწიფესთან, რომელსაც დაუბარებივარ, იმისთვის რომ ბოროტისაგან ძალიან დასნეულებულა, მე უნდა უწამლო და მოვარჩინო", ამ საუბრით მივიდა და გვერდს მოუჯდა უარამანს და უთხრა: „ჵეი მე საწყალო რა გაჭირვება გაქვს რომ ეგრე შეწუხებულხარ? ნუ თუ ბალახის ძირებით იკვებები? ეგ ბოროტი წყლულები და სნეულება სულ მისგან არის". უარამანმა მიუგო ოსტატო ამის წამალი რა არის და ანუ როგორ უნდა მოვრჩე ამ სნეულებას? „მან კაცმა მიუგო მე მოგარჩენ თუ რასაც გეტყვი დამიჯერებ", უარამანმა უთხრა: აბა რას მეტყვი? მან კაცმა მიუგო, „შენი წამალი აქ არ იქნება, ამიტომ რომ ერთი სოფელი ანუ ქალაქი უნდა იყოს ახლო რომ ეგ შენი ბოროტ-წყლული ერთი რომელიმე კაცის სისხლით დაიბანო" და მერე წამალი რამ უნდა წაგისო, ჩემ წამალზე კარგი საჭმელებიც უნდა სჭამო.

რა უარამანმა მისგან ესე მოისმინა უპასუხა: „ჰეი კაცო, მე უფალთან აღთქმა და ფიცი მაქვს რომ მანამ ცოცხალი ვარ პური არ უნდა ვჭამო, მე იმედი მაქვს მისგან რომელიც ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთია, ვითარცა ეს ჭირი მომცა აგრეთვე გამკურნოს, მაგისთანა წამალი ეშმაკთაგან შეზავებული იქმნება, წყეულიმც იყოს მისი სახსენებელი". როდესაც უარამანმა ამისთანა სასოებით ღვთის სახელი ახსენა, მაშინვე გაჰქრა. მაშინ უარამანმა პირი მიწას გაერთებით ღმერთს თაყვანი სცა და მადლობა შესწირა რომ ამისთანა დროს მის ხსენებაზე ეშმაკთა საფრთხისაგან დაიხსნა, ამაზედ დაიწყო ლოცვა და ცხარის ცრემლით გლოვა-ტირილი, რა ღმერთმა ნახა რომ უარამანმა ამოდენა ტანჯვა-წვალებაში გული არ შეიცვალა; მისი ვედრება ისმინა. მაშინ ანგელოზთა უბრძანა მისი განკურნვა და სულის მისისა ჩაბარება. მაშინვე განიკურნა ბოროტ-წყლულისაგან, მოეჩვენა კეთილი ანგელოზი ღვთისა და უთხრა: „ჰეი ღვთის მსახურო და მორჩილო კაცო! შენი ვედრება და ლოცვა ღმერთამდე აღიწია, ყოველი შენი ცოდვანი განიწმიდა და აგრეთვე შენი სააქაო წყლულიც განიკურნება და ხვალ მზათ იყავ ამ დროს რომელმაც უნდა განისვენო სასუფეველში ზეცასა შინა".

რა უარამანმა ანგელოზისაგან ესე მოისმინა, ჰკითხა: „შენ ვინა ხარ მართლა თუ ღვთისაგან ხარ წარმოგზავნილი ჩემთან, მე მონა ვარ მისი და აღსრულდეს ნება ღვთისა". უარამანმა რომ ესეთი პასუხი მიუგო, ანგელოზი უჩინო იქმნა. მაშინვე უარამანი პირქვე დაემხო და მადლი შესწირა, ზე წარმოსდგა სუმბუქად ასე ეგონა რომ მძიმე ტვირთი მოეხსნა ზურგთა ზედა. დაიხედა ნახა რომ აღარც მუწუკები და აღარც წყლული აქვს სხეულზე, სულ განიკურნა ღვთის ბრძანებით. მაშინ კვალად დაიჩოქა და ღმერთს თაყვანი სცა და მრავალი ილოცა, რა ლოცვისაგანაც მოიცალა ღურსმანი რამ მოიღო, ერთი დიდი ქვა მონახა და რაც თავს გარდახდომოდა ყოველი მოკლედ მას ქვაზედ დაწერა, მოიტანა და თავის საფლავის თავზე გაამაგრა, თვითონაც შიგ ჩაჯდა, მეორე დღემდე როგორც ანგელოზმა უთხრა, ლოცვასა და ღვთის-მიერ ვედრებაში იყო. სახამ კეთილნი ანგელოზნი მოვიდნენ და სული მისი ჩაიბარეს, მისი წმიდა სული მიიტანეს უფლის წინაშე და უარამანის გვამი ასე დარჩა საფლავში უპატრონოდ, არც მიწის მცმყრელი ვინმე იყო და არცა თუ დამმარხავი, დარჩა ესე მზეში წვიმაში. ესე დასრულდა უარამანის სიცოცხლე.

## აქ ქუჩუკისა და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკი მათუზ კოჭლი-დევით და ათი სხვა გამძლე ფალევანი დევით მაღრიბიდამ აიყარნენ, მაშინ ორ დევთა ქუჩუკის იარაღის ზანდუკი აიღეს, ერთმა დევმაც მისი სამცხენა იტვირთა, ერთმაც მისის ცხენის ბარგი და მის ჩასაცმელიც, აგრეთვე ლომიც, რაც ჰქონდა მომატებული იარაღი ჯადოს მანქანები, მათუზ-დევმა ქუჩუკის პატარა ტახტი იაგუნდით მოჭედილი და ქუჩუკი ზედ დაბრძანდა, თავის პატარა უთი გვერდით დაიდო. რა ყველანი გაეწყვნენ, მაშინ სახელი ღვთისა ახსენეს აფრინდნენ და ზარბაქ-დევის მხარეს სამხრეთისაკენ წავიდნენ მრავალი იარეს ჰაერით და ზღვას მიახლოვდნენ, რა ქუჩუკმა ზღვა იხილა თავის გავლილი დღეები მოაგონდა და ერთი დიდათ ამოიოხრა, მაშინ კოჭლ-დევსა ჰკითხა: მათუზ-დევო ჩვენ ზღვით ბევრს ვივლით თუ არა? მათუზმა მოახსენა: ჩემო ფალევანო, ერთი თვე ზღვით უნდა ვიაროთ და სამი თვე ხმელეთით, ვიდრე ზარბაქ-დევის სამზღვარს მივალთ, მას უკან მის მიწაში შევალთ სადაც საშინელი ჯადოებით არის მოცული იმის არე-მარე. რა ქუჩუკმა ერთი თვე ზღვით სიარული შეიტყო, თავის ნამყოფი ზღვის კუნძული გაახსენდა და უთხრა: მათუზ რომელიც მაშინ გამოვიარეთ იმ გზაზედ მივალთ თუ სხვა მხრისკენ? მან მოახსენა: არა ჩვენ სულ სხვა გზაზედ უნდა წავიდეთ და ამ გზაზედ მრავალი უცხო კუნძულებია სანახავი, მრავალ ხეხილოვანი. ქუჩუკმა ჰკითხა: მათუზ, შენ აქაური კუნძულები და არე-მარე საიდამ იცი? მათუზ-დევმა თაყვანი სცა და მოახსენა: თუმცა ყოველი მოგახსენოთ ძლიერ გძელია ჩემი ამბავი და ვაი თუ შეწუხდეთ მხოლოდ მოკლედ მოგახსენებთ და ყოველსავე სწორეს. ერთი წელიწადი მე ზარბაქ-დევს ვემსახურე, მაგრამ ვაი იმ სამსახურს, მის სიბილწის ყურებას მეტი ვეღარ გაუძელ, მუნიდამ გამოვიპარე და ჰაზარექ-დასტთან მიველ და იმას დავემორჩილე, რაც ზღვის კუნძულებია სრულად მომივლია. მერე ზარბაქმა შეიტყო რომ მე ჰაზარექ-დასტთან მივსულვარ მას ათი ხვადი დევი გამოეგზავნა და შემოეთვალა, მე გავიგეო რომ ჩემი მსახური კოჭლი-დევი შენთან მოსულა, ახლავ შეკრული გამომიგზავნე თორემ მაგის გულისთვის ქვეყნად ამოვალ და ისეთს საქმეს გიზამ რომ შენი ჰაზარექ-დასტობა სრულიად დაგავიწყოვო. რა ესეთი შემოთვალილება შეიტყო მაშინვე შეშინდა ჰაზარექ-დასტი და დამიძახა, მეც რომ მათი მოსვლა შევიტყე მაშინვე ავფრინდი და ამ კუნძულებისაკენ გამოვიქეცი, რა ჩემი გამოქცევა შეიტყო მაშინვე ას დევს უბრძანა რომ გამომდგომიყვნენ და დაეჭირათ ჩემი თავი, მეც რაც ძალა მედვა ვიარე მაგ-

რამ, მეხუთე დღეს ვიხილე რომ უკან ასი დევნი მომდევენ, იმ ჟამად მოვინდომე რომ დავბრუნებულვიყავ და ყველანი დამეხოცა, მაგრამ მაშინ ვიფიქრე რომ ორნივ მტრად გადამეკიდებოდნენ, მაშინვე მსწრაფად გავექანე და ისე გავფრინდი რომ ჩემი ჩრდილიც ვეღარ ნახეს, მე ძველთაგან ერთი მადარო მეგულებოდა წაველი და მუნ დავიმალე და ორ წლამდე იქ დავყავ, მას შემდეგ გამოველ და ოცი წელიწადი ამ კუნძულებში დავიდოდი და მაშინ გავიცან ესე კუნძულების მდებიარობა.

ოცი წლის შემდეგ კვალად დავბრუნდი ჯაზარექ-დასტთან, თაყვანი ვეცი და დანაშაულობის პატიება ვთხოვე, პირველად გამიწყრა და მერე დამიტკბა და მკითხა ჩემი ამბავი, მე ყოველივე მოვახსენე, მან მიბრძანა კოჭლო მე კარგათ ვიცი რომ ყოველიფერის შემძლებელი ხარ, მეც თავი დაუკარ და მოვახსენე, რაც ჩემის ხელიდამ სამსახური გამოვა სიკვდილამდინ გემსახურები და რაც ძალა არ მიძს მის პირობას ვერ მოგცემ მეთქი, დიდი ხანი მასთან დავყავ, რაც იმას საუკეთესო და ძვირფასი ქვები ჰქონდა სუყველა ჩემი ნაშოვნი იყო, ოკეანეს ზღვიდამ გამოტანილი და რაც სხვა კარგი რამ ჰქონდა, იმას თითზედაც რომ ბეჭედი ეცვა ისიც ოკეანეს ზღვის ძირში ერთი სახელოვანი დევი მოვკალ და ის ბეჭედი იმისი იყო, იქიდამ მოვიტანე და ჯაზარექ-დასტს მივართვი, ის ბეჭედი ძლიერ უყვარდა ისე რომ თითიდამ არ იშორებდა, მაგრამ ღმერთმა ის ბეჭედიც და ყოველი იმის ქონებაც თქვენ მოგცათ და ჩემი თავიც საკეთილდღეოთ შამსახუროს ღმერთმა. ისე ხათრიჯამათ ბრძანდებოდეთ რომ თქვენი დამარცხება ჩემთვის სიკვდილი იქმნება და თქვენი გამარჯვება ჩემთვის დიდი სიხარული, ყოველ შენ სამსახურზე მზად გახლავარ, თავი ჩემი სასიკვდილოთ გაწირო, ახლა მშვიდობა იყოს ამ ზღვის გზაზედ მრავალი უცხო კუნძულებია, ერთ კუნძულში ერთ გვარი ნადირია, სახელად იმათ ეწოდებათ მაისრები და საკვირველნი მეომარნი არიან, ფერად შავნი თავები ზუთხებს უგავთ ტანი ადამიანისა აქვთ, ბეჭებზე ორ-ორი ფრთა აქვთ, თვითონ თითო სპილოს ოდენნი არიან და საშინელი ფეცხნი, მათი იარაღის სიგრძე ოცი მწყრთა იქმნება, ფოლადიდამ არის შექმნილი, თითო ორმოც ლიტრას იწონს, ცალი მხარე ბასრ ხმალივით აქვს. იმათზე ყოველთვის საომრად დევთა ჯარი მოდის, მაგრამ ვერას აწყობენ და დამარცხებულნი უკუ მიიქცევიან ხოლმე, მრავალნი დაიხოცებიან და შემდეგ პირს იბრუნებენ. მაისრები ზღვის თევზით იკვებებიან და ხის ნაყოფით, დევნი და ადამიანთ ტომნი მათთვი სუცხო საჭმელია. მაგრამ ამ მაისრებსაც ერთი მოსისხლე მტერი ჰყავთ ფრინველნი. აქ ერთი კუნძულია რომელიც თორმეტი დღის სავალია, ის ფრინველნი იქ სცხოვრობენ იმ

ფრინველთა სიდიდე, თითო აქლემისა აქვთ და ნისკარტიც ბასრი ფოლადის მზგავსი მკვეთელი, კლანჭები აქვთ, ხუთ-ხუთი მტკაველი, გალესილი ვით ალმასი. ყოველ წელს მიუხდებიან ხოლმე ეს ფრინველნი მრავალსა ხოცვენ და ზიდავენ თავიანთ სამყოფში საზდოსთვის. ეს ფრინველნი ძლიერ ჭკვიანნი და მეცნიერნი არიან, თუ კაცი მათ დააკვირდა მათში ნახავს ადამიანურ ქცევა-ყოფას, მათი ხელმწიფე სიმრუღ ფრინველია და სახელად ფარვან-ბარუუში ეწოდება ე. ი. ფაშკუნჯი, ამ ბარუუშმა სამი ენა იცის ლაპარაკი და ორი თავი აქვს.

მაშინ ქუჩუკმა უთხრა: მე მათი სამი ენა ძალიან კარგა ვიცი, იგი ბარუუში პაპიჩემის დიდი მეგობარი იყო და იმისაგან ნიშნად თავის ბუმბულიცა გვაქვს მოცემული, რომელიც ყოველ გაჭირვებაში ის მზად არის ჩვენთვის მოგვეხმაროს. მხოლოდ შენ ამასა გთხოვ მათუზ, რომ იმ მაისრების კუნძულში ჩამომსხდინო, მე მსურს რომ იმათი ძლიერება ვსცნა. თანამოგზაურ დევებმა რომ ესე გაიგონეს ქუჩუკისაგან, ძლიერი შიში ჩაუვარდათ გულში, ამიტომ რომ მათი ომის გასწორება არ შეეძლოთ, მაგრამ მათუზ-დევმა მოახსენა: ნება თქვენი აღსრულდესო, სჩანს რომ ამ დევთა აღსასრული მოღწეულა, თუ შეიძლება ჩვენ ძირს ჩავიდეთ და ესენი მაღლა დავტოვოთ რომ მაღლიდამ გვიჭვრიტონ, თორემ ამათ უბრალოთ დახოცავენ და ნება თქვენი აღსრულდეს. ქუჩუკმა უთხრა მათუზ თუ ჩვენ დაგვხოცენ, ეგენიც უნდა ჩვენთან დაიხოცნენ, თუ ჩვენ გადავრჩებით ცოცხალნი ეგენიც ნუ იშიშვიან,—და თუ იშიშვიან მაგათ ჭაერით გვიჭვრიტონ და მაშინ სცნან თუ ღმერთი ჩემზე როგორ არის მოწყალე, ჯერ ჩვენ აქ მცირედ ვინადიროთ.

ამ განზრახვით ჩამოხდნენ, შორიდამ რამდონიმე ჯეირანი დაინახეს ენებათ რომ მათზე გაენადირათ, მაგრამ ქუჩუკის ცხენმა გაჭკრა მაშინვე ქარის უმალესად დაეწია და ათოთხმეტი ჯეირანი თავის რქაზე წამოიცვა და რამდენიმე დახოცა, ამის მაყურებელმა ლომმაც არა მცირედი დახოცა, ცხენმა მოუტანა რქაზე ასხმული და ქუჩუკს რქა მიუშვირა, მანცა ამოართო, რომელიმე ჯერ ცოცხალნი იყვნენ, აგრეთვე ლომმაც მხარზედ აკიდებული კბილით დაჭერილნი, მაშინვე ტყავნი გახადეს, ზოგი შეწვეს ზოგი მოხარშეს და შეექცნენ, მათაც თითო შველი მისცეს, ამასობაში იხილეს რომ სამცხენამ საჭმელი გაუშვა და ერთს მხრისაკენ ვით ფრინველი ისე გაუტია.

რა ქუჩუკმა ესე იხილა გაუკვირდა, მაშინვე დევთა უბრძანა, მალე მონახეთ ჩემი რაში საით წავიდა, მაშინვე მათუზ-დევი გამოუდგა ნახა რომ ოციოდ მაისრებს რამდენიმე ჯეირანი უნადირიათ და ერთის მხრისა-

ვენ მიჰქონებიათ, თურმე სამცხენას თვალი შეუსწვრია და მათ გამოსდგომია, რა მაისართა იგი მხეცი ნახეს თავიანთზე მისული, მათაც შემოუტიეს, რა მათუზ-დევმა ესე დაინახა მაშინვე ქარის უმალესად უკან შემოიქცა და ქუჩუკს მოუხდა და უთხრა: ჵეი ფალევანო, სამცხენა მაისრებს გამოეკიდა და იმათაც შემოუტიეს, ოცამდე იქმნებიან, თუმცა ძალით ვერას დააკლებენ მაგრამ სიფიცხით შეაწუხებენ და ხმას მისცემენ სხვა მაისრებს და სულ იქ გაჩნდებიან რაც ამ კუნძულში მაისრები არიან, ისე რომ სიმრავლის რიცხვი არ შეიგდება, რაოდენიც დახოცოს ასი იმოდენა მოემატებიან, თუ ამათ ერთი გზით არ გავეცალეთ დიდ ვნებას მოგვცემენ.

რა ქუჩუკმა მათუზ-დევისაგან ესე მოისმინა, ხვად დევთა უბრძანა: დევნო თქვენ თქვენი საქმე ნახეთ რომ ამაღლება არ გაბედოთ, მაშინვე ერთი ზანდუკი გაადებინა, რამდენიმე წვრილი წერაქვი და მოკლე ბარები ჰქონდა წამოდებული, ამოიღო და ამ ათ თერთმეტ დევს მისცა, და იქავ ხუთი ექვსი ჳალოს ოდენი დაუნიშნა და უთხრა, აქ ხანდაკი მოთხარეთ ღრმად ისე რომ მაისრებმა მუნიდგან ვერ შესძლონ აქეთ გამოსვლა და მხოლოდ ერთი ბილიკი გზა დაატანეთ. მერე ორს დევს უბრძანა და იარაღიც მისცა, თქვენ ამ ბილიკ გზაზედ ერთი კარი გააკეთეთ, ისე რომ მას ზედ მაისარნი ვერ გავიდნენ და ვერც გადახტნენ.

რა ესენი გაარიგა, მაშინვე თითონაც შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცო და ჩილიფუამუამი შემოირტყა, ყარამანის გურზი ხელთ მიიცა და საითაც თავის სამცხენა წავიდა იმ კვალს მიჰყვა და ლომიც თან წაიყვანა, რა მცირე გაიარა, იხილა რომ ერთის მხრიდამ საკვირველი ხმა მოისმის. რა იმ ხმას მიუახლოვდა, იხილა რომ ოცი ოდენი მაისრები არიან თითო სპილოს ოდენნი და უფრო უდიდესნი, ტანი ადამიანისა აქვთ, ორ ორი ფრთა ბეჭებზე და შავნი როგორც არაბნი, თავები ზუთხისა გრძელ ტუჩებიანი, ხელისა და ფეხის ფრჩხილები ხუთ-ხუთი მტკაველი ჰქონდათ, ალმასივით მჭრელნი, საკვირველნი მარდნი და მამაცნი. ქუჩუკმა ჯერ შორით გაშინჯა და მაშინვე მათუზ-დევის ნაანბობი გახსენდა, ნახა რომ მართლა ძლიერ მამაცნი ყოფილან,—და თავის სამცხენას მიხვევიან მაისრები, სამცხენაც ძლიერ ებრძვის, რა ქუჩუკის ლომმა ესე იხილა, ესეც მაშინვე მიუხტა, მაგრამ ამ ორთა ვერა დააკლესრა. ქუჩუკი ახლოს მივიდა ნახა რომ ათამდე კიდეც დაუხოციათ, მაისრები ისე დახვევოდნენ რომ ზოგი გვერდიდან ზოგი უკანიდგან და ზოგიც პირდაპირ და თავის სამცხენა რამდენიმე ალაგს დაუკოდიათ და სისხლი რუსებრ გარდმოზდის, მხეცი ისე გამწარებულიყო რომ მისი ფშვენა ორს ალაჯს ისმოდა. სამცხენამ რომ თავის პატრონი იხილა უმეტესად გაცეცხლდა, მაშინ ერთ მაისარს

ასეთი ძლიერად შემოჭკრა რქა რომ შორს გასტყორცნა და მისი მტვერიც აღარ გამოჩნდა.

რა ქურუკმა თავის საყვარელი სამცხენს სისხლი იხილა გადმოდენილი, ვით ცეცხლი ისე აენთო და მაშინვე ისეთი ნარა გასწია რომ იმ კუნძულმა და არე-მარემ ზანზარი დაიწყო და თავის კურზით მაისრებს შეუტია ისე რომ ზღვის ღელვას ემზგავსებოდა, ერთ მაისარს ასეთი გურზი სცა რომ ტვინი და ძვალი ერთმანერთში აურია, რა დანარჩენ მაისრებმა თავიანთ ისეთი ყოფა იხილეს საზარელის ხმით და კიჟინით გაიქცნენ. ქურუკი მაშინვე თავის სამცხენს მივარდა მოეხვია და თვალებში გადაჰკოცნა, მხეცს კიდე ენება მათი ომი, მაგრამ ქურუკმა აღარ გაუშო, მაშინ ლომი განრისხდა და უკან აღარ დაიხია, ქურუკი თავის მხეცს ამხედრდა და ამათ საქმეს ჰკვირობდა, ამათის ყურებით საღამომ მოატანა და ლომიც აღარ გამოჩნდა, ქურუკს ასე ეგონა თავის ბინაზე მისულა, ნახა რომ არც იქ დაუხვდა, ქურუკმა ნახა რომ თავის ათთერთმეტთა დევთა ისეთი თხრილი გაუთხრიათ რომ თუმცა მას შიგან ეშმაკი ჩავარდნილიყო იქიდამ ამოსვლა ძალ არ ედვა. მას თხრილში ერთი ბილიკი გაეშვათ და რამდენიმე ხეების ხიდი გაედვათ, რაც სიგრძე გაიტანდა მას გასავალ გზას კარი დაეტანებინათ და უცხო მანქანებით გაემართათ, გასავალი გზა, და ისე ხის ტოტებით და ფოთლებით დაეხურათ, თუმცა თავგი შემდგარიყო იგიც კი შიგ ჩავარდებოდა, ისე ღრმად მოეთხარათ რომ ზღვის წყალი აღმოჩენილიყო. რა ქურუკმა ისე მსწრაფლად გაკეთებული იხილა არა მცირედ გაიხარა და დიდი ქება შეასხა.

რა ქურუკი დაბრუნდა მაისრების ბრძოლიდამ, ლომს მოელოდა რომ უკან დაბრუნებულიყო მაგრამ ლომი არსაიდამ გამოჩნდა, ძლიერ შესწუხდა ლომის მოუსვლელობაზე მაგრამ რას იზავდა, ფარვან-დევისაგან მრავალი კარგი და კარგი წამლები ჰქონდა ნასწავლი ჭრილობისა ასე რომ რაც უნდა დაკოდილი ყოფილიყო, მის ნასწავლ წამლით ერთ ღამეს გაუმრთელდებოდა. მაშინვე შეუზავა, შეასვა თავის სამცხენს, დაკოდილი შეუხვია. დევთა უბრძანა ახლაა გარჯის დროვო, მე თუ ეს მაისარნი არ შევაძრწუნე ისე არ გაუშვებო. ქურუკმა მაშინვე რამდენიმე ცოცხალი ირემი და ჯეირანი მოასხმევინა და იმ თხრილთან დააბეს, ეს რომ შეასრულეს თვითონ შორი-ახლო მოშორდნენ.

რა დილა გათენდა, ერთ მხრიდამ საშინელი ხმაურობა მოესმათ და დევთა ძლიერ შეეშინდათ, მოჰვიდნენ და იმ თხრილებს ამოეფარნენ და ყურება დაუწყეს ჩუმათ, ნახეს რომ სრულიად ქვეყანა მაისრებათა ქცეულან, ისე რომ მათი რიცხვი არ შეიგდებოდა და დიდის კიჟინით მოდიოდნენ.



რა თხრილის ახლოს მოაღწიეს, იხილეს რომ იმ თხრილთან რამდენიმე ირემი და შველი აბიან, მაშინვე ერთი მეორის მისწრებით და ხოცვით, ვინ ვის უსწრობდა ხიდისაკენ მირბოდნენ. რა მას ხიდს გასცილდნენ მაშინვე დევებმა ხიდის დაქცევა მოასწრეს, ასე არეულ-დარეულები თხრილში ჩაცვივდნენ, მაშინ ქუჩუკის დევნი დაესივნენ და ისრებით ჩახოცეს, ამ რიგათ შვიდი ათასი მაისრები ამოხოცეს.

რა მათგან მოიცალეს მაშინ ქუჩუკი ამხედრდა თავის სამცხენას და იგი ჭალაკი სრულიად მოიარა და თავის ლომს სძებნიდა, შემდეგ ერთს ალაგ იხილა ლომი რამდენ ნაჭრად ქცეული, მეტის სიმწუხარით ქუჩუკმა ცრემლები გადმოყარა, მაგრამ რადას უშველიდა, კვალად ჭალაკი მოიარა მაისრები დაეცნენ ქუჩუკს, მაგრამ გაჯავრებული ყველა აღხოცა, მუნიდგან უკანვე შემოიქცა და თავის ბანაკს მოვიდა, მცირე მოსვენებას მიეცა.

რა მეორე დილა გათენდა, ადგა სახელი ღვთისა ახსენა, ილოცა და დევთა წასვლა უბრძანა: დროა თადარიგი ნახეთო, მათაც თაყვანი სცეს და დაემზადნენ, მათუზ-დევმა მოახსენა: ფალევანო, ამ თორმეტ დღეს ხმელეთს ვერ ვიხილავთ, სულ ზღვით უნდა ვიაროთ და მერმე კვალად ერთ კუნძულს შევხვდებით რომელიც ძლიერ დიდი კუნძულია და საშინელი სიცხეც იცის, იმ კუნძულში მრავალი საკვირველი გველნი და ვეშაპნი იცის, ზოგი ასეთი გველია რომ ორმოცი მწყრთა სიგრძე აქვსთ და სამი მწყრთა სიგანე, რამდენსამე სხვილ ხეს მოეხვევიან და ძალით ჩინჩხვარსავით დაფშვნეტავენ, ისინი თავიანთ მოსუნთქვით რაც რომ უდიდესი რამ იყოს თავისკენ მიიზიდავენ, მათი ტყავის სისქე ერთი მტკაველი გამოვა, მის ტყავს ხმალი ძნელად გასჭრის, მხოლოდ კუნძული მშვენიერია.

რა ესე საუბარი მოიუბნეს, მაშინვე დევთა თავ-თავის ბარგი და ბარხანა იტვირთეს, და ერთმა დევმაც ქუჩუკის სამცხენა და ოთხმა დევმაც ქუჩუკის ტახტი ასწიეს და ჰაერში აღიწივნენ, დასავლეთის მხრისაკენ, რომელსაც სურდა ქუჩუკი ტახტზე საჭმელსა სჭამდა, აგრეთვე ცხენსაც აჭმევდა. დიდი გზა გაიარეს, ათი დღე რომ შესრულდა ქუჩუკმა უბრძანა: მათუზ-დევო ეს რა მძიმე და საზარელი სუნი მოდის? მან მოახსენა: ფალევანო იმ კუნძულს მივაღწიეთ რომელიც მე მოგახსენე და ეს საძაგელი სუნი გველთა და ვეშაპთა არის, ისე რომ ადამის ტომი მათ სუნს ვერ გაუძლებს. მაშინ ქუჩუკს ერთი მცირე ყუთი ჰქონდა, ის მოადებინა გაადო, მუნიდგან ერთი ერბოსავით რადაც ამოიღო, ცხვირზედ წაისო და საძაგელი სუნი აღარ გაიგო. მას დღეს ისე იარეს და იმ კუნძულს მიაღწიეს, მივიდნენ და ერთ ალაგს ჩამოხდნენ, იმ ალაგს ქუჩუკმა დიდი წრე შემოავლო რომ იმ წრეს გველი ვერ მიუდგებოდა. დევნი კი წავიდ-

ნენ მრავალი გველი მოინადირეს მოხარშეს და ჭამეს, მათგანი დევი ერთ მხარეს წავიდა და გველსა ნადირობდა, უეცრივ ერთ მხრიდამ ერთი საშინელი გველი მოუხდა ორმცი მწყრთა სიგრძე ჰქონდა და კაცის სიმსხო იყო, ის გველი დაგორგალდა, ერთი გუმბეთის ოდენი შეიქმნა, ახტა და იმ დევს ისე დაეცა რომ დევი უცნობო შეიქმნა, მაშინ გველმა ცალფეხშისტაცა ენება რომ ჩაეულაპა, მაშინ დევი გონებას მოეგო, მეორე ფეხი მოაშორა და დაიწყო ღრიალი, გველი ძალას ატანდა, მისი ხმა დევებს და ქუჩუკს მიესმათ, მაშინ ქუჩუკმა უბრძანა: დევნო მიდით ნახეთ თუ ესე ღრიალი ვისია. მაშინვე წავიდნენ ნახეს რომ თავიანთ ამხანაგი ერთ საშინელ გველს ცალი ფეხით ჩაუულაპავს და დევი მეორე ფეხს აღარ ანებებს და საშინლად ღრიალებს, მაშინვე ამათ ისრები დაუშინეს და ზოგმა რკინის კეტები, რა გველმა მათი მოშველება ნახა, მას თავი ანება და მათზე წამოვიდა, დევთა რომ იმის საშინელი ფშვინვა და შემოტევა იხილეს ძალიან შეშინდნენ და ყვირილით გაიქცნენ.

ქუჩუკმა მათი საკვირველი კიჟინის ხმა რომ გაიგონა მაშინვე თავის კოჭლ-დევს უთხრა, მათუზ წამომყევ ვნახოთ თუ რა ამბავია, მსწრაფლ თიღიყამყამი შემოირტყა და წარვიდნენ, რა მუნ მიაღწიეს, იხილეს რომ ერთ საშინელ გველს ამ დევებისათვის შემოუტევნია წინ წამოუყრია, მისგან შეშინებულან და ყვირილით მორბიან, ქუჩუკმა შესძახა, განა გველი რა არის რომ გულგახეთქილნი მორბიხართ? მაშინ დევთა მოახსენეს: ფალევანო თავი შეინახე რომ მისგან სიფრთხილე გმართებთ, მათუზ-დევისნათქვამი გველია, მაგას ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადურჩებით. რა ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ ერთი მთის ოდენი გველი კისრის ჯაგარი შუბბივით ყალხზე აუშვერია და დიდის ფშვინვით მოსდევთ, ისე რომ სადაც გამოივლის მის ნავალი ისე აფოსოებდა რომ კაცს ეგონებოდა წყლის რუს უვლიაო. რა ქუჩუკმა ესე იხილა, დიდისნის ომის უნახავი ისე განრისხდა რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაშინ ერთი საშინლად შეჰყვირა, ისე რომ იმისთანა საშინელი გველი მას ალაგსვე გაშეშდა და რაც დევი იყვნენ მის ხმის სმენით გონება დაეფანტათ, ქუჩუკი მაშინვე გაცეცხლებული მიუხტა გველს და უმალვე თავის ბედნიერი თიღიყამყამი ქარქაშიდამ აღმოახდინა და გველს შეუტია, იგი გველი ისე გაშტერდა რომ ადგილიდამ ვეღარ დაიძრა, მაგრამ ასეთი პირი დააღო რომ დიდს გამოკვეთილს კლდის მაღაროს უგვანდა, მაშინ ქუჩუკი ვითა მშიერი ვეფხვი შველს მიეტევოს ისე ქუჩუკი იმ გველს მივარდა, სახელი ღვთისა ახსენა და ისე გულმესისხლედ შემოჰკრა ხმალი რომ ხუთ მწყრთამდის თავი განუპო, მაშინ გველმა სიმწარით ასეთი ცემა დაუწყო მიწას ბოლოთი რომ სამ-

ოთხ მწყრთამდის დაანგრია მიწა, ქუჩუკმა მეორეც შემოჰკრა და შუაზე გაწყვიტა. რა დევთა ქუჩუკისა ამისთანა სიმხნე ნახეს, მოვიდნენ ყველანი და პირმიწაგაერთებით თაყვანი სცეს და გამარჯვება მიულოცეს და უზომო ქება შეასხეს, მაშინ ქუჩუკმა დევთა უბრძანა რომ გველისთვის ტყავი გაეძროთ, მაშინვე მისი ბრძანება აღასრულეს და გველს ტყავი გახადეს, გველის ტყავი ქამანდათ დაკრიხეს და შეინახეს. შემდეგ ის არე-მარე სრულიად მოვლეს და მრავალი გველი დახოცეს, რომელნიც ეშმეოდათ ზოგი შეწვეს, ზოგი მოხარშეს და შეექცნენ თურმე უცხო საამო გემოსი ყოფილა. რა ქუჩუკმაც გველის ხორცი იგემოვნა, ყოველთვის ჭამა დაუწყო.

## ესენი ამ კუნძულში დაუტეოთ და მცირე რამ ზარბაქ-დევის გამოგზავნილი ჯადოების ამბავი მოისმინიეთ.

როდესაც ზარბაქ-დევმა თავის გრძნეული ჯადოების ლაშქარი ქვეშკნეთიდამ გამოისტუმრა, ზოგნი მაღრიბის მხარეს წავიდნენ, ზოგნიც ერანისაკენ გაიფანტნენ. მათში ერთი ჯადო იყო რომელსაც სახელათ აშკალ-ჯადო ეწოდებოდა, მან განიზრახა გულსა თვისსა, მე ამ ოკეანეს კუნძულებს დავუვლი და ყველგან გავჩხრეკ ნუ თუ ყარამანის შვილი ნარიმანის ძე ქუჩუკი იმ ადგილებში სადმე შემეყაროს: მასთანვე იქნება მრავალი ხაზინა მრავალი მშვენიერნი ქალნი, რომელიც დიდიხანი არ არის გაძარცვა სამი ხელმწიფე და მათი ხაზინა, ყველა თვითონ დაინარჩუნა. და თუ იგი შემხვდეს იმაზე მეტი საშოვარი არ მინდა: რა ესე განიზრახა მაშინვე მოჰყვა სიარულს ზღვა ხმელი და კუნძულები, სულ მოიარეს და მოვიდნენ სადაც ქუჩუკი იმყოფებოდა, მუნ გარდახდნენ, იგი კუნძული ოთხი დღის სავალი იყო, იმ ჟამად ქუჩუკმა და თავის დევებმა არაფერი იცოდნენ, მათუზ-დევი სამ დღის სავალს სანადიროთ წასულიყო, იმ ადგილას ჯადოს სარდალი გინგოზი, აშკარ-ოხარის ჯადოთა სანადიროთ იარებოდა, მაშინ ნახეს რომ ერთი კოჭლი-დევი დადის სანადიროთ და ნადირობს. რა მათუზ-დევი უეცრად შეეხეჩა ორას ჯადოთ ლაშქარს გაშტერდა, ენება რომ თავი თვისი მათგან დაეხწია, მაგრამ ვერა გააწყორა და ვერც თუ ქუჩუკს აცნობა მათი იქ გაჩენა. მაშინვე გარს შემოერტყნენ, თუმცა ძალით ვერას დააკლებდნენ მაგრამ ჯადოს მანქანებით აზიანეედნენ. მაშინ მათუზ-დევმა ესეთი ხელოვნება იხმარა, ვითარცა მეგობარი და მათი კეთილის მდომი იმ სახით მოექცა. მაშინვე დაუძახა, ჵეი პატივცემულნო ჯადონო! იქნება ჩვენი ხელმწიფის ზარბაქ-დევის მხრისანი იყვნეთ? თუ მართლა მისნი ბრძანდებით მიბრძანეთ მისი კეთილი რომ მეც გავიხარო.

რა ჯანგირ-ჯადომ მათუზ-დევისაგან ესე მოისმინა მას მართალი ეგონა, ტკბილის საუბრით ერთმანერთს დაუახლოვდნენ, სალამი უძღვნეს ერთმანერთს და ტკბილ საუბარს მოჰყვნენ და მერე ჯანგირ-ჯადომ ამბავი რამ ჰკითხა, მათუზ-დევმა მოახსენა: ჰეი პატიოსანო ჯადოთა სარდალო მე ვიცი რომ თქვენ უფროსი გეყოლებათ, მივიდეთ იმასთან და მე ყოველს უკლებრივ მოვახსენებ მას, რაც ამბავი ვიცი და ან ვით უნდა გავისარჯოთ, რა ჯადოთა ამისაგან ესე შეიტყეს დასთანხმდნენ და უთხრეს: მათუზ-დევო, იქნება ამ კუნძულში ჩვენთვის რამ ნადირი იყოს, წავიდეთ ვინადიროთ, მაშინ პასუხად მიუგო მათუზ-დევმა: ჰეი უწარჩინებულესნო ჯადონო, მცირე მოითმინეთ, პირველად თქვენი უფროსი ვნახოთ და მერე მე მყავს თქვენთვის ნადირი რამ შენახული. მათუზ-დევმა ამისთანა ოინებით მოატყუა, თუმცა მას ესე არ ეთქო იგინი ძალით წაიყვანდნენ, მაშინ ჯანგირ-ჯადო წინ გაუძღვა და წაიყვანა ნიშკალ-ჯადოსთან. რა ნიშკალ-ჯადომ დაინახა რომ თავის ჯადოს ერთი დევი მოჰყავს, არა მცირედ გაიკვირვა და თავის გულში სთქვა: მე ერთხელ ამ კუნძულში სამოცი წელიდავყავ და არა დევი და არა ფერია არ მინახავს, ზღვის ნადირის მეტი და ახლა ეს დევი საიდამ მოსულა, ეს კარგი ნიშანი არ არის ნუთუ დევთა ლაშქარი მიდიოდეს ზარბაქ-დევზე და ეს მათგანი იყოს. რა ახლოს მივიდნენ ნიშკალ-ჯადომ იცნა და სთქვა ეს დევი ასი წელიწადი ზარბაქ-დევს ემსახურა და მერე ჰაზარექ-დასტთან გაიქცა, ეს სწორედ ის კოჭლი-მათუზ-დევია, თუ მასთან მივიდა ახლა აქ რას დაეხეტება? ახლა ეს რომ ზარბაქ-დევს ჩაუვარდეს ხელში წვრილად აჰკუწავს, მაგისთვის ჰაზარექ-დასტს გადაეკიდა. რა მათუზ-დევმა ნიშკალ-ჯადო იხილა გულსა შიში ჩაუვარდა და სთქვა თავისთვის, (ეს რა ძნელს ჭირს გავები რომ ეს აქ შემხვდა, ქუჩუკის ღმერთო შენ დამიხსენ და ჩემი ქუჩუკიც), ამ განზრახვით მიუახლოვდა, ჯანგირ-ჯადო მაშინვე წინ წარსდგა თავი დაუკრა და იგი კოჭლი-დევი წარუდგინა და მოახსენა: ჰეი ჯადოთ ხელმწიფევ, ამ ჭალაკში ვნადირობდი და ანაზდეულად ეს მათუზ-დევი მარტოდ შემხვდა, დავიჭირე და ანბავი ვკითხე, ასე მითხრა რომ წავიდეთ თქვენ უფროსთან და რაც ამბავი ვიცი ყველას იმას მოვახსენებო, ახლა თქვენ წარმოგიდგინეთ და როგორც გნებავდეთ ისე ჰქენით. რა ესენი ამ საუბარში იყვნენ, მათუზ-დევი სხვა განზრახვას მიეცა, (თქვა თუ ქუჩუკის აქ ყოფნა დავმალო ბოლოს იპოვნიან და მე ტყავს გამაძრობენ, და მერე აღარაფერს დამიჯერებენ, სჯობს რომ ყოველივე გამოუცხადო და კვალად ვეცადო ჩემ საქმეს თუ ღმერთი შემეწია).

რა ესე განზრახვა დაასრულა, თავი დაუკრა ნიშკალ-ჯადოს და მო-

ახსენა: მადლობა ჩვენ ეშმაკთა ღომინს რომ კვალად ვიხილეთ მშვიდობით ერთმანერთი, მართალია ჩვენი დიდი ხელმწიფე ზარბაქ-დევი ჩემზედ მრისხანე ბრძანდება მაგრამ, უცხო საშოვრით და მის საამო ამბით მივალთ, მაშინ ნიშკალ-ჯადომ უთხრა: მათუზ-დევო, რაიც იცი ყოველივე მაუწყე, მაშინ კოჭლმა-დევმა რაც ქუჩუკს გარდახდენოდა და ანუ რაც ექმნა მათ სამთა ხელმწიფეთათვის ყოველივე წვრილად მოახსენა და ესეც უთხრა: ამდენი ვეცადე რომ ამ მხარეს გადმოვაგდე, ისეთი დრო კი ვერ ვპოვე რომ მამეკლა, მხოლოდ იმდონი ვეცადე რომ აქეთ წამოვიყვანე, და თქვენისთანა ჯადოთ სარდლის ხელში ჩავაგდე, ახლა როგორც გნებავდეთ ან მოვკლათ ან ცოცხალი შევიპყრათ და ზარბაქ-დევს წარუდგინოთ, აგერ სამის დღის სავალზე ათი დევით არის ჩამომხტარი ჭალაკში.

რა ნიშკალ-ჯადომ, მათუზ-დევისაგან ყოველივე ვითარება მოისმინა, უთხრა: კოჭლო, მე ხომ გიცნობ შენ რა ძაღლიცა ხარ, მე ორასი წელიწადი ეშმაკს ვემსახურებოდი ამიტომ რომ ჩემი სწავლას უბრალოდ არ ჩაეარა, შენისთანა კოჭლმა ძაღლმა მე უნდა მომატყუოს! მაშინვე შეუბერა, შეუღოცა და საშინელ მძიმე ჯაჭვით დაება და მაშინვე ჯადოთა უბრძანა რომ დღეში ერთი ნაჭერი ხორცის მეტი არაფერი არ აჭმევიათ და ყოველ დღეს ასი მათრახი ეკრათ, თქვენც ამაღამ კი მოისვენეთ და ხვალ იგინიც ყოველნი უნდა შეიპყრათ, რა ესე ბრძანა: მაშინვე მეჯლისი გამართა და არა მცირე სიხარულს მიეცა, მეჯლისში ქადილი დაიწყო, და იტყოდა რასაც ვქებდი ვპოვე.

## ეს ამ ლხინში დაუტეოთ და მცირე რამ ქუჩუკისა და კოჭლი-დევის ამბავი მოისმინეთ.

რა ქუჩუკმა ნახა რომ სამმა დღემ განვლო და მათუზ-დევი აღარ გამოჩნდა, დაუძახა ათერთმეტს დევთა და უთხრა, ეს სამი დღეა ჩვენი მათუზა არ გამოჩნდა, მას არაოდეს ამისთანა საქმე არ უქნია და თუ მის თავზე ერთი რამ არ მოსულა ერთ დღესაც არ გამიშვებდა, არამც თუ ნადირმა აწყინა რამე; ერთი ნახეთ შორი ახლო ჯადო ხომ არ მოსულა და მათ არ შეიპყრეს. მაშინვე ხუთთა დევთა უბრძანა: თქვენ წადით ახლავ ეს ჭალაკი მოიარეთ ეგება ერთი ამბავი რამ გაიგოთ, რა იგინი მუნიდამ გაისტუმრა თითონ მცირე მოსვენებას მიეცა, მაშინ სიზმარი რამ იხილა, „ვითომ მათუზ-დევი ჯინჯილებით იყო დაბმული საპყრობილეს და დაუძახა, ჵეი ქუჩუკ გაუფრთხილდი თავსა შენსა რომ შენც ჩემსავით არ გაება მახეში“, რა ესე სიზმარი ნახა მაშინვე ზე წამოხტა და დაიძახა! ჵეი

დევნო არიქა ამ ჭალაკში უცილოთ ჯადო გაჩენილა, იმ ხუთთა დევთა დაიჭერენ და თქვენც ფრთხილად იყავით, მაშინვე ზანდუკი გაადო რაც ფარვან-დევისაგან ჯადოს მანქანები ჰქონდა ყოველივე ზედ გაიკეთა და თავის სამცხენაც შეკაზმა და მასაც თილისმის გამაქარვებელი ავგაროზე-ბი დააკერა ისეთნი რომ მას ჯადონი არ მოეკიდებოდნენ, რა იმას მორ-ჩა შემდეგ დევებსაც მცირე რამ ერბო წაუსო და უთხრა დევნო თქვენ ნუ-რაფრიდამ იშიშვით, ამიტომ რომ თქვენ ჯადო არას გიზავთ და ღმერთი მოწყალეა, მე ძილში მაცნობეს და მითხრეს რომ ჯადო მოსულაო და გა-უფრთხილდიო, მე ქუჩუკი არ მერქვას თუ ხვალ ის ჯადონი არ შევიპყრა. დევებმა გაიხარეს და თავიანთ საქმე ნახეს.

## ესენი ამ თადარიგში დაუტეოთ და ისევ ნიშკალ-ჯადოსი მოიხსენიეთ.

ამ დღემ განვლო და მზემ თავის ბრწყინვალე სხივები უფსკრულს ჩააბარა და დაღამებამ უსწრო, მაშინ ნიშკალ-ჯადომ თავის უფროს ასის-თავს უბრძანა: ეი ჯადოვ ამ დევთა შეპყრობა კი ადვილია მაგრამ, ადა-მის ტომს კი ჯადო ადვილად არ ეკიდება, ამიტომ რომ რაღაც ლოცვა იციან იმას იტყვიან თუ არა ჯადო მაშინვე განქარწყლდება, მაგის პაპა ყარამანმა რა უყო ქვეყანაზედ გამოჩენილ ჯადოებს, ხეთინასურას, ყუნუ-სურას და ჭყუნუსურას, ჯერ მამა მოუკლა, მერე პაპა, შემდეგ ჭყუნუსურა ვარიასეებ გაგლიჯა შუაში, მერე ოჭყალი-ჯადოს, ფალანგსარ-ჯადოს და მრავალ სხვებს. მე ახლა მსურს რომ ერთ მშვენიერ ქალათ გარდავიქცე და ამაღამ ვეწვიო ქუჩუკს ნუთუ ამისთანა ოსტატობით ჩემ ბადეში გავაბა, რა მისგან ესეთი განზრახვა მოისმინეს იუზბაშებმა და იმისმა მცირე ჯა-დოებმა ძლიერ მოუწონეს. მაშინვე ჯანგირ-ჯადოს უბრძანა, ამაღამ შენ უნდა წახვიდე და მე ვიცი რომ ის დანარჩენი დევნიც წამოვლენ ამათ სა-ძებნელად შენ ისინი უეჭველად უნდა შეიპყრო, ამიტომ რომ ამათ ამბა-ვი იმან ვერა სცნას.

რა ესე სჯა დაასრულეს მაშინვე მაჯუმი რამ ჭამა, რა ერთმა წამმა განვლო მაშინ ერთ მშვენიერ ქალათ გადაიქცა, ისეთი რომ იმაზე უმ-მშვენიერესი აღარ იქნებოდა, შემდეგ ერთნაირი წყალი მოიდო და პირ-ზედ შეისხა, რომელიც იმის მურალი სუნი ვარდის სუნათ შეიცვალა, რა ეს საქმე შესრულდა მაშინვე ქუჩუკისაკენ გამოემართა და ჯანგირ-ჯადო ათასის ჯადოს ლაშქრით მას ჭალაკში დაიფანტნენ, ამ სიარულში ეს გა-

გზავნილი ქუჩუკის ხუთი დევიც დაიჭირეს და მათუზ-დევთან დააბეს, მე-რე ქუჩუკის საძებნელად დავიდოდნენ.

## ესენი ამ სიარულში დაუტეოთ და ისევ ქუჩუკისა მოისმე-ნიეთ.

ქუჩუკმა ნახა რომ თავის გაგზავნილ დევებისაგან ერთიც აღარ და-ბრუნდა და არც არაფერი ამბავი გაიგო, რა დაღამდა თავის გულში სთქვა ქუჩუკმა: თავო ჩემო ამაღამ დიდი სიფრთხილე გმართებს და დანარჩენ დევთაც უბრძანა: თქვენ როგორც გითხარით ნურას იშიშვით, ერთ ადაგს ათი კალოს ოდენი წრე შემოავლო, დევნი და თავის ყოველი რაც ჰქონდა მას შიგან დაადგინა ფარგან-დევისაგან ნასწავლი რაღაც შეულოცა, მაშინ-ვე ერთი წნელსავით რაღაც შემოერტყა, ისე რომ არა ჯადო შიგ ვერ შევიდოდა, რა ესე გაამაგრა, თვითონაც ერთი თილისმით დაგრეხილი გველის ტყავის ქამანდი ჰქონდა, ჰაერში რომ ჯადო გამოჩენილიყო იმით ჩამოიყვანდა, ის ქამანდი ხელთ აიღო და ორი ლიაცის თმა უბეში ჩაიდ-ვა, შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა, ქამარი ქეივანისა შემოირტყა და აგრეთვე თილიუამუამი შემოირტყა, მერე დევთა უბრძანა: თქვენ ამ წრიდამ არ და-იძრათ ვინც უნდა მოვიდეს და ლაპარაკი დაგიწყონ, თქვენ პასუხსაც ნუ მისცემთ და ამ ჩემ სამცხენსაც გაუფრთხილდით რომ ესეც წრეს გარეთ არ გავიდეს, რა ესენი ესე დაარიგა. სახელი ღვთისა ახსენა და ერთი მხრი-საკენ გასწია, რა ღამის სამი ჟამი დასრულდა, მაშინ ქუჩუკის ცხენმა ნა-ხა რომ დაიგვიანა, თუმცა ჯაჭვებით იყო დაბმული მაგრამ ერთი იმ გვა-რად გასწია რომ სრულიად ჯაჭვები დაწყვიტა და იმ წრის წნელზედ ისე გადახტა რომ როგორც ფრინველი და დაუწყო ქუჩუკს ძებნა, რა დევთა ესე ნახეს, ორნი მას გამოუდგნენ მაგრამ მისი კვალიც ველარ ნახეს, მუ-ნიდამ გამობრუნდნენ და წრეში შესვლა ენებათ, მაგრამ ველარ შევიდნენ და გარეთ დარჩნენ, რა შუაღამე შეიქმნა ჯანგირ-ჯადო იმ ჟამად იმ წრის გარეთ იარებოდა, მაშინ დევნი დაინახა, იმ წამსვე ჯადოთი შეიპყრო წა-იყვანა და მათთან დააბა და ისევ წამოვიდნენ და ქუჩუკს ეძებდნენ, ამ სი-არულში ერთი საკვირველი მხეცი იხილეს, იმ მხეცს დიდი ბარგისტანი ეცვა, ასეთი მოკაზმული იყო რომ იმისთანა მოკაზმული არა ენახათ-რა, ჯადონი დიდ განკვირვებას მიეცნენ, მაშინ ჯანგირ-ჯადომ უბრძანა: ჰეი ჯადოთ ლაშქარნო, ხედავთ იმ მოკაზმულ რაშს, ვეცადოთ ეგება დავიჭი-როთ ეს უფრო კარგი საშოვარი იქნება, ჩვენ ნიშკალ-ჯადოს მივართოთ თავის საჯდომად. რა ესენი სამცხენს დაჭერის განზრახვაში იყვნენ მა-

შინ მხეცმა იხილა რომ დიდძალი ჯადონი დადიან ჭალაკში და თავის დაჭერას ლამობენ, ზოგნი ულოცავენ და ზოგნიც ქამანდს უმზადებენ და ხელთ უჭირავთ შესაპყრობად, მხეცმა კარგად დაათვალიერა ნახა რომ თავის პატრონი არსადა ჩანს იმათში, მაშინ მხეცი ისე განრისხდა რომ ჰაერში აფრენა ენება, ეს ჯადონი არაფრათ ჩაიგდო აინუმში, ასე ეგონა მცირე უვავები დადიანო და წყრომის თვალით უმზერდა მათ. მაშინ იხილა რომ უფრო და უფრო უახლოვდებიან, შემდეგ თავის თავი მძიმეთ დაანახვა, ჯადოებს ასე ეგონათ რომ თავიანთ ჯადოებმა დაამძიმეს და დაძაბუნეს. რა ჯანგირ-ჯადო მიუახლოვდა ენება რომ ქამანდი ესროლა, მაშინ სამცხენამ ერთი ასეთი ხმა აღმოუტევა და ქარის უმალესად ზედ მიიტანა იერიში და მას ჯანგირ-ჯადოს ერთი ასეთი რქა ამოჰკრა მუცელში რომ ზედ აიგო, აიყვანა და სხვათა ჯადოთა შეუტია, რამდენიმე რქით პირით და უმეტესად ფეხებით გაქელა და დახოცა, ისე ცქვიტად მოიქცა რომ თავთავის მორჩენას ცდილობდნენ, რა სხვათა ჯადოთა ესე იხილეს, თავიანთ ბინისაკენ გაიქცნენ, ჯერ ჯანგირ-ჯადო ისევ ცოცხალი იყო ზედ აგებული დაჰყავდა აქეთ-იქით და ჯადო ცდილობდა რქიდამ განთავისუფლებას. რა ეს მხეცმა სცნა ამის ცდა, ერთ მხრისაკენ გაიტაცა, საითაც მრავალი სპილოები სძოვდნენ, მაშინვე ერთ სპილოს რქა ამოჰკრა და ისიც ზედ აიცვა, რა ჯანგირ-ჯადო ქვეშ მოჰყვა მიძვრა-მოძვრა ვეღარ შეეძლო, სამცხენამ ისევ თავის პატრონ ქუჩუკს დაეძებდა ისე რქაზე აგებული.

## ეს მხეცი ქუჩუკის მებნაში დაუტეოთ და აქ ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკი ღამის სამ ჟამს განრისხებული წავიდა ჭალაკში, იხილა რომ ერთის მხრიდამ დიაცის ხმა მოდის, გაჰკვირდა და იტყოდა ნეტარ ამ კუნძულში დედაკაცი რას აკეთებს! რა მცირე წაიარა ხმისაკენ წინ წარსდგა, ყარუნ-შაჰას გურზი ბუდიდამ ამოიღო, ოთხ ალაჯზე ისე გაანათლა ვითარცა მზემ ბნელი ნათლად, იხილა რომ ერთ ალაგს ერთი უებრო ქალი თმა ჩამოშლილი და ხელებში ბორკილი უყრია და მწარეთა სტირის. რა ქუჩუკმა ესე ნახა, ახლოს მივიდა და ხმა ჰყო: ჲეი შენ დიაცო! ვინ ხარ ან მაგ დღეში ვინ ჩაგაგდო ან რათ სტირი? შენი საქმე ყოველივე მაუწყე.

რა ქალმა ქუჩუკს შეხედა, ტანმა კანკალი დაუწყო და თავის გულში იტყოდა: (ნეტარ ამას არ შევყროდი, მე ვგონებ რომ ამის ხელიდამ ვეღარ დავიღწიო თავი, ახლა ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმარო რომ თავი

ჩემი ამის ხელიდამ დავიხსნა), მაშინ დაიძახა: „ჵეი ფალევანო, თუმცა მკათხე მოგახსენებ ყოველსავეს, მე ინდოეთის დიდებულის ქალი გახლავარ, ერთ ღამეს ერთი ჯადო მომიხდა, უეცრად მომიტაცა და ამ უადგილო-ადგილას მომიყვანა, მას ხუთი ათასი ჯადოს ლაშქარი ჰყავს, დღეს ამ ჭალაკში ხუთი დევი დაიჭირა, შენი აქ ყოფნა იმ დაჭერილ დევთაგან შეიტყო და იგი ჯადო ხუთი ათასის ჯადოს ლაშქრით თქვენ დასაჭერათ წამოვიდა. თქვენი ქება და ფალევნობა უწინაც მსმენოდა, მე ვიფიქრე რომ თქვენის მეტი ვერა რომელი გადამარჩენს, მეც შუაღამისას დრო დავიცე და გამოვეპარე, მაშინვე შენკენ წამოველ და შეგხვდით კიდევაც: ჵეი სახელოვანო ფალევანო, მრავალი ჩემისთანა ტყვეები დაგიხსნია თქვენს საღეგრძელოთ და გთხოვთ რომ ჩემზედაც მოიღოთ თქვენი მოწყალება და დამიხსნათ ამ განსაცდელისაგან, შემიბრალეთ ფალევანო და ხელმეორეთ ნუ ჩამაგდებთ იმ ბილწის ხელთა“.

რა ესე მოახსენა, მერე მოჰყვა ცხარის ცრემლით ტირილს, ესეთო მანქანება ქუჩუკს მართალი ეგონა და უთხრა: მნათობო შენ გული დაიმშვიდე, ღვთით აღარ ჩაგაგდებ იმის ხელში, თქვენ ახლა არ იცით იგი ბილწი რომელ მხარეს წავიდა?

რა ქალმა ქუჩუკისაგან ამისთანა საამო სიტყვები ისმინა, დიდ იმედათ მიიღო და მოახსენა: მე ესე ვგონებ ზღვის მხარეს წავიდა, მაშინ ქუჩუკი მივიდა და ხელთა ბორკილი დაულეწა და გაანთავისუფლა.

რა ჯადომ ესე ნახა, გულსა თვისსა არა მცირე ქება შეასხა და თანაც რაც შეეძლო ნელნელა ულოცავდა, და იდუმალ უეცრად ნახა რომ თავისმა შელოცვამ ვერაფერი გასჭრა. ქუჩუკმა ჯადო-ქალს რომ ბორკილი დაუმსხვრია ხელებისა, უეცრად პირს შეხედა ნახა რომ ბაგეს ანძრევდა, ამაზე ქუჩუკი ეჭვში შევიდა და იტყოდა, თავის გულში (მარადის სიფრთხილით ყოფილხარ და ახლა შენ ამისთანა უადგილო-ადგილას ესე მალე რათ მიენდე? თუ ეს თვითონ ჯადო არ არის, ამისთანა უებრო ქალს ჯადოგანა ესე ადვილად გაუშვებდა რომ გამოპარულიყო? თუ ამაში ერთი ეშმაკობა არ არის, მე ჩემ სიფრთხილეს თავს არ დავანებებ, თუ ქალია ქალი იყოს). რა ესე განიზრახა ქუჩუკმა, მაშინვე უბიდამ ორი დიაცის თმა ამოიღო. რა ნიშკალ-ჯადომ ესე იხილა, მაშინვე მოინდომა როგორც ყოფილიყო თავის თავი გადაერჩინა, მაგრამ ვეღარა გააწყორა ისე მაგრათა ჰყვანდა დაჭერილი რომ თუმცა ეშმაკიცა ყოფილიყო ვეღარსად წაუვიდოდა, რა ჯადომ ნახა რომ იმოდენა შელოცვამ და ეშმაკობამ ვერ იმოქმედა, მაშინ ყოველი მხრივ იმედი გარდაუწყდა, მეტადრე დიაცის თმებიც რომ იხილა ყოველი სახსარი დაუდუნდა, ასი წლის ეშმაკის ნასწავლი მანქანები სულ-

გაუცუდდა, რა იგი ამ საგონებელში იყო ჩავარდნილი, ქუჩუკმა იმ ქალს დიაცის თმით, ხელის თითები (ცერები), შეუკრა მაგრა და უთხრა: აბა მნათობო წამომყევ ჩემს ბინაზე მიგიყვან და ასეთს ადგილს დაგაყენებო რომ, ქვეყანა ჯადოთ იქცეს შენ არა დაგიშავდესრა. რა ჯადომ ნახა რომ ქუჩუკის მახეს გაება, მეტი ღონე აღარა ჰქონდა, სადაც წაეყვანა უნდა წაჰყოლოდა იგი ჯადო.

ამ მოქმედებაში კიდეც გათენდა, უეცრად ერთის მხრიდამ ფშვინვის ხმა რამ შემოესმა, რა შეხედა მაშინვე იცნა რომ თავის სამცხენაა, რქაზედ აგებული ჰყავს ერთი საკვირველი ჯადო და ჯადოს ზევიდამ ერთი დიდი სპილო, ისე სუმბუქად დააქვს რომ თუმცა არა ჰქონიარა. რა მხეცმა ქუჩუკი დაინახა მეტის სიხარულით ხვიხვინი დაიწყო და თამაშობას მოჰყვა, ახლოს მივიდა და ქუჩუკს თავი დაუკრა და თავით ფეხამდე ენით ლოკვა დაუწყო.

რა ქუჩუკმა თავის სამცხენა იხილა, ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და არა მცირედ გაიხარა და თვალებში დაჰკოცნა. რა წყეულმა ჯადომ ნახა თავისი პირველი ჯადოთ სარდალი ჯანგირ-ჯადო რქაზედ აგებული, მაშინვე ყოველ მხრივ იმედგადაწყვეტილი შეიქმნა და თავთაგან ჭკუა დაეფანტა, არ იცოდა თუ რა ექმნა, წყეული ჯანგირ-ჯადო ჯერ ისე რქაზედ ჰქონდა აგებული და კიდევ ცოცხალი იყო, რა თვალები აახილა თავისი უფროსი ნახა, ნიშკალ-ჯადო ქალად შეცვლილი ქუჩუკის წინ დგას, მაშინ გულსა თვისსა სთქვა: (რა იქნება ამ წყეულმა ნიშკალმა ერთი გრძნება იხმაროს მეც მამარჩინოს და თავის თავიც), ქუჩუკმა თავის რაშის შეწუხება აღარ ინება, ანიშნა და ცხენმაც თავი მიუშვირა, მაშინ პირველი სპილო ამოკლიჯა რქიდამ, მეორეც ჯადო, იგი წყეული ერთ დიდ ხეზედ მიაკრა, ერთი მუჭა მიწა აიღო შეულოცა შებერა და ზედ შეაყარა, მაშინვე ის ჯადო უცნობო შეიქმნა, მერე მობრუნდა თავის ცხენს მოეხვია და კვალად თვალები გარდუკოცნა და ხელი წაუსვა, მხოლოდ ამ ფიქრში იყო და იტყოდა მე ჩემი ცხენი წრეში გაუშვი სადა დევებიც დავაყენე, ახლა კი აქა ვხედავ ეს ვითარი ამბავია? რა სამცხენა ქუჩუკის სიყვარულით გაძღა მერე შეხედა თავის მტერ ჯანგირ-ჯადოს რომელიც ხეზე იყო მიკრული ასეთი მრისხანედ შეხედა რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაშინვე ქარის უმალესად ეცა და ასეთი რქა შემოჰკრა რომ სრულიად მუცელი გაუპო და იგი ხეც ძირითურთ მოგლიჯა, მერე თავი ისე გაიქნია რომ იგი ჯადო და ხე ზღვაში გადააგდო და იმის ჩრდილიც აღარ გამოჩნდა.

რა ქუჩუკმა ესე იხილა, არა მცირედ შესწუხდა, მაგრამ რადგან ცხენი მისი ერთგული იყო და უყვარდა მისთვის არა უთხრარა. მერე მიბრუნ-

და მას ქალს უთხრა: ქალო ახლა კი დრო(ა) ჩვენი, ბინაზედ წასვლისათვ; მაშინ ზე წამოაყენა და მოჰყვანდა, სიარულში შეამჩნია რომ მუხლები არ მოსდევდა, მაშინ შეატყო რომ ამაში ერთი საეშმაკო მანქანებაა, ფიცხლავ თილიყამყამს ხელი გაიკრა და შესძახა: ტოეი შენ გრძნეულო ეშმაკო მე ახლა ვსცან შენი ეშმაკური მანქანები, ახლავ სწორე მითხარ, შენ ვინა ხარ! თორემ ჩემს გამჩენს ვფიცავ ორად გაგკვეთ.

რა ჯადომ ქუჩუკი ესეთი მრისხანე ნახა, ხის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო, შემდეგ უპასუხა: ფალევანო, რაც მომიხსენებია მის მეტი არავიცირა, ახლაც რომ მაკანკალებს ნიშკალ-ჯადოს შიში კიდევ გულში მაქვს და ამიტომ, იმისაგან მრავალი წვალება და ტანჯვა მაგონდება იგინი თვალ წინ მიდგას და ამიტომ ვიშიშვი. რა ქუჩუკმა ნახა რომ ხლმის ამოღებითაც არ გაუტყდა, მერე იფიქრა, (ნუთუ ეს სწორედ ლაპარაკობდეს და მართალი იყოს, მაგრამ მე ჩემს სიფრთხილეს არ დავარღვევ და მჭიდროთ შევინახავ, ჯერ წავიდე ჩემ ბინაზე ვნახო რა ამბავია, მაშინ ვცნობ ამის ტყუილსა და მართალს), მაშინვე ამ ქალს თავი ახადა და თორმეტი ნაწნავი თმა ასჭრა, რომელიც ფარვან-დევისაგან ჰქონდა ნასწავლი, შეუღოცა და მისგან ერთი ნაწნავი კისერზე ჩამოჰკიდა და სხვები უბეში ჩაიდვა და იგი ქალი გაუშვა, მაშინ მონასაებ უკან დასდევდა.

რა ნიშკალ-ჯადომ ესე ნახა, თავის ჯადობაზობა ყველა დაავიწყდა და თავის გულში იტყოდა, (ადამის ტომი ვინა და ესოდენი ჯადოს ცოდნა! თუ ჩემი ეშმაკი შემეწია და გამანთავისუფლა, ჩემ დღეში ამას ვეძსასურები, მაგრამ ჩემი შემწე ეშმაკი როგორ უნდა დავივიწყო? ესენი მას არ ემსახურებიან), მანამ ქუჩუკი ბინაზე მივიდოდა სადამომდინ ნიშკალ-ჯადო ამისთანა ფიქრებში იყო, როდესაც ბინას მიუახლოვდნენ, სამცხენამ ნახა რომ მრავალი ჯადოები შემორტყმოდა ქუჩუკისაგან დადგენილ წრესა, მაშინ სამცხენამ ერთი ასეთი საზარელი ხმა აღმოუტევა რომ ქუჩუკი გაჰკვირდა, და მხეცმა მრისხანედ შეუტია, თორმეტი ჯადო ერთ შეტევაზე რქაზე აიცვა, რა ჯადოთ ლაშქარმა თავიანთ უფროსი პყრობილად ნახეს, ყოველთა ცნობა მიეფანტათ, მაშინვე ოთხსავ მხარეს ასეთი ხმით და ცეცხლის ურით და საშინელის ქარით და ვეშაპის სახით დიდი ერიში მიიტანეს ისე რომ ცეცხლისაგან იმ ჭალაკში ხეები სულ დახმნენ და გაიტუსნენ, მაგრამ ქუჩუკს და თავის ცხენს ასეთი ღვთის სახელზე ლოცვა ჰქონდათ და ნიშანი ზედ რომ თუმცა იმათი მანქანები არ ენახათ ისე არაფრათ არ შეიმჩნიეს ორივემ.

რა ქუჩუკმა იმათი ამისთანა საქმე იხილა, ისე განრისხდა რომ მეხის დაცემას დაემგზავსა და დიდის ხმით შესძახა! ისე რომ რომელი ჯა-

დოც ჭაერში ჯადოებს აკეთებდნენ მანქანებით, სულ ძირს ჩამოცვივდნენ, და მრავალნი დაიბნიდნენ და სხვანი ისე გაშტერდნენ რომ გაქცევის ღონე აღარ ჰქონდათ, მაშინ ქურუკმა ბედნიერს ქარქაშიდამ თილიუამუამი ალმოახდინა და ისეთი მრისხანებით შეუტია რომ ეშმაკიც კი ვეღარ გადურჩებოდა, მიჰყო ხელი უწყალოთ ხოცვას—და მეორე მხრიდამ თავის სამცხენა ხოცავდა, იმოდენა დაეხოცეს რომ რიცხვი არ შეიგდებოდა, მათგანი თუმცა მცირედი გარდაიხვეწნენ მაგრამ იმათაც კი დევნა დაუწყეს ათი დღის სავალამდე, ასე რომ უკან ვეღარ მოიხედეს, ისე შეშინდნენ და თვალი გაუტყდათ და უგზო უკვლოთ გარდაიხვეწნენ.

როდესაც ქურუკმა სახელი ღვთისა ახსენა და ჯადოთ ლაშქარს შეუტია, მაშინ ნიშკალ-ჯადო რომელიც ქალათ იყო შეცვლილი, ჯავრისაგან ჰკუდამ შეიშალა ლამის და ოთხ ჟამამდე უსულოთ ეგდო, რა გონებას მოეგო ნახა ქურუკი დგას განრისხებული მდინარეს კიდეს და სისხლით გასვრილს თილიუამუამს რეცხს, რა ესე იხილა თავთაგან ცნობა კვალად დაეფანტა, მაგრამ თავის ეშმაკობით გული გაიმაგრა, როდესაც ქურუკი მოვიდა თავის წრესთან მაშინ ქალმა თავის მოქნილის ენით მოახსენა: „ფალევანო, მომილოცავს გამარჯვება და ნიშკალ-ჯადოს სიკვდილი“. რა ქურუკმა ქალისაგან ესე გაიგონა, შესძახა: ჵეი დიაცო! ნიშკალ-ჯადოს შენ იცნობ? აბა წავიდეთ და მაჩვენე რომელია, ქალმა უპასუხა: მე თუ დამატარებ მკვდრებს, მე გიჩვენებ ნიშკალ-ჯადოს.

წინ გაუძღვა და დაატარა მკვდრები, ერთი თავის დისწული იხილა ნიშკალ-ჯადომ, რომელიც იგი საშინელი სანახავი იყო, თვითონ ქურუკის ხელით მკვდარი, იგი უჩვენა რომ ეს არის ნიშკალ-ჯადოვო. იგი წყეული მივიდა და თავში წიხლი დასცა და სთქვა: „სწორედ ეს იყო ჩემი მტანჯველი“. რა ქურუკმა ქალისაგან ესე ნახა, მართალი ეგონა, მუნიდამ წამოვიდნენ და თავის წრესთან მოვიდნენ, ქურუკმა იხილა რომ წრის შიგან მხოლოდ სამი დევია თავის დევებისაგან და სხვები არ არიან, მათი ამბავი გამოჰკითხა: დევებმა მოახსენეს, ვითაარცა სამცხენამ ასწყვიტა ჯინჯილი და გაიქცა, და მას გამოეკიდნენ ისინიც და მას აქეთ უკან აღარ დაბრუნებულან. რა ქურუკმა ესე გაიგონა დევთა უბრძანა: ორნი წამომყევით და ერთი აქ დარჩით, თვითონ თავის ცხენს ამხედრდა და იგი ქალიც თან წაიყვანა, იმ ერთ დევს უბრძანა რომ წრიდამ არ გამოსულიყო, მაშინ თავის დევებით და ქალით ერთ მხრისაკენ გაემართნენ საითაც მათი ნავალი კვალი იყო იმ მრისაკენ, მეორე დღეს ნიშკალ-ჯადოს ბანაკს მიაღწია, რა დანარჩენ ჯადოთ ლაშქარმა შორიდამ დაინახეს რომ ერთი პერობილი დიაცი მოჰყავთ, მაშინვე იცნეს თავიანთ პირველი სარდალი

ნიშკალ-ჯადო იყო და ერთი ადამის ტომი ახალად მოწიფული ჭაბუკი ფალევანი თან მოზდევს, რა ქუჩუკი ნახეს მაშინვე გულები დაუსკდათ და ერთი მეორეს ეტყოდა, ეს ჩვენი სახელოვანი ჯადოთ უფროსი რომ ამ ყოფაში ჩაუგდია ჩვენ რადას გვიზამს, ახლავე ჩვენ ჩვენ თავს უშველოთ თორემ ჩვენც ყველას ან დაგვხოცს ან დაგვიჭერს, მალე გარდვიხვეწოთ და ზარბაქ-დევს ყოველივე ეს ამბავი ვაცნობოთ, და თვითონ როგორც უნდოდეს ისე მოიქცეს. რა ესე მოიუბნეს მაშინვე მსწრაფად ჰაერით აღიწივეს და დასავლეთის მხრისაკენ გაემართნენ, რაც ხაზინა ჰქონდათ სრულიად დასტოვეს. რა ქუჩუკმა ესე იხილა, მაღლის ხმით შესძახა: ჰეი! თქვენ ჯადონო, სად წახვალთ ხელთა ჩემთაგან, თუმცა ოკეანეს ზღვაში ჩაძვრეთ ღვთის შემწეობით მაინც გიპოვნით, წადით და ეს ამბავი თქვენ ზარბაქ-დევს აცნობეთ, რომ მზად იყოს. ესე შესძახა და მაშინვე მივიდა მათს ალაგს, ნახა რომ ერთი ძაღლი აბია ჯაჭვით, რა ძაღლმა ქუჩუკი დაინახა, ძაღლი ამდენს ეცადა რომ თავის დასაბმელი ჯაჭვი აწყვიტა და ქუჩუკს ფეხთ მოეხვია და ცრემლები გადმოყარა და წიოდა.

რა ქუჩუკი დააკვირდა ძაღლს, იცნა რომ მათუზ კოჭლი-დევი იყო, რა იგი ქალი ძაღლმა დაინახა, მივარდა და ფეხთა გლეჯა დაუწყო, იმდონს ეცადა რომ სისხლი დაადინა, რა იმ ქალის სისხლი ძაღლს მიეცხო მაშინვე ერთი შავი კვამლი ავარდა, იგი კვამლი გადაწყდა თუ არა ძაღლი მათუზ-დევად გადაიქცა, მაშინვე ღმერთს დიდი მადლი შესწირა, მივიდა და ქუჩუკს კალთას აკოცა, შემდეგ მივარდა და იგი ქალი მაგრა შეჰკრა, მერე ქუჩუკს თავი დაუკრა და მოახსენა: „ჰეი ფალევანო, ეს დიაცი ვინა გგონიათ თქვენ, ეს თვითონ ქვეყნის დამქცევი ჩემი შემაწუხებელი ნიშკალ-ჯადოა, ზარბაქ-დევის პირველი სარდალი და ჩვენი ჯადოთი დამჭერი“. ქუჩუკმა რომ ესე შეიტყო, ღმერთს დიდი მადლობა შესწირა, მის ცნობისთვის, მაშინვე წაიყვანა სადაც თავიანთ დევნი იყვნენ ტუსაღათ, მაშინვე ყველანი გაანთავისუფლა და მერე მისი ხაზინა მოაგროვეს თურმე რაც ქვეყანაზედ კუნძულები და ქვეყნები ანუ ზღვანი და ხმელნი ყოფილიყო სულ ამათ აეოხრებინათ, რაც ჯავაჰირნი და თვალ-მარგალიტი ყოფილიყო ყველა ამათ წამოეღოთ და თან იტარებდნენ. რა მისი ხაზინა გახსნეს, დიდ განკვირვებას მიეცნენ ისე რომ კაცთაგან უნახავი და საკვირველება იყო, რაც ძვირფასი და საუკეთესო ნივთები იყო სულ ცალკე შეეკრიბათ და ყველაზედ თავთავის ხასიათი დაეწერათ რომელსაც ყველას აცხადებს ამ მოკლე ლექსით:

ბევრი ჰქონდათ შეკრებილი
რა იხილეს გაუკვირდათ

თვალ-გროვანი მარგალიტის
და ყოველთა ეს ეწოდათ
საუნჯეა მრავალ-გვარი.
არსად იყო მისი დარი,
რაც ფასით შესადარი,
ფირუზ, ალმას, ბრილიანტ, ლალი.

აქ ამ ჯაჭვაირთ ქება თუმცა გრძლად ეწერა მაგრამ ლექსით მოკლედ საცნობია, რომელიც ყოველმა იცის რომ ბრლიანტი, ალმასი, იაგუნდი და მარგალიტი ძვირფასი ნივთებია.

## ეს ძვირფასი საუნჯე აქ დაუტეოთ და მცირე რამ ქუჩუკი-სა მოიხსენიეთ.

როდესაც ესოდენი საუნჯე და ხაზინა გამინჯა, ძლიერ გაუკვირდა ყველა იქ დასტოვა და იმ ქალს დაუბრუნდა და უთხრა: „ეჰეი შე მაცდურო ეშმაკო, განა ახლა რაც სახე გადევს შენი სახეა!? შეცვლილხარ და მაგით უნდა მომატყუო, ქვეყანა ეგრე მოგიტყუებია და ამოდენა ხაზინა და საუნჯე ეგრე გიშოვნია, მე იმიტომ შეგინახე ამოდენა ხანი რომ შენი საქმე კარგათ გამეცნო, აბა ახლა მიყურე თუ რა რიგათ შეგცვალო, იმიტომ რომ კვლავ სხვამ ვეღარ გაბედოს შენისთანა მანქანები ჩემთან და რაც ქვეყანაზე სიავკაცე გიქმნია ყოველივე თვალწინ წარმოგიდგინო“, ამაზე მეტი არა უთხრარა. მაშინვე უბრძანა რომ იგი ჯალდო უმეტესად მაგრა დაემარტათ, ისე რომ ქვეყანა რომ ჯალდოთ გარდაქცეულიყო მას არა შველებოდარა. მაშინვე კვალად უბრძანა: იმავე კუნძულში ერთი ციხე გაეკეთებინათ ხეებიდამ და რაც ნიშკალ-ჯალდოს ხაზინა ჰქონდა იმ ციხეში შეეზიდნათ და გარს წრე შემოევლოთ. რომელიც ფარვან-დევისაგან ნასწავლი ჰქონდა შელოცვით.

ქუჩუკმა მაშინვე მზადება დაიწყო და მერე განიზრახა (ამ ბილწის ტარება რათ მინდაო თუნდ კიდეც დამმორჩილდეს, ამისთანა ეშმაკისაგან ერთგულობა არ იქნება, სჯობს რომ ამისი საქმე აქავ გავათავო, რომ ესეც გამოვასალმო წუთისოფელს). მაშინვე უბრძანა ნიშკალ-ჯალდოს მოყვანა, ნიშკალი მოიყვანეს და ქუჩუკის წინაშე დააყენეს შეკრული. ნიშკალ-ჯალდოს მეტი არა ჰკითხესრა და ტანთ გახადეს, მაშინვე გაატყავეს და გულდათ ამოიღეს, თუმცა ნიშკალ-ჯალდომ წინად მრავალი ეხვეწა მაგრამ ამის ხვეწნა არაფრათ მიიღო, რადგანაც იმის ოინები მოაგონდა. რა გულდათ გახადეს მისი გულდა ბალახით გატენეს და მისი ბილწი მძოვრი (ლეში), ზღვაში-

გადააგდეს. მერე იგი ბალახით გატენილი გუდა, ერთ მაღალ ხეზედ ჩამოჰკიდეს და როგორც მის საქმეს გაევლო ერთ დიდ ქვაზედ დააწერინა და იმ ხის ქვეშ დასვეს ყოველთა საცნობლად. რა იმ ეშმაკის საქმე გაათავა, მაშინ თავის ერთგულ მათუზ-დევს უბრძანა: ახლა კი დროა ჩვენი წასვლისა, ხვალისათ განიზრახეთ რომელიც მარჯვე გზა იყოს შენით ვიაროთ. მათუზამაც სამსახური აღუთქვა: რა ესე მოიუბნეს, მცირე შეექცნენ და მერე მოისვენეს. რა დილა გათენდა დამაშვენებელმა მზემ თავის ბრწყინვალე სხივები ქვეყანას მოჰფინა. მაშინ ქუჩუკი ზე აღსდგა ილოცა ღმერთს მადლობა შესწირა, შემდეგ მცირე საუზმით შეექცა და წასვლის მზადება იწყეს.

იმ ჟამად იხილა რომ აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი არა მცირე ღრუბელი გამოჩნდა. მაშინ ქუჩუკმა ჰკითხა მათუზ-დევს, იგი რა ღრუბელი უნდა იყოს? მათუზ-დევმა შეხედა და მოახსენა: ფალევანო, რადაც ღრუბელი რომ მოჩანს ეტყობა რომ ჯადოთ ლაშქარია, ქუჩუკმა უბრძანა: ჰეი დევნო, ჩვენ აქ სადმე უნდა ჩავესათროთ, იგინი უეჭველად აქ ჩამოხდებიან და როგორმე მოუხერხოთ საქმე, თორემ ხელიდამ წაგვივლენ. როგორც ეტყობათ არა მცირე საშოვრით მოდიან. რა ქუჩუკმა ესე განიზრახა, მაშინვე ერთ მხარეს მიეფარნენ. რა ორი ჟამი შესრულდა ჯადოთ ლაშქარი მოვიდა და მას კუნძულს ჩამოხდნენ და მრავალი უცხო კუბონი მოიღეს სრულიად ალმასით მოჭედილნი და მას შიგან კეკლუცნი ბანოვანნი ისხდნენ, მათთან მრავალი პატიოსანნი ჯინთა დიდებულნი ჯაჭვებით დაბმულნი. და უანგარიშო რკინით მოჭედილნი ზანდუკებით ხაზინა მოიტანეს და მუნ დააწყეს. თურმე ესენი იგინი არიან რომელნიც ზარბაქ-დევმა რომ ჯადოების სარდალნი გაისტუმრა თავისის ლაშქრით ყოველს ქვეყნის მხარეს. ნიშკალ-ჯადო ხომ ქუჩუკმა გაგუდა, მის ამხანაგი სანგურ-ჯადო ჯინისტანს დაეცა, იქაური ქვეყნები აიკლო ჯადოქარობით, დაატყვევა იქაური დიდებულნი და მოქალაქენი, აიკლო იმათი ხაზინა და ჰარემხანა და დაატყვევა იქაური ბანოვანნი, ჩასხეს ყოველნი კუბოებში და გალიებში, და ისე მიჰყავნდათ ზარბაქ-დევთან, ეს იყო რომ ამ კუნძულში შეხვდა ქუჩუკს. ჯინისტანში ზორაბ-შაჰას ერთი ასული ჰყავდა რომელსაც სახელად ეწოდა სულთან-გულბანო, ისეთი მშვენიერი იყო რომ მისთანა დედამიწის ზურგზე არ დაბადებულიყო. იგი ქალიც ტყვედ წამოეყვანა, ეს უცხო გალიაში ჩაესვა, თურმე რამდონჯერ წყეულმა სანგურ-ჯადომ მოინდომა მისი ნახვა, მაგრამ ამ ქალმა უარი შეუთვალა და პასუხათ ესე უთხრა: მე ამ ერთ წელიწადს ამ პირობას მივცემ რომ სანგურ-ჯადომ არა მნახოს და როცა წელიწადი შესრულდეს მაშინ მაგის ნებას აღვასრულებო,

ამაზედ იგი წყეულიც დასთანხმებოდა. იგი ქალი თავის სახეს არავის აჩვენებდა თავის დედმამის მეტსა. ეს ქალი ჯავრისაგან ორ დღეში ერთხელ ერთ ლუკმა პურს ძნელადა სჭამდა და ყოველთვის ცხარის ცრემლით სტიროდა და ღმერთს მხურვალე გულით ევედრებოდა სანგურ-ჯადოს ხელიდამ განთავისუფლებას და იტყოდა; გულსა თვისსა უფალო, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ რომ თუმც წელიწადი შესრულდეს, მე იმ ბილწს ვერა ვნახავ, არამც თუ წელიწადი, ვიდრე პირში სული მიდგას, მე მალე ჩემის ხელით თავს მოვიკლავ და ამასაც გევედრები უფალო მკვდარ დროსაც კი ნუ ჩამაგდებ იმის ხელთ და იმ ბილწთაგან განმარინე.

## ეს ამ შეწუხებულ მდგომარეობაში და ღვთის ვედრებაში დაუტეოთ და მცირე რამ ქუჩუკისა და დევების ამბავი მოისმინეთ.

ქუჩუკმა რომ იხილა ჯადოს ურიცხვი ლაშქარი ჩამოხდნენ და დიდძალი საუნჯე, ტყვენი და ხაზინა მოიტანეს და იქ დაბანაკდნენ, მაშვრალნი მოსვენებას მიეცნენ, მაშინ ქუჩუკმა დევებს უთხრა: ჰეი დევნო, ჩემი რჩევა ეს არის რომ თქვენ ერთ უჩინო ალაგს მიეფარეთ და მე მიუყურეთ თუ ჩემი ღმერთი რა ძალას მაძლევს, დევებმა მსწრაფლ ქუჩუკის ნება აღასრულეს და ერთ მხარეს მიეფარნენ ქუჩუკის სამცხენით, მაშინ ქუჩუკმა მაჯუმი ჭამა და ერთ მშვენიერ ქალად შეიცვალა, ფარვან-დევისაგან მიცემულით. გამოვიდა შორი-ახლო და ტირილით დავიდოდა.

## ეს ამ სიარულში და ტირილში დაუტეოთ და სანგურ-ჯადოს ამბავი მოისმინეთ.

რა სანგურ-ჯადო იმ კუნძულში ჩამოხდა და ხათრიჯამი შეიქმნა, მცირე განზრახვაში ჩავარდა და ამას იტყოდა: „ამისთანა მნათობი მზე სულთან-გულბანო, ზარბაქ-დევს რომ ჩაუვარდეს ხელში მე სიზმრათაც აღარ მაჩვენებს, მე ისე უნდა მოვახდინო რომ ამ ქალის ვადა ამ კუნძულშივე გათავდეს, რომელიც სულ ორი თვეღა დარჩომია ვადამდის, ჩემ შექცევას და სიხარულს ამასთან აქვე გავატარებ". რა ესე განიზრახა მაშინვე ლხინს და შექცევას მიჰყო ხელი, სულთან-გულბანოს ეშხზე არა მცირე სიხარულს მიეცა და სულსა და გულს იმისთვის უხვად იმეტებდა და უთვალიდა ოდონდაც ჩემი ნება აღასრულეო და ოქროს ტახტზე დაგსვამო.

## სანგურ-ჯადო ამ ლხინში და ქალის ტრფიალში დაუტეოთ და მცირე რამ ქუჩიკისა მოისმენით.

ქუჩუკი რომ ქალათ შეიცვალა და ტირილით დადიოდა, მაშინ გულსა შინა სთქვა, უბრალოთ დავიარები მე აქა-იქ ტირილით, ის უფრო უმჯობესი იქნება რომ ერთ ღამეს ზორაბ-შაჰა მოვძებნო, ვიპოვო და ყველა გარემოება და ვითარება ვსცნო მათი. რა ესე განიზრახა დაღამებას ელოდა, როდესაც მზემ თავის ბრწყინვალე სხივები უფსკრულს ჩააბარა, მაშინ დრო დაიცვა ქურდულად იდუმალ მივიდა სადა მათი დარაჯი ჯადონი იდგნენ საპყრობილესთან და საპყრობილის გარემო ჯადოთი რკალი შემოევლოთ ისე რომ ეშმაკიც ვერ გადვიდოდა. მაშინ დაფიქრდა და არ იცოდა თუ რა ექმნა, ქუჩუკს მოაგონდა ფარვან-დევის ერთი ნასწავლი მანქანა რაღაც შეულოცა და ქამანდი ესროლა, ქამანდი იმ ჯადოთ შექმნილ ღობეს მოსდო და გადაება, იმაზედ ჯამბაზის მგზავსად გავიდა, მაშინ იმოდენა იარა რომ ზორაბის დამწყვდეულ ალაგს მიაღწია, იქ იხილა რომ მრავალი დარაჯნი უდარაჯებდნენ, მათთან უშიშრად მივიდა. ჯადოთ იხილეს რომ ერთი მშვენიერი ქალი ვინმე მოდის, შესძახეს: ჵეი შენ დიაცო! ამისთანა დროს შენ ამ ალაგს მარტო რას დაიარები ან იმ ჯადოთი შექმნილ ზღუდეზე ვით გადმოიარე? ქუჩუკმა პასუხათ მიუგო: მე ზორაბ-შაჰას ჰარემიდამა ვარ, ამ ჟამად მისი ცოლი არა მცირედ ავად არის ისე რომ სიკვდილად მიღწეულა, ახლა მნებავს რომ ზორაბ-შაჰას ვაცნობო, ანუ სანგურ-ჯადოს ვსთხოვო რომ გაუშოს ზორაბ-შაჰა უკანასკნელ დროს ნახოს თავის ცოლი. რა ქუჩუკისაგან ესე მოისმინეს ჯადოთა გზა დაუგდეს, ქუჩუკმა გაიარა და მივიდა ზორაბ-შაჰას ახლოს კარზედ, იქაც სხვა დარაჯები შეხვდნენ, მათაც ნახეს რომ ერთი მშვენიერი ქალი მიადგათ, მათაც ჰკითხეს ვინაობა, ქუჩუკმა იმათაც ერთი და იგივე უთხრა.

მაშინვე ქუჩუკი ამ დარაჯ-ჯადოებმა შეიყვანეს ზორაბ-შაჰასთან, ქუჩუკმა ნახა რომ, ზორაბ-შაჰა ხელ-ფეხ შეკრული ზის ძლიერ დაღონებული და რაღასაც ჰფიქრობს. ზორაბმა უეცრად შეხედა ნახა რომ ერთი ვიღაც მნათობი ქალი თავს წაადგა, ზორაბ-შაჰას დიდათ გაუკვირდა და ჰკითხა: ჵეი მნათობო, მომიტევე კითხვისთვის, თქვენ ვინა ბრძანდებით და ან საიდამ მოხვალთ, ან რა ამბავს მეტყვით?

ქუჩუკმა მდაბლად თავი დაუკრა და თავის ცოლის ავადმყოფობა მოახსენა: რა ზორაბ-შაჰამ გაიგო თავის ცოლის ავადმყოფობა, ერთი საშინლად ამოიოხრა და წარმოსთქვა: ჵი, საბაოთ ღმერთო! შენ მომხედე

და მიხსენ ამ განსაცდელს. ზორაბ-შაჭამ გული ვეღარ შეიმაგრა და იწყო ტირილი ქვითინით.

— ქუჩუკმა შეხედა რომ იმისთანა მშვენიერი უმარწვილი კაცი ისე შეკრულ-შებოჭილია, ძლიერ შეებრალა და თავი ვეღარ დაიფარა, გაეცნო.

ზორაბ-შაჭამ რომ გაიგო თვითონ ქუჩუკია, მაშინვე მუხლებზე მოეხვია და უთხრა: ფალავანო კიდევ ღირსა შენი მოსწრება ჩემ ამოსულს სულს, უკან დასაბრუნებლად. ქუჩუკმა მაშინვე ხელი სტაცა ააყენა და პირს აკოცა, მაშინ დასხდნენ და ერთმანერთის ნახვით სტკბებოდნენ. ქუჩუკმა ზორაბ-შაჭას თავის ამბავი ჰკითხა და ზორაბ-შაჭამაც ყოველივე დაწვრილებით უამბო. ამ ღამესვე შეუდგნენ თადარიგს და ზორაბ-შაჭაც ქალის სახეთ შესცვალა. ღმერთმა ბრძანა და იმ ჟამად რაც ზორაბ-შაჭასთან დარაჯი ჯადონი ჰყვანდა, თავიანთ უფროსმა ჯადომ რაღაც საქმისთვის დაიბარა თავის კარავში, მაშინ ამ ორთა დრო დაიცვეს შევიდნენ და სეილან-შაჭაც გაანთავისუფლეს; და რაც იმათ მცველად ან ჯინნი ან ჯადონი ჰყავდათ სულ ამოწყვიტეს. ქუჩუკი თავის ამხანაგებით წამოვიდა სადაც სულთან-გულბანო იყო დამწყვდეული, იქ მივიდნენ ნახეს რომ გულბანო ზის და ცხარის ცრემლებით ღმერთს ევედრება თავის განთავისუფლებას.

იმ ჟამად სულთან-გულბანომ მაღლა აიხედა, ნახა რომ ზორაბ-შაჭა, თავის მამა სეილან-შაჭა და მათთან ერთი მშვენიერი ფალავანი სამოცდა სამის იარაღით შეჭურვილი. ქალმა თვალი გაუშტერა და იცნა რომ ყოველთა გაჭირვებიდამ დამხსნელი ახალი ფალავანი ქუჩუკ-უარამანია; მაშინვე წამოვარდა ფეხზე და მუხლთ მოეხვია და სთქვა ოჰ ღმერთო, ნეტარ ცხადია თუ სიზმარი! ქუჩუკმა მსწრაფად ყველა გაანთავისუფლა, ჯინისტანის სულთნები და დიდებულნი ფალავანნი, შემდეგ წავიდა სანგურ-ჯადოც შეიპყრო თავის სარდალ ჯადო ფალავნებით და ისინიც იმ რიგათ როგორც ნიშკალ-ჯადო ისე გაატყავა და გუდათ ამოიღო, ერთ ხეზედ ჩამოჰკიდა. რაც იმ ჯადოს ფალავანნი ჰყვანდა ჯადონი, თავიანთ ორმოცათას ჯადოს დაშქრით, სულ ამოწყვიტა რომ მესამედი ძლივსღა გადურჩა, ისინიც ჰაერით გაიქცნენ და გარდიხვეწნენ, მაშინ ქუჩუკ-უარამანი, ზორაბ-შაჭა, სეილან-შაჭა და გულბანო, მივიდნენ ერთ მშვენიერ ალაგს ჩამოხდნენ და ყოველივე თავიანთი დიდებულნი სარდალნი და ფალავანნი, იმათ ცოლშვილნი, აგრეთვე რაც ტყვენი იყვნენ ყოველნი გაანთავისუფლა და თავიანთ წართმეული ხაზინა სრულებით თვითონვე მისცა და სულ ყველა თავიანთ ქვეყანას გაისტუმრა ჯინისტანში. როდესაც ამათი საქმე გაათავა, მაშინ გამობრუნდა თუ სადმე ჯადო დარჩომილიყო სუყველას ბოლო მოუღო. სანგურ-ჯადოს ხაზინაც, ნიშკალ-ჯადოს ხაზინას მიუმატა-

შემდეგ დაჯდა ერთი წიგნი მასწერა თავის საყვარელ გულიჯანს და თავის მამა ნარიმანს და დედა უსნიარას და თავისი ყოველივე თავგარდასავალი დაწვრილებით აცნობა და წიგნი იმ გამოხსნილ ტყვეებს გაატანა.

მაშინ თავის ერთგული კოჭლი-დევი იხმო და უბრძანა: აბა ჩემო ერთგულო მათუზ! ახლა კი დროა წასვლისა, მაშინვე კოჭლი-დევი ბრძანებების მორჩილი მზათ იყო და ჰკითხა ქუჩუკმა: ჩემო მათუზ ნეტარ რამდენი დღის სავალი კიდევ იქნება, ვიდრე იმ წყეულ ზარბაქ-დევის სამზღვარს მივიდოდეთ? ანუ ზღვით უნდა ვიაროთ თუ ხმელეთით.

კოჭლმა-დევმა თაყვანი სცა და მოახსენა: ფალევანო, აქედამ ზარბაქ-დევამდის ორმოცი დღის სავალი გვექმნება და ისიც სულ ჰაერით უნდა ვიაროთ. მაგრამ ფალევანო აქედამ რაკი გავცილდებით ოცის დღის სავალს იქით, შემდეგ სულ ჯადოები უნდა გავიაროთ და დიდი სიფრთხილე გვმართებს. მაშინ ქუჩუკმა სახელი ღვთისა ახსენა და ერთ ჯანიან დევს თავისი სამსურ ცხენი აჰკიდა და მეორეებმა ფალევნის იარაღის ზანდუკი და რაც რამ ბარგი ჰქონდათ აიღეს და თითონაც პატარა ტახტზე დაბრძანდა და კოჭლმა-დევმა იტვირთა, ჰაერში აფრინდნენ და ზარბაქ-დევის ქვეყნისაკენ წავიდნენ. ქუჩუკი ასეთი გაჯავრებული მივიდოდა რომ მის სახის ყურებას შვიდ თავიანი ვეშაპიც კი ვერ გაუძლებდა.

## ქუჩუკი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და მცირე რამ ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ჟამად რომ ზარბაქ-დევმა თავის ერთგული ჯადოს სარდლები, და რამდონიმე ათასი ჯადოების ლაშქარი გაისტუმრა, რომელიმე იმათგანი ინდოეთისაკენ წავიდნენ, ზოგი შაჰპალ-ფერიის ქვეყნებისაკენ და უბრძანა: თქვენ უნდა იმდენს ეცადოთ რომ ამ ქვეყნებს დიდი ვნება მიაყენოთ და ყოველ შემთხვევაში ისიც უნდა ეცადოთ რომ ქუჩუკ-ყარამანი ან იმის ცოლი გულიჯანი და შაჰპალ-შაჰის ცოლი ხელთ იგდოთ და პირვეღად მე მომგვაროთ. მაშინვე მათ ჯადოთ სარდლებმა ესე ბრძანება აღასრულეს და დიდის სამზადისით და ჯადოს მანქანებით დამუქრებულნი წამოვიდნენ და ამათი საქმე როგორც ზევით მოვიხსენიეთ როგორიც საშოვრით დაბრუნდნენ და ქუჩუკისაგან რაც დაემართათ ხომ ყოველივე მოხსენებული გაქვსთ. ბოლოს ხომ სანგურ-ჯადოც დაამარცხა და ჯინისტნის ხელმწიფე ზორაბ-შაჰა თავის ცოლშვილით და დიდებულებით გამოიხსნა, და თავიანთ ქვეყნებში დააბრუნა მშვიდობით, მაშინ რამდონიმე სანგურ-ჯადოს ლაშქრიდამ ჯადონი გაიქცნენ და სწრაფის სიარულით იარეს და

ზარბაქ-დევთან მივიდნენ, ყოველივე მომხდარი მოახსენეს ქუჩუკისაგან, როგორც ნიშკალ-ჯადო მოკლა, გაეტყავებინა და გუდათ ამოელო, აგრეთვე სანგურ-ჯადო როგორ დაეჭირა და იგიც გუდათ ამოელო და ერთ ხეზე ჩამოეკიდა, მერე ჯადოს ლაშქარი როგორ ამოეწყვიტა და იმათი ხაზინა როგორ დაესაკუთრებინა და აგრევე მოსხმული ტყვეები ზორაბ-შაჰა თავის ცოლშვილით როგორც გაენთავისუფლებინა და თვითონაც რის წვალებით გადარჩენილიყვნენ და ამბავი მოართვეს თავის ხელმწიფეს—და ქუჩუკი როგორც დაემუქრა და უთხრა ამ ცოტა ხნის განმავლობაში ზარბაქ-დევსაც უნდა ვეწვიო სტუმრათაო. ყოველივე წვრილად მოახსენეს. რა ზარბაქ-დევმა თავისი საყვარელნი და გამოჩენილნი ჯადოთ-სარდლებისა და ლაშქრის დამარცხება გაიგო და მათი იმ გვარი დახოცვა, დიდათ შესწუხდა და ისე გაანჩხლდა რომ იმის მრისხანე სახეს ცხრა თავიანი ვეშაპიც რომ ყოფილიყო ისიც ტანში დაილეოდა, მაშინვე ისე დაიღრიალა რომ იმის ხმაზედ იმ არე-მარემ რყევა დაიწყო და რამდონიმე იმის კარის კაცებს გულები დაუსქდათ და დაიბნიდნენ, პირქვე დაეყარნენ. მაშინვე თავის სარდლები და ვეზირნი შემოიკრიბა და უბრძანა: თქვენ არ გაგიგიათ ახალი ამბავი და ჩემი გულის შეღონება?—ვიღაც ქუჩუკ-ყარამანია იმას ამოუწყვეტია ჩემი გამოჩენილი ჯადოთ სარდლები თავიანთის ლაშქრით და ახლა აქეთ მოდის ჩვენზედ საომრად. ეს სიტყვა რომ დაასრულა დაჩუმდა, ზარბაქ-დევი დიდ ფიქრსა და შიშს მიეცა. მაშინ იმის პირველი სარდალი წარმოსდგა წინ, რომელიც დიდათ ძლიერი იყო, სამი თავი ება და სახელად ანბირ-დევი ეწოდებოდა, ას ორმოცდა ათის მწყრთის სიმაღლის მქონებელი იყო, ისეთი ძლიერი დევი იყო რომ ზარბაქ-დევს არ ჩამოუვარდებოდა და სამოცი ხელი ჰქონდა, თითო ხელით თითო იარაღს ხმარობდა და ასი ათასის დევთა მბრძანებელი იყო. მეორე სარდალსაც სახელად ეწოდებოდა ზანგი დევი, ისიც საშინელი მეომარი დევი იყო, ოცდა ათი ათასის დევის ბრძანებელი და ას ოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა და ორი თავი ება, ერთი დათვისა და მეორე ლომისა და ორმოცდა ათი ხელი ჰქონდა, რომელნიც ეს ორივენი პირველნი სარდალნი იყვნენ ზარბაქ-დევისა. ამ სარდლებმა მოახსენეს: ყოველთა ხელმწიფეთა ხელმწიფევ, გავკადნიერდებით და მოგახსენებთ თქვენს უმაღლესობას: „თუ იმ ქუჩუკ-ყარამანს ერთი ძლიერება რამ არა ჰქონდეს, ის აქ ვერ გაბედავდა წამოსვლას და იმისგან დიდი სიფრთხილე უნდა გვმართებდეს;—თუ გახსოვთ მაშინ რა დღე დაეყენებინა სამთა ჯინთა ხელმწიფისთვის, ზურან-ხანისთვის, ალამ-ხანისთვის და აყიყ-ხანისთვის, რომელნიც სამივენი დაემარცხებინა თავიანთ ლაშქარი სულ ამოეწყვიტა, აუარებელი ხა-

ზინა წაერთო და თითონაც დაესაყიჩრებინა საცოდავად, თითოსთვის თითო ხელი მოეჭრა და თითო თვალიც ამოეთხარა და ისე გამოესტუმრებინა და თქვენთან მოვიონენ საჩივლელად.—მაშასადამე ძლიერი ვინმე უნდა იყოს ის ყიდაც ქუჩუკ-ყარამანია. აგრეთვე ამ ათი თხუთმეტი წლის წინად ჭაზარექ-დასტი იმისთანა ვეშაპი დევი ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორა. და ახლა თუ ჩვენზე მოდის დიდი სიფრთხილე გვმართებს და ყოვლის მხრიდამ ჩვენც უნდა ჯარები მოვიწვიოთ და ყოვლის ღონის-ძიებით წინ უნდა მივეგებოთ და აღუდგეთ, თორემ თუ აქ მოვიდა მაშინ საქმე საჭიროდ გაგვიხდება და გაგვიძნელდება.“

ზარბაქ-დევმა ეს მოხსენება დიდათ მოიწონა, რადგანაც ქუჩუკისა ძლიერ ეშინოდა. ზარბაქ-დევმა მაშინვე ბრძანება გასცა რაც თავის საბრძანებელში ჯარები ჰყავნდა დევნი, ჯინნი და ჯადონი სულ დაიბარა და ერთ კვირაზე სულ შეიკრიბა და დიდს სამზადისში შევიდა, მაგრამ ამდონმა მომზადებამ სულ ფუჭათ ჩაუარა. მაშინ ამბირ-დევს უბრძანა: შენ ახლავ უნდა წახვიდე შენი ასი ათასის მამაცის ლაშქრით და რომელს გზაზედაც მოდიოდეს მაშინვე გზები შეუკარით და ეცადეთ რომ ჩემ მხარეს არ გამოუშვათ და უცებ დაიჭირეთ ცოცხალი, კი არ მოჰკლათ და მე წარმომიდგინეთ. იმას თუ ჯარი ჰყვანდეს სულ ამოუწყვიტეთ, მერეც ეს რომ შემატყობინეთ თუ კოჭლი დევი იმასთან არის, თუ იმასთან იყოს, უსათუოთ ისიც შეიპყარით და ქუჩუკი და ის მკლავებ შეკრული მომგვარეთ და დანარჩენი ლაშქარი როგორც გითხარით სულ ამოუწყვიტეთ რომ ერთიც ცოცხალი არ დასტოვოთ. ეს თავის პირველი სარდალი ამბირ-დევი თავის დევთა ლაშქრით ქუჩუკის მხრისაკენ გამოისტუმრა და თვითონ ზარბაქ-დევი კი დიდს თადარიკში შევიდა და აპირებდა თვითონაც ქვეყნად ამოსვლას. მერე სარდალმაც დიდძალი ჯარები შეიკრიბეს და მზად დადგნენ და ყოველ წამს ქუჩუკს მოელოდნენ.

ასე იფიქრეთ რომ ზარბაქ-დევს იმ ჟამად, ხუთასი სულ ცეცხლის მფრქვეველი ხვადი დევის ჯარი ჰყვანდა მზათ, და ორმოცი ათასიც ჯადოს ლაშქარი და თითონაც ზარბაქ-დევი, პირველი ჯადოს მცოდნე იყო.

## ზარბაქ-დევი ამ მზადებაში დაუტეოთ და ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

ქუჩუკმა იმ ღამეს თავისი თავი ღმერთს შეავედრა, რა მერე დილა გათენდა ადგა ღმერთი ილოცა და მაშინვე გაემგზავრა ზარბაქ-დევისაკენ, მიმავლობაში მათუზ-დევმა მოახსენა: ფალევანო, თუ ინებებთ ძლი-

ურ ავიწევი ჭაერში და იქიდამ ზარბაქ-დევის სამეფოის მხარეს უცხო სანახავებსა ნახავთ. ქუჩუკმა უპასუხა ძალიან კარგი იქნებაო. კოჭლმა მოახსენა, ზურგზედ გამომაკრდითო. მაშინ მათუზ-დევმა ისეთი მაღლა აღიწივა რომ აქლემი კატის ტოლა ჩნდა ქვეყანაზე, მაშინ ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ რამდონიმე ალაგზედ დიდი დევთა ჯარი მომავლობს, ქუჩუკი დიდათ გაჰკვირდა და ჰკითხა: მათუზ, ძლიერ შორს რადაც დევთა ლაშქარი მოდის, მათუზ-დევმა რომ ლაშქრის მომავლობა შეიტყო და თითონვე ყურება დაუწყო და მოახსენა: ფალევანო ეს უთუოდ ზარბაქ-დევის პირველი ფალევანი და სარდალი ანგურ-დევი იქნებაო, რომელიც თქვენზე საომრად მოვაო და თქვენ რას ბრძანებთ? მაშინ ქუჩუკმა ჭაერიდამ ძირს ჩამობრძანება ბრძანა; ერთს ალაგს გამაგრდნენ და ბანაკი გაიკეთეს, მერე ნახეს რომ ასეთი საშინელი და საძაგელი სუნი ეცათ რომ კინაღამ დაიბნიდნენ, კოჭლ-დევს ჰკითხა: ნეტარ ეს რა საძაგელი სუნიაო? კოჭლმა მოახსენა: ეგ სუნი ჯადოთ მანქანებაა, ეგენი ხუთას ექვსას დღის სავალზე ასეთს სუნს დააყენებენ რომ ვერა ნადირი და ფრინველი ვერ გაივლისო და ადამის შვილი ხომ ვერ გაუძლებს და იხოცებიან, ჩვენ თუ ერთი რამ არ უშველეთ ჩვენ თავს ძალიან გვიჭირს. იმ ჟამად ქუჩუკს ფარვან-დევისგან გაკეთებული ერთი ნაირი მალამო ჰქონდა, მაშინვე ის ამოიღო და ცხვირის ნესტოებზე წაისვა და თავის ათთერთმეტ დევს წასცხო და იმისთანა მძლავრ სუნს აღარა ჰგრძნობდნენ. ქუჩუკმა პატარა ზანდუკი გახსნა და რაც ფარვან-დევისაგან ჯადოს განმქარვებელი ლოცვები ჰქონდა დაწერილი ყოველივე ამოიღო და ზედ გაიკეთა, ისე მოემზადა რომ ქუჩუკს ახლა არა ჯადო ვერ მოეკიდებოდა და აკრეთვე თავის დევებსაც შეულოცა და არცა თუ მათ მიეკარებოდათ ჯადო.

მაშინ მოუბრუნდა და თავის სამცხენას ორსავ თვალებში დაჰკოცნა და უთხრა: „ჩემო სამსურ ხომ იცი რომ ღვთის მეტი არავინა გვყავს ჩვენ შემწე, ამოდენა დევთა ჯარში და ჯადოებში, აბა უნდა ვიბრძოლოთ მედგრად მე და შენ. ახლა შენ იცი როგორც მასახელებ და შენ თავსაც გამოიჩენ“. მაშინ სამსურსაც შეაბა ჯადოს განმქარვებელი ლოცვის ავგაროზები და მშვენივრად შეკაზმა; ახლა სამსურსაც არა უჭირდარა ჯადოებისაგან. რა ესენი მოამზადა შემდეგ ცოტაოდენი მოისვენეს და წარმოდგნენ, კოჭლი-დევი სანადიროთ გაგზავნა რომ საჭმელი რამ მოეტანა, კოჭლი წავიდა ნადირი რამ მოიღო დაამზადეს შესწვეს და ისადილეს, შემდეგ დაწვნენ და ცოტა ხანს მოისვენეს, ამ დროს ქუჩუკს ძილი მოუვიდა და სიზმარში ნახა, ერთი უცხოთ შემოსილი მოხუცი კაცი მოვიდა და უთხრა: „ქუჩუკ ეგრე არხეინად შენი ყოფნა და ძილი არ შეიძ-

ლება, შენ დიდი სიფრთხილე გმართებს, აგერ ხუთასი ათასი დევთა და ჯადოთ ლაშქარი მარტო შენზე მოდიან საომრად განმზადებულნი, ზარბაქ-დევის სამეოთვამდე დღე ნახევრის სავალიდაა დარჩომილი, როდესაც ზარბაქ-დევის სადგომს მიაღწიო ერთი ჩასავლელი გზა დაგხვდება და ძლიერ საჭირო გზაა, სამი დღე და ღამე უნდა იარო, მაშინ შენ სამსურ-ცხენზე კი უნდა შეჯდე რომ მაგის მეტი იქ ვერავინ ჩაგიყვანს“.

„როცა იქ ჩაგიყვანს მაშინ ურიცხვ ჯადოებში გაივლი, სადაც სულ ჯადოებით იქნება შეზღუდული, იმ გზაზედ ძალიან გაგიძნელდება მაგრამ არ შეშინდე, იქ გაჭირვებით გაივლი, ერთი დღის სავალს რომ გაივლი, ერთი ბუდი გეცემათ შენცა და შენ სამცხენსაც და ორნივ დაბრმავდებით, ამიტომაც მე ერთ მალამოს გასწავლი რომელიც შენ უკვე გაქვს მოცემული ადრევე ფარვან-დევისაგან, რომელიც უუთში გაქვს, ის მალამო წაისვი მაშინ, შენცა და შენ ცხენსაც, იმ დროს როდესაც ორმოს პირზე მახვიდეთ, აგრეთვე შენ დევებსაც წასცხე, მაშინ ჯადოები ვერას იმოქმედებენ თქვენზე და ვეღარცარას ახლოს მოგეკარებიანო, მაშინ ზარბაქ-დევის ქალაქში შეხვალთ კიდეც და ჯადოები ვეღარას დაგაკლებენ, შემდეგ მათი საქმე შენ იცი“. რა ქუჩუკმა სიზმარში ესე იხილა, მაშინ ჰკითხა: ჵეი პატივცემულო მოხუცო, გთხოვთ მიბრძანოთ, თქვენ ვინა ბრძანდებით? რომ ამისთანა კეთილ გზაზედ მაყენებთ. ბერმა კაცმა უპასუხა: ქუჩუკ მე პაპიშენის პაპა ვარ სოამქაშ ხელმწიფე, რომელიც მე ღვთის ლოცვაში ჩამაქვავეს დევებმა უაჯის მთაში. მე როგორც გითხარ ისე მოიქეც და ჩემს ვითარებას შენ ბოლოს შეიტყობ და ახლა კი შენ საქმეს უფრთხილდი, ორმოცი დღე გავა მანამ შენ ზარბაქ-დევის საქმეს დაასრულებ, რა ესე უთხრა მაშინვე უჩინო შეიქმნა“.

ქუჩუკს მაშინვე გამოეღვიძა და ფეხზე წამოიჭრა და დაემხო დედამიწას და დიდხანს ღმერთს ლოცულობდა და მადლობას უძღვნიდა და შემწეობას სთხოვდა, მერე ადგა და გაუდგა თავის გზას, ერთი პატარა გორა ნახა და კოჭლ-დევს უბრძანა: იმ გორაკზე მიმიყვანეთ და ცოტა ხანს იქ მსურს ჩამოვხტეო, მაშინვე მათუზ-დევმა ბრძანების მორჩილმა იმ გორაკზე ჩამოახტუნა და ცოტა რამ დანაყრდნენ და თავის სამსურ ცხენიც ბალახზე მიუშო საძოვრად. ამ ცხენმა მსწრაფად ჭამას თავი მიანება და ერთ მხრისაკენ გაექანა და უჩინო შეიქმნა. ქუჩუკი მაშინვე წამოხტა და ყურება დაუწყო, ცხენმა მცირედ უკან მოიხედა და ხვიხვინი შექმნა და ფლატეზე გადაფრინდა და აღარ გამოჩნდა, ქუჩუკმა სთქვა, ჩემა სამსურ ცხენმა უსათუოდ რაღაც ნახა და იმიტომ გამოეკიდა თორემ ის მე მარტო არ დამტოებდაო. მაშინვე ერთი წრე შემოავლო და თავის ბარგი-

ბარხანა რაცა ჰქონდა იმ წრეში შეიტანა და იქ დააწყო, ის ათი დევიც იქ დააყენა და უთხრა: წრეს გარეთ არავინ არ გახვიდეთო თორემ ჯადოები დაგიჭერენო, ესენი რომ ესე დაარიგა, თითონ კოჭლ-დევს უთხრა შენ მე მომყევი და მაშინვე თავის სამცხენაშ საითაც გაუტია, ქურუკიც იმის კვალს გაჰყვა, მივიდა ნახა რომ ერთი საშინელი ღრმა ღრანტე იყო რომ ოცი ალყის მწყრთის სიღრმე ექმნებოდა და ათასი მწყრთა სიგანე, სამსურცხენი იმაზე გადამხტარიყო და აღარსად სჩანდა.

## აქ ქურუკის სამსურ ცხენს თავი დავანებოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

ზარბაქ-დევმა როდესაც თავის ძლიერი სარდალი ამბირ-დევი ორასი ათასი დევის ლაშქრით გაისტუმრა ქურუკისაკენ. ზარბაქ-დევს კიდე ჰყვანდა ერთი ჯადოთ სარდალი რომელსაც სახელად ზინდარ-ჯადოს უხმობდნენ, ისეთი შეჩვენებული რამ იყო რომ ქვეყანა მოებეზრებინა თავის ჯადოქარობით, რომელიც ოცდა ათიათას ჯადოს ლაშქრის მბრძანებელი იყოდა ზარბაქ-დევისა დიდი საყვარელი. ასე იფიქრეთ რომ არა გაჭირვებისათვის იმას არ მოიშორებდა. ერთ დღეს უბრძანა ზარბაქ-დევმა: ჩემო ერთგულო საყვარელო სარდალო ზინდარ-ჯადოვ, შენ თუ ესლა არას ეცდები ჩემთვის და შენის ხელოვნებით იმ ამაყ ფალევანს ყარამანის ნათესავ ქურუკს არას უტყე, ჩვენი საქმე წამხდარია. მე რომ იმის ძლიერება შესმის თუ ჩემამდე ჩამოაღწია ჩვენი სახელი წახდება, თუმცა ვერას გვიზამს მაგრამ, სჯობს რომ აქნომამდე აღარ მოვაღწევინოთ.

ზინდარ-ჯადო მაშინვე წინ წარმოსდგა და მოწიწებით მოახსენა: ყოველთა ხელმწიფეთა უწარჩინებულესო! მე თვითონ უნდა მომეხსენებინა მაგრამ ვერ გაგიბედეთ, მე ჩემი ჯადოს ლაშქრით გიახლები და ვეცდები რომ ჩემის მანქანებით და რაჯაბის შემწეობით როგორმე შევიპყრო, მაგრამ ამას კი მოგახსენებ ვინიცობაა თუ გზაზე ამცდეს და ანუ ვერ შევიძლო მისი შეპყრობა, თქვენ უმაღლესობას გაუბედავ და მოგახსენებ რომ, ის ისეთი ფალევანია რომელსაც ვერც ნიშკალ-ჯადომ გაუძლო და ვერც სანგურ-ჯადომ, თვითონაც ძლიერი ჯადოს მცოდნეა და არც ჩვენი ჯადო ეკარება ადვილად. და მე ახლა ამიტომ ვბედავ თქვენ უმაღლესობასთან და მოგახსენებთ რომ თქვენი ქალაქი გაამაგროთ ყოველ შემთხვევაში და სამან-დუზ-ჯადო მოიხმეთ და ამ ჩამოსავლელ გზაზედ თავისის ჯადოს ლაშქრით დააყენეთ და მან სხვა და სხვა თილისმები გააწყოს და ქალაქის სიახლოვეზედაც დევთა ლაშქარი გააწყობინე. რა ესე ყოველივე მოახსენა

მაშინვე ზარბაქ-დევს მუხლთ აკოცა გამოუსალმა წასასვლელად, ზარბაქ-დევმაც დალოცა და უთხრა: წადი და ჩემი ღმერთი რაჯაბ-ეშმაკი იყოს შენი შემწე. მაშინვე სამხედრო ნაღარას ჰკრეს და ქუჩუკის სამტეროდ წავიდნენ საჩქაროდ.

## ეს ზინდარ-ჯადო ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ისევ ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ზარბაქ-დევმა ზინდარ-ჯადო ქუჩუკისაკენ გაისტუმრა, მაშინათვე თავის სარდალთა და ფალევანთა უბრძანა, მე რომ ვხედავ უეჭველია ქუჩუკ-ყარამანი აქ ჩამოუსვლელი არ დარჩებაო და ვერცა არავინა მყავს იმის მოპირდაპირე და მე მგონი ვერც ის ჯადონი და ვერც ანბირ-დევი იმასთან ვერას გააწყობენ, ახლა ჩვენ ეს ქალაქი ძლიერ უნდა გავამაგროთ და მაშინვე მაქუქალ-დევი თავისის ასიათასის ჯარით საჩქაროდ დაიბარა და მოვიდა, იმასაც უბრძანა: შენი ასი ათასის ჯარით და დანარჩენი რაც რომ აქ დევთა ჯარია ამ ორიოდე დღეს, ქალაქის გარემო ისეთი თხრილი უნდა შემოავლებინო რომ არა ადამის შვილს იმაზედ გადმოსვლა არ შეეძლოს. მაშინვე დააყენა რამდონიმე ათასი დევი და ერთს კვირაზე ისეთი თხრილი ამოაღებინა იმ ქალაქს გარემო რომ ფრინველსაც გაუძნელდებოდა ზედ გადაფრენა, არამც თუ ადამის შვილს. რა ესეც აღასრულეს მაშინვე დაიბარა რაც რომ თავის საბრძანებელში ოსტატი მოხელენი იყვნენ სულ შემოიკრიბა და უბრძანა: ამ ჭაზარექ-დასტის ლახტს ხომ ხედავთ, სწორედ ასეთი ლახტი უნდა გამიკეთოთ მხოლოდ ორი ამოდენა უნდა იყოს, რომ ვისაც დავკრა ერთის დაკვრით მიწასთან გასწორდეს, მაშინვე ხელი მიჰყვეს მისის ბრძანებისამებრ და ასეთი ლახტი გაუკეთეს რომ დიდის მთის ოდენი. ლახტი მოუტანეს და ზარბაქ-დევს მიართვეს, რა ლახტი გაშინჯა დიდათ მოიწონა, მაშინვე აიღო ხელში და შეათამაშა და ძირს დასდო, ოსტატები დაასაჩუქრა და დიდი მადლობა უბრძანა, ლახტი წონით ათასი ლიტრა გამოვიდოდა, ზარბაქ-დევმა ყოველი თავის თადარიგი შეასრულა და მზად იყო.

## აქ ზარბაქ-დევი თავის სამზადისში დაუტეოთ და ქუჩუკისა და თავის სამცხენასი მოიხსენიეთ. ქუჩუკისა და სამცხენის ომი ძლიერი.

ზინდარ-ჯადო თავის პირველი სარდალი რომ გაგზავნა ზარბაქ-დევ-

მა ქურუკ-ყარამანის წინააღმდეგ, გზაზედ ნახა ქურუკი ერთს გორაზედ ჩამომხდარი მაშინ მოიახლო მივიდა ზინდარ-ჯადო თავის მანქანებით და კარგა გამოწყო, შეხედა ნახა რომ ერთი მრისხანის სახის უმარწვილი ფალევანი ასეთი სახით არის რომ რაგინდა გულოვანი ფალევანი იყოს მაინც პირველ შეხედვაზედვე იმის მრისხანე სახეს ვერ გაუძლებდა და ასეთი თარადი არტყია რომ არა სახელმწიფოში და არა ფალევანზე არ ენახა იმისთანა თა[illegible], შემდეგ წელზედ შეხედა და დააკვირდა ნახა რომ წელზედ ქამარი ქვიშანური აკრავს, უარუნ-მაჭის ლახტი ხელთ უჭირავს, თიღიუშამი წელთა არტყავს და ასეთი ჯაჭვი აცვია რომ თითო მტკაველი ხანჯლებივით გარეთა აქვს გაშვერილები, რა კარგა დაათვალიერა მაშინ თავის გულში სთქვა: ჩვენმა რაჯაბმა ღმერთმა დაიფაროს ამის ხელში ჩავარდნილი ჩვენი ზარბაქ-დევი და თითონაც ისეთი შიში ჩაუვარდა გულში რომ დააკანკალა და ცოტადა დარჩა ძირს დაეცა, რა გონებას მოეგო ფეხი გაიმაგრა და გამობრუნდა, წავიდა ერთ დიდ ჭალაკში შევიდა, იმ ჭალაკის სიახლოვეს ერთი საშინელი ხევი იყო იმ ხევში შესავალ გზაზე, რამდენიმე ჯადო დააყენა და უბრძანა: რა წამსაც ქურუკი აქეთკენ წამოვიდეს მაშინვე თქვენის ხელოვნებით ეცადეთ ეგება ავნოთ რამე, და თუ ვერა ავნოთრა, მაშინვე შემატყობინეთ. ზინდარ-ჯადომ ესენი რომ იქ დააყენა თითონ გამობრუნდა და ერთ საშინელ შვიდ თავიან ვეშაპათ შეიცვალა და სადაც ქურუკის წამოსასვლელი გზა იყო იქ მივიდა და ზედ გზაზედ დაწვა.

## ეს ჯადო თავის მანქანებით აქ დაუტეოთ და ქურუკისა და სამსურ ცხენის მცირე ამბავი მოიხსენიეთ.

რა ქურუკმა ნახა რომ თავის სამსურ ცხენი უეცრად გაიქცა, მაშინ თვითონაც თავის კოჭლი-დევით უკან გამოეკიდა, ბევრი რომ სდია ნახა ერთ ადგილას ერთი საშინელი ხევი გამოჩნდა რომელიც თავისი მხეცო ამაზე გადამხტარიყო და ფეხის ნავალი ეტყობოდა, რა მიმოიხედა და ყველგან თვალი მოავლო, ნახა რომ თავის სამცხენა არსადა სჩანს, ცოტა ხანს შედგა და ნახა ცხენის ხვიხვინი შეესმა, მაშინვე იცნო რომ თავის სამსურ ცხენის ხმაა; მაგრამ გზა და კვალი არსადა სჩანდა რომ გასულიყო, ამაზედ ძლიერ შესწუხდა და ფიქრს მიეცა.

მაშინ კოჭლმა-დევმა შეხედა ნახა რომ ქურუკი რაღაცა ფიქრმა მოიცვა, მათუზ-დევმა მოახსენა: ფალევანო, რას შეფიქრიანდი? ნუ სწუხართ, მე შემიძლიან რომ ჭაერით თქვენს სამსურთან მიგიყვანოთ, მაშინ-

ვე მივიდა და კოჭლ-დევს შუბლს აკოცა და უთხრა: თუ მაგისთანა საქმის შემძლებელი ხარ რადას უყურებ, მივიდა და მსწრაფად ზურგს შეახტა და სადა თავის სამცხენა იყო იქ გაჩნდა და მოახსენა, აჰა ესეც შენი ცხენი. ქუჩუკმა შეხედა თავის სამცხენას ნახა რომ რამდონიმე ასი ჯადო შემოხვევია და საშინელ ბრძოლაშია, მრავალი ჯადო დაუხოცია და რამდენიმე რქაზედ აუგია და ისე ქშინავს რომ იმის ქშენის ხმა ხუთს აღაჯზედ გაიგონებოდა, ისე კი დაღლილიყო რომ რუსავით ოფლი გადაზდიოდა. რა ქუჩუკმა ესე დაინახა რომ თავისი საყვარელი ცხენი ისეთს გაჭირვებაშია, მაშინვე მსწრაფად მიიჭრა და ხელნი თავს შემოიხვია, ისეთი ხმით ღვთის სახელი ახსენა რომ იმ არე-მარემ რყევა დაიწყო და რომელნი ჯადონიც სამცხენას ებრძოდნენ ჭაერით სულ ძირს ჩამოცვივდნენ, მაშინვე მოიხედა ქუჩუკის სამცხენამ და რა ქუჩუკი დაინახა ხვიხვინი დაიწყო სიხარულით და ქუჩუკისაკენ გამოექანა და ნავარდობა დაიწყო, მიუახლოვდა ქუჩუკს და თავი მიუშვირა, რამდონიმე ჯადო რქაზედ აცმული ჰქონდა, ქუჩუკმა მაშინვე ამოაცალა, დახოცა და გარდაეხვია ორსავ თვალებში დაჰკოცნა და იმის ერთგულობისათვის ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. ქუჩუკმა მოიხედა ნახა რომ თავის ხმისაგან ჩამოცვივნილნი ჯადონი დედამიწაზე ყრიან და ჯერ გონებას არ მოსულან, მაშინვე ქუჩუკი და სამცხენა დაესივნენ და სულ გაჟლიტეს; რა მათგან მოიცალეს ცოტა დაისვენეს. შემდეგ გამობრუნდნენ და თავის სამცხენაც თან წამოიყვანა. იმ დროს კოჭლი-დევი ჭალაკში შევიდა რა ქუჩუკი გადიყვანა, როგორც დააპირა უკან გამობრუნება და წამოიარა, იმ ხევს მიუახლოვდა, ნახა რომ საითაც უნდა გამოიაროს სწორედ იმ გზაზედ ერთი საშინელი მთის ტოლა შვიდ თავიანი ვეშაპი წევს და აქეთ-იქით მიმოიხედება, მათუზ-დევმა რომ შეხედა ვეშაპს, შიშისაგან დაიკანკალა, გამოიქცა და ქუჩუკს მოახსენა: ფალევანო გავეცალოთ აქედამ ჩქარა, თორემ ათასი თავი რომ გვებას ერთსაც ვერ გადავირჩენთ, ქუჩუკმა ჰკითხა: რა იხილე იმისთანა რომ ეგრე გული გაგხეთქია და წასვლას ჩქარობ? კოჭლი-დევი სირბილისაგან და შიშისაგან ხმას ვეღარ იღებდა და ხელით ანიშნებდა. ქუჩუკმა შეატყო რომ მათუზდევს დიდი შიშის ზარი დასცემია და კრიჭას ვეღარა ხსნის, უთხრა მოდი მხოლოდ მაჩვენე და შენ შორიდამ მიყურე, მე იმას ღვთის ძალით რა დღე დავაყენო, კოჭლი-დევი კანკალით გაუძღვა წინ და წაიყვანა იმ მხარეს რა გზაზედაც ენახა, როგორც იყო კოჭლს შიშის ზარმა გადუარა და ენა ამოიდგა, მაშინ მოახსენა: აი იმ მომავალ გზაზედ ერთი საშინელი ვეშაპი წევს, შვიდი თავი აბია, იმის თვალები დიდ ტბას ემზგავსება, ისეთი ჯაგარი ასხია რომ თითოს შუბის სიგრძე ექნება და შვიდ თა-

ჭიდამვე ენები გამოუყრია და ჭაურში ატრიალებს, ფალევანო ღმერთი იწამე და გამობრუნდი გავეცალოთ.

რა ქურუკმა კოჭლი-დევისკენ იმ გვარი სიმხთალე ნახა, დიდათ გაუწყრა და უთხრა: წინადაც გითხარ თუ ეგრე მხდალობ შენ აქ დადეგ და ისე მიყურე სეირი, ნახე თუ მაგ ბილწს რა დღეს ვაყენებ ღვთის ძალით. მაშინვე თავის მუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა და ღმერთი ახსენა და ვეშაპისაკენ წავიდა, თავის სამცხენიც გვერდ მისდევდა, რა ქურუკი მიუახლოვდა და ნახა, მართლა საშინელი რამ იყო, ისე რომ იმის ნახვით თავმა ტკივილი დაუწყო, ისეთი საზარელი სანახავი იყო, რომ იმისი მზგავსი ვეშაპი არც თვითონ ენახა და არც თუ თავის პაპა ყარამანისაგან სმენოდა იმისთანა რამ. მაშინვე მუხლზე დაიჩოქა და ღმერთს შესთხოვა ესე: „ჵეი ცის და ქვეყნის გამჩენო უფალო, შენ ხარ ჩემი მფარველი შემწე, თორემ მე რა შემიძლიან“. მაშინვე ზეზე წამოსდგა და საომრად მოიმართა ვეშაპზედ. გვერდით სამცხენმა რომ დაინახა ეს საზარელი ვეშაპი დააპირა სვავივით ზედ მივარდნა მაგრამ ქურუკმა არ გაუშვა და დატუქსა. რა მიუახლოვდა ვეშაპს, საშინლად ღვთის სახელი შესძახა, ისე რომ ხმისაგან ზღვამ ღელვა დაიწყო. რა იმ ბილწ ვეშაპს ქურუკის ხმა ესმა თავი აიწია ნახა რომ ერთი ჭაბუკი ერმა ფალევანი მორი-ახლოდ მისულა და დგას დიდი მრისხანე სახით. ვეშაპმა მაშინ პირი დააღო და შვიდ თავიდამვე საშინელი ენები წამოყარა თითო ძელების ტოლა და დაუმტვინა. კოჭლი-დევი ამ დროს მორი-ახლო უყურებდა და მთავარი მცნება დაჰკარგოდა შიშით და ღმერთს ევედრებოდა ქურუკის გადარჩენისათვის. ნახა რომ ვეშაპმა პირიდამ ცეცხლის ყრა დაიწყო, ღმერთმა ბრძანა და იმ ჟამად აღმოსავლეთის მხრიდამ ერთმა ძლიერმა ქარმა დაჰბერა და ცეცხლმა ქურუკამდის ვეღარ მიაღწია და დაიფარა ღვთის განგებამ, თუ ცეცხლი ქურუკამდე მიღწეულიყო ორივე დაიწოდნენ ქურუკიც და სამცხენაც. წყეულმა ვეშაპმა რომ ცეცხლით ვერა დააკლორა, წამოხტა და ქურუკს შეუტია, პირი დააღრიბა და უნდოდა რომ შთაენთქა, ისე მივარდა ზედ, მაშინ ქურუკმა ღვთის სახელი ახსენა და თიღიყამუამს ხელი გაიკრა და შემოსაკრავად მიუტანა, ვეშაპმა როდესაც ქურუკის ძლიერი თიღიყამუამი იხილა გვერდს გადუხტა იცოდა რომ იმის ნაკრავს ვერ გაუძლებდა და მაშინვე უჩინო შეიქმნა. როდესაც ქურუკმა ესე იხილა დიდათ შესწუხდა და მრისხანებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო და ვეღარსად იხილა ის წყეული, მაშინვე გამობრუნდა თავის სამცხენითურთ.

რა ზინდარ-ჯადომ ნახა რომ ამაობით ვერა დააკლორა, მაშინ ჭაერში აღიწია და თავისი ჯადოს ლაშქრით ჭაერიდამ ცეცხლის ყრა დაუწყო,

ქურუკმა მაშინვე იგრძნო რომ ის ვეშაპი ჯადო ყოფილა, მაშინ ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და მაღლა აიხედა, მაშინვე დიდის ხმით შესძახა: ჩემო მე წყეულო ზინდარ-ჯადოვ, შენ ეშმაკობით მე ვერას დამაკლებ და თუ ხელში ჩაგივარდე ვაი შენი ბრალი. ამ დროს ბინდმაც მოატანა, მაშინვე ქურუკი თავის სამცხენაზე ამხედრდა და თავის ბინისაკენ წამოვიდა და კოჭლი დევიც თან წამოიყვანა.

რა ქურუკი თავის დევებმა დაინახეს, ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს და გამარჯვება მიულოცეს. დასხდნენ და ცოტა რამ შემწვარი ნადირის ხორცი მიირთვეს, ქურუკიც შეექცა და ღმერთს მადლობა შესწირა და პატარა ხანს მოსვენებას მიეცა.

## ქურუკი ამ მოსვენებაში დაუტეოთ და ისევ ზინდარ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

ზინდარ-ჯადომ იფიქრა ეს რა გულოვანი ფალევანი ყოფილა რომ მე რამოდენა ჯადოები შევქმენ და ვერაფრით ვერა ვავნერა და ვერც შევაშინე, მე რომ იმ ვეშაპის სახედ ვეჩვენე და პირი ვერ გაბრუნებინე, შვიდთავიან დევს რომ ვენახე ისიც ვერ გამიძლება და ამ ფალევანმა კი ცოტა დარჩა თავის თილისმამით შუაზე გამკვეთა, ეტყობა რომ ამათ გვარს ჯადო არ ეკიდება და ძალითაც ამათ მომრევი ძნელად გამოვა ქვეყანაზედ, მე რომ ვხედავ ქურუკის საქმეს ზარბაქ-დევიც ვერ გაასწორებს და იქნება ისიც კი დაიმორჩილოს და მაშინ ჩვენ დევთა სახელიც დაეცემა, რა ცოტა დაფიქრდა, მერე თქვა—არა ერთი რამ მანქანა გვალად უნდა მოუგონოთ, ეგები იმით ვავნოთ როგორმე, თორემ ჩვენი საქმე ძლიერ ცუდათ არის. იმ ღამეს შუაღამისას ზინდარ-ჯადო, ქურუკის სიახლოვეს დაიარებოდა და დროს ეძებდა რომ როგორმე ხრიკი ეგდო, იმ დროს კოჭლი-დევი წამოდგა და წრის გარეთ გამოვიდა ორის დევით უცოდინრობით და იმ დროს ზინდარ-ჯადომ თვალი შეასწრო, მაშინვე იცნო რომ მათუზ-დევია ქურუკის ერთგული და შემწე, მაშინვე შეულოცა და თავის ორის ამხანაგებით შეიპყრო და თავის ბინაზე წაიყვანა, მათუზ-დევი ცნობას რომ მოვიდა თავის თავი შეკრული ნახა და ორიც თავის ამხანაგი, კოჭლი ძლიერ შესწუხდა მაგრამ რაღას გააწყობდა, მიიხედა მარცხენა მხარეს ნახა რომ ზინდარ-ჯადო უკან უდგა, ჯადო რომ დაინახა ძლიერ შეშინდა, ისეთი საშინელი სახის სანახავი იყო რომ კაცს გული აერეოდა და შიშით ნაღველა გაუსკდებოდა, კოჭლმა-დევმა იფიქრა, ამას უნდა ოსტატობით მოვექცე თორემ ჩემი საქმე ცუდათ არისო. ჯადომ უთხრა: კოჭლო

შენ იქ რას დაეხეტებოდი ან იმ გორაზედ მეოფე ფალავანი ვინ არის? შენ გეფიცები და ყოველივე წვრილად უნდა მიამბო თუ შენი თავის სიცოცხლე გსურს. კოჭლმა-დევმა იფიქრა თუ სწორედ უთხრა მეშინიან ვაი თუ ქურუკს ავნოს რამე და ამის ბრალს გაებას, მე ქურუკს როგორღა შევხედო სახეზე, და თუ ტყუილები უთხრა მე ამას ვერ მოვატყუებ და ხომ ტყუილს შეამჩნევსო. მაშინ კოჭლმა-დევმა მოახსენა: ჯადოთ ხელმწიფევ, რასაც მკითხავ ყველას სწორედ მოგახსენებ. ზინდარ-ჯადომ ჰკითხა იმ ფალავანს ის მხეცი ვინ მისცა და ან სად იშოვნა? ან თვითონ ის ყმარწვილი ფალავანი ვინ არის ჩამომავლობით?

კოჭლმა-დევმა თავი დაუკრა და მოჰყვა ქურუკის ვინაობას და სამსურ-ცხენის შოვნაზე დაწვრილებით. ან ის ცხენი როგორ იშოვნა ქურუკს, ან ჯინთა ხელმწიფეები როგორ დაემარცხებინა, ან ნიშკალ-ჯადო და სანგურ-ჯადო როგორ დაეტყვევებინა და ტყავები დაეძრო, ყველა დაწვრილებით უამბო. შემდეგ ჯადომ უთხრა: მათუზ-დევო, მაჭპალ-ფერიის ქალი გულიჯანი ამის ცოლია, და ინდოეთის ხელმწიფის როშან-ბახტის ცოლი რუიზანი ამის დაა? სწორედ მითხარ და ჩემი ღმერთის რაჯაბის მადლმა გაგანთავისუფლებ და საცა გინდოდეს იქ გაგისტუმრებ რომ შენ არავინ არა დაგიშავოსრა. მაშინ კოჭლმა-დევმა იფიქრა, თუმცა ამან გამანთავისუფლოს მე ამ არე-მარეში არ მაბოგინებს და სხვაგან მე რა მესაქმება, აქედამ მე ქურუკს უფრო მოვეხმარები, მე ვიცი რომ ეს წყეული ქურუკს როგორმე ხელთ იგდებს და საქმე საჭიროდ გახდება. მაშინ კოჭლმა-დევმა მოახსენა: „ჯადოთ ხელმწიფევ, მე თუმცა გამანთავისუფლო ვისთანა უნდა წავიდე! რაცა თქვენ გნახეთ, მე თქვენ არაოდეს არ მოგშორდებით. იმ ღამეს თქვენ რომ წამომიყვანეთ მე მაშინ იმის სიკვდილს ვაპირებდი, მაგრამ წრეს ვერ შევძელ, და ახლა სწორედ მოგახსენო რომ მკითხავდი: გულიჯანი მაჭპალ-მაჭპის ქალი, ამის ცოლია, და ინდოეთის ხელმწიფის როშან-ბახტის ცოლიც რუიზანი ამისი დაა არის.

ზინდარ-ჯადომ ყველაფერი რომ გამოჰკითხა და გაიგო, მაშინ მათუზ-დევს შეულოცა, შეჰბერა და ერთ დიდ ულაყ ვირათ გარდააქცია და მისი ორი ამხანაგი დევებიც ქოფაკ ძაღლებათ და იმ ვირთან დააბა და ერთი ჯადო დარაჯათ დაუდგინა და უბრძანა, დღეში ას-ას მათრახ დაჰკრავ ტანზე და საზდოთ აძლიე თითო გირვანქა ჰუში ხორცი, რომ არ დაიხოცნენ, იმიტომ რომ მე მაგათთან ჯერ ბევრი საქმე მაქვს და ვეცდები რომ მაგათ ბატონი ქურუკიც ხელთ ვიგდო და ყველანი ერთად ზარბაქ-დევს წარუდგინო. შემდეგ ცოტას დაფიქრდა და თქვა: არ ვიცი რა გზით შევიპყრა ის მიწის შვილი, ჯადო იმას არ ეკარება და ძალითაც მე

იმას ვერას ვავნებ, თუ ჯადოს ლაშქარი შემოვახვიო, მარტო ამის მხეცს ვერ გაუძლებენ, თუ არა და მაშ როგორ გავაბა ჩემ მახეში?..

## ზინდარ-ჯადო ამ ფიქრში დაუტეოთ და ისევ ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

რა დილა გათენდა ადგა ქუჩუკი ძილიდამ, ღმერთი ადიდა, შემდეგ ნახა რომ თავისი ერთგული კოჭლი-დევი და ორიც სხვა დევნი აღარ არიან, ჰკითხა დანარჩენ დევებს და მათაც მოახსენეს მათი ამბავი, ქუჩუკი დიდათ შესწუხდა და თქვა: ეტყობა რომ წრის გარეთ გასულან და ჯადოებს დაუჭერიათ. მაშინვე თავის სამსურ ცხენზედ ამხედრდა და წავიდა ჭალაკში საძებნელად, ის დანარჩენი დევები გააფრთხილა რომ წრის გარედ არ გასულიყვნენ. ქუჩუკი წავიდა ბევრი იარა მაგრამ კვალიც ვერა ჰპოვა, ისევ უკან დაბრუნდა ბინაზე და დიდს ფიქრს მიეცა.

## ქუჩუკი ამ კოჭლი-დევის ფიქრში დაუტეოთ და ზინდარ-ჯადოს ამბავი მოისმენიეთ.

ზინდარ-ჯადომ იფიქრა, მე ხომ ქუჩუკთან ვერას გავაწყობ, ვერც ჯადოთი და ვერც ძალოვნობით, ახლა სხვა საშუალება რამ უნდა მოვიხმარო. მაშინვე ორი ჯადო მოიხმო, რაღაცა შეულოცა და ქალათ აქცია, მერე ერთი მწვანე შუშით რაღაც წყალი მოიღო და პირზედ წასცხო. ეს ქალი თუ სახით და თუ მშვენიერებით სწორედ რუიზანს დაამზგავსა, და აგრეთვე მეორე ჯადოსაც ამ გვარათვე შეულოცა და გულიჯანს მიამზგავსა, ისე რიგათ რომ ვერავინ შეამჩნევდა თუ ესენი რუიზანი და გულიჯანი არ იყვნენ. შემდეგ თვითონაც როშან-ბახტის სახეთ შეიცვალა და ერთი ჯადოც ზორაბ-შაჰას სახეთ შესცვალა, რამდენიმე ჯადოც იმათ მოახლეებათ დართო და მიამზგავსა. იმ წყეულმა ისე მოამზგავსა ყველანი რომ ვერავინ ვერ შეამჩნევდა თუ ისინი არ არიან. ამ ჯადოქარობას რომ მორჩა, შემდეგ ათასი რჩეული და გამოჩენილი ჯადო სულ ფერიების სახეთ შეცვალა და ჰაერში აფრინდნენ და მრავალი უცხო ტახტები შეაკვრევინა, ერთ ტახტზე რუიზანი და გულიჯანი დასხა, მეორე ტახტზედ თვითონ დაჯდა და გვერდ ზორაბ-შაჰა მოისვა და ჰაერით წამოვიდნენ ქუჩუკისაკენ.

---

## ამ სახით შეცვლილ ჯადოებს თავი დავანებოთ და ქუჩუკისა მოიხსენიეთ.

იმ ჟამად ქუჩუკს რომ თავის ერთგული მათუზ კოჭლი-დევი და ორიც სხვა დევნი დაეკარგნენ, ამათთვის დიდათ ფიქრობდა და ღონდებოდა რომ მათი დაკარგვა ვერა გზით ვერა სცნო, ამ ფიქრში რომ იყო მაღლა აიხედა ნახა რომ აღმოსავლეთის მხრიდამ მრავალი ფერიების ლაშქარი მოდის და შუაშიაც ორი დიდი ტახტი მოაქვთ, გარეშემო ფერიებით შემორტყმული. ქუჩუკმა რომ ესე ნახა იფიქრა ნეტარ ვიცოდე ესენი ვინ არიან და ან ფერიის ლაშქარს აქ რა უნდა, ან ეს ტახტზე მჯდომნი ვინ უნდა იყვნენ!?..

## ქუჩუკი ამ ფიქრში დაუტეოთ და ზინდარ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

მაშინვე ეს მომავალი ზინდარ-ჯადოს შეცვლილი ფერიებათ ლაშქარი სწორედ ქუჩუკის ბანაკისაკენ წამოვიდნენ და შორი-ახლო კარვები დასცეს და დადგნენ. ქუჩუკი თავის წრეში იდგა და გაოცებული უყურებდა, ქუჩუკის სამცხენამ რომ ამოდენა ჯარის მოსვლა ნახა, შეტევას ლამობდა მაგრამ ნახა რომ ქუჩუკი გულმშვიდათ უყურებდა, თითონაც მოთმინებას მისცა თავი, შეხედა ქუჩუკმა ნახა რომ იმათში, ზორაბ-შაჰა, როვშან-ბახტი, გულიჯანი და რუიზანი გამოჩნდნენ და ქუჩუკისაკენ სიხარულით წამოვიდნენ. როდესაც ქუჩუკმა ისინი იხილა, სიხარულით კინაღამ გადაირია და ამათკენ გაექანა და იმათაც ჩქარის სიარულით ქუჩუკს მოაღწიეს და ერთმანერთს გარდაეხვივნენ, დიდხანს ესე გარდახვეულნი იყვნენ.

შემდეგ ქუჩუკმა თავიანთ სახლის ამბავი ჰკითხა, ნარიმანისა, ჰუსნიარასი, სარვიხურამანისა და სხვების მრავლისა, მათაც მშვიდობით ყოფნა მოახსენეს, მაგრამ ეს წყეული ზინდარ-ჯადო და სხვანი, ქუჩუკს რომ უყურებდნენ შიშით სულები ელეოდათ, ქუჩუკის სამცხენა იმათ გაჯავრებული იდგა და ქუჩუკს შესცქეროდა და ხან ისე ტოკავდა რომ უნდოდა შეეტია ჯადოებისთვის. ქუჩუკმა თავის საყვარელ გულიჯანს ხელი გაუყარა და მეორე ხელიც თავის დას რუიზანს, ისე მკლავებ გაყრილი თავის სადგომ წრისაკენ წაიყვანა, რა ამათ ქუჩუკის წრე იხილეს დიდათ შეწუხდნენ, ამათ კარგა იცოდნენ რომ ისინი წრეს ვერ შევიდოდნენ და ქუჩუკი ამით გაუგებდა იმათ ეშმაკობას. მაშინ მათ მოახსენეს, ფალევანო თუ შეიძლება პატარახანს ამ მშვენიერ მწვანეზედ დავსხდეთ სასიამოვნოთ, და

ქურუკმაც მოინება მწვანეზედ დაჯდომა, მაგრამ ქურუკის სამცხენა იმათ მოისხანე თვალს არ აშორებდა და ატყობდა რომ ისინი ჯადონი იყვნენ, უენობით ვერას ეუბნებოდა და თავის პატრონს ვერას ატყობინებდა, ჯადონი და ქურუკი რომ ჩამოსხდნენ მწვანეს, მაშინ რაც შეეძლოთ ულოცავდნენ ქურუკს და თავის სამცხენას,—და მალ-მალე უბერავდნენ, მაგრამ ღვთის ძალით იმათ ლოცვამ ვერ იმოქმედა. მაშინ ქურუკი ამათ პირის ცმაცუნში ეჭვი აიღო და თავის გუნებაში სთქვა: გულიჯანს აქ რა მოიყვანდა ან რუიზანს და სხვებს, არამც თუ ესენი ჯადონი იყვნენ. მაშინ რომელიც გულიჯანის სახედ ჯადო იყო, იმ ჯადომ მოახსენა: ჩემო საყვარელო როგორც გეტყობა ჩვენი მოსვლა გეწყინა რომ ეგრე მოიწყინე? ქურუკმა უთხრა: მე სხვა ფიქრში წავედი, ჩემი სხვა ფიქრი ის არის რომ, ნეტარ როდის მეღირსება ზარბაქ-დევზე წასვლა რომ ბოლო მოუღო მალე იმ წყეულს. მერე კვალად დაფიქრდა და თავის კოჭლი-დევის ფიქრს იყო. ამ ფიქრის აზრში გამოეცხადა თავის ერთგული კოჭლი-დევი და უთხრა: „ჩემო საყვარელო ქურუკ, გაუფრთხილდი რომ ეგენი უყველანი ჯადონი არიან, თორემ შენი საქმე გათავებულია, ეცადე ჩემსავით შენც არ შეკაიპყრონ“. რა გონებას მოვიდა ნახა რომ გულიჯანის სახით და რუიზანის გვერდით უსხედან მწვანეზედ და კვალად პირებს აცმაცუნებენ და თვალებში შესცქერიან და კოჭლი-დევი კი არსად იყო. მაშინვე ქურუკი ფეხზე წამოიჭრა და ერთი უეცრად ასეთის ხმით შესძახა სახელი ღვთისა რომ იქაურობა შეიძრა, ქურუკის მოისხანე ხმა რომ გაიგონა სამცხენამ, მაშინვე გაექანა ჯადოქარ ფერიის ლაშქრისაკენ გაჯავრებული, დაერია და რქით, ფეხით და პირით სულ გალეწა.

ქურუკიც მაშინვე მისწვდა და მხოლოდ ის ოთხი ჯადო დაიჭირა, რომელნიც გარდაქცეულნი იყვნენ: გულიჯანათ, რუიზანათ, როვშან-ბახტათ და ზორაბ-შაჰათ; ესენი დაიჭირა, მაგრად შეჰკრა და წრეში შეათრია დააბორკილა და თავის დევებს ჩააბარა. თვითონ გამოვიდა წრიდამ და შეხედა ნახა რომ თავისი ერთგული სამცხენა, იმ გვარ გაცხარებული ებრძვის იმ ჯადოს ლაშქარს რომ ერთობ გაუჩანაგურებია. იმ დროს ქურუკმა მაღლა აიხედა, ნახა რომ უთვალავი ჯადოს ლაშქარი მოვა ჭაერით რომ ჭაერი სრულიად დაუბნელებიათ და მაშინვე იწყეს ჭაერიდამ ცეცხლის ყრა და საშინელი ქარიააყენეს, სიცივე და სეტყვა, ისეთი კიჟინა შექმნეს რომ მეორეთ მოსვლას დაამზგავსეს, მაგრამ უფლის წყალობა ქურუკის თავზე ტრიალებდა და ვერა ჯადო ვერ მოეკიდა. ქურუკმა მაშინვე ღვთის სახელი ახსენა და დიდი ნარა გასწია, იმის ხმაზედ რაც ჭაერში ჯადონი იყვნენ სულ ძირს ჩამოსცვივდნენ, ამ ჟამად ქურუკმა ხელი გაიკრა თავის

ხმალს და დაკრია, ერთ მხრიდამ თავის სამსური და მეორე მხრიდამ ქუ-
ჩუკი ისე გაწყვიტეს რომ მესამედი აღარ გაუშვეს, დანარჩენიც ჭკერით
გაიქცნენ. რა იმათგან მოიცალა გამობრუნდა, მივიდა იმ დაჭერილ მეც-
ლილ ჯადოებთან თავის წრეში, ასეთვერი არა ჭკვითა, მაშინვე დააწვინა
ოთხივენი და ფარვან-დევისაგან ნასწავლი ერთი ლოცვა შეულოცა და უბი-
დამ ოთხი დიაცის თმა ამოიღო და იმით ხელის თითები (ცერები) შეუკ-
რა და თავიანთ თმები აჭკვეცა, დაკრიხა და უკლებზედ მიაბა; დანარჩენი
უბეში შეინახა და დევებს უბრძანა რომ იმათზე თვალყური დაეჭირათ და
თვითონ საჩქაროდ თავის გოჭილი-დევის საძებნელად დაემზადა, წრიდამ გა-
მოვიდა თავის სამცხუნაზე ამხედრდა და მათუზ-დევის საძებნელად ჭკლაში
შევიდა, გზა კვალი დაზვერა ნახა რომ მრავალ ადგილს ჯადოს ნავალი
იყო იმით კვალს მიჰყვა, ბევრი სიარულის შემდეგ ერთ ხდგილას მიხე-
და ნახა რომ ერთი ულაყი სახედარი აბია და ყროყინებს, იმასთან ორიც
ძაღლი აბიან და ესენიც ჭლმუიან და წკმუტუნებენ, რა ახლოს მივიდა და
გარკვით დაზვერა ნახა რომ ძაღლები სახედრის გისერზედ არიან გამოი-
მულნი და საშინლად იტანჯებიან და რომლითიმე ჯადოთიც იმათ უდარაჯებენ.

ქუჩუკმა რომ ესე იხილა, მაშინვე ნარა გასწია და იმ დარაჯ ჯადოებს
მიუხტა, რა ჯადოთ იმის ნარის ხმა მიესმათ ზოგი დაიხრჩა და ზოგიც
გადიხვეწნენ, მაშინ ქუჩუკმა ხმალს ხელი გაიკრა და სულველა ამოსწყვი-
ტა რომელნიც დარჩომილიყვნენ, ისე რომ იმათგან მოამბეც კი აღარ გა-
უშვა. მაშინვე გამობრუნდა და იმ სახედართან და ორ ძაღლთან მივიდა,
რა სახედარმა და ძაღლებმა ქუჩუკი დაინახეს, სიხარულით ძაღლებმა შეჭ-
ყეფეს და ცრემლები გადმოყარეს და ფეხით ლოშვნა დაუწყეს, ქუჩუკმა,
მაშინვე შეიტყო რომ სახედარი თავის ერთგული მათუზ-დევი იყო და
ძაღლებიც თავის დევებთაგანი რომელიც დაეკარგა იმ ღამეს, მაშინვე ჯა-
ჭვები დაუწყვიტა და გაანთავისუფლა, მაგრამ ისევ სახით შეცვლილები
იყვნენ ჯადოების ძალით, მაშინვე თან წამოასხა და თავის ბინაზე მოვი-
და. როდესაც ამ ულაყმა სახედარმა და ძაღლებმა შეკრულნი ჯადონი იხი-
ლეს დიდად გაიხარეს და ქუჩუკს იმათ დახოცვას ევედრებოდნენ. ქუჩუკმა
მაშინვე ის შეკრული ჯადოები წრის გარეთ გამოაყვანინა დევებს და უბრ-
ძანა რომ ისინი თავიანთ სახედ შეეცვალათ და ჯადოებს ფიცი მიეცათ რომ
ჯადოქრობა აღარა ექნათ და განთავისუფლებოთო. ამაზედ იმათ უარი ჰქვეს
და უთხრეს: ფალევანო ჩვენ ჯადოქრები არა ვართო, მაშინ ფარვან-დევის
ერთი ნასწავლი ლოცვა მოაგონდა, მაშინვე ამათ ის ლოცვა უთხრა, რა
ლოცვა გაათავა, ჯადოებს მაშინვე ის მშვენიერი ქალის სახეები უცბ ეკა-
რათ და ერთი საზარელი და მახინჯი სახეები დაედვათ, ისეთნი რომ ვი-

საც ენახა გულები აერეოდათ, მეტადრე ის წყეული ზინდარ ჯადო ისეთი საზარელი სახისა იყო რომ იმაზე უსაძაგლესი არაოდეს არ იქნებოდა ქვეყანაზედ. წვერ-ულვაში ერთმანერთში გართხული ჰქონდა, ტუჩები გადაბრუნებული ხელის თითების ჭლანკები თითო მტკაველი, ყურები დავაშებს უგავდა, ისეთი ბილწი სახე ჰქონდა რომ კაცს ეგონებოდა თავის დღეში პირზე წყალი არ შეესხა. ქუჩუკმა შეჰყვირა! თქვე წყეულნო აკი ჯადონი არ იყავით და წმინდა სულნი იმყოფებოდით? აბა ახლა მიუყურეთ ღვთის ძალით რა ლხინში და ქეიფში შეგიყვანოთ. მაშინვე დევებს უბრძანა რომ გულათ ამოელოთ, თითო-თითოდ, რომ თვითონვე ეყურათ თავიანთ სიკვდილისთვის. თუმცა ბევრს ეხვეწნენ ყველანი, მეტადრე ზინდარ-ჯადომ და ერთგული სამსახური აღუთქვა სიკვდილამდის, მაგრამ ქუჩუკმა არ შეიწყნარა. დევებს ანიშნა და პირველად ზინდარ-ჯადო გაკუწეს, ბალახით გატენეს, შემდეგ იმის ამხანაგები თითო-თითოდ გაკუწეს და სეირი აყურებინეს ერთმანერთს, პირველად რომ ზინდარ-ჯადო მოკლეს, ეს შეცვლილნი დევნი რომელნიც ახლდნენ და ძაღლებად იყვნენ, მისცვივდნენ იმის სისხლს და ამოისვარნეს, ზინდარ-ჯადოს სისხლი რომ ეცხოთ, ამათგან საშინელი წივილი გამოხდა და ბოლი ავარდა, მაშინვე თავთავიანთ სახე მოიღეს. მხოლოდ სამი გააკუწინა და ერთი ჯადო კი ცოცხალი დასტოვა.

იმ დროს რა კოჭლი-დევი თავის ამხანაგებით, თავიანთ სახეს შეიცვალნენ, სამნივე მივიდნენ და ქუჩუკს ფეხთ ემთხვივნენ, ფალევანმა უბრძანა: აბა ჩემო მათუზ, ახლა უნდა გაისარჯო და ერთი დიდი ძელი მოიღო რომ ეს ჩვენი მტერ-მოყვარენი იმ ძელზედ ჩამოვჩონჩხლოთ. მაშინვე მათუზ-დევმა თავი დაუკრა სიხარულით და წავიდა ჭალაკში შევიდა ერთი უზარმაზარი ხე მოსჭრა და მოიტანა, ის ხე ერთ გამოჩენილ ადგილას დაარჭმევინა და ზედ ჩამოჰკიდა ის გუდები, ისე როგორც ნიშკალ-ჯადო და იმის ამხანაგი.

შემდეგ მოუბრუნდა და იმ დატოვებულ ჯადოს უთხრა: შენ არ მოგკლავ თუ აღთქმას დამიდებ რომ რაც გიბრძანო აღმისრულო. მაშინვე ის ჯადო მივიდა პირქვე დაეცა და ქუჩუკს ფეხთ აკოცა და მოახსენა: ფალევანო, მე რომ თქვენი ძლიერება ვნახე, მთელი ქვეყანა რომ ზარბაქდევათ გარდიქცეს, მაშინაც თქვენი მორევა არ შეიძლება, ახლა რადგანაც მაგისთანა წყალობა მოიღე და სიკვდილიდამ მანთავისუფლებ, მეც მიწამებია თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი და სიკვდილამდისაც შენი ერთგული მონა ვიქმნები როგორც მათუზ-დევი. მაშინ ქუჩუკმა მადლობა უბრძანა და უთხრა: მაშ მე შენ ახლა პირველ სამსახურში გამოგცდი, შენ ახლავე ამ გაკუწულ ზინდარ-ჯადოს თავი მოჰკვეთე და ზურგზე აიკიდე და ზარბაქ-

დევს ჩაუტანე და ეხე უთხარ ჩემს მაგივრათ რომ, ჩემგან შეყვარებულ ღვთის მადლით შენც ეხე მოგჭრი თავსა თქო — და ამ მოკლე ხანში შე-ნი სტუმარი ვიქნები და კარგა უნდა გამიმასპინძლდე თქო. მერე თუ შენ ჩემი ერთგული შეიქმენ, ეხე რომ მოახსენო, გამოიპარე და მალე წამო-დი ჩემთან, იქაურობაც კარგა დაზვერე ნახე თუ რა სიმაგრეები აქვს, ან ლაშქარი რომელ მხრებში გაუსტუმრებია, ან თვითონ რას იტყვის, ყო-ველივე დაზვერე და ცნობა მომიტანე. ქუჩუკმა შემდეგ ჰკითხა, სახელად შენ რა გეწოდება? განთავისუფლებულმა ჯადომ მოახსენა: ჩემი სახელი სამანდუზ-ჯადოა.

## აქ ქუჩუკი თავის სამზადისში დაუტევოთ და სამანდუზ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

Სამანდუზ-ჯადომ მაშინვე ძელზედ ჩამოკიდებულ ზინდარ-ჯადოს თა-ვი მოჰკვეთა ერთ ძონძში გაახვია, ზურგს აიკიდა და გასწია საჩქაროდ, იმ ადგილს მიაღწია სადაც ზარბაქ-დევის პირველი სარდალი იყო, ათასის გულოვანი მამაცით იდგა და ქუჩუკის გზას მოელოდა. შეხედა ნახა რომ თავიანთ სამანდუზ-ჯადო საჩქაროდ მოვა და ზურგსაც რაღაცა ჰკიდია, მა-შინვე ზამბარ-დევს აცნობეს, ჰეი უწარჩინებულესო ფალევანო, ჩვენი სა-მანდუზ-ჯადო საჩქაროდ მოდის და ზურგსაც რაღაცა ჰკიდია. იმ დროს სამანდუზიც მივიდა, ჯადომ შეხვეული ტვირთი ძირს დასდო და მძიმედ სალამი მისცა ზამბირ-დევს, ზამბირ-დევმა ჰკითხა, სამანდუზ ეგრე გაჩქა-რებული საიდამ მოხვედი ან რა ამბავი იცით, მაგ ძონძში რა გაქვს გა-მოხვეული გეტყობა რომ იმ მიწიდამ შექმნილის თავი მოგიჭრია, მაგისა-თვის შენ ზარბაქ-დევისაგან დიდ ჯილდოს დაიმსახურებ, სამანდუზ-ჯადომ ერთი დიდათ ამოიოხრა და მოახსენა: დევთა სარდალო, რაც ჩვენ ქუჩუ-კისაგან დაგვემართა და გავიჟლიტენით ყველანი, ზინდარ-ჯადოდამ და-წყებული დიდი თუ პატარა რომელი ერთი მოგახსენო და თავ ჩამოგდე-ბით დაჩუმდა.

რა ზამბირ-სარდალმა ესეთი ამბავი გაიგო, დიდათ შესწუხდა და შე-შინდა კიდეც ძალიან, და უთხრა სამანდუზ-ჯადოვ, მაგას რას მეუბნები! ჩვენ ზინდარ-ჯადოსაგან დიდი იმედი გვქონდა და როდესაც იმისთანა ჯა-დო მაგ განსაცდელში ჩაუგდია, მაშასადამე ჩვენც დიდი სიფრთხილე გვმარ-თებს. მაშინვე წამოდგა სამანდუზ-ჯადო და საჩქაროდ ზარბაქ-დევისაკენ გასწია დაღონებული. რამდენიმე დღე იარა და ზარბაქ-დევთან მივიდა.

რა დევთა უფროსებმა და სარდლებმა თავიანთ სამანდუზ-ჯადო და-

ინახეს, კარს შემოეხვივნენ და ახალ ამბავს იკითხვიდნენ, მაშინ ჯალომ მოჰყვა დალოცვით და რაც ქურუკ-ყარამანისაგან გარდახდომოდათ ყოველივე დაწვრილებით უამბო. ამათ მაშინვე ეს ჯალო ზარბაქ-დევთან წაიყვანეს.

რა სამანდუზ ჯალო მივიდა ზარბაქ-დევის წინაშე, სამ ადგილას აკოცა თაყვანი სცა და ზინდარ-ჯალოს მოჭრილი თავი წინ დაუდო. იმ დროს როდესაც ზარბაქ-დევმა თავისი საყვარელი სარდლის ზინდარ-ჯალოს მოჭრილი თავი დაინახა, ისე გაბრაზდა რომ იმისი მაყურებელი იქ ვერავინ დადგა და მრავალთა გულები შეუღონდათ, ამიტომ კარში გამოეცვივნენ, თავის მომტან სამანდუზ-ჯალომ რომ დაინახა იმისი ამ გვარად გაცეცხლება მიმისაგან კანკალი დაიწყო და კინაღამ ჭკუას შესცდა. ზარბაქ-დევმა თავისთან მიიხმო ამ თავის მომტანი და ჰკითხა, როგორ მოხდა ყველაფერი დაწვრილებით მიამბეო.

მაშინ მოჰყვა სამანდუზ-ჯალომ და რაც თავს გარდახდომოდა ყოველივე წვრილად მოახსენა. ზარბაქ-დევმა ჰკითხა, ახლა რომელ მხარეს იმყოფება ის მიწის შვილი? ჯალომ მოახსენა: სადაც რომ დაეტოვებინა იგი. ესეც შემოგითვალა ფადიშაჰთა ფადიშაჰო, ამ ორიოდე დღის შემდეგ შენი სტუმარი ვარო და კარგა უნდა მომასპინძლდეთო. სამანდუზ-ჯალომ რომ ყველაფერი უთხრა ქურუკის დაბარება, მაშინვე კარზე გამოვიდა და თვალიდამ მოშორდა. მაშინვე ზარბაქ-დევმა რომელნიც თავისათვის ბილწი სარდლები ჰყვანდა სულ ყველა შემოიკრიბა და ეს ამბავი გამოუცხადა. მაშინ თავის დევის სარდლებს დიდი შიშის ზარი დაეცათ თავს და დიდ სამზადისში შევიდნენ. ზარბაქ-დევმა უბრძანა ერთ თავის სარდალს, შენ ახლავე უნდა შენის დევის ლაშქრით წახვიდე ამბირ-დევთან და თქვენ ორნივ სარდალნი, უნდა უცადოთ და ჩემკენ არ გამოუშვათ. მაშინვე ეს დევთა სარდალი თავისის ჯარებით წამოვიდა და ანბირ-დევს შეუერთდა და ერთს ადგილს დაბანაკდნენ და ომის თადარიგში იყვნენ.

## აქ ეს სარდლები თავიანთ თადარიგში დაუტეოთ და ზარბაქ-დევიც თავის ბილწ სარდლებთან, და ისევ დავბრუნდეთ იმ სამანდუზ-ჯალოსთან რომელიც ქურუკმა ზინდარ-ჯალოს თავი გაატანა.

ზარბაქ-დევს როდესაც ზინდარ-ჯალოს თავი მიუტანა სამანდუზ-ჯალომ, და ქურუკისაგან შესჩივლა, ზარბაქ-დევი ძლიერ გაცეცხლდა ისე რომ მეხის ჭექას დაემზგავსა და მიმისაგან ყველანი კარზედ გამოვიდნენ. ამ

სამანდუზ-ჯადოსაც შეეშინდა და ესეც კარზედ გამოვიდა, (იფიქრა მე ხომ ნამდვილად ვიცი რომ ქურუკს არამც თუ ზარბაქ-დევი არამედ ვერც ვერავინ სძლევს და ესეც კარგა ვიცი რომ ამ ქვეშკნეთის სულ ის ჩაიგდებს ხელში და რადგანაც ქურუკს მეც აღთქმა დაუდე, ისევ იმასთან დავბრუნდები და რაც ამათი ვითარებას გავიგე ყველაფერს გაცნობებ). მაშინვე გამოსწია და ქურუკისაკენ წამოვიდა, დიდი გზა გამოიარა და ქურუკთან მოვიდა, რა ქურუკმა ნახა რომ თავის სიტყვაზედ მტკიცე იყო, ძლიერ გაიხარა და მრავალი საჩუქარი უბოძა. სამანდუზ-ჯადო მოუყვა და რაც რომ ზარბაქ-დევთან ენახა და დაეზვერა, ყოველივე წვრილად აცნობა.

## ამას აქ თავი დავანებოთ და ქურუკის წასვლის ამბავი მოისმინეთ, ზარბაქ-დევისაკენ.

როდესაც სამანდუზ-ჯადო მოვიდა უკან და ყოველივე დაწვრილებით აცნობა ზარბაქ-დევის ამბავი, მაშინვე მზადებას შეუდგა წასასვლელად, მათუზ-დევი მოიხმო ქურუკმა და უბრძანა: მათუზ, შენ წახვალ და ერთ დიდ მარმარილოს ქვას მოიტან რომ ყოველივე ჩემი მოქმედება ამ ჯადოებზედ, უნდა მოკლედ დავწეროთ და აქ დავდგა. მათუზ-დევმა მაშინვე თავი დაუკრა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ოკეანეს ზღვისაკენ წავიდა, იქ ერთ კუნძულს მივიდა და ერთი დიდი მარმარილოს ქვა აიღო და მეორე დღეს ქურუკთან გაჩნდა. ქურუკმა იმ ქვაზედ მოკლედ დააწერა თავის თავგადასავალი თუ ჯადოებთან როგორ ებრძოდა და როგორ დაემორჩილებოდა ან როგორ გაუშვა და ან ზინდარ-ჯადოს თავი როგორ გაეგზავნა ზარბაქ-დევთან, ესენი ყოველივე რომ დააწერა იმ ადგილას დაადგმევინა სადაც ძელი იყო აშართული და ზედ ჯადოების მძოვრები დაჰკიდეს. შემდეგ წასვლა ბრძანა. იმ დროს სამანდუზ-ჯადომ უთხრა: ჯადოვ შენ შენი სიმართლე დაამტკიცე ამით და ჩემი სარწმუნოებაც მიგიღია, ამას იქით მე შენ სრულებით გენდობი ყოველ ჩემ საქმეს, და ახლა უნდა მითხრა, ზარბაქ-დევამდე მისვლა რამდენ დღეს გასტანს, და ან იმას გზაზედ რამდენი ათასი დევი ეყოლება დაყენებული ყოველივე მითხარ.

მაშინ სამანდუზ-ჯადო ბირქვე დაემხო მუხლებზედ და ფერხთა აკოცა და მოახსენა: ფალევანო, თქვენ ისე რწმუნებით უნდა ბრძანდებოდეთ ჩემკან როგორც მათუზ-დევისაგან, მე ვიქნები ყოველთვის თქვენ წინაშე ერთგულის სამსახურით და ჩემ თავს თქვენის ჯარის სანაცვლოდ ვამყოფებ. მაშინ ქურუკმა მადლობა გარდუხადა და საჩუქარიც აღუთქვა. სამანდუზ-ჯადომ მოახსენა: ფალევანო, აქედამ ერთ დღეს რომ ვივლით, იქ

ერთი დიდი მთა შეგხვდება, იმ მთის ძირში ამბარ-დევი დგას ასი ათასის დევით, ის ძლიერ წყეული მეომარია, ქაჩი თავი აბია და სამოცი ხელი აქვს, იმასთანა კვალად მეორე დევია სხვა, ხუთი ათასის დევების დაშქრით და დიდის სისწრაფით მოგელიან, თუ ღმერთი გაგიმარჯვებს და დაამარცხებთ ამ ორივეს მერე ზარბაქ-დევის მისასვლელ გზაზედ მრავალი ჯადონი დაგხვდებიან, მხოლოდ ერთ ალაგს, ზანდარ-ჯადოსაგან ერთი თილისმაა შექმნილი, შენ ფალევანო თუ იმასაც გადურჩით შემდეგში ფიქრი აღარაფრისა გექნებათ,—მხოლოდ რაც წამსაც იმ ალაგს მიუახლოვდებით, იქ ერთი საძაგელი სუნი გეცემათ და ერთ საშინელ ორთქლს გამოუშვებენ, ვისაც ის ორთქლი ეცეს მაშინვე დაბრმავდებიან, ჩვენი დიდი საჭირო იქ არისო.

რა ქურუკმა ესე ყოველივე ამბავი მოისმინა, უთხრა: სამანდუზ, მე იმ ორთქლისა არ მეშინიან არც იმ ამბარ-დევისა და აგრეთვე მეორისა, ღვთით მივიდეთ და მიყურე როგორ განვაქარვებ ყოველივე. მაშინვე ერთ ხალვათ ალაგს მივიდა დაიჩოქა და მდუღარის ცრემლით ღმერთს შეევედრა თავის გამარჯვებას. ადგა და თავის სამცხენა მშვენივრად შეკაზმა და რაც ჯადოთ გასაქარვებელი ლოცვები ჰქონდა ფარვან-მეთილისმისაგან მიცემული, ყოველივე ზედ გაუწყო თავის ცხენს, აგრეთვე თვითონაც გაიკეთა ყოველივე ჯადოს ლოცვები და მაშინ კოჭლ-დევს უთხრა: აბა ახლა კი დროა წასვლისაო. მაშინ თვითონ კოჭლ-დევს შეაჯდა და იმ დანარჩენთა ზოგმა ქურუკის ზანდუკი იტვირთა, ზოგმა სამცხენა და ზოგნიც წინ გაუძღვნენ, ახსენეს ღმერთი სიჩქარით გასწიეს და წავიდნენ. ქურუკი ისე განრისხებული მიდიოდა რომ ვისაც შეეხედა გული გაუსკდებოდა, ერთი დღე იარეს და მეორე დღეს მიუახლოვდნენ სადაც ამბირ-დევი იმყოფებოდა, შეხედა ნახა ქურუკმა რომ იმდენი დევთა ჯარი დგას რომ ხუთ ექვს ალაჯამდე ადგილი დაუჭერიათ. ნახა რომ ერთ ალაგსაც ერთი მგლის სახის დროშაა (ბაირაღი) დასმული და ზედ ერთი უშველებელი დევი ზის სამი თავი აბია, ერთი მამლისა, მეორე ღორისა და მესამე ლომისა, ის დევი საშინელი და საზარელი სანახავი იყო, იმის ცხვირის ნესტოებში სამი თოხი ქათამი შეძვრებოდა თავისუფლად—თქვენ ახლა იფიქრეთ თვალები და ტანი რამოდენა ექმნებოდა იმ ვერანას. მარჯვნივ და მარცხნივ სამასი ფოლადის სკამებზე ეწყო და ზედ ფალევნები ისხდნენ. თითონაც ერთი მთის ტოლა ლახტი გვერდ ედო, იმის გვერდით ერთი იმის მსგავსი დევი იჯდა, ასი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, ორი თავი ება, ისიც ამაზე უარესი საშინელი სანახავი იყო.

ქურუკმა რომ ისინი ნახა, ღმერთს მადლობა შესწირა იმათის გაჩე-

ნისათვის. ქურუკი მივიდა და იმათ შორი-ახლო ჩამოხტა, იმ დროს რომ დევთა დარაჯებმა იხილეს ამათი იქ მოსვლა, მაშინვე შევიდნენ და მოახსენეს: პატივცემულნო დევთა სარდლებო, ჩვენ მოგახსენებთ თქვენი ერთგულნი მსახურნი, ის მიწით შექმნილი ქურუკ-ყარამანი აგერ ახლოს მოვიდა და ახლო მანზილზედ ჩამოხტა, თანაც მხოლოდ ოთხმეტი დევი ახლავს და ერთი ჩვენ ჯადოს ჰგავსო, როგორც ეტყობა თქვენზე მოვაო.

რა ესე ამბავი გაიგეს, მაშინვე საომარს ნაღარას შეჰბერეს და დევები დასტა-დასტად გამოვიდნენ და გაეწყვნენ და საომრად მზადება იწყეს. იმდენის სიმრავლე იყო რომ იმათ ორთქლს ჰაერი დაებნელებინა.

## აქ კვალად ქურუკის ამბავი მოახსენიეთ.

Იმ ჟამად ქურუკი დევების სიახლოვეს რომ მივიდა კარგა დაზვერა, ნახა რომ დევები ძლიერ კარგათ არიან საომრად დამზადებულნი, მაშინვე თავის სამცხენას ახლოს მოყვანა ბრძანა; თვითონ თავის შურებიანი ჯაჭვი ჩაიცვა, მახვილი ხელთ მიიცა, თილიუამყამი წელთ შემოირტყა, ყარყუნშაჯას გურზი ჩამოკიდა და თავის მხეცზედ აშხედრდა, თავის სამსურს უთხრა: „აბა სამსურ დროა გარჯისა, ხომ ხედავ ამდონ დევთა ლაშქარს, აქ მხოლოდ მე და შენ უნდა ვებრძოლოთ, ჩვენი შემწე ღვთის მეტი არავინ იქნება, ახლა შენ იცი როგორც გაირჯები“, ესე უთხრა და მაშინვე ერთი დიდი წრე შემოავლო და თავის მეტი იარაღი იქ დაეწყობინა რომელსაც ქურუკის მეტს ვერავის შეეძლებოდა იარაღს მიჰკარებოდა, კოჭლდევს უბრძანა, შენ და შენ ამხანაგ დევებმა მე მხოლოდ ზურგი შემინახეთო და მიყურეთ თუ ღვთის ძალით მე ამათ რა უყო. მაშინვე ღმერთი ახსენა, თავის სამცხენას ქუსლი ჰკრა და გასწია დევთა ლაშქრისაკენ, იმათ ახლოს რომ მივიდა ნავარდობა დაიწყო და რამდენ რიგათ იარაღები შეათამაშა, გაბრუნდა და ისეთი საშინელი ხმით შესძახა სახელი ღვთისა, რომ მეტი არ შეიძლებოდა „მე ვარ ქურუკ-ყარამანი, საამყიარანის ნარიმანის შვილი“ ვისაც ჩემთანა სურდეს ომი, მოედანზე გამობრძანდეს. რა დევებმა შემოხედეს ნახეს რომ ერთი ორმოცი მწყრთის მქონებელი ყრმა ფალევანი ჯინმე დგას, ისეთი იარაღი არტყია რომ არა ფალევანზე არ უნახავთ იმისთანა იარაღი და ისეთი მრისხანე სახე ადევს რომ მის შემხედავს გული გაუსკდება და იმის ცხენი ხომ სისწრაფით ჰაერში ფრინავს, როდესაც ესე დაზვერეს, ამბირ-დევმა სთქვა თავის გულში, თუ ქვეყანაზე ფალევანი დაიბადოს ამისთანა. მაშინვე ერთ ფალევანს დევს უბრძანა: აბა მამაცო ფალევანო შენ უნდა გახვიდე მოედანზე და მასახელო, ის მიწის შვილი

დაიჭირე და ხელ-ფეხ შეკრული აქ მომგვარე, რომელიც დიდათ არის გაამაყებული. მაშინვე ბრძანების აღმსრულებლებმა, ხელთ ერთი უშველებელი რკინის კეტი მიიცა და მოედანს გავიდა, ქურუკს დაუპირდაპირდა და უთხრა: „ტეი შენ მიწის შვილო! აქ რომ არ მოთრეულიყავ სასიკვდილოთ, შენ ქვეყანაში ვერ იპოვიდი სიკვდილს, რომ შენ მშობლებს მაინც დაეტირათ შენი თავი?

ქურუკმა უპასუხა: ტეი დევო, ბევრს ნუ ჩმახავ ცრუ ქადაგივით, მოიტა და ეგ შენი რკინის კეტი თავს დამკარ და მაშინ იქადაგე.

მაშინ დევმა ერთი საშინლად დაიღრიალა და ქურუკს მიმართა, როდესაც კეტი მოუტანა დასაკრავად ქურუკს, ქურუკი მოსწვდა კეტი ხელიდამ გამოგლიჯა და ცალის ხელით ასეთი სილა შემოჰკრა რომ სამჯერ ყირაზე გადატრიალდა მტრედივით და მიწას დაეცა, ქურუკი მაშინვე გადახტა და თავი ტანიდამ განუშორა; ისევ ცხენს ამხედრდა და ფალევანი გამოითხოვა, მაშინვე სხვა დევი გამოვიდა იმაზე ძლიერი, ისიც ერთი დაკვრით მოკლა, ამ ბრძოლის დროს სამოცი გამოჩენილი დევი დახოცა, ამის მნახავი ამბირ-დევი სულ კბილებს იღრჭენდა და თითონ დაპირდა გამოსვლას, მაგრამ სხვა დევებმა არ გამოუშვეს და ორმა დევმა ერთად შემოუტიეს, ქურუკმა მაშინვე ხმალს ხელი გაიკრა ძალის მოიმედემ და იმ ორ დევსაც მოჰკვეთა თავები, გვალად ქუსლი ჰკრა თავის სამცხენს და მოედანზე ნავარდობა დაიწყო, იმ დროს ერთი საშინელი ღრიალის ხმა შემოესმა, ნახა რომ ერთი ორთავა დევი ოთხმოცი მწყრთა სიმაღლის მქონებელი სახელად თეოზ-დევი, რომელიც ხუთი ათასის დევთა მბრძანებელი იყო. მოედანზე გამოვიდა და ერთი მთის ტოლა გურზი ხელთ ეჭირა და ქურუკს წინ დაუდგა, შესძახა: ტეი შენ მიწის შვილო! შენ რომ დევები დახოცე მე ისინი ნუ გგონივარ. მოდი დამიჯერე დამმორჩილდი მე და ჩემ ღმერთ რაჯაბ ეშმაკს თაყვანი ეცი და წაგიყვან ზარბაქ-დევთან და შენ შეცოდებას გაპატიებინებ და შენ ქვეყანას მშვიდობიანად გაგისტუმრებ. იმ დროს ქურუკმა შესძახა! ტეი შენ წყეულო, შენ მაშინ გაგიწყრა ჩემი ჭეშმარიტი ღმერთი, როდესაც ერთ წყეულ ეშმაკს (რაჯაბს) ღმერთად ჰრაცხ, ბევრს ნურას ლაყბობ თუ ფალევნათ ითვლი თავს გამოდი და ეგ შენი გურზი მოიხმარე და მერე ნახავ შენ თამაშას. დევი მაშინვე მოუხდა და გურზი თავს შემოივლო და ქურუკს დასაკრავად მოუტანა. მაშინ ქურუკმა ჯანიბეგანის ფარი მიაგება, მაგრამ იმ წყეულმა ისე ძლიერად დაჰკრა რომ იმის ძლიერება ქურუკს მოეწონა, ნახა დევმა რომ ერთი დაკვრით ვერა დააკლო რა, მეორეც ძლიერად დაჰკრა, ცოტა არ იყო რომ ქურუკი შესწუხდა.

რა დევმა ნახა რომ ორის დაკვრით ვერა აჯობა, მაშინ დევმა ძალიან ითაკილა და საშინლად დაიღრიალა, აჭანდაზე შედგა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გურზი თავს შემოატრიალა და ქურუკს დასაკრავად მოუტანა, ამ დროს ქურუკმა იფიქრა რომ ამ მესამე წაკრავს ვერ გაუძლებდა, მსწრაფად თავისი გურზი ისე ძლიერად შემოჰკრა რომ დატარი ხელიდამ გააგდებინა. მაშინ დევმა ნახა რომ სამი ფარადი იხმარა და ქურუკს ვერა დააკლო, ამაზე დიდათ შერცხვა. ქურუკმა შესძახა: ჩემო შენ დევთა ფალავანო! ახლა კი გამითავრთხილდი, უნდა გიჩვენო ფალავნობა როგორ უნდა, ხელთ მომყავს ყარყუნ-მაჯას გურზისა. და დასაკრავად მიუტანა, დევმა მაშინვე ფარი იფარა და გულგამოწყვეტილი დადგა. ამ დროს ქურუკმა გურზი მარცხენა ხელში მიიცა და მარჯვენით ერთი ისეთი მუშტი დაჰკრა რომ ნაფაზე მოეკრა, უკან-უკან წავიდა, თავი ველარ შეიმაგრა და ეს მთისოდენი დევი მიწაზედ გადაიქცა. მაშინვე კოჭლი მათუზადევი გაიქცა და ხელები მაგრა შეუკრა და წაიყვანა ეს საშინელი დევი, ერთ ალაგ დადგო და თავის ამხანაგი დევები დარაჯად დაუყენა და თვითონ გამობრუნდა სიჩქარით ქურუკთან. როდესაც ამ დევის ლაშქარმა ნახა, რომ თავიანთ სარდალი დაიჭირეს, მაშინვე ხუთასის დევმა ერთში მოატანეს ქურუკზე.

რა ქურუკმა იმათი ერთობრივ იერიში იხილა, ღვთის სახელი ახსენა და ბედნიერ ქარქაშიდამ თილისმამი ხმალხდინა და ამ მომავალთ დევებს შეუტია, რომელსაც შემოჰკრავდა კაცსა და ცხენს შუაზე სწყვეტავდა, ვისაც ხელს მოავლებდა ცხენიდამ ჰგლეჯდა და მიწას დასცემდა და უსულოდ აქცევდა. რა დევთა გაუწირდათ, ამ ხუთმა ათასმა დევთა ლაშქარმა ალყა შემოარტყეს და ქურუკი შუაში მოიმწყვდიეს. ქურუკმა რომ თავისი თავი დევთა შუაში იხილა, მაშინ სახელი ღვთისა ახსენა და მარჯვენა ხელი მარცხენას შემოიკლო და მარცხენა მარჯვენას, ისეთი ნარა გასწია რომ იმ მთამ და გორებმა ერთობ რყევა დაიწყეს, მაშინვე მხეცადამ გადმოხტა და ქვევითად შეუტია, ამ ხმაზე ეს დევნი ზოგმა ჭაერში ყურეის დაიწყეს ზოგს იარაღები ხელებიდამ დასცვივდათ, მაშინ დაერია ქურუკი ამ დევთა ჯარს და უწყალოდ ხოცვა დაუწყო და ღვთის რისხვა მათზედ დასცა, ცალ მხარესაც ქურუკის ცხენმა გაუტია და იმ რიგად ომობდა რომ კაცის ენა ვერ მოსთქვამს, შვიდ-რვა დევს რქაზედ აიგებდა და ისე ხოცდა რქით, ფეხით და კბილით გლეჯდა, რომ ველარ გაუძლეს და თვალდაც გაუტუდათ ბირი იბრუნეს და გაიქცნენ. მაშინ ესენიც უკან ხოცვით მიჰყვნენ, როდესაც ესეთი დამარცხება ამბარ-დევმა იხილა რომ იმის ჰარგელი ფალავანი დევი ჯერ ერთი მუშტის დაკვრით შეიპყრო და იმის ხუ-

თი ათას ლაშქარს უკან ხოცვით მოსდევენ, მაშინ თავის ას ათასს დევის ლაშქარს უბრძანა და ერთიანად შეუტიეს. თითონაც ერთი საშინელი მხუ-ცი ჰყვანდა, იმაზედ შეჯდა და ისე ჟურებს დაუწყო. ქუჩუკმა რომ იმ ჟოჯადაც დევთა შემოტევა ნახა, მაშინვე მარცხენა ხელს ფარი დაიჭირა, მარჯვენა ხელით თილისამეამი და ამ ზღვის ოდენ ჯარში დაერია და უწყალოდ ხოცვა დაუწყო, ამ გვარად არც თავის სამცხენს აკლებდა, ისეთ ნაირად იბრძოდა რომ იმის ფეშვინგის ხმას ხუთის ალაგზედ გაიგონებდა კაცი, ცალ მხრიდამაც კოჭლი-დევი ზურგს უნახავდა ქუჩუკს. ქუჩუკმა აგ-ლად ერთი ნარა გასწია, შეუტია ამ ზღვის ოდენა ლაშქარს, დევები მიშის ზარდაცემულნი ათას ლახტს ერთავა სცემდნენ, მაგრამ უძლურდ, ქუჩუკს მაინც ვერა დააკლეს რა. ბოლოს ისე რომ გააჭირდათ ხუთათასმა დევმა ქამანდები გადმოაყარეს და რამდენიმე ქუჩუკს წელს მოსდეს და წევა დაუწყეს. იმ დროს ქუჩუკმა ალვები სულ ერთად შეკრიბა და ნარა გასწია, ასე რომ ხუთი ათასი ქამანდის მსროლელნი, სულ ძირს დაცვივდნენ, როდესაც ქუჩუკმა იმ გადაყრილ ქამანდებისაგან განთავისუფლდა, ძლიერ გაცეცხლებულმა ქუჩუკმა და თავის სამცხენამ შეუტიეს და კოჭლი-დევმაც ერთ მხრიდამ, ხოცვით მისდევდნენ, ამისთანა საშინელის ღვრით ეს ხუთი ათასი დევიც უკუ აქციეს და გაიქცნენ. ამ წყლებ-მოტანაში დაღამდა კიდეც და გამობრუნდნენ. ქუჩუკმა მოიხედა უკან ნახა რომ თავის სამცხენა აღარა სჩანს, მაგრამ იმის საშინელი ფეშვინგის ხმა კი შორით ისმოდა, მაშინვე თავის ცხენის ძებნა დააპირა, ქუჩუკმა იმ დროს შეხედა ნახა რომ გაცეცხლებული მოდის თავის სამცხენა და რქაზედ ხუთი ხვადი დევი აქვს აცმული, მივიდა ქუჩუკთან ხვიხვინით ფუნდრუკობით თავი მიუშვირა, ქუჩუკმა დევები რქიდამ ამოაცალა და დახოცა. ქუჩუკმა მაშინვე ორსავ თვალებში დაჰკოცნა და იმისთანა მხეცის მოვნისთვის ღმერთს მადლობა შესწირა. მხეცს სისხლი შეამჩნია ქუჩუკმა, ნახა რომ ორასამ ალაგს ჭრილობა მიეღო, მაშინვე მობანა და მალამოები წასცხო და თავის ბინას მივიდა. მაშინვე წავიდა იქ ახლოს წყაროზედ და თავპირი დაიბანა თვითონაც, შემდეგ დაიჩოქა და ღმერთი ადიდა, ლოცვა რომ დაასრულა მაშინ თავის ბინას დაბრუნდა.

როდესაც ქუჩუკი მივიდა ბინაზე, მათუზ-დევი, სამანდუზ-ჯადო და სხვა თავის დევები, მოვიდნენ ქუჩუკთან დიდი ქება შეასხეს მუხლს აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს, ქუჩუკმაც დიდი მადლობა მოახსენა: შემდეგ ქუჩუკმა ჰკითხა: ძმაო მათუზ, ის წყეული შეპყრობილი დევი სადა გყავს მომგვარე ერთი ვნახო რა ქეიფზეა? მაშინვე მოიყვანა მათუზ-დევმა, მაშინ ნახა რომ იმას ორი თავი აბია და ას ათის მწყრთის სიმაღლის მქო-

ნებელია და თრმოცი ხელი აქვს და ერთი საშინელება, კარგა რომ გა-მინჯა ქურუკმა, ღმერთს დიდი მადლობა შესწირა რომ იმისთანა უშველებელი ცხოველი გაჩინა ქვეყანაზე.

ქურუკმა უთხრა დევს, ჰეი დევო! მე ერთ რამეს გეტყვი, თუ შენი თავის სიცოცხლე გინდა, მაშინ საპატიო ღმერთი იწამე და მაგ ტყვეობიდამ გაგანთავისუფლებ და თუ არ იწამებ ეხლავ უბრძანებ და მოგაკვლევინებო.

მაშინ დევმა მოახსენა: ჰეი ფადიშაჰო, მე ქვეყანაზე, პირველად ვხედავ თქვენსავით ფადიშაჰს, რომელიც მე აქა სამასის წლისა ვარ და მთელი ქვეყნიერობა მომივლია, ზღვა და ხმელი და არსად შემხვედრია შენებრივ ფადიშაჰი, არც მინახავს და არცა მსმენია და არცა მგონია თუ შემდეგ დაიბადოს. გთხოვ რომ წყალობა მიყო შენს სადღეგრძელოდ და ჩემი ერთი მუჭა სისხლი მაპატიო, მე აღგითქვამ ჭეშმარიტის ფიცით ფადიშაჰო, რომ სიკვდილამდის თქვენი ერთგული მონა ვიყო და მიწამებია კიდეც თქვენი წმიდა და პატიოსანი სარწმუნოება, თქვენი ღმერთი. წყეულ იყოს ჩვენი რაჯაბ ემმაკი და იმის სასოებელი.

რა ქურუკმა ესე მოისმინა დევისაგან, მაშინვე კოჭლ-დევს უბრძანა: მათუზ გაანთავისუფლე, რადგანაც იწამა ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი და განაგდო რაჯაბ ემმაკი, კოჭლმა-დევმა მაშინვე გაანთავისუფლა დევი. დევი მაშინვე ქურუკის წინაშე მივიდა, მდაბლად თავი დაუკრა და მუხლთ აკოცა, მოახსენა: ჰეი ფადიშაჰთა ფადიშაჰო! ჩემი შეწყნარებისათვის დიდი მადლობელი გახლავარ და ასე იფიქრეთ რომ ამას შემდეგ ჩემი თავი თქვენთვის შემომიწირია. მაშინვე ქურუკმა უბრძანა მათუზს, რომ ერთი სკამი მოეღო რომ თავის მარჯვნივ მხარეს დაესო იგი დევი, მაშინვე მოაროთა და მეჯლისი გამართა და დროება გაატარეს.

როდესაც დილა გათენდა, მაშინ ქურუკი ადგა ერთ ალაგს დაიჩოქა და ღმერთი ილოცა, თავის თავი ღმერთს შეავედრა და მზადება იწყო საომრად. იქით მხარეს ამბირ-დევმა ნახა რომ იმისთანა გამოჩენილი სარდალი შეიპყრო ქურუკმა და იმის ხუთი ათასი ჯამქარი დახოცა და გაანდევნა, მაშინ თავის სარდლები შეიკრიბა და უთხრა: ფადიშაჰნო, ნახეთ ამ წყეულმა მიწის მჭამელმა რა გვიყო! იმისთანა სარდალი შეიპყრო და იმოდენა ჯარი გაგვიწყვიტა. მე რომ მაგის ფადიშაჰობას ვხედავ, მაგას ზარბაჭ-დევიც ვერას დააკლებს. მაშინ იმ სარდლებში ხუთიოდე ამაყი დევი ერია, იმათ მოახსენეს, ჰეი დევთა დიდო სარდალო! თქვენ მაგაზედ ნუ შესწუხდებით, ჩვენ რას ვაკეთებთ, ჩვენ წავალთ რაჯაბის შეწევნით და ქურუკს შევიპყრობთ. ის რა ძაღლია რომ თქვენ იმისთან საომრათ გა-

ხვიდეთ? მაშინ ამათ მადლობა უბრძანა და თვითონ საომარის იარაღით შეიჭურვა და ერთ სპილოზედ შეჯდა და დევის ლაშქარი დასტა-დასტად განაწყვა და ამის მოსწრაფენი მოედანზე იყურებოდნენ—და იძახდნენ ვნახოთ დღეს ვისი ცხენი დაბრუნდება უპატრონოთ ანუ მოედანი ვის დარჩება. ამ დროს დევების მხრიდამ ერთი საშინელი დევი გამოვიდა ოთხმოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, ერთი საშინელი ლახტი ეჭირა და უვირილით მოვიდოდა, რა ქუჩუკისაკენ შეიხედა შესძახა დიდის ხმით, ჰეი შენ მიწის მგელო, დროზე რომ მოედანი გაცივდა, აბა საომრათ ვისმე გამოგზავნე და შენ თამაშა მიყურე, თუ შენი ფალევანი რა დღეში ჩავაგდოვო. მაშინვე ქუჩუკმა თავის იარაღი მოითხოვა, თავის სამცხენის ამხედრდა, ღმერთი ახსენა და მოედანს მიუხდა, დევმა რომ ქუჩუკს შეხედა დიდათ მოეწონა და (სთქვა თავის გულში, ამას არამც თუ დევი დაუდგეს არამედ მგიდ თავიანი ვეშაპიც ვერ აჯობებს). დევმა მაშინვე თავის ლახტი სამჯერ თავს შემოივლო და ქუჩუკს დასაკრავად მიუტანა, ქუჩუკმა ფარი იფარა, დევმა თუმცა ძლიერ დაჰკრა მაგრამ ვერა ავნორა, შემდეგ ორიც სხვა დაჰკრა, მაგრამ თუმცა არა სცემდა ისე არა შეიმჩნიარა, რარიგი ქუჩუკს ერგო მაშინ შესძახა! ჰეი დევო ახლა კი გამითვრთხილდი რომ მიწასთან მიგდა გაგასწორო, მაშინვე თილიუამუამს ხელი მოივლო, ერთი ასეთი შემოჰკრა რომ ცხენი და თითონ შუაზე გაწყვიტა და თვითონ მოედანზე ნავარდობა იწყო.

დევებმა რომ ესე იხილეს, გულში დიდი შიში ჩაუვარდათ. მაშინ ამბირ-დევმა უბრძანა ხუთ გამოჩენილ დევებს, თქვენ ხუთნივე გადით, მაშინვე ის ხუთნივე გავიდნენ და ქუჩუკს შეუტიეს, რა ქუჩუკმა იმათი შემოტევა ნახა, ერთი მაღლის ხმით ღვთის სახელი ახსენა, ასე რომ იმ ხუთთა დევთა ზეცის ქუხილი და გრგვინა ეგონათ და მაღლა ყურება იწყეს, ვერ გაიგეს თუ საიდამ ისმოდა ის ხმა, მაშინვე ქუჩუკმა თავისი ლახტი ესროლა ერთ დევს, სწორედ წელში ჰკრა და ერთი მეორეს მოხვდა და მეორეც გაიტანა. ამისთანა ნახვით ის სამნი დევნი გაშტერებული უყურებდნენ, შემდეგ ამ სამს დევს მიუხტა ქუჩუკი და თითო ასეთი ლახტი სცა რომ თავის ძვლები ტვინში აურია და დახოცა; მობრუნდა და მოედანზედ დადგა და დიდის ხმით დაიძახა! ჰეი ამბირ-დევო, ამ საცოდავ დევებს რაზედ მახოცინებ და შენ კი არ გამოდიხარ მოედანზე არ გამოსცდი თუ როგორი შვილი დაუბადებივარ დედაჩემს? რა ამისთანა მოთხოვნილება ესმა ამბირ-დევს ქუჩუკისაგან (იფიქრა მე ხომ ვიცი რომ ამას ვერ გადურჩები ცოცხალი, მხოლოდ გავალ მოედანზე, ბრძოლას დაუწყებ და თუ მომერევა შევეხვეწები და არ მომკლავს, მე ასე შემიტყვია.

რომ ამათი გვარი ისე ადვილად არავის გამოუმეტებენ სასიკვდილოთ, რადგანაც დაგმორჩილდებიან). მაშინვე თავის სპილოს მოედანზედ გამოიყვანა და ერთი მთის ტოლა ლახტი ხელთ მისცა, რა ქურუკმა შეხედა ამბორ-დევს დიდათ მოეწონა და თავის გულებაში სთქვა: (ნეტავი ეს დევი მე დამმორჩილდეს და საბაოთ ღმერთი იწამოს ამასაც არ მოვკლავ და ვაპატიებ). ამბორ-დევი დაუახლოვდა ქურუკს და სალამი მისცა, ქურუკმაც სალამი ჩამოართვა, იმ დროს ქურუკმა დაუძახა: შე ამბორ-დევო! მოდი დამიჯერე საბაოთ ღმერთი იწამე და გაპატიებ ჩემ ჭეშმარიტ ღმერთს რომ ჩემს თავზედ უკეთ შეგინახო.

რა ამბორ-დევმა ქურუკისაგან ესეთი თანაგრძნობის სიტყვები შეისმინა, უპასუხა: შე მიწის მჭამელო, ჯერ შენ რა ხარ რომ მე ჩემი რჯულიდამ დავთმო და შენი უხილავი ღმერთი ვიწამო და ჩემ ზარბაქ-დევს უკუ უდგე!? აბა ახლა მიუყურე თუ ეგ შენი სიტყვები როგორ შეგახსენო. მაშინვე დევი მიუხტა და ქურუკს ლახტი შეუმაღლა, ქურუკმა გურზი იფარა, მაგრამ იმ წყეულმა ისეთი დაჰკრა რომ ქურუკის ცხენი კოჭებამდის მიწაში ჩაიფლა მუხლისკენ და თითონაც დიდი ძალა დაადგა. მაშინვე სამცხენას ქუსლი ჰკრა და შორს გადახტუნა, იმ დროს ამ დევმა ნახა რომ თავისი გურზი ისე საშინლად დაჰკრა და ვერა აგნორა, მაშინვე შეუტევ შედგა ავჯანდაზე და თავს შემოავლო გურზი და დასაკრავად მიუტანა, ქურუკი სწრაფად უკუ გარდახტა და იმის მოქნეული ლახტი აიცდინა და ქურუკის ნადგომს მოხვდა, რა ის მოქნეული ლახტი მიწას მოხვდა, დიდი მტვერი ავარდა ისე რომ ქურუკი მტვერში დაიფარა, დევს ასე ეგონა ქურუკი მიწასთან გავასწორეო, მაშინ შესძახა შე წყეულო, მაგიტომ იქადოდი რომ მიწასთან გასწორებულიყავი ჩემი ხელიდამ, ახლა მიუყურე შენ მხ ეცსაც რა დაგმართო, ერთი წამის შემდეგ მტვერი გადაიყარა, შეხედა ნახა რომ ქურუკი სალი კლდესავით დგას უვნებლად.

რა ქურუკი ცვალად უვნებელი იხილა, არათ ეშმანიკა და სთქვა თავის გულში, ამას რასა ვხედავ, ეს კიდევ ცოცხალია! მაშინვე მესამეთაც შეუმაღლა გურზი მესისხლედ. ქურუკმა იფიქრა თუ დაუდგე ძნელი ასატანია, თუ მოვერიდო სირცხვილია, მაშინვე მარცხენა ხელში ფარი მოიცა, მარჯვენა ხელში ბასრი ხმალი, როდესაც დევის გურზი ზუზუნით წამოვიდა და წყეულმა დევმა ბილების დრჯენით დაჰკრა, მაშინ ქურუკმა მსწრაფლ თვალდახამხამში შემოჰკრა და ლახტი შუაზე გაწყვიტა, დევს რომელიც ხელში შერჩა ლახტის ნაჭერი, ქურუკს შესტყორცნა და გულში მოახვედრა, ისეთ ნაირად მოხვდა რომ გული შეუღონდა, მაგრამ სიმხნე იხმარა და გამაგრდა. მაშინ ქურუკმა შესძახა: შე დევო! ახლა კი გამო-

ფრთხილად რომ სიცოცხლის ფრინველი მინდა გაკიფრინო და ნავარდო-ბა იწყო, დევმა თავის გუნებაში დიდი ქება შეასხა და თქვა: შაბაშ შენს ფალავნობას ქუჩუკ, რომ ჩემ სამს ნაკრავს გადურჩი, მართლად რომ ფა-ლავანი ყოფილხარ. ქუჩუკი მოუხტა მაშინვე და გურზი შეუმაღლა, დევ-მა უადაჯობით თავის ფარი თავს დაიდვა და დადგა ქუჩუკის წინაშე. მა-შინ ქუჩუკმა ერთი საშინელი ხმა აღმოუტევა და თავისი გურზი ასეთი მედგრად დაჰკრა რომ ფარმა ველარ გაუძლო, ფარი დაუმტვრია და დევი წელში მოიხარა, მაგრამ მხნეობას ძალა მისცა და გაუმაგრდა და დიდი ქება შეასხა თავის გულში და სთქვა, (ამ ერთ ნაკრავს როგორც იყო გაუ-ძელი მეორეს როგორღა უნდა გაუძლოთო, მაშინვე უნდოდა ქუჩუკის და-მონება მაგრამ რადგანაც გამოჩენილი და ძლიერი დევი იყო, ნამუსს ვე-ღარ აკადრა და წინ დაუდგა), მაშინ ქუჩუკმა მეორეთ შეუმაღლა გურზი, და ვიდრე გურზს დაჰკრავდა, უწინ ასეთი სილა შემოჰკრა რომ დევი მი-წაზედ დაეცა, ისე ძლიერ დაეცა რომ დედამიწა შეიძრა, მაშინვე გაექანა ქუჩუკი და გულზედ შეახტა, ხანჯალის ხელი მოივლო და თავის მოჭრას უპირებდა.

ამაირ-დევმა რომ თავის თავი უკანასკნელ მდგომარეობაში ნახა, მა-შინვე შეეხვეწა: ჰეი ფალავანო ქუჩუკ! შენს ღმერთს მიმადლე და ჩემი ერთი მუჭა სისხლი მაპატიე, და მეც მირწმუნებია შენი ჭეშმარიტი ღმერ-თი. რა ქუჩუკმა იმისთანა ძლიერ დევისაგან ასეთი მორჩილება გაიგონა, მაშინვე შეებრალა და ვეღარ მოკლა. ქუჩუკმა უთხრა: ჰეი დევო! თუ ჭე-შმარიტის ფიცით ჩემი ერთგული შეიქმნები, მაშინ ჩემ პირველ ფალავ-ნად მიგიღებ, შენ ახლა წამყევ ჩემ მონა მათუზ-დევს ჩემს ბინაზე, და მე ვიცი შენს ჯარს და ჩემს წინამძღვრებს რა დღეშიაც ჩავაგდებ, რა კი დე-ვი გაისტუმრა თავის ბინას, თვითონ ამის ლაშქარს შეუტია, როდესაც ამ ლაშქარმა იხილა რომ თავიანთ უფროსი სარდალი და იმისთანა ფალა-ვანი დევი ქუჩუკმა დაიჭირა. მაშინვე ასორმოცმა ათასმა გულდამწვარმა ჯარმა ქუჩუკზე ერთად მოიტანეს და შეიქმნა დიდი სისხლის ღვრა. მა-შინ კვალად ღვთის სახელი ახსენა და თავის პაპა ყარამანისეული ერთი დიდი ნარა გასწია და დევთა შეუტია, მეორე მხარეს ქუჩუკის სამსუ-ცხენმაც ისეთი საშინელი ბრძოლა ასტყდა რომ მკვდარ ცხენს და კაცს იტაცებდა სისხლის ღვარები. ქუჩუკი დაუცხრომლად ნარას სწყობდა და მედგრად იბრძოდა. სამცხენაც ხომ ირჯებოდა რაც შეეძლო, დევთა მო-წინავე რაზმმა რომ ვერა გაიწყოთა პირი იბრუნა გასაქცევად და იძახდნენ ამ სისხლის მღვრელს ვინ გაუძლებს სჯობს რომ თავი გადვირჩინოთო.

მაშინ ქუჩუკმა ნახა რომ დიდი სისხლის ღვრა შეიქმნა, თავის სამ-

სურ ცხენი გამოიბრუნა და თავის ბინისკენ წამოვიდა, მაშინ ამბირ-დევი და ათუთარ-ზანგი რომელნიც დაიმორჩილა, წინ მოეგებნენ და დიდი ქე-შისხეს და გამარჯვება მიულოცეს და ესე მოახსენეს: ჩემო ფალევანო! ქვეყანაზედ შენსავით ფალევანი არც გამოსულა და არც გამოვა. მაშინ ქე-ჩუკმა მადლობა მოახსენა და უთხრა: ჩემო ფალევანნო დევნო, მე რა შე-მიძლიან ყველა ღვთის ბრძანებაა. ქეჩუკი დიდ ბედნიერებას გრძნობდა, მაშინვე ტახტი შემოიხსნა და დასხდნენ, კოშკ-დევს ადრევე ნაბრძანი რომ მოეკლა შესწვეს შეშილისა გამართეს და შეექცნენ. აგრეთვე სამსურ-ცხენ-ისაც მოუარეს.

## ამ გაქცეულ დევთა ამბავი მოისმინეთ.

როდესაც ქეჩუკმა ამბირ-დევიც დაამარცხა და შეიპყრო, მაშინ ხომ იმისმა ლაშქარმა ერთობ შემოუტიეს, მაგრამ კვალად ქეჩუკმა ყველა გან-დევნა და გაიქცნენ. ეს დევნი უცბათა ერთს ადგილას შეიკრიბნენ და ბრჭობა შექმნეს, ესე იძახდნენ: ჩვენ ახლა ზარბაქ-დევთან რომ ჩავიდეთ რას ვეტყვით? ვინ იცის ერთიც არ გაგვიშოს ცოცხალი, ბევრი ფიქ-რის შემდეგ ერთობ გადასწყვიტეს,—წავიდეთ და ვისაც ჩვენი სარდლები დაუმორჩილებია ჩვენც იმას დავემორჩილოთ. აიყარნენ ერთიანად და ქეჩუკი-საკენ წამოვიდნენ. ქეჩუკი იმ ჟამად მიდამოებს ათვალიერებდა, შეხედა ნახა რომ ეს უსარებელი დევთა ლაშქარი, ეგენვე გამორბიან და ქეჩუკისა-კენ მოდიან,—მაშინვე ათუთარ-ზანგს უბრძანა: შენ მზესა შემიტყო, სა-მტროდ მოდიან კვალად თუ სამოყვროდ. საჩქაროდ ათუთარ-ზანგი წინ მი-ეგება და იმათ მოსვლის მიზეზი გამოჰკითხა, იმათ როგორც მოეფიქრე-ბინათ ყოველივე მოახსენეს.

რა ათუთარ-ზანგმა იმათი აზრი მოისმინა, მაშინვე მობრუნდა და ქე-ჩუკს მოახსენა: ჩემო ფალევანო სახელოვანო, ზარბაქ-დევის ლაშქარი რო-მელნიც გარდიხვეწნენ თქვენკენ სიკვდილისაგან, აქ არიან მოსულან და გთხო-ვენ დანაშაულობის პატიებას. მაშინ ამბირ-დევიც, ათუთარ-ზანგთან წინ წარ-მოსდგა, დაიჩოქეს ცალ მუხლზედ და დიდის ვედრებით სთხოვეს დევთა შეწყნარება. როდესაც ამბირ-დევმა და ათუთარ-ზანგმა სთხოვეს, ქეჩუკმაც უა-რი აღარ უთხრა და შეთვისების ნება დართო. მაშინ მოვიდნენ ეს ამო-დენა დევთა ლაშქარი, ქეჩუკს ალყა შემოავლეს და ცალ მუხლზე დაიჩო-ქეს, დანაშაულობის მიტევებას ეხვეწებოდნენ. ქეჩუკმა რომ ნახა იმათ შენა-ნება, ნება დართო და შეიწყნარა, ამ პირობით რომ იმათ ეწამათ საბაოთ ღმერთი, და თავიანთ რაჯაბ ჯემბაჯი ეგმოთ. მათ სულითა და გულით მი-იღეს ქეჩუკის სარწმუნოება და ერთგული სამსახური აღუთქვეს.

რა ქურუკმა ნახა რომ ამასთანა ძლიერნი დევთა ფალავნები დაიმორჩილა თავისით დიდძალით დაშქრით, ღმერთს მადლობა შესწირა. მაშინვე ეს დევთა დაშქარი რომ მიიღო, აგრეთვე მათი დიდძალი ხაზინაც. ქურუკმა ამ დევთა სარდლებს უბრძანა: ახლა თქვენ თქვენი ჯარებით ცალ-ცალკე განაწესეთო რომ მინდა გავშინჯოთ. ამბირ-დევი მაშინვე თავის დაშქრით ერთს მხარეს დადგა, აფთარ-ზანგიც მეორე მხარეს თავის დაშქრით. ქურუკი მაშინ იარაღით შეიჭურვა თავის სამცხენს ამხედრდა და ამ დევთა დაშქრას სანახავათ მიბრძანდა. მაშინვე ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი წინ მოეგებნენ და ქება შეასხეს, იარკართმეს და ას ორმოც ათას დევთა ჯარიდამ, ორმოცი ათასი დაჭკარუგდათ. შემდეგ იმ დევის სარდლებით და ჯარით სამი დღე იქ გაისვენეს და ქვეშევრდომთ ჩასვლის თადარიგს შეუდგნენ.

## ქურუკი აქ თავის თადარიგში დაუტევოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ზარბაქ-დევმა, ამბირ-დევი ასი ათასის დევის დაშქრით გამოასტუმრა ქურუკისაკენ და აფთარ-ზანგიც ორმოცი ათასით, რასაკვირველია მაშინვე თავის დანარჩენი სარდლებიც მოიხმო და გამაგრება უბრძანა, რომელთაც ხუთასი ათასი დევთა დაშქარი ახლდათ და ორმოცი ათასი ჯადოს დაშქარი და თვითონაც ასეთი ჯადოს მცოდნე იყო რომ არა ჯადოს იმდენობა არ შეეძლო. ამ დროს როცა ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი ქურუკის დასაჭერად გამოასტუმრა და უბრძანა რომ ცოცხალი დაეჭირათ და ისე კლავებ შეკრული წარუდგინათ თავისთან, იმათ ამბის მოლოდინი იყო მარად.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ქურუკმა რომ ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი დაიმორჩილა თავის დაშქრით, მაშინ დაშქრიდამ ოცი დევი ასხლტა გაიქცნენ დღე და ღამე იარეს და ზარბაქ-დევის საზღვარს მივიდნენ, რა დარაჯთა იხილეს დაიჭირეს და ისინი ზარბაქ-დევს წარუდგინეს. ზარბაქ-დევმა რომ შეხედა, დიდის ხმით შესძახა დევნო ვისგანა გაქვთ საჩივარი ან ძალა ვისგან დაგდგომიათ რომ ეგრე გულდახეთქილები მომმართეთ? მაშინ ამ ოცმა დევმა ცალ მუხლზე დაიჩოქეს და კალთას აკოცეს, და მოახსენეს: ხელმწიფეო ხელმწიფევ, გრძელათ არ შეგვიძლიან მოხსენება ის ამბავი რაც ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა ჩაიდინეს. ზარბაქ-დევი აინთო და ჰკითხა: რა დაემართათ?—რა დაემართათ და თავიანთ დაშქრით ქურუკს დამორჩილდნენ და დაემონნენ, ქურუკმა ჯერ სარდლები დაამარცხა

შეიპყრო და მერე ლაშქარი. მაშინ ყველანი დამორჩილდნენ, საბათოთ ღმერთიც იწამეს და ჩვენი რაჯაბი ჭგმეს. ახლა თვითონაც თქვენზე მოდიან საბრძოლველად. ამიტომ ჩვენ გამოვიქეცით თქვენს შესატყობინებლად.

ზარბაქ-დევმა რომ ესეთი ამბავი მოისმინა, საშინლად გაანჩხლდა ისე, რომ თავის კბილებით თავის ხორცებს დაუწყო ჭამა. ცოტად დაფიქრდა და სული ამოითქვა, მერე კვალად ისე დაიღრიალა რომ ის ოცი დევი შიშისაგან დაილივნენ და რაც იქ შეკრებილნი სარდლები ან ვეზირნი იყვნენ, შიშით სულ კარზე გაცვივდნენ, ზოგნიც გულშემოყრილნი იქ დაცვივდნენ.

რა მცირე ხანი გავიდა—ისევ დამშვიდდა. ვინც გულშემოყრილნი იყვნენ ისინიც გონს მოვიდნენ და ვინც კარში გაცვივნულიყვნენ ისინიც შემოვიდნენ და თავთავის ალაგს დასხდნენ. ზარბაქ-დევმა მაშინვე უბრძანა რომ ის ოცი ამბის მომტანი დევები ცეცხლში დაეწოთ.—და თავისი ორმოცი ათასი ჯადოს ლაშქარი თავიანთ სარდლებით, დიდის სიჩქარით ქურუკზე გაესტუმრათ. და ფიცხელი ბრძანება მისცა და უთხრა: როგორც იყოს ან უნდა სულ დაწვდეთ, ან თქვენის ხელოვნებით უსათუოდ უნდა შეიპყრათ ის მიწით ნაშობი ქურუკი. როდესაც ისინი გაისტუმრა თვითონაც დიდ სამზადისში შევიდა და დიდის იმედით ქალაქიც გაამაგრა.

## აქ ზარბაქ-დევი დავუტეოთ და ქურუკის ამბავი მოისმინეთ.

ქურუკმა რომ ზარბაქ-დევზე დააპირა წასვლა უკანასკნელ დროს, მაშინ ამბირ-დევს და აფთარ-ზანგს ჰკითხა: სარდალნო კიდევ რამდენი დღე მოუნდებით სიარულს, ვიდრე ზარბაქ-დევის სამზღვარს მივაღწევდეთ? მათ მოახსენეს: ფალევანო კიდევ სამი დღის სავალი გვაქვს ბნელეთამდე ვიდრე ქვეშკნეთ მივაღწევთ და შემდეგ ზარბაქ-დევის ქალაქამდე ორმოცი დღის სავალზედ სულ ჯადოები უნდა გავიაროთ და გზაზე დიდი სიფრთხილე გვმართებს. ქურუკმა უთხრა მათ, თქვენ მაგისთვის ნუ შესწუხდებით, მე ღვთის ძალით ჯადო ვერას მავნებს, მაშინვე რაც ფარვან-დევისაგან ნასწავლი ლოცვები ჰქონდა სულ ზედ დაიკერა და თავის სამცხენსაც ბარგისტანი ჩააცვა და ქვეშ ჯადოს განმაქარვებელი ლოცვები დაატანა, ისე რომ იმას ვერა ჯადო ვერას ავნებდა. აგრეთვე კოშლ-დევსაც და იმის ამხანაგებსაც თავის საკუთარ დევებს. მაშინ ახსენა ღმერთი და აიყარნენ, კოშლმა დევმა ქურუკი იტვირთა, სამცხენა მეორე დევმა და რაც სხვა იარაღის ზანდუკები ჰქონდა დანარჩენებმა, აფრინდნენ და წავიდნენ. ეს დამორჩილებული ზარბაქ-დევის სარდლებიც თან გაჰყვნენ თავის ლაშქრით.

დიდი გზა გაიარეს სამ დღეს, და იმ ალაგს მივიდნენ სადაც ქვესკნელის ჩასავალი გზა იყო, იმ ადგილას ჩამოხდნენ და იმ ღამეს იქ გაათენეს დიდის სიფრთხილით.

რა დილა გათენდა, ქუჩუკი ერთ ხალვათ ადგილას მივიდა, მუხლზედ დაიჩოქა და ღმერთი ადიდა. ესე იტყოდა: „ჰო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ზღვისა და ხმელეთის ღმერთო, ნუ გაახარებ ჩემ მტერს ჩემზედ, შენ მომე ძალი რომ ვძლიო ჩემი წინააღმდეგი რაჯაბ ეშმაკის მრწმუნებელი და ყოველთვის ვადიდო სახელი შენი".

დიდხანს ევედრებოდა დაჩოქილი მუხლზედ ქუჩუკი ცრემლით. რა უკუ მიიქცა თავის პატარა ყუთი მოითხოვა, იქიდამ კოლოფით ერბო ამოიღო, რომელიც სიზმარში ასწავლა ბერიკაცმა. მაშინ ის კარაქი თვალებში გამოისო, აგრეთვე თავის სამცხენსაც წაუსვა თვალებში, თავის კოჭლ-დევსა და იმის ამხანაგ დევებსაც წასცხო. იმათგან რომ მოიცალა, თავის მუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა, ქამარი ქეივანური წელთ შემოირტყა, თილიყამუამი ზედ დაიკიდა, ყარუნ-შაჰჯას გურზი ხელთ იპყრა, რადა გავაგრძელოთ, ყოველი თავის სავარჯიშო იარაღით შეიჭურვა; წამოვიდნენ და სადაც ჩასავალი გზა იყო, იმის პირს მოადგნენ. ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ ერთი საშინელი ვეშაპი ჩასავალს გზაზედ წევს, ასეთი პირი დაუღრენია რომ დიდრონი მთებიც რომ შეხვდეს პირში იმასაც ჩანთქავს. ქუჩუკმა რომ ნახა ესეთი საშინელება, მაშინვე იფიქრა თავის გულში, ეს სწორედ ჯადოს მანქანება უნდა იყოსო; მსწრაფად ერთ პატარა ქაღალდზე ისმიაზამის ლოცვა დასწერა და მშვილდ-ისარი მოიღო და ისრის წვერზედ ის ქაღალდი მიაკრა და ღვთის სახელი ახსენა და მშვილდს მოსწია, ისე ძალზედ მოზიდა რომ გოზა-გოზას მიაკრა და იმ ვეშაპს შესტყორცნა, ვეშაპი მაშინვე უჩინო შეიქმნა, იმ დროს ქუჩუკი სიჩქარით თავის ცხენზედ შეჯდა და ამ თავის ჯარს წინ გაუძღვა და გასწია, მაგრამ იმ გზაზედ დიდი გაჭირვება ნახა, ისე რომ თავის დღეში იმ გვარად არ შეწუხებულიყო. ერთი კვირა დაუსვენებლივ ღამე და დღე სულ ჯადოში იარა. მერვე დღეს ერთ ალაგას გზაზე ნახა რომ საშინელი ცეცხლის ალი ამოდის და ცალ მხარესაც რამდონიმე ჯადონი დგანან და ხელთ დიდრონი წერაქვები უჭირავთ და მზათა დგანან. ქუჩუკმა როგორც ახლოს მიატანა, ერთი ისარი იმ ცეცხლს შესტყორცნა და მეორე იმ წერაქვებიან ჯადოებს, ისმიაზამის წერილით. მაშინ იმ წერაქვების მჭერალ ჯადოებმა ერთ ადგილს მიწას თხრა დაუწყეს, რა მოთხარეს იმ ადგილიდამ უეცრად ერთი ორთქლი და საშინელი ბურუსი ამოვარდა, ისე რომ გზა ველარ გაიგნეს. ამ დროს ქუჩუკის სამცხენას თითქოს ფრთები შეესხა, ამ ცეცხლს და ჯანუს ისე გა-

დაათვრინდა რომ თვალი ვერავინ შეასწრო. მაშინ ღმერთმა ბრძანა და იმ გრძნებით ცეცხლმა, ქუჩუკს ვერა დააკლორა, მაშინ უკან მოიხედა ნახა რომ არავითარი არა არისრა, და თავის ჯარიც უკან მოსდევდა უვნებლად დარაზმულნი. მაშინ ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. პატივცემულო მკითხველო, უნდა მოგახსენოთ რომ რაც ქუჩუკმა იმ ორმოც დღეში ტანჯვა გამოიარა, თუმცა რომ დავგეწერა ენაც კი ვერ მოსთქვამდა. რა ორმოცი დღე შესრულდა ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქში შევიდა.

## აქ ქუჩუკისაგან, ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქს მიღწევა და ძლიერი ომების გადახდა—და ქუჩუკის დიდი გაჭირვება და შემდეგ ქუჩუკის გამარჯვება. ქუჩუკისაგან ზარბაქ-დევის სიკვდილი.

ქუჩუკი რომ ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქს მივიდა, თავის ასიათასის ჯარით და ორი დევის სარდლით, ერთ მშვენიერ წყლიან ადგილს ჩამოხტნენ, კარვები დასცეს, ჯარები გააწყეს და იმ ღამეს შეისვენეს.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ქუჩუკი ერთ მაღალ გორაზედ ავიდა და იქიდამ ზარბაქ-დევის ქალაქი დაზვერა, ნახა რომ ქალაქის შორი-ახლო ერთი მაგარი ციხე აქვს აგებული, ისეთი რომ ათი აღაჯი სიგრძე ექმნებოდა და კედლის სიმაღლე ორასი მწყრთა, სიგანე ორმოცი მწყრთა, და მშვენიერი გათლილის ქვით იყო აგებული, ეს ციხის ქვები ოთხის მადნიდამ იყო შედგენილი, ე. ი. ოთხი ფერისა, მწვანე, ლაჟვარდი, თეთრი და შავი მადნისა, მეტად მაგარი რამ სჩანდა, შიგ ერთი დიდი სასახლე იყო გაკეთებული, ისეთი რომ არა სახელმწიფოში არ ენახა იმის მეტი. იმ ციხისთვის დიდი თხრილი შამოევლოთ და შიგ წყალი მიეგდოთ იმოდენა იყო ის მიგდებული წყალი რომ შიგ ნავებით სიარული შეიძლებოდა, სასახლის ბანზედ იმოდენა ქვები დაეგროვებინათ რომ დიდრონ გორებსა ჰგვანდა. ამასთან ციხის სიახლოვეს ხუთასი ათასი მამაცი ჯარი იდგა, სულ ცეცხლის მფრქვეველნი, მარჯვნივ და მარცხნივ ორმოცი ათასი ჯადოს ლაშქარი, ყველანი თავთავის სარდლებით გაწყობილნი. ამათ დიდხანს ზვერავდა ქუჩუკი; რა რომ კარგად დაზვერა, გორიდამ ძირს ჩამოვიდა, მივიდა ერთ ხალვათ ალაგას დაიჩოქა და ღმერთს ვედრება დაუწყო და თავისი თავი შეავედრა, დიდხანს ლოცულობდა. რა ლოცვიდამ მოიცალა შემდეგ თავის დევთა ჯარის სარდლებს უბრძანა და იმ ციხის სი-

ახლოვეს ცოტა მოშორებით საფგაწევით დაადგინა და თვითონ სამოცდა სამის იარაღით შეიჭურვა, ჯაჭვი ჩაიცო, თავზედ მუზარათი დაიხურა, ისე მოიკაზმა რომ შეგეხედათ ამას იტყოდით, ერთი მარმარილოს სვეტი დგასო. თავის სამცხენაც კარგად გააწმენდინა და ბარკისტანი ჩააცვა, უცხო და უცხო ჯადოს განმაქარვებელი ლოცვები დაატანა და თვითონაც მრავალ გვარი ჯადოების განმაქარვებელი ლოცვები დაიკერა, ისე რომ ქვეყანა ჯადოთ გადაქცეულიყო ქუჩუკს და იმის ცხენს ჯადოს მანქანება არ მოეკიდებოდათ, აგრეთვე თავის დევებს. იმ დროს თავის სამსურ ცხენს ხელი წაუსო და უთხრა: „ჩემო სამსურ ახლა ძლიერ გაჭირვებაში ვართ მე და შენ, რომელიც ხუთას ათას დევთა ლაშქარში ვართ და ორმოც ათას ჯადოს გრძნეულებში, ახლა შენ იცი როგორც გაირჯები, ჩვენ ღვთის მეტი არავინა გვყავს შემწე". მხეცი მორჩილად ყურს უგდებდა და ყოველივე მისი ბრძანება ესმოდა. მაშინ ქუჩუკი გადაეხვია და ორსავ თვალებში აკოცა. მაშინვე გამობრუნდა და თავის დევთა ლაშქართან მივიდა, ას ოცი ათასი ჯარი სამათ გაჰყო, ორმოცი ათასი ამბირ-დევს ჩააბარა და მემარჯვენეთ დააყენა: აგრეთვე ორმოცი ათასი აფთარ-ზანგს ჩააბარა და მემარცხენეთ დააყენა, ორმოცი ათასიც თავის კოჭლ-მათუზ-დევს და უბრძანა შენ მხოლოდ ზურგი შემინახეო. მერე გამობრუნდა და ერთ მაკარ ადგილს თავის ბარგი-ბარხანა, რაც რამ ჰქონდა მომეტებული ხაზინა, აგრეთვე რაც იმ დევთა სარდლებიდამ დარჩა, ისინი ყოველივე — და გარს დიდი წრე შემოავლო და ის თორმეტი თავის საკუთარი დევებიც იმ წრეში შეიყვანა და დააყენა, უბრძანა რომ ვინც უნდა მოსულიყო ხმა არავისთვის გაეცათ და ჯადო არ მიეკარებოდათ. მერე ფარვან-დევის ნასწავლი ლოცვა შეულოცა, იმ დროს ერთი ისეთი ბურუსი შემოეხვია იმ წრეს რომ ქვეყანა მისდგომოდნენ ვერ შეუვიდოდნენ.

## ქუჩუკი აქ თავის ჯარის მომზადებაში დაუტეოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოისმინეთ.

ქუჩუკი რომ თავის დევის ლაშქრით მიადგა ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქს, იმ დროს ზარბაქის რამდონიმე დარაჯი დევნი შევიდნენ და მოახსენეს: ჰეი დიდო დევთა ხელმწიფევ, ვიდასაც ქუჩუკ-ყარამანს ეძახიან, ის წამოსულა და რაც გზებში ჩვენ ჯადოთაგან თილისმები ყოფილა სულ ერთიანად დაუმსხვრევია და მრავალი ჯადონი დაუხოცია. თქვენი ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი თუმცა შებმია და დიდი ბრძოლა ჰქონიათ მაგრამ ბოლოს იმათაც თავიანთ ლაშქრით, უხილავი ღმერთი უწამებიათ და

იმასთან ერთად აქ სიახლოვეს მოსულან და სად გაწევით მზათა დგანა-
ნო და აგრეთვე თქვენი მათუზ კოჭლი-დევიც იმას ახლავს, რომელიც ჭა-
ზარექ-დასტთან გაგექცათ მაშინ. ასე შეატყობინეს და დაჩუმდნენ.

ამისთანა ამბის სმენილი ზარბაქ-დევი ასეთ ნაირად გაცეცხლდა რომ
კბილებს თასთასი და ღრჭენა დააწყებინა და იმის ღრიალი ერთ ალაჯზე
გაიგონებოდა. იმის გაანჩხლებაზე რამდენიმე დევი შიშით ჭკუაზე გადი-
რივნეს. მაშინ თქვა მე თვითონ უნდა გავიდე და ვნახო, არამც თუ ეს
ჩემი დევები მატყუებდნენ, უკეთუ მართალი არ გამოდგა სუყველას გავწ-
ყვეტო. მაშინვე კარში გამოვიდა თავის სარდლებით, შეხედა ნახა რომ სამ
ალაგას გაწყობით დევის ჯარები დგას და იმათ წინ ერთი მშვენიერი გა-
მოჭიმული ფალევანი დგას, უცხო იარაღით შეჭურვილი და ასეთი ჯაჭვი
აცვია რომ იმას კაცი ვერ მიეკარება, გვერდზედაც ერთი მთისოდენი რა-
ში უდგას, მშვენივრათ შეკაზმული, ოთხი თვალი აქვს და შუბლზე ისე-
თი რქა აქვს რომ იალბუზის მთასაც რომ ამოჰკრას იმასაც გაანგრევს და
აკვირკელი ცქვიტი, რომ ციდამ ვარსკვლავს მოსწყვეტავს. ქურუკს ძლიერ
დააცქერდა და დიდ ფიქრში შევიდა, როდესაც ის ნახა რომ ისეთის მრი-
სხანის სახით დგას რომ, შვიდთავიან ვეშაპმაც ნახოს იმასაც კი გული
გაუსკდება. მერე მარჯვნივ და მარცხნივ შეხედა, ნახა რომ თავის გაგზავ-
ნილი ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი იქა დგანან ჯარის წინში. ზარბაქ-დე-
ვი თავის თვალებს არ ენდო და არა სჯეროდა თუ ისინი იყვნენ. მაშინ
თავის სარდლებს ჰკითხა: ნუ თუ ამბირი და ზანგი არიანო, თუ ისინი
არიან იქ რას აკეთებენო? მაშინ ერთი სარდალი წინ წადგა და მოახსენა:
ჵეი ხელმწიფევ, აგი წეღან მოგახსენეთ რომ, შებმიან დიდი ბრძოლა გა-
დაუხდიათ მაგრამ ქურუკ-ყარამანს ორივესთვის უძლევია და დაუმარცხებია,
ორივე დაუჭერია საბათოთ ღმერთი უწამებია და ახლა იმას ახლავანო. ამ
მოხსენებაზედაც ძლიერ გაწყრა. მაშინვე დაიძახა, ჩემი მხეცი მომგვარე-
თო. როდესაც ზარბაქ-დევი თავის სარდლებს უწყრებოდა მრისხანედ, მა-
შინ ქურუკს ხმა შემოესმა, მიიხედა ნახა რომ ერთი მთის ტოლა დევი
დგას ორას ორმოცის მწყრთის მქონებელი და შვიდი თავი აბია, თითო
თავი აბანოს გუმბაზის ტოლა გამოვა, ცხვირის ნესტოები მაღაროებს
უგავს, პირიდამ ისეთი მყრალი სუსი ამოსდის რომ კაცის საწამლავს მი-
ემზგავსება, იმ სიშორეზედ სუნი ჰბნედავდა ქურუკს, იმ შვიდ თავთაგან
ერთი თავი ღორისა ჰქონდა, მეორე დათვისა, მესამე ვეფხვისა მეოთხე
ლომისა, მეხუთე მამლისა, მეექვსე კამბეჩისა და მეშვიდე სპილოსი, პი-
რის ნაპობი ერთ სპილოს ოდენი ჰქონდა, კბილები ხუთ-ხუთი მწყრთა გა-
რეთ ეყარა ეშვებივით დაკიდებული, ოთხმოცდა ათი ხელი ჰქონდა, თითო

ხელი თითო ჭანდრის ხეს უგავდა და მხოლოდ ექვსი ფეხი ჰქონდა. ვეფხვის ტყავის ტანსაცმელი ეცვა და ყურებში ხუთ-ხუთ ლიტრიანი ლაჟვარდის საყურეები ეყარა—და ფეხების სიბრტყე თითო ბედელის ტოლა ჰქონდა, დედამიწაზე რომ სდგავდა ფეხებს, დედამიწა იძროდა.

ქუჩუკმა რომ იმისთანა უშველებელი არსება იხილა, ცოტა არ იყო რომ შეფიქრიანდა და შიში ჩაუვარდა გულში და ამისთანა დევ-გმირის გაჩენისათვის, ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და ღვთის განგება შეაქო. შემდეგ თავის თავს უთხრა: „თავო ჩემო თუ შენ გულში შიში შეუშვი, ეგ ფალევნობის წესს არ ეკუთვნის, თუ ჩემი ღმერთი შემეწევა, ამისთანა უშველებელი დევი მე ვერას დამაკლებს“. მაშინვე ორსავ მხრიდამ საომარს ნაღარას შეჰბერეს და გულოვანნი მოედანს გამოვიდნენ. ზარბაქ-დევის მხრიდამ ერთი საშინელი დევი გამოვიდა, ხელთ დასტაჩუბი ეპყრა მოვიდა სისწრაფით და მოედანზე ბრღვინვა შექმნა და ფალევანს ითხოვდა, მაშინ ქუჩუკის მხრიდამ ამბირ-დევმა ერთი ფალევანი დევი გაგზავნა და ერთმანერთს ნავარდობა დაუწყეს, ლახტები ერთმანერთზე დალეწეს, მაგრამ ვერა რომელმა აჯობა, ზარბაქ-დევის მხრის დევი ძლიერ გაცხარდა, ისე დაჰკრა თავის დასტაჩუბი რომ მიწასთან გაასწორა, ამბირ-დევმა მეორე დევი გაგზავნა მოედანზედ, ისიც ადვილათ მოჰკლა, რაღა გავაგრძელოთ ამოობით ორმოცამდე დევი დახოცა, იმ დროს მარცხნივ მხრიდამ ქუჩუკმა ერთი საკვირველი ხმა გაიგო ყვირილისა, ნახა ქუჩუკმა რომ თავის მხრიდამ აფთარ-ზანგი მძიმედ შეჭურვილი მრისხანედ მიუხტა იმ დევს, ის დევი გაამაყებული იდგა რადგანაც ორმოცი დევი დაეხოცა, მაშინ განრისხებულმა აფთარ-ზანგმა ერთი ასეთი ლახტი ჰკრა რომ იმ წამსვე მიწასთან გაასწორა და თვითონ მოედანზე ტრიალი დაიწყო და სხვა ფალევანი გამოითხოვა, იმ დროს ზარბაქ-დევმა შეხედა და ჰკითხა, ეს დევი ვინ უნდა იყოს რომ ამისთანა დევი ერთის დაკვრით მოკლაო? მაშინ მოახსენეს: ეს თქვენი აფთარ-ზანგია. რა ზარბაქმა შეიტყო რომ თავის აფთარ-ზანგიაო, ძლიერ გაჯავრდა, იცოდა კიდეც რომ აფთარ-ზანგს და ამბირ-დევს ვერას დააკლებდა. იმ დროს ხუთას დევს უბრძანა, აბა მიდით და ეგები დაიჭირეთო. მაშინვე ხუთასი დევი მოუხდნენ და შუაში ჩაიგდეს, იმ დროს აქედამაც ამბირ-დევმა ანიშნა და სამასი დევი მიაშველა, ესენი ერთმანერთში აირივნენ და ისეთი ომი შეიქმნა რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. აქედამ ქუჩუკის მხრის დევებმა დაიბრუნეს და უკანიდამ ხოცვით მიჰყვნენ, მეორე მხრიდამაც ხუთმა ათასმა დევმა, აფთარ-ზანგს შემოუტიეს, ცოტა დარჩა სძლიეს.

როდესაც ესეთი დაძალება იხილა ქუჩუკმა, მაშინვე თავის ერთგულ

მათუზ-დევს ანიშნა, სამი ათასი დევით მიშველება აფთარ-ხანგისა, მაშინვე მათუზ-დევი სამი ათასის დევით მიუხტა და ძლიერი ხოცვა შეიქმნა, ამბირ-დევმა ადრევე იცოდა აფთარ-ხანგის მეომრობა, თუნდა რომ ოცი ათასი დევი შებმოდა მარტო, მაინც ვერას დააკლებდნენ. აქედამ დაიბრუნეს ქუჩუკის ლაშქარმა და ზარბაქ-დევის დროშებამდის მიჰყარეს ხოცვით მიჰყვნენ, კოჭლი-დევი ისე გალომდა რომ ერთ დევს აიყვანდა მეორეს შესტყორცნიდა ხოლმე და ორივე უსულო შეიქმნებოდნენ. ამ წადებ-მოტანაში დაბინდდა კიდეც და გასაყარს ნაღარას შეჰბერეს. ორთავ მხრის ლაშქარნი გაიყარნენ. იმ დროს ბინაზე მივიდნენ აფთარ-ხანგიც და კოჭლი-დევიც, და ქუჩუკს მუხლს აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. მაშინ ქუჩუკმა დიდი მადლობა მოახსენა და ხალათები უბოძა. შემდეგ დაათვალიერეს ფავიანთ ლაშქარი, ნახეს რომ სამასი დევი დაჰკლებოდა.

## აქ ზარბაქ-დევის ამბავი მოისმინეთ.

იმ შებინდებაზე ზარბაქ-დევის ლაშქარიც დაბრუნდა ბინაზე დამარცხებული, მაშინ ზარბაქ-დევი საშინლად გაჯავრდა და უთხრა: თქვე წყეულნო, იმათ ჯარი ცოტა იყო და ჩვენი ჯარი ორი იმოდენა, როგორ გაჯობეს, თუ აქ ერთი ღალატობა არა გაქვთ? იმ ღამეს შეისვენეს, მეორე დღეს დილით ორსავ მხარეს ამხედრდნენ და ურთი-ერთის პირდაპირ დარაზმდნენ. მაშინ ქუჩუკს თავისმა თავმოწონებამ მოთმინება აღარ მისცა და ომის მოწადინემ თავის სამსურ ცხენზე ამხედრდა, შუბი იღლიას მიიცა, მოედანზე გამოვიდა და ნავარდობა დაიწყო. ბევრ რიგათ შეათამაშა ცხენი და შუბი, მერე დიდის ხმით შესძახა! ჰეი შენ წყეულო ზარბაქ-დევო და დევთა ხელმწიფევ, დღეს ომი მე და შენია, ამ საწყალ დევებს რაზედ ხოცავ? გამოდი მოედანს თუ მე გაჯობო, შენი ქვეყანაც მე დამრჩეს და შენი ლაშქარიც, და თუ შენ მაჯობო, მაშინ შენ დაინარჩუნე ჩემი ლაშქარიც და ხაზინაც.

ამ დროს ზარბაქ-დევმა შემოხედა ქუჩუკს და იფიქრა სირცხვილია ჩემთვის რომ მე იმისთანა ყმაწვილზე საომრად გავიდეო. იმ დროს, იმასთან ერთი გამოჩენილი დევი ედგა, ას ათის მწყრთის სიმაღლის მქონებელი და ძლიერი მეომარი იყო, ორ ათას ლიტრიან ლახტსა ხმარობდა, სამი თავი ება, მაშინ ზარბაქ-დევს თავი დაუკრა და ქუჩუკისაკენ წამოვიდა, ამბირ-დევი მივიდა და ქუჩუკს მოახსენა: ჰეი ფალევანო, მაგისთანა მეომარი დევი ზარბაქ-დევს არა ჰყავს, რადგან ზარბაქ-დევმა არ ინება თქვენთან გამოსვლა, თქვენც ნუ ინებებთ მაგასთან ბრძოლას, გთხოვთ

მე მიბოძოთ მაგასთან ბრძოლის ნება, მაშინვე ნება მისცა და ამბირ-დევმა თავი დაუკრა და გავიდა მოედანს, იმ დევის საბრძოლველად. რა ერთმანერთს დაუახლოვდნენ, მაშინვე იცნა იმ დევმა რომ ეს ამბირ-დევია, თუმცა თვითონ ძლიერი და გულოვანი მეომარი დევი იყო, მაგრამ ამბირ-დევის მოპირდაპირე კი ვერ იყო. მაშინ უთხრა იმ დევმა, ამბირ-დევო, შენ რა ნაკლულევანება ნახე ჩვენი ხელმწიფე ზარბაქ-დევისაგან? რომ პურმარილი ჭამე და ერთ მიწით შექმნილს დაემონე? აი ახლა მიუყურე თქვენ რა გიყოთ ჩვენ რაჯაბ ღმერთის შემწეობით. იმ დროს თავის ორ ათას ლიტრიანი ლახტი, ამბირ-დევს შეუმაღლა დასაკრავად, ამბირ-დევმა მაშინვე აღარ დააცალა, თავის გურზი ისე დაჰკრა რომ იმის მოქნეული ლახტი ხელიდამ გავარდა, ის რომ ჩაიღრიკა თავის ლახტის ასაღებად, იმ დროს ამბირ-დევმა მეორე გურზი უთავაზა და იმ უბედურს თავი მიწაზე მიუნაეა და მოკლა. რაღა გავაგრძელო იმ დღეს საღამომდის, ას-ორმოცი გამოჩენილი დევი მოკლა ზარბაქ-დევის მხრიდამ და კიდევ მოედანზე ტრიალებდა, მაშინ თითობით ვეღარავინ გაბედა გამოსვლა, მაშინ ორმოცმა ათასმა დევმა ერთიანად შემოუტიეს, აქედამაც ქუჩუკმა უბრძანა აფთარ-ზანგს და მათუზ-დევს თავიანთ ჯარებით მიშველება; ასეთი წაღებ-წამოღება შეიქმნა რომ ზღვის ღელვას ემზგავსებოდა და მეორედ მოსვლას. რა გაჭირდა საქმე ორსავ მხარეს ლაშქარნი დაბრუნდნენ და რაც ზარბაქ-დევის მხარეს დახოცილიყვნენ, შეკრიბეს და ცეცხლში დაწვეს. ქუჩუკის მხრისაკი მიწას მიაბარეს. იმ დროს რა ზარბაქ-დევმა თავისი საჩინო და გამოჩენილი დევის სიკვდილი იხილა, დიდათ შესწუხდა. შემდეგ იფიქრა თუ კიდევ ჯარი შევაბა ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი გამოვლენო და ჩემს ჯარშიაც იმისთანა მეომარი არავინა მყავს და ჯარებს სულ ამომიწყვეტენო, ისევ სჯობია რომ ხვალ მე გავიდე და ვინც მეომარი გამოვიდეს, ამ ჩემის მათრახით მიწასთან გავასწორო, რასაკვირველია თავის სარდლებსაც ის უნდოდათ რომ თვითონ გასულიყო. ყველამ ურჩიეს რომ თვითონ გასულიყო და მეორე დღეს ომისთვის მოამზადეს.

იმ დროს ჯაშუშები იყვნენ, აფთარ-ზანგისაგან გაგზავნილი ზარბაქ-დევის განზრახვის გასაგებად, ყოველივე შეიტყეს, რომელიც ზარბაქ-დევი თვითონ უნდა გამოსულიყო ქუჩუკზე ბრძოლის ველზე, მაშინვე მოვიდნენ ჯაშუშები და თავიანთ სარდალ აფთარ-ზანგს აუწყეს, აფთარ-ზანგმაც საჩქაროდ მათი განზრახვა ყოველივე ქუჩუკს მოახსენა.

## ზარბაქ-დევი ომის მზადებაში დაუტეოთ და ქურუკიც მის მოწინააღმდეგეთ.

ქურუკს რომ მოხსენდა, ზარბაქ-დევის საომრად გამოსვლა, მაშინვე წავიდა ერთ ხალვათს შევიდა სამ ჟამამდის დაჩოქილი ღმერთს ევედრებოდა, თავის გამარჯვებისთვის. შემდეგ ადგა წამოვიდა თავის ბინაზე, მაშინვე თავის ფალევნები შემოიკრიბა და მშვენიერი მეჯლისი გამართა და შუაღამემდის კარგი ღხინი გარდაიხადეს, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ. დილა რომ გათენდა და სიბნელის ფარდა დაიხია და მზემ თავის სხივები ქვეყანას მოჰფინა, ქურუკმა მაშინვე საომრათ მზადება იწყო, და თავის ჯარები რიგზე გააწყო, მემარჯვენეთ ამბირდ-ევი დააყენა თავის ჯარით და მემარცხენეთ აფთარ-ხანგი და ზურგის შემნახველად თავის ერთგული მათუზ-დევი, თვითონაც მშვენივრად შეიკაზმა, თიღიუამუამი (ხმალი), წელზედ შემოირტყა, გურზი ხელთ მიიცა ფარი მხარს გადიგდო, ერთი სიტყვით სამოცდა სამი იარაღით შეიჭურვა, თავის მხეცს თვალებში დაჰკოცნა, ხელი გადუსო და უთხრა: „საყვარელო ჩემო სამსურ, დღეს ჩვენი უკანასკნელი გადაწყვეტის დღეა, მე ყოვლად იმედი მაქვს რომ ქვეყანაზედ ღვთით არ შევრცხვეთ". მაშინვე ამხედრდა და მოედანზედ ნავარდობა დაიწყო. რა ზარბაქ-დევის მხრიდამ შემოხედეს, ყველანი ესე იტყოდნენ ჩვენ ამისთანა მამაცი და გამბედავი ფალევანი არ გვინახავსო, როგორც საქმიდამ სჩანს, ზარბაქ-დევი ამისგან გათავდებაო.

იმ დროს საომარ ნაღარას ჰკრეს და ზარბაქ-დევი ძალა-უნებლიეთ დაიძრა ადგილიდამ, ამას წინ თავის სარდლები გამოუძღვნენ და მოედნის პირს მოაცილეს, ასეთს მხეცს იჯდა რომ ის მხეცი, ერთ დიდ მთას ემზგავსებოდა და ის წყეული კიდევ ფეხებს ადგილზედ მოათრევდა და თავისთვის რადაც საომარი იარაღი გაეკეთებინებინა, ერთი რადაც უშველებელი რამ იყო, ერთ მარხილზედ დაეგდოთ და ასმა დევმა ძლივას მიათრიეს მოედნამდის. მოედანზედ რომ მივიდა მხეციდამ გადმოხტა და თავის ხელით ის უშველებელი ლახტი აიღო და მაღლა შეაგდო და ისევ დაიჭირა და ქურუკისაკენ წამოვიდა, ქურუკმა რომ შეხედა თავის გულში ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა: გმადლობ შენ უფალო რომ ამისთანა უშველებელი არსება დაგიბადებია ქვეყანაზედაო.

რა ქურუკმა ზარბაქ-დევი ქვევითი წამოსული იხილა თითონაც მხეციდამ ჩამოხტა და თავის ცხენს თავი მიანება და უთხრა, არ მომშორდე.

## აქ დაიწყება პირველი ომი ქუჩუკ-ყარამანისა და ზარბაქ-დევისა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, როდესაც დაუპირდაპირდნენ ერთმანერთს ზარბაქ-დევი და ქუჩუკი, მაშინ ქუჩუკმა სალამი უძღვნა და ზარბაქ-დევმა სალამი არ ჩამოართო, გაიცინა და უთხრა: თუ კი ეგრე გეშინოდა შენ სამყოფიდამ რადათ მოდიოდი!? მაშინ ქუჩუკმა უპასუხა: სალამის მიცემა ფალევანთა წესია, და თუ შენგან მეშინიან ახლა მნახამ, მაშინ ზარბაქ-დევმა თავის მძიმე ლახტი ხელთ მიიცა და ქუჩუკს დასაკრავად მიუტანა, ქუჩუკმა რომ ეს მთისოდენი ლახტი თავისზე მიმავალი იხილა, შეფიქრიანდა, მაშინ ღვთის სახელი დიდძალი ხმით შესძახა ისე რომ იმის ხმისაგან იმ საშინელ დევს თითქმის გონება დაეკარგა, ქუჩუკზე მეტი ძალი ვეღარ იქონია და ის მოქნეული ლახტი ქუჩუკის ლახტს მოახვედრა, თუმცა მშვიდობით გადარჩა მაგრამ ასეთი ძალა დაადგა რომ კოჭებამდის მიწაში ჩაითლა, როდესაც ზარბაქ-დევმა ნახა რომ თავის ნაკრავს ქუჩუკი გადურჩა, დიდათ განრისხდა და ხელმეორედ ამ მთისოდენა ლახტს ხელი მიჰყო, მაშინ ქუჩუკის მხეცი გვერთ უდგა განრისხებული და რქაზედ აგებას უპირებდა ზარბაქ-დევს, მაგრამ ქუჩუკის ბრძანებას ელოდა. ზარბაქ-დევმა მეორედ რომ დასაკრავად მიუტანა ლახტი, ქუჩუკმა თიდიუამუამს ხელი გაიკრა და რომელ ხელშიაც ლახტი ეჭირა იმ ხელში ისე ძლიერად შემოჰკრა რომ ხელი მოსწყვიტა, მკლავი და ლახტი ძირს დაეცნენ, როდესაც დაეცნენ დედამიწას, მკლავი და ლახტი, სიმძიმისაგან დედამიწა შეიძრა, მიწა გააპო და შიგ ჩაჯდა ლახტიცა და იმის მკლავიც და ისეთი მტვრის კორიანტელი ავარდა რომ ქუჩუკი მტვერმა დაჭფარა. რა დევმა მოიხედა ნახა რომ ქუჩუკი ადარსადა სჩანს, იმას მიწასთან გასწორებული ეგონა. მობრუნდა და თავის სარდლებს უბრძანა, ახლა თქვენც ამის ლაშქარს შეუტიეთ და ამბირ და აფთარ-ზანგი ხელშეკრული მომგვარეთ, იმ დროს რა ქუჩუკის სამსურ ცხენმა თავის პატრონი მტვრისაგან ვეღარ იხილა, მაშინ საშინლად პირი დაალო და ისეთი დაიღრიალა რომ ცის ქუხილს და ჭექას ემზგავსებოდა, რომელი დევსაც ამბირ და აფთარ-ზანგის შესაპყრობლად მიდიოდნენ, იმათ შეუტია და იმ წამსვე ასამდე დევი დახოცა და ერთიც დევთა სარდალი, რქაზედ აგებული ქუჩუკისაკენ წამოვიდა, იმ დროს მტვერიც გადაყრილი იყო, შეხედეს ნახეს რომ ქუჩუკი უვნებლად დგას როგორც მთა. იქიდამ შემოსძახა! ჰეი შენ წყეულო ზარბაქ-დევო, სად მიხვალ სადა? მე ჯერ ცოცხალი ვარ! ამბირსა და აფთარ-ზანგს თავი დაანებე თორემ შეგანანიებ. შეხედა ნახა რომ თავის სამ-

ცხენას რქაზედ აგებული ერთი უშველებელი დევი მოაქვს და მთვრალ ვეშაპსავით ბრდგინავს და ზარბაქ-დევს უბღვერის და ფეხით მიწას ანგრევს, მაშინ ქუჩუკი მიუახლოვდა და რქიდამ დევი ამოუძრო, დასცა დედამიწას და მოკლა, მაშინ ქუჩუკმა უბრძანა: ჩემო ერთგულო სამსურ უჩემოდ არსად წახვიდე, თვალთაგან ნუ გამშორდები.

ზარბაქ-დევმა გაცხარებულ ბრძოლაში ვერა გაიგორა თუ მკლავი მოსწყვეტოდა, შემდეგ რომ ტკივილმა გაუხშირა, ზედ დაიხედა ნახა რომ მარჯვენა მკლავი სრულებით აღარა ჰქონდა და ქუჩუკიც ცოცხალი იდგა სალი კლდესავით, მაშინვე დასწვდა ზარბაქ-დევი თავის ლახტს და ის ლახტი კვალად აიღო. ქუჩუკს შემოსძახა! ახლა დადეგ და გიჩვენებ თამაშას; ლახტი დასაკრავად მიუტანა, ვიდრე ის დაჰკრავდა, კოჭლი-დევი მოიჭრა ოთხი დევით და ის მოჭრილი მკლავი მოიტაცეს, ზარბაქმა ეს ლახტი ისე ძლიერად მოუქნია რომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქუჩუკზე მოიხმარა, ქუჩუკმა იფიქრა, თუ ამ ნაკრავს არ მოუხერხე რამ სწორედ გამათავებს კიდეცაო, მაშინვე თავის გურზი მარცხენა ხელს მიიცა და ათი მწყრთა მაღლა შეხტა და იმას ყარამანისეული ასეთი მუშტი დასცა გულში რომ ამ უშველებელმა დევმა ლახტი ხელიდამ გააგდო და ნათვაზი შეეკრა, უკან უკან წასაქცევად წაიბარგანავა, მაგრამ მსწრაფად გონებს შეიკრიბა და გაიმართა წელში. ამისთანა საქმეზე ორივე მხრის ლაშქარნი გაჰკვირდნენ და ქუჩუკის ძალ-გულოვნობას ქება შეასხეს.

ახლა რიგი ქუჩუკს ერგო: ქუჩუკმა ღვთის სახელი მაღლის ხმით ახსენა და დიდი ნარა გასწია და თავისი გურზი დასაკრავად მიუტანა, ზარბაქმა ნახა რომ საქმე ცუდათ იყო, თავის ფოლადით შექმნილი ფარი იფარა თავზედ, მაშინ ქუჩუკი თავის ძალის მოიმედეულმა, ისე ძლიერად დაჰკრა რომ ის ფარი თავზე დაამსხვრია და სიკვდილს ძლივას გადურჩა, მეორე და მესამეც მიაყოლა და მაინც არა ევნორა, ახლა მუშტით ეძგერნენ ერთმანერთს. იმ დროს ზარბაქ-დევმა ერთი ისეთი მუშტი დაჰკრა წარბში რომ წარბი გაუსქდა ქუჩუკს და სისხლმა უხვად დენა დაიწყო, მაშინ ქუჩუკი ძლიერ განრისხდა და ერთი ასეთი სილა შემოჰკრა რომ იმ საძაგელს შვიდი ეშვებივით კბილები ჩააყრევინა. იმ დროს ბინდმაც მოატანა ორივე მხრიდამ გასაყარს ნაღარას შეჰბერეს და ორნივე დაბრუნდნენ. მაშინვე კოჭლმა-დევმა ის კბილებიც აკრიბა და მკლავიც დევებს აჰკიდა და ბინაზე წამოაღებინა. შემდეგ ქუჩუკიც მობრძანდა თავის სამცხენაზე ამხედრებული, ბანაკიდამ რომ დაინახეს ქუჩუკი მომავალი, თავის დევის სარდლები მოეგებნენ, ქება შეასხეს და გამარჯვება მიულოცეს, მოახსენეს: ჰეი ფალევანთა ფალევანო, რაც რომ თქვენ ზარბაქ-დევს საქმე

ყუავით იმას თავის დღეში არავისგან არ დამართებია, ღმერთმა ძალ-ღონე ნუ მოაკლოს. ქუჩუკმა დიდი მადლობა გადუხადა სარდლებს და უთხრა: ჰაი დევთა ფალავანნო! მე ნუ შემაქებთ მე ერთი მუჭა მიწა ვარ, მე რა შემიძლიან? მაღლა ხელი აიშვირა და სთქვა: ეს ყოველივე იმის საქმეა და იმის ნებაც უნდა აასრულდესო. საომარი იარაღი მოიხსნა და უცხო მეჯლისი გამართეს, იმ ღამეს კარგად ილხინეს.

## ქუჩუკი ამ ლხინში დაუტეოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოისმინოთ.

ზარბაქ-დევი ბრძოლის ველიდამ რომ დაბრუნდა თავის ბინას, ნახა რომ ერთი მარჯვენა მკლავი და შვიდი კბილი აკლია, მაშინ იკითხა ჩემი მკლავი და კბილები ვინ წაიღოვო? მაშინ თავის დევებმა დიდის კრძალუვით მოახსენეს როგორც საქმე მომხდარიყო, როდესაც შეიტყო რომ ქუჩუკის კოჭლმა-დევმა მოიტაცა, მაშინ ისეთი ყვირილი შექმნა რომ ეგონათ ცა დედამიწას დაეცაო. შემდეგ სთქვა: ჰაი დევებო! როგორც ეტყობა იმ ფალევანს რკინის გული ჰქონდა თორემ ჩემთან ამ საქმეს როგორ გაბედავდათ. ხვალ მე მაგას ის დღე დავაყენო რომ მაგის ჯვარმა თავის დღეში ვეღარ გაბედოს აქეთკენ გადმოსვლა, ხვალ უეჭველად უნდა მოვკლა, თუნდ რომ მეხვეწოს და დამმორჩილდეს, თუნდ რომ იწამოს ჩემი რაჯაბი ღმერთი, არას გზით არ გაპატიებ და მოვკლავ. შემდეგ ცოტედ რომ დამშვიდდა თავის სარდლები შემოვიდნენ, შიშისაგან კარზე გაქცეულნი და თავთავის განწესებულ ადგილებს დასხდნენ და მეჯლისი გამართეს და ყოველნი დაფარულად ქუჩუკის ძალ-გულოვნობაზე ლაპარაკობდნენ და ამბობდნენ რომ ქუჩუკმა ზარბაქ-დევს თვალი ძლიერ გაუტეხაო.

რა დილა გათენდა და მზემ თავის ბრწყინვალე სხივები ქვეყნიერობას მოჰფინა, მაშინ საომარს ნაღარას შეჰბერეს და ორნივე მოედანს გამოვიდნენ, ხლმები მოიწოდეს და ხლმებით იბრძოდნენ, იმ დროს ზარბაქ-დევი ძალიან განრისხდა და ხმალი მოწოდომილმა ქუჩუკს მომართა თავს მოუქნია, ქუჩუკმა გურზი იფარა, ისე მედგრად დაჰკრა რომ გურზი შუაზედ გადუტეხა და მუზარადზე დადგა. რა ესე იხილეს ქუჩუკისაგან ხელი-აილეს, მაგრამ ღვთის განგებით უვნებლად გადარჩა. ქუჩუკმა მაშინვე თილიყამეამს ხელი მოივლო და გაჯავრებულმა შესძახა: ჰაი დევო გამიფრთხილდი და მაშინვე ხმალი მოუქნია დასაკრავად, იმ დროს იმ წყეულმა შვიდკეცი ზღვის ნიანგის ფარი იფარა, ისე მედგრად მოხვდა რომ ფარი გაუხეთქა და თავი მოარიდა, მაგრამ უარესი დაემართა და შვიდი ხელიც

ერთად დააურევინა და კიდეც დაბინდდა და გასაყარს ნაღარას შეჰბერეს
ორნივე თავიანთ ბინისკენ წავიდნენ, მაგრამ ზარბაქ-დევი დიდათ სირცხ-
ვილეულობდა, და მოწყვეტილი მკლავებიც აწუხებდა ძლიერ. როდესაც
თავის დიდებულებმა ისე შეწუხებული ნახეს, მოახსენეს: ხელმწიფეო თქვენ
მაგაზე ნუ სწუხხართ, თქვენ იმ ჟამად დანდობილად იდეგით და ის წყე-
ული მაშინ უკანიდამ მოგეპარა და ეგ საქმე დაგმართაო, თორემ ის ვი-
სი ძაღლია რომ თქვენ ომი გაგისწოროთო, მაშინ დაჯდა თავის ტახტს
და თავის დიდებულები მოისხა გვერდით და რჩევაში შევიდნენ, ისე გა-
დასწყვიტეს რომ მეორე დღეს რაზმ-რაზმათ უნდა ეომათ.

## ესენი აქ თავიანთ განზრახვაში დაუტეოთ და ქუჩუკის ამ-ბავი მოისმინეთ.

იმ ჟამად ქუჩუკი ომიდამ რომ გამობრუნდა, კოჭლ-დევს ომის ვე-
ლიდამ ზარბაქ-დევის შვილი მკლავი კიდევ მოეკრიბა, თითო დევისთვის
ზურგს აეკიდა და მოვიდა, ქუჩუკს გამარჯვება მიულოცა და ის ხელებიც
პირველ ხელთან დაყარა, როდესაც ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა დაინახეს
ქუჩუკის ბინაზე მომავლობა, იმათ აღრევე დაემზადებინათ ხონჩებით თვალ-
მარგალიტი, მიეგებნენ წინ და გამარჯვება მიულოცეს, ხონჩეიით თავზე
თვალ-მარგალიტი გადააყარეს. ქუჩუკმაც დიდი მადლობა უძღვნა და ისე
დიდებით შეიყვანეს. ქუჩუკმა საომარი იარაღი აიყარა და სამეჯლისო ტა-
ნისამოსით შეიმოსა და მეჯლიში გამართეს, დიდი ლხინი და ნადიმი გა-
დაიხადეს. აფთარ-ზანგს იქით მხარეს ჯაშუში დევები ჰყავნდა გაგზავნილნი
ზარბაქ-დევის ლაშქარში, მოვიდნენ და მოახსენეს რომ, მეორე დღეს რაზ-
მობით იქნება ომიო. მაშინ ქუჩუკმა აფთარ-ზანგს უბრძანა მაშ თქვენც უნ-
და მოემზადოთ და ვიდრე მე გამოვიდოდე, რაზმები რიგიანად უნდა გა-
ნაწესოთ რომ ხვალ დიდი ომი მწადიან. ქუჩუკი ჩვეულებისამებრ წავიდა
ერთ ხალვათს ადგილს დაიჩოქა და ილოცა, შემდეგ მოსვენებას მიეცა, რა
დილა გათენდა ვიდრე ქუჩუკი ადგებოდა, ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა
ჯარები დარაზმეს, ყველას ასისა და ათასის თავები აუჩინეს, სამ დასტად
დააყენეს, მოწინავე აფთარ-ზანგი იყო. რა ქუჩუკმა გაიღვიძა კვალად ღმერ-
თი ილოცა და გამოვიდა, შეხედა ნახა რომ აფთარ-ზანგსა და ამბირ-დევს
ჯარის რაზმები უკვე განუწესებიათ და საომრად მზათა დგანან.

იქით მხარეს ზარბაქ-დევმა უბრძანა თავის სარდლებს რომ ორასი
ათასი მოწინავე ჯარები დაეყენებინათ—ვიდრე თვითონ გამობრძანდებოდა
მოედანზე, მაშინვე სარდალთა აღასრულეს ზარბაქ-დევის ბრძანება და ისი-

ნიც იქით მხარეს დარაზმდნენ და დასტა-დასტად გაეწყვნენ. ზარბაქ-დევისთვის ერთი მშვენიერი ტახტი დადგეს და ალმები ამართეს. მაშინ გამობრძანდა ზარბაქ-დევი მივიდა და ტახტზე დაჯდა და თავის მთისოლენი ლახტიც გვერდით დაიდო და თავის საჯდომი მხეციც გვერდ მოიყენა, ამასთან ორმოცი ათასი ჯალოთ ლაშქარი უკან დაიდგინა.

ქუჩუკმა რომ ჯალოთ ლაშქარი იხილა, ამათზე კი ცოტათ შეფიქრიანდა, მაშინვე გამობრუნდა და თავის დევთა ჯარს უბრძანა: ყოველმა თქვენგანმა, იარაღებზე და კალთებზედ ისმიაზამი დააწერეთო და თითონაც რაც ჯალოს განმაქარვებელი ლოცვები ჰქონდა სულყველა ზედ გაიწყო, აგრეთვე თავის სამცხენსაც გაუწყო და უბრძანა რომ ჯარი წინ წამოუყვანათ და საომარ ბუკისთვის შეებერათ. რა იქით მხარეს საომარ ბუკის ხმა გაიგეს მაშინვე ერთმანერთს შეუტიეს, აქედამ ას ათასმა, ამბირდევის ლაშქარმა და ათიათასმა აფთარ-ზანგის ლაშქარმა. იმათ მხრიდამ ხუთას ათასმა ჯარმა და ორმოც ათასმა ჯალოთ ლაშქარმა და დაერივნენ ერთმანერთში, ასეთი საშინელი ომი შეიქმნა რომ მეორეთ მოსვლას დაემზგავსა. ქუჩუკმაც მაშინვე თავის ბედნიერ ქარქაშიდამ თილიყამყამი ალმოიწოდა და ჯარს წინ მშვენივრად გამოუძღვა, და მალ-მალ ნარას ეწეოდა და უწყალოდ ჟლეტავდა. ამასთან მარჯვნივ და მარცხნივ, ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი დევი, მუსრს ავლებდნენ და კოჭლი დევიც ხომ ქუჩუკს ზურგს უნახავდა; მაგრამ ქუჩუკის სამსურ ცხენი ერთ მხარეს ლაშქარს მიხდომოდა პატრონის მიხედულობით და ისიც თავგანწირულებით იბრძოდა თავის მძლავრ რქით და ფეხქვეშ სრესდა, ზოგს პირითა გლეჯავდა. თუ ქუჩუკი და თავის დევები იბრძოდნენ მედგრად, არც სამსური აყრიდა კეთილს, ხან დევთა ლაშქარს შეუტევდა და ხან თავის ქუჩუკს გვერდს უნახავდა, ქუჩუქის ფიქრი თავის ცხენის უვნებლობა იყო, როდესაც შეხედავდა რომ თავის სამსური უვნებლად არის დიდათ უხაროდა, მალმალე ცხენი მოიჭრებოდა ქუჩუკთან და ნავარდობით თავს მიუშვერდა, რამდონიმე ჯალოთი რქაზედ ასხმული, მაშინვე ქუჩუკი ამოართმევდა რქიდამ და ხოცდა ხოლმე, მხოლოდ სამსურს ყოველთვის ეუბნებოდა ქუჩუკი რომ არ გაშორებოდა. რაკი რქიდამ ჯალოები ამოართო, ქუჩუკმა მაშინვე კვალად გააგრძელა ომი ხმალ მოწდომით და დევთა შეუტია, ისეთი ფიცხელი ნარა გასწია რომ იმ არე-მარემ ზანზარი დაიწყო,—და დევთა საომარი იარაღი ხელთაგან გასცვივდათ და ჰაერში დაიწყეს ყურება იმათ ეგონათ რომ ცის ჭექა-ქუხილი იყოვო. ქუჩუკმა დაუღალავად შეუტია ამ ზღვის ოდენა დევთა ჯარს და თან მალ-მალ ნარას ეწეოდა და ხოცვით უკან მისდევდა. მარჯვნივ მხარეს ამბირ-დევი და მარცხნივ მხარეს აფთარ-ზანგი. იმ

დღეს ისეთი ომი გარდაიხადეს რომ ღვთის რისხვა დასცეს თავს და ერთმანერთს უძახდნენ „ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ. ერთსაც ნუ გადაარჩენთ ცოცხალს“.



იმ დროს ზარბაქ-დევმა რომ იხილა ესეთი მარცხი საქმე, ნამუსში-ჩავარდა და სულ ერთიანად შეტევა უბრძანა. გარს რკალივით შემოერტყ-ენ ქურუკის დაცვას — და დაამტვრიეს სადაც ქურუკი და თავის ცხენი იბრ-

ძოდნენ იქ მიჭყარეს ყველანი. როდესაც სამსურ ცხენმა იხილა თავის მხრის ლაშქარი უკან დაბრუნებული, მაშინ ერთი საშინელი ხმა აღმოუტევა და მტრის ლაშქარს შეუტია და მედგრად დაერია და თითოს იმისთანა ხმას აღმოუტევდა რომ დევთა ჯარს თავს ზარი ეცემოდა და თავის რქით მედგრად იბრძოდა, ისე გაცხარდა რომ სიფიცხით ღვართ ოფლი გადასდიოდა. გაკვირვებულნი ორივე მხრის ლაშქარნი უყურებდნენ ქუჩუკის სამცხენას. ახლა ქუჩუკმა შეუტია მედგრად და გასდევნა, რასაკვირველია მეორეს მხრიდამაც ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი ომობდნენ მედგრად და უკან განდევნეს მტერი

## ესენი ამ ბრძოლაში დაუტეოთ და ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ დროს ქუჩუკმა რომ ნახა თავის მოწინავე ჯარი დააბრუნეს და სადაც თვითონ ომობდა იქნომამდე მოჭყარეს, ერთხელ ხომ უთხრა თავის სამსურ ცხენს რომ გვერდიდამ არ განშორებოდა; იმ მედგარ ბრძოლაში ქუჩუკს ერთი დიდი კიჟინის ხმა შემოესმა, მოიხედა ნახა რომ თავის ცხენი აღარა სჩანს, აღარც ამბირ-დევი და აღარც აფთარ-ზანგი, ქუჩუკი გაჰკვირდა, მერე ერთ მხარეს შეხედა ნახა რომ თავის სამსური, დევთა ჯარს დარევია და უწყალოდ ხოცავს კვალად, აფთარ-ზანგი და ამბირ-დევიც იმის სიახლოვეს იბრძვიან, მაგრამ მტრის ჯარი ძლიერ შეშინებულან ამ მხეცისაგან ისე რომ ახლოს ველარ უდგებიან. მაშინ კვალად ქუჩუკმა ღვთის სახელზე ერთი საშინლად ხმა მისცა და ამ მომავალ დევთა ლაშქარს შეუტია, ვისაც გურზსა სცემდა მიწასთან ასწორებდა, რომელსაც ხმალს შემოჰკრავდა ცხენსა და კაცს შუა სწყვეტავდა, ვისაც ფეხს აძგერებდა გულაღმა დასცემდა, რომელსაც ხელსა სტაცავდა, მეორეს შესტყორცნიდა და ორნივ უსულოდ დაეცემოდნენ. ქუჩუკი გაჯავრებული მალმალ ნარას ეწეოდა. როდესაც ქუჩუკმა საქმე ძლიერ გაუჭირა, იმ დროს ხუთასი მხვადი დევი მოუხდნენ ქუჩუკს და საგდებლები გადაუყარეს და ბევრი მოზდეს და გასწიეს, მაგრამ ღვთის ძალით ადგილიდამაც ვერ დასძრეს. მაშინ კიდევ ასი მაშველი დევნი მოემატნენ, იმათაც ზოგმა ქამანდები გადაუყარეს ზოგნი ხმალ და ხმალ მიუხდნენ მაგრამ ქუჩუკი მალმალ ისეთ ხმას აღმოუტევდა რომ გაშტერებულნი აქა-იქ იყურებოდნენ, მაგრამ არიქმნა ქუჩუკმა ქამანდებს თავი ვერაფრით ვერ დააღწია, იმ დროს თავის ერთგული მათუზ-დევი რომელიც ქუჩუკს ზურგს უნახავდა, თავის ოცი ათასის ჯარით, მათუზმა ნახა რომ რამდენიმე ას დევს ქუჩუკისთვის ქამანდები გა-

დუურიათ და უწყალოდ სტანჯავენ; და ჯადონიც ცალ მხრიდამ თავიანთ ეშმაკობით ულოცავდნენ და ზოგნიც ხლმებით და ლახტებით მისდგომიან, და ქუჩუკიც დაღლილა და წაქცევას აპირებს, მაშინ კოჭლ-დევს სიცოცხლე აღარ შერჩა, გაბრუნდა და ხმა მისცა თავის ოც ათას ლაშქარს, მაშინვე მომართეს და შეუტიეს, ქუჩუკზე იერიშმიტანილებმა რომ იხილეს ოცი ათასის დევის მოსვლა თავიანთზე, ძლიერ შეფიქრიანდნენ, მათუზმა კიჟინა დასცა მაშინვე და შეუტიეს ამ ზღვის ოდენა ლაშქარს, გზა გააპეს და ქუჩუკამდის მიაღწიეს. მაშინვე გარდაცმული ქამანდები ხლმებით დასჭრეს. რა ქუჩუკმა თავის ერთგული მათუზ-დევი ნახა რომ იმისთანა გაჭირვებაში დაეხმარა, დიდათ იამა და თავის გულში დაუმადლა, მაშინ გული ერთი ათად შეექმნა. რა განთავისუფლდა საგდებლებიდამ, ქუჩუკმა უთხრა მათუზ-დევს, აბა ახლა მომყევი, მაშინვე ღვთის სახელზე შესძახა! და ყველამ დასცეს კიჟინა, ხმალ მოწდომილი ქუჩუკი მტრის ჯარს დაერია და ხოცვით გავიდა იმ თავში.

## ქუჩუკი თავის ჯარით ამ ომში დაუტეოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოისმინეთ.

იმ დროს ზარბაქ-დევმა იხილა რომ ერთი უშველებელი მხეცი დაერევია თავის ჯარს და უწყალოდ მუსრს ავლებს, რომელსაც თავზედ ერთი რქა აბია. ვისაც წააძგერებს შვიდს და რვას რქაზედ იგებს. მეორე მხარესაც შეხედა ნახა, ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი ხმალ მოწდომილნი, ესენიც ხოცვით უკან მოზდევდნენ და დიდძალი ჯარიც ამოუწყვეტიათ. ახლა მარცხნივ შეხედა, ნახა რომ თავის ლაშქარს დევთა და ჯადოთ, პირი უბრუნებიათ და მორბიან, ქუჩუკიც უკან ხოცვით მოსდევს და კოჭლი-დევიც ოცი ათასის დევით მედგრად იბრძვიან. როდესაც თავის ჯარის დამარცხება ნახა, ძლიერ განრისხდა და ერთი ასეთი შეჰღრიალა რომ ცის გრგვნას ემზგავსებოდა, ეს ამოდენი ჯარი, თავისი თუ მტრისა იმ ხმაზედ პირქვე დასცვივდნენ და მაღლა ყურება დაიწყეს, დაიძახა ჩქარა ჩემი მხეცი მომგვარეთო! მაშინვე მხეცი მოჰგვარეს, შეჯდა და მთისოდენი ლახტი ხელთ იპყრა და დიდი ნარა გასწია, ქუჩუკის ჯარს დაერია და უწყალოდ ხოცვა დაუწყო, ქუჩუკის დევთა რომ ზარბაქ-დევი დაინახეს პირი იბრუნეს და გაიქცნენ.

იმ დროს ქუჩუკმა რომ თავის ჯარი გამობრუნებული ნახა, მაშინვე მათუზ-დევს ჰკითხა: ჯარი უკან ვისაგან მორბიან, ჩქარა შემიტყეო, ვიდრე მათუზი შესატყობინებდა, ნახა რომ ზარბაქ-დევი თავის უშველებელ

მხეცზედ ამხედრებული ხოცვით ჯარს უკან მოზდევს, დრიალით და უკანაც თავის სარდლები მოზდევენ, რამდენიმე ათასის დევით.

იმ დროს როდესაც ზარბაქ-დევის ჯარს შეუტიეს და უწყალოდ ხოცავდნენ, ქუჩუკის ჯარს იმის ხმა რომ შეესმათ, უგონონი შეიქმნენ, რა გონებას მოეგნენ შეხედეს ნახეს რომ ზარბაქ-დევი თავის მხეცზედ ზის და ჯარსა ღეწავს. ქუჩუკის მხეციც გაცხარებულა და ლამის მის სიახლოვეს მიაღწიოს მტრის ჯარის ხოცვით, მაგრამ გონება კი სულ ქუჩუკისაკენ აქვს. იმ დროს ამბირ-დევი და აფთარ-ზანგიც თავიანთ მოწინავე რაზმით ქუჩუკის სამცხენასაკენ გაეშურნენ. როდესაც ზარბაქის ლაშქარმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ, ზარბაქ-დევმა ნახა რომ საქმე ძლიერ გაჭირდა თვითონ გამოვიდა ომში საბრძოლველად თავის დანარჩენ სარდლებით და იმ დაბრუნებულ ჯარით. როდესაც ნახეს, ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა ზარბაქ-დევი, მაშინვე ქუჩუკისაკენ დაბრუნდნენ და სამცხენაც გამოაბრუნეს.

### ესენი აქ დაუტეოთ. ქუჩუკისა და ზარბაქ-დევის ამბავი მოისმენით, მოედანზე ერთმანერთის შეყრა და ქუჩუკისაგან საშინელი ომის გარდახდა ზარბაქ-დევთან, სამჯერ თავის საჯდომიდამ გადმოგდება.

ზარბაქ-დევი რომ გამოვიდა მოედანზე, გაანჩხლებული შეუტია ქუჩუკის ლაშქარს; მაშინ თვალი შეასწრო ქუჩუკს, ნახა რომ როგორც ქურციკი ისე დახტის ომში და თავის ჯარს ვისაც ხმალსა სცემს როგორც კომბოსტოს ისე აპობს. ქუჩუკმაც უშიშრად შეხედა, ნახა რომ როგორც ერთი დიდი მუხის ხე ძირიანად ქარს მოეგლიჯოს და გორვით მიჰქონდეს, იმ გვარად მოაბიჯებდა, რომელიც წინ შეხვდებოდა როგორც ფარცხი ისე ფარცხავდა და დედამიწაზე ასწორებდა. იმ დროს ქუჩუკსაც მოუახლოვდა და შესძახა! „ჰეი უმეცარო მიწით ნაშობო! შენ ის გიჯობდა რომ შენ ქვეყნიდამ ჩემს მხარეს არ წამოთრეულიყავ!“ მაშინვე მხეცს ამხედრდა და თავის მთისოდენი ლახტი შესტყორცნა ქუჩუკს, ის ლახტი ქუჩუკს ასცდა და მათუზ-დევის ამხანაგ დევებს მოხვდათ, რომელნიც ქუჩუკს ზურგს უნახავდნენ, ამის ნასროლ ლახტმა, ასამდე დევი გაიტანა და გასრისა, ზარბაქ-დევმა რომ ნახა ლახტი ქუჩუკს ასცდა, გაბრაზებულმა და გაცეცხლებულმა, ხმალს ხელი გაიკრა და ქუჩუკს მოუახლოვდა, ქუჩუკმა რომ ნახა ხმალს ხელი გაიკრა და თავისზე მოდის, მაშინვე მარჯვენა ხელი მარცხნივ შემოივლო და მარჯვენა მარცხნივ და ღვთის სახელზე შესძახა! თილიყამყამს ხელი მოივლო და შავარდენის მზგავსად ზარბაქ-დევს

წინ აღუდგა. ზარბაქ-დევი ქუჩუკს ხმლის დაკვრას უპირებდა, ქუჩუკმა თავის თიღიყამყამი რომელიც ხელთ ეჭირა შემოჰკრა და ხმალი სამათ გაუტეხა, რა ზარბაქ-დევმა თავისი ხმალი გადატეხილი ნახა დიდათ ითაკილა და ხელში ხმლის ტარი რომ შერჩა ის ესროლა, თავში დაკოდა და სისხლი გადმოედინა, რა ქუჩუკმა ესეთი ჭრილობა მიიღო, გაჯავრებული მიუხდა და თავისი თიღიყამყამა ისე ძალზე მოუქნია რომ შუა გააპობდა მაგრამ იმ წყეულმა აიცდინა, ასე რომ, ზარბაქ-დევმა რომ თიღიყამყამი ნახა და ქუჩუკი გაანჩხლებული, ფარი შეაშველა და თავი მოარიდა, მაშინ ფარი გახეთქა და იმის საჯდომ მხეცს მოხვდა და თავი კისერზედ მოსჭრა, ეს უშველებელი მხეცი და ზარბაქ-დევი ძირს დაეცნენ, ისე რომ იმათ დაცემაზე დედამიწა შეიძრა. მეორეთაც სცა, თუმცა მოხვედროდა იმასაც თავის მხეცსავით ორათ გასწყვეტავდა, მაგრამ ისიც სიმხნით აიცდინა, მესამედ მიუხდა და უნდოდა იმის საქმე გაეთავებინა, იმ დროს ათასმა დევმა ერთად შემოუტიეს, ქუჩუკმა მაშინვე ხმალი მიიცა ხელთ და საშინელი ხმით ნარა გასწია და ამ ათას დევს შეუტია. იმ დროს ზარბაქ-დევიც ერთ ალაგ მიიყვანეს და იქიდამ ყურება დაუწყო და დაიღრიალა, მალე ჩემო მეომარი მხეცი მომგვარეთო.

## ზარბაქ-დევი თავის მხეცის მოლოდინში დაუტეოთ და ქუჩუკიც ზარბაქის ლაშქრის შეტაკებაში.

ქუჩუკს როდესაც ზარბაქ-დევის ლაშქრიდამ ათასმა დევმა შემოუტიეს იმ დროს რომ ნახეს ზარბაქ-დევის მხეცი ორად გაჰკვეთა, ერთ მხარესაც ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი და სამსურ-ცხენი იბრძოდნენ მედგრად. აქედამ ქუჩუკმა შეუტია, იქიდამაც იმათ და მტერი მოედნიდამ განდევნეს და დაამარცხეს. უკან მისდევდნენ ხმლებ მოწვდილნი და უწყალოდ ხოცდნენ. როდესაც ზარბაქ-დევმა დაინახა რომ თავისი ჯარი დაამარცხეს და გამორბიან უკან, მაშინ ერთი დაიღრიალა ისე რომ ორსავე მხრის ლაშქარნი შედგნენ მის ღრიალისაგან, ნახეს რომ ქუჩუკისაკენ წამოვიდა დიდათ განრისხებული, მაშინვე ამბირ-დევი და აფთარ-ზანგიც წამოვიდნენ ქუჩუკისაკენ და სამსურ-ცხენსაც ანიშნეს რომ ისიც იმისკენ წამოსულიყო. ზარბაქ-დევი მოუხდა ქუჩუკს თავის სარდლებით და ბრძოლა დაუწყო ძლიერი, სამცხენას რომ შეესმა ქუჩუკის ნარის ხმა, სამსურ-ცხენი მაშინვე იმასთან დაიბადა გაშმაგებული, მაგრამ თავის პატრონი ვერ იხილა, ჯარის სიმრავლისაგან, მაშინვე გაქანდა და დაერია ამ ურიცხვ დევთა ლაშქარს, ისეთი მამაცათ მოიქცა რომ ამოდენა ზღვის ოდენა დევთა ჯარი გააპო და ქუ-

ჩუკს ეძებდა, იმ დროს ქუჩუკს რომ თავის მხეცის ფშვინვა მიესმა, მოიხედა ნახა რომ გაგიჟებული მოილტვის, ქუჩუკი რომ ცოცხალი დაინახა სიხარულით ხვიხვინი დაიწყო და თამაშობით ქუჩუკთან დადგა და საყვარლათ ჩვეულებისამებრ თავი მიუშვირა და რამდონიმე დევი რქაზედ აგებული ჰქონდა, მაშინვე ამოართო, მოეხვია და თვალებში დაჰკოცნა.

## კვალად ქუჩუკისა და სამცხენას ამბავი მოიხსენიეთ.

შემდეგ სამცხენა დააკვირდა ქუჩუკს ნახა რომ ქუჩუკს სახეზედ სისხლი გადმოსდის და თავი დაკოდილი აქვს, წინ თითქმის ათასამდე მებრძოლი უდგას და ებრძვიან, რა კარგად გაშინჯა მაშინვე ჩვეულებისამებრ კუდი წამოიშვანდრაკა და დევთა შეუტია და უწყალოდ ხოცვა დაუწყო. ქუჩუკმა რომ მხეცი იმ გვარად განრისხებული იხილა, იმედი დაედვა და თვითონაც შეუტია, აგრეთვე მათუზ-დევის ორმოცმა ათასმა დევმა, ამასთან ამბირ-დევი და ათთარ-ზანგი თავიანთ ლაშქრით მოესწრნენ, ესენიც დაეტაკნენ და დიდი კიჟინა დასცეს და ამოდენა ზღვის ოდენი ლაშქარი კვალად დააბრუნეს და ხოცვით მისდევდნენ, იქამდე მიაღწიეს სადაც ზარბაქ-დევი იდგა ხმალ მოწდომით ზედ მიარეკეს, ქუჩუკის სამცხენამ შეხედა ნახა რომ ზარბაქ-დევი ხმალმოწდომით დგას, მაშინ ცხენმა ყურება დაუწყო იმის შეტევა მოიწადინა, მარცხნივ დაინახა რომ ერთი უშველებელი მხეცი ას დევს მოჰყავთ იმის საჯდომად. რა ის მხეცი დაინახა, ერთი საშინლად პირი დააღო და ღრიალი შექმნა, ამ მხეცს მიეჭრა: ამ ასმა დევმა რომ ქუჩუკის ცხენი დაინახეს მაშინვე იმ მხეცს თავი ანებეს და გაიქცნენ. მაშინვე გაექანა ქუჩუკის ცხენი და იმ მხეცს ასეთი რქა ამოჰკრა რომ პირქვე დასცა, ასწია და ვერ აზიდა, მეორეთაც დააძგრა და გულის კოვზში მოზდო და ეს უშველებელი მხეცი მაშინ აიდო და ქუჩუკისაკენ გამოაქანა. ვის შეეძლო მის წინააღმდეგობა, მოიყვანა ხვიხვინით და ქუჩუკის წინ დაიჩოქა, თავი მიუშვირა ქუჩუკს, ქუჩუკმა რომ ესე იხილა მეტად გაუკვირდა იმის ძალა და მაშინვე რქიდამ ამოგლიჯა, თავის დევებს მისცა და იმათაც ლუკმა-ლუკმა აკუწეს და დაყარეს. ქუჩუკმა თავის ცხენს ქება შეასხა და შუბლს აკოცა, უთხრა: სამსურ ესე იცოდე თუ კიდევ გამშორებიხარ დასჯით გადაგახდევინებ. ქუჩუკი იქვე დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა იმისთანა მხეცის შოვნისათვის. როდესაც ლოცვა დაასრულა ფეხზე წამოზდგა და ლაშქარს შეტევა უბრძანა და თვითონაც შეუტია.

ეს აქ დაუტეოთ და ზარააქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ზარბაქ-დევმა ასი დევი გაგზავნა მეორე საჯდომ მხეცის მოსაყვანად მათ ძლიერ დაიგვიანეს, იმ დროს შეხედა რომ თავის მარჯვენა მხრის ჯარი დაფანტულან და ქუჩუკი და იმის სარდლები ჯარი კვალად ხოცვით მიაყარეს ზარბაქ-დევს, იმ დროს თავის გაგზავნილი დევებიც მასცვივდნენ და მოახსენეს: როგორც ქუჩუკის ცხენი მოუხტა გზაზე და როგორც მოიტაცა რქით. რა ზარბაქ-დევმა გაიგონა ესეთი ამბავი განრისხდა და იქაურობა ცეცხლით აავსო, მივარდა და იმ ას დევთაგან მრავალი დახოცა და უთხრა თქვე წყეულნო ასმა კაცმა ერთი მხეცი როგორ ვერ შეიპყარითო!? იმ დევებთაგანმა ერთმა შესძახა, შენ რომ ჩემი ამხანაგებს უბრალოთ ხოცავ, როგორც ქუჩუკის მხეცმა შენი მხეცი მოკლა, შენც ქუჩუკი ისე მოგკლავს, უთხრა და გაიქცა ქუჩუკის დევებთან, ამ დევმა მაშინვე საბაოთ ღმერთი იწამა და კოჭლ-დევთან დადგა. ზარბაქ-დევმა როცა ეს თავის დევები დახოცა მაშინვე ქუჩუკისაკენ წარვიდა გაჯავრებული, რა ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ ზარბაქ-დევი თავისკენ მოდის, მაშინვე თავის მხეცს ამხედრდა და იმასაც საჯდომი მხეცი მოჰგვარეს, ზარბაქ-დევი შეჯდა და მხეცი გააფიცხა, მსწრაფლ ქუჩუკს მომართა შუბი საძგერლად გულს მიუტანა, ახლოს რომ მიუტანა ქუჩუკის მხეცი მარდად გასხლტა და აუცდინა ქუჩუკს, ზარბაქ-დევმა რა შუბი ააცდინა დიდათ ითაკილა, მაგრამ ორსავე მხრის ლაშქარი ქუჩუკის გამჭრიახობას და იმის ცხენის საქმესა ჰკვირობდნენ, იმ დროს ზარბაქ-დევმა თავის მხეცი მოიბრუნა და კვალად თავის შუბს ხელი მიჰყო და ქუჩუკს ისე აძგერა რომ კისადამ გულის ფიცარი შეუნგრია და ცოტა გაწყდა ცხენიდამ გადმოვარდა, მაგრამ ჩქარა მოვიდა გონზედ და თავის სამსურ ცხენი მოაბრუნა და დადგა, ზარბაქ-დევმა ნახა რომ იმ ნაძგერ ხიშტსაც უვნებლად გადურჩა, მახვილი აღარ იხმარა, იმას ზედ რკინის კეტი ჰქონდა, ათას ლიტრიანი იმით მომართა და რაც ძალა ჰქონდა ოცის ხელით ქუჩუკს დასაკრავად მიუტანა, მაშინ იფიქრა ქუჩუკმა, თუ ამ კეტს არ მოვერიდე იქნება რომ ჩემი დღე ამით გათავდესო. თავის ფალევნობას ვერ აკადრა და დაუდგა და მარცხენის ხელით ფარი იპყრა და მარჯვენით თილიყამყამი, იმის კეტი ზუზუნით რომ წამოვიდა, მაშინ ქუჩუკმა საშინლად შესძახა და თილიყამყამი შემოჰკრა და ათი ხელი ერთად მოსწყვიტა და კეტიც ხელიდამ გავარდა, ქუჩუკის დევები მოსცვივდნენ და კეტიცა და მკლავებიც წაიღეს. ახლა კი რიგი ქუჩუკს ერგო, ქუჩუკმა მაშინვე შუბს გაიკრა ხელი და ზარბაქ-დევს შეუსწორა, რა ზარბაქ-დევმა იხილა ქუჩუკი გაუსწორდა,

მაშინვე საჯდომიდამ ძირს გადმოხტა და ქუჩუკის მახვილი სიფიცხით აი-
ცდინა, რა ქუჩუკის სამსურმა იხილა რომ ზარბაქ-დევი ძირს ჩამოხტა და
იმით აიცდინა, მაშინ მიუხდა იმის საჯდომ მხეცს და ასეთ მოხერხებულად
აძგერა რქა რომ შიგ გულში გაასხედა, ასწია და დედამიწას დასცა და მოკ-
ლა. მოიხედა ზარბაქ-დევმა ნახა რომ თავის საჯდომი მხეცი მოკლული
გდია, მაშინ გაბრაზებულმა მოინდომა ქუჩუკის მხეცისთვის ფეხები დაემ-
რევინებინა: მაშინვე კოჭლმა-დევმა თვალი შეასწრო და შესძახა: ჩემო ფა-
ლევანო, ცხენს გაუფრთხილდი, არ მოაკვლევინო! მაშინვე ქუჩუკი მოახ-
ტა ცხენს და ზარბაქ-დევს წინ აღუდგა და შესძახა! შე წყეულო, ორი
იარაღის ხმარება ჩემი ჯერ შენა გმართებს, ესე რომ შესძახა, გაექანა და
ასეთი მუშტი უთავაზა შუბლში რომ თვალთ დაუბნელდა და უკან უკან
წაბორგანავდა წასაქცევათ, მაგრამ მსწრაფად გონება შეიკრიბა და დადგა.
ქუჩუკმა ახლა გურზს გაიკრა ხელი და დასაკრავად შეუმადლა, იმ ნაკრავ-
საც გადურჩა, რადა გავაგრძელო, იმ დღეს საღამომდის დაუცხრომლად
იბრძოლეს და ვერა რომელმა სძლია, მერე დაიწყეს ხლმებით უწყალოთ
ბრძოლა, ისე იფიქრეთ რომ, სამი დღე და ღამ ერთმანერთს არ მოშორე-
ბიან, მეოთხე დღეს ძლიერ განრისხდა ქუჩუკი და ღვთის სახელი ახსენა
და მიუხდა, ძალის იმედეულმა ასეთი ხმალი ჰკრა რომ ორი თავი და
ოცი ხელიც დააყრევინა. მაშინ ზარბაქ-დევი ძალა გამოლეული უკან
უკან წავიდა და დედამიწას გარდაიქცა, ისე მძიმედ დაეცა რომ დედამიწა
შეიძრა. რა ზარბაქ-დევის ლაშქარმა ნახა თავიანთ პატრონი გარდაქცეული,
მაშინვე ყველამ ერთობით იერიში მოიტანეს ქუჩუკზე და ზარბაქ-დევი
ბრძოლის ველიდამ მოიტაცეს და ციხეში შეიყვანეს, დანარჩენი ლაშქარი
ქუჩუკს გარს შემოერტყნენ და შუაში დაიმწყვდიეს და დიდი ბრძოლა გა-
ჩნდა. იმ დროს ქუჩუკს აფთარ-ზანგი და ამბირ-დევი მოეშველნენ მაგრამ
იმათ ლაშქრის სიმრავლით ქუჩუკამდის ვერ მოაღწიეს, იქ ქუჩუკის ცხე-
ნი იმ დროს გაცხარებული იმ დევთა ჯარში დარბოდა და მუსრს ავლებ-
და მტერს და ქუჩუკს არა შორდებოდა.

თუმცა ქუჩუკი ამდენმა დევთა ლაშქარმა შუაში შეიგდეს და გარს
ალყა შემოარტყეს, ხმალი, გურზი და შუბი თუმცა მრავალი სცეს მაგრამ
ღვთის მადლით ვერა ავნესრა. ქუჩუკი ამ ბრძოლაში თითოს ასეთის ხმით
შესძახებდა ღვთის სახელს რომ იმ ხმის გამგონთ იარაღი ხელიდამ სცვი-
ვოდათ და შტერდებოდნენ, ქუჩუკი ძლიერ შეაწუხეს თუ მტრის მოგერე-
ბამ და თუ თავის დაღლილობამ, რომელიც სამი დღე და ღამე გაუწყვეტ-
ლივ იბრძოდა, მეტად მოიქანცა, როგორც იყო გააპო ჯარის უმრავლე-
სობა და გავიდა. მივიდა ერთ ხალვათ ადგილას დაიჩოქა და ღმერთს შე-

ქვედრა და თავზედ მიწა გადაიყარა და სთქვა: ღმერთო ჭეშმარიტო, შენ მიხსენ ამოდენა ბილწ დევთა ხელიდან, რა ლოცვა გაათავა ადგა და გამობრუნდა და კვალად დევთა ლაშქარს შეუტია, პირველად ერთი საშინლად ღვთის სახელი ახსენა და დაერია კიდეც. რა ქურუკის ხმა შეესმა სამსურ ცხენს, მაშინვე ამანაც თავი აიღო და ამ მტრის დევთა შეუტია, ამასთან აფთარ-ზანგი და ამბირ-დევიც მიჰყვნენ კვალს და იმ ადგილიდამ როგორც იყო ქურუკამდის მიაღწიეს, მარცხნივ მხრიდამაც კოჭლმა-დევმა გააპო მტრის რაზმი და თავისის დევის ჯარით ქურუკთან ისიც გაჩნდა, ქურუკმა რომ ესენი მშველელად იხილა, გული ერთი ათად შეექმნა და მაშინვე კიჟინა დასცეს და გაიბრუნეს ეს ზღვისოდენი ლაშქარი და უკან გაუდევნენ, იმოდენა დახოცეს რომ მესამედი ველარ წაუვიდათ, ბოლოს საქმე რომ გაუჭირდათ ისინიც გაიქცნენ და ციხეში შევიდნენ, ციხის კარი დაკეტეს. ქურუკმა ნახა რომ ყველანი გაიქცნენ და აღარავინ დარჩნენ ბრძოლის ველზედ, მაშინ თავის სამცხენას შეახტა და ზარხაქ-დევის ბანაკს მივიდა იმის დროშა მოგლიჯა გადააგდო და თავისი დასო; იმის ტახტს ავიდა და დაჯდა. ისეთი ტახტი იყო რომ ერთი კალოს ტოლა, გარშემოს თავის დევი სარდლები მოისხა და უცხო მეჯლისი გამართა და ღვინის სმას ხელი მიჰყვეს, გათენებამდის კარგად შეექცნენ.

## ქურუკი ამ ლხინში დაუტეოთ და მოვიდეთ ზარბაქ-დევთან.

ქურუკმა იმ დროს, ზარბაქ-დევს ოცი ხელი და ორი თავი მოსწყვიტა და ბრძოლის ველიდამ ხომ თავის დევებმა მოიტაცეს და ციხეში შეიყვანეს, მაშინვე თავის სასახლეში დააწვინეს, ორი დღე გავიდა და ვაივაგლახით ძლივას გონს მოვიდა, მაშინ იკითხა, ეს რა დამმართებიაო!? ან ხელები ვინ დამაყრევინაო და ანუ ჩემი ორი თავი სად არისო? მაშინწინ წარსდგა თავის პირველი ვეზირი და როგორც მომხდარიყო საქმე ყოველივე წვრილად მოახსენა: ამაზედ უფრო დიდათ შესწუხდა ბოროტისაგან და მაშინვე სხვა და სხვა ექიმები მოიწვია და მკლავების ჭრილობისაგან და თავების იარებისაგან მოარჩინეს. რა ჭრილობისაგან განთავისუფლდა სიხარულით დიდი მეჯლისი გამართა და ლხინობდნენ.

## ზარბაქ-დევი ამ ლხინში დაუტეოთ და კვალად ქურუკის ამბავი მოიხსენიეთ.

ქურუკმა იმ ღამეს კარგი დროება გაატარა თავის სარდლებით, რადილა გათენდა მაშინვე თავის სარდლების კრება მოიწვია და უბრძანა: ახ-

და კი ამ ციხის აღების თადარიგს უნდა შეუდგეთ, თქვენ ამ საქმისას რას იტყვით? ერთი საშუალება უნდა მოვიხმაროთ რომ ამ ბიჭის საქმე დავასრულოთ დროიანად და თუ ღმერთი შეგვეწევა დროით მინდა წავიდე რომ აქნომამდე ჩვენი ქვეყნები უპატრონოთ არის დარჩომილი.

მაშინ ამბირ-დევი წამოდგა ფეხზედ და მოახსენა: ფალევანთა ფალევანო და ქვეყნის სააპყირანო! ამ ციხის აღება მეტად ძნელია, ერთი ეს რომ ბანებზედ დიდძალი ქვა აქვსთ მომზადებული, ქვეყნის დაშქარი რომ მიადგეს მაინც ისინი მარტო ქვის დაშენით ამოსწყვეტენ, მეორეც ეს რომ ციხე ისეთ თილისმებით არის შექმნილი რომ გალავნიდამ ვერავინ გადავა და სხვა მხრივ მისვლა კი არაფრით შეიძლება.

მაშინ ქუჩუკმა უთხრა, მაშ რა საშუალება უნდა ვიხმაროთ რომ ის წყეული ზარბაქ-დევი გამოვიყვანოთ, ის თავის დღეში აღარ გამოვა ციხიდამ.—მაშინ აფთარ-ზანგი წარმოსდგა და მოახსენა: სააპყირანო ერთი ორიოდ დღე მოვიცადოთ და იმედი მაქვს ყოვლად თქვენგან შეყვარებული ღვთისა რომ საითმე გზა გამოგვიჩინოს, მეორეც ეს რომ ზარბაქ-დევი ასეთი წყეული რამ არის რომ, ის უბრძოლველად ჩვენ არ დაგვნებდება და ციხეშიც დიდძალი ჯარი ჰყავს შეკრებილი, ჩემის აზრით აქამდისაც გამოვიდოდა მაგრამ ეტყობა რომ ძლიერ ავათ არის.

## ქუჩუკი ამ ციხის თათბირში დაუტეოთ და ზარბაქ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკმა დაამარცხა ზარბაქ-დევი, ორი თავი და ოცი ხელი რომ მოსწყვიტა და თავის დევებმა რომ მოიტაცეს და ციხეში შეიყვანეს, ის ძლიერ ავად გახდა, იმის მორჩენა არავის ეგონა, მაგრამ მრავალი ექიმების და წამლების წყალობით მოსულიერდა და მორჩა, მაშინვე თავის პირველი ვეზირი მოიხმო და უთხრა: იცით რა არის, მე ცოცხალი იმ ფალევანს ხელში არ ჩავუვარდები, უნდა ჩვენ გავიდეთ და ერთი იერიშიც მივიტანოთ, ეგები ვავნოთ რამე და თუ მაშინაც დავმარცხდით, მაშინ ერთ მხრისაკენ უნდა გარდავიხვეწნეთ. მე როგორც ვხედავ ეგ ფალევანი მე ბოლოს მომიღებს, ეტყობა რომ ძლიერ სისხლის მსმელია. მაგას მთელი ქვეყანა რომ მიადგეს ვერაფერს დააკლებს; მეტადრე მაგას ისეთი ცხენი ჰყავს რომ რაც უნდა ვეცადნეთ მარტო იმის ომს ვერ ავუვალთ. მერე ზარბაქ-დევმა უთხრა: ჩვენი ხაზინა როგორმე აქედამ გავაცალოთ საითმე და ჩვენც ბოლოს გავიქცეთ და ოკეანეს ზღვის ძირში ვიცხოვროთ.

### ზარბაქ-დევი ამ ფიქრში დაუტეოთ და სხვა ამბავი მოიხსენიეთ.

რა დროიდამაც ქუჩუკმა ზარბაქ-დევზე გამოილაშქრა, და ზარბაქ-დევმა შეიტყო ქუჩუკის წამოსვლა იმ დროს ორი დევთა სარდალი თავიანთ ჯარებით წინ მიაგება, ესენი იყვნენ ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი, ბოლოს ესენი ხომ ქუჩუკმა დაიმორჩილა, მერე ხომ ზინდარ-ჯადო გაგზავნა თავის ორმოც ათას ჯადოს ლაშქრით და უბრძანა, რომ ეგება თავის ხელოვნებით ცოცხალი შეეპყრო, ამ ზინდარ-ჯადომ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრი მანქანები გაუმართა, ეგები როგორმე მოეტყუებინა ქუჩუკი და როგორც გულიჯანი, როვშან-ბახტი, ზორაბ-შაჰა და რუიზანი იმ გვარი სახე მიიღო და სხვა ჯადოებსაც მიაღებინა, მაგრამ ღვთის ბრძანებით ოთხნივე შეიპყრო და მხოლოდ სამი გუდებათ ამოიღო და ერთმა საბაოთ ღმერთი იწამა და ერთგული სამსახური აღუთქვა ქუჩუკს. შემდეგ ხომ ზინდარ-ჯადოს მოჭრილი თავი გაატანა ზარბაქ-დევთან, იმ ჯადოს სამანდუზ-ჯადო ერქვა სახელად, და დიდი ხელოვანი გრძნეული იყო.

ბოლოს დროს როდესაც ზარბაქ-დევი დაამარცხა და თავები და ხელები რომ დააყრევინა მაშინ ხომ მოიტაცეს და ციხეში შეაფარეს დაჭრილი და შეწუხებული. იმ დროს ეს სამან-დუზ ჯადოც ფარულად თან შეჰყვა, როდესაც ზარბაქ-დევს თავის ნაზირ-ვეზირთან რაც განზრახვა ჰქონდა ამ სამან-დუზ ჯადომ ყოველივე დაწვრილებით შეიტყო. იმ ციხეს ერთი ფარული გზა ჰქონდა რომელიც თვით ზარბაქ-დევის მეტმა და იმ ოთხ პირველ ნაზირ-ვეზირის მეტმა არავინ იცოდნენ. ის ფარული გზა ზინდარ-ჯადოს გაკეთებული იყო. ეს გზა სამან-დუზ ჯადომაც გაიგო, რომელიც ზარბაქ-დევმა იმ გზით დააპირა გაპარვა. როდესაც სამან-დუზ-ჯადომ, ზარბაქ-დევის განზრახულება ყველა შეიტყო, მაშინვე იმ ფარულ გზიდამ გამოიპარა და ქუჩუკთან მოვიდა, თაყვანი სცა და მოახსენა: ქვეყანაში ნაქებო სააპყირანო და ფალევანთა ფალევანო! ახლა კი ნამდვილი დრო გაქვს ზარბაქ-დევის შეპყრობისა, თორემ ასეთი წყეული ჯადოა რომ საითმე გაგვეპარება და გაგვექცევა. მაშინ ქუჩუკმა უთხრა: ჩემო ერთგულო სამანდუზ-ჯადოვ რა უნდა გვეშველოს რომ ციხეს ვერ მივდგომივართ—და ვაი თუ ქვებით ჩაგვაქვაონო? გარდა ამისა, თილისმის მანქანებით კედლიდამაც კი ვერ მიუდგებით გადასასვლელად და სხვაფრივ კი არ ვიცით თუ რა მოუხერხოთ.

მაშინ სამანდუზ-ჯადომ თავი დაუკრა და მოახსენა: ჵეი სააპყირანო! მაგაზედ თქვენ ნუ შესწუხდებით, მე ასეთს გზიდამ შეგიყვანოთ რომ ვე-

რა რომელმა ვერ გაიგონ. მერე მოჰყვა და რაც ზარბაქ-დევის განზრახვა იცოდა ყოველივე მოახსენა. ქუჩუკმა რომ სამანდუზ-ჯადოსაგან ყველა მოისმინა, დიდათ იამა და მრავალი საჩუქარი აღუთქვა ამ გვარ სამსახურისთვის, მაშინვე ამბირ-დევს უბრძანა, შენ შენი ასი ათასის ლაშქრით მომზადე და მზათ იყავ, რა წამსაც ჩემი ნარის ხმა შეიტყო, მაშინვე ციხის კართან გაჩნდი. ათვთარ-ზანგსაც უბრძანა რომ შენც შენი ორმოც ათასის მამაცით თან გამამყევ. მათუზ-დევსაც უბრძანა, აბა ჩემო ერთგულო და ყოველ ჟამ თავ გადადებულო! შენც შენის ოცდა ათი ათასის დევებით მაღლა უნდა აღიწიო ჰაერში და ციხეს ყურება დაუწყო, და რასაც წამს ჩემი ხმა გაიგონო, მაშინვე ჰაერიდამ უნდა ძირს ჩამოხვიდე ციხეში შენის ჯარით და კარებს დაეძგერო, როგორმე ეცადე რომ მსწრაფლ გაგვიღო რომ ამბირ-დევი შემოვიდეს თავის ჯარით. მე ვიცი რომ იმ წყეულ ზარბაქ-დევს ხუთასი ათასი მეომარი დევი ჰყავს ციხეში, თუ საჩქაროდ არ მივატანეთ, საქმე საჭიროდ შეიქმნება. რა ესენი ესე დაარიგა ქუჩუკმა მაშინვე თავის სამცხენა მშვენივრად შეკაზმა და მრავალი ჯადოს განმაქარვებელი ლოცვები დაატანა და თვითონაც მშვენივრად გაიწყო იარაღი, თიღიყამყამი წელთ შემოირტყა, თავის სამოცდა სამის იარაღით შეიჭურვა და ათვთარ-ზანგსაც უბრძანა, შენც და შენმა დევებმაც ისმიაზამის ლოცვა დაიწერეთ და მკლავებზედ შეიბითო. ამათაც აღასრულეს და დაბინდებას ელოდებოდნენ.

## ესენი თავიანთ თადარიგში დაუტეოთ და ზარბაქ-დევის განზრახვა მოიხსენიეთ.

ზარბაქ-დევმა ციხეში ბევრი იფიქრა და ესე იტყოდა: თუ გავიდე და კვალად შევებრძოლო, მე იმის ომის გასწორების თავი აღარა მაქვს და იქნება მომკლას კიდევაც, ჯადო იმას არ ეკარება, მაშასადამე ის დამრჩენია რომ როგორმე გავიპარო და ოკეანეს ზღვის ძირში დავიმალო დროებამდის ვნახო ბოლო როგორ გათავდება. მაშინვე რაც ხაზინა ჰქონდა სულ ერთად შეკრიბა და რაც სხვა საუკეთესო ძვირფასი ნივთები ყველა დაამზადა, აგრეთვე რაც ტყვეთ მშვენიერნი ქალნი ჰყვანდა ისინიც ბროლის კუბოებით თან წაყვანას უპირებდა და იმისთანა კარგ ციხე-ქალაქს თავს ანებებდა. იმ დროს ერთიც იფიქრა და სთქვა, მოდი ერთხელაც გავალ, ომს აუტეხ და თუ მაშინაც დამამარცხებს, შევეხვეწები და იქნება არ მომკლას, მაგრამ საბაოთ ღმერთს მაწამებინებს და მე ჩემს რაჯაბ ემშაკს ვერ უღალატებ, მაშასადამე ისევ რომ გავიპარო ის სჯობია.

ზარბაქ-დევი თავის ფიქრში დაუტეოთ ისევ ქუჩუკისა მოიხსენიეთ. იმ დროს ქუჩუკი დაბინდებას ელოდებოდა, რა დაღამდა და ფეხი დაწყნარდა. მაშინ ამბირ-დევი თავისის ჯარით ციხის სიახლოვეს მივიდა, იმასთან კოჭლი-დევიც თავის ლაშქრით ჰაერში ავიდა და ციხის პირდაპირ უურება დაუწყო, ამასთან ათთარ-ზანგიც თავის ორმოცი ათასის ლაშქრით თან იახლა და თვითონაც თავის სამსურ ცხენზედ შეჯდა და წინაც სამანდუზ-ჯადო გამოიმძღვარა და მოიყვანა ერთ საშინელ ჯურღმულთან და იქ ჩაიყვანა, რა იქ ჩავიდნენ რამდენიმე ალაჯი გაიარეს და შიგ ციხის გალავანში შევიდნენ და ერთ კუთხეზე მიდგნენ. იმ დროს სამანდუზ-ჯადო წინ გაუძღვა და სადაც ზარბაქ-დევის სადგომი იყო იქ შეიყვანა ქუჩუკი, და შორი-ახლო აყურებინა. ნახა რომ ზარბაქ-დევს დიდი მეჯლიში ჰქონდა და დიდ შექცევაში იყო, ასეთ ტახტზე იჯდა რომ სამასი კაცი დაეტეოდა, მარცხნივ და მარჯვნივ ფოლადის სკამები ეწყო და ზედ ფალევანი დევები ისხდნენ და თავს ექვსი ბრწყინვალე ქალები ედგნენ და ღვინოს ასხავდნენ და აწვდიდნენ. მაგრამ ამ ქალთა, იმ ბილწის თვალ-წარბში უურებით ელფერი დაკარგული ჰქონდათ. მშვენივრათ შამჩრადები ანთებული იყო და იქაურობას ანათლებდნენ: როგორც ეტყობოდა თავის თადარიგიც ენახა და მზათ იყო გასაქცევად, ის უკანასკნელი ნადიმი იყო იმ ციხე-ქალაქში. რა ყოველივე დაზვერა ქუჩუკმა, მსწრაფად ზარბაქ-დევის სასახლის კართან გაჩნდა და სამანდუზ-ჯადოს უთხრა შენ მე არ მამშორდეო. შემდეგ იქვე დაიჩოქა ქუჩუკი და თავისი თავი უფალს შეავედრა, ადგა და სასახლის კარებთან მივიდა, მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდზე მოიხვია და მარცხენა მარჯვენას და ერთი ასეთი საშინელი ხმით ღვთის სახელი დაიძახა რომ ამ ხმაზედ იმ ციხე-ქალაქმა ზანზარი იწყეს და მაშინვე შიგნით შეიჭრა, ამ ხმის სმენით ზარბაქ-დევი გაშტერებული აქეთ იქით იყურებოდა და იმის სარდალნი და დიდებულნი სკამებიდამ ძირს ჩამოცვივდნენ ხმისაგან.

იმ დროს გარეთ ამბირ-დევს რომ ქუჩუკის ხმა შეესმა კარებთან მოვარდა, რასაკვირველია; ათთარ-ზანგიც თავის ორმოც ათასის ჯარით კარებს მიმართა და გაადო კიდეც. გარედამ ამბირ-დევი თავის ასი ათასის ჯარით შემოვიდა მსწრაფად და ჰაერიდამაც კოჭლი-დევი მოუხდა. შეხედეს ნახეს ზარბაქ-დევის ლაშქარმა რომ ციხის კარი გაადეს და ქუჩუკის ლაშქრით აივსნენ. მაშინ მეტი ღონე არა ჰქონდათ ხლმებს გაიკრეს ხელი და ქუჩუკის ჯარს შემოუტიეს, ესენიც აქედამ მიაწვნენ და შეიქმნა საშინელი სისხლის ღვრა. კოჭლმა-დევმა მაშინვე კარები შიგნიდამ დაკეტა რომ იქიდამ დევნი არავინ გაჰპარვოდა და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა.

შემდეგ მათუზ-დევი მსწრაფად შეიჭრა და სადაც ქურუკი იდგა სასახლეში, ნახა რომ ქურუკი საშინლად განრისხებული დგას და ზარბაქ-დევს უბღვე-რის, იმ დროს შესძახა ქურუკმა: „ჰეი შენ ბილწო რას გაშტერებულხარ!? აქა ვარ ქურუკ-ყარამანი, ყარამან საამყირანის შვილის-შვილი, ნარიმანის ძე! აწ ხელთა ჩემთაგან სად წახვალ?“ იმ დროს ზარბაქ-დევი გონებას მოვიდა შეხედა ნახა რომ თავის სულთამხუთავი ქურუკი დგას სალი კლდესავით. ზარბაქ-დევმა მაშინვე ძალაუნებლიეთ ხელი წამოავლო თავის მძიმე ლახტს და ქურუკს შესტყორცნა, მაგრამ ქურუკს დასცდა და კედელს მოხვდა და კედელი დააქცია, ქურუკმა როდესაც ესეთი საქმე იხილა, განრისხებული გაექანა და იმ უშველებელ ბილწს ერთი ასეთი მუშტი დაჰკრა რომ თვალთ დაუბნელდა, უკან უკან წავიდა და გადიქცა დედამიწაზედ, იმის სიმძიმის დაცემით ალაგი შეიძრა, იმ დროს გულზედ შეახტა, ზარბაქ-დევიც მალე გონს მოეგო და ზევით აიწია, ისე რომ ცოტა დარჩა ქურუკი ქვეშ მო-ეტანა, მაშინ ქურუკმა მხნეობა იხმარა გამოსხლტა და თავისივე ლახტით რომელიც იქ ახლოს ეგდო, იმოდენა სთხლიშა იმ დანარჩენ ხუთ თავში რომ შეიბნიდა, მაშინვე მოცვივდნენ ქურუკის დევები და დიდრონი ჯინ-ჯილებით შეჰკრეს და სამანდუზ-ჯადომ და სხვებმა დათოკილი კარზე გა-მოათრიეს და ექვსივ ფეხებიც მაგრა შეუკრეს და ხელებზედაც დიდრონი კლიტეები დაადეს და ერთ დიდ ხეზედ მიაბეს. ქურუკმა კოჭლ-დევს უბრ-ძანა, ვიდრე მე ციხის საქმეს გავათავებდე, შენ მაგას შენი ჯარით ნუ მოშორდები კარგათ უდარაჯე რომ არავინ გააპაროს ეგ ბილწი.

თვითონ მაშინვე წავიდა, ნახა რომ ასეთი საშინელი ბრძოლა აქვსთ ციხეში რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა და ამბირ-დევი ცოტად შე-შინებულიყო, მაშინვე ქურუკმა საშინელი ნარა გასწია და მარჯვენა მხარეს მიუხტა, მარცხნივ ქურუკის ცხენი და აფთარ-ზანგი დაერივნენ ამ ზღვის ოდენა ლაშქარს და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა. იმ დროს შენიშნეს რომ ქურუკ-ყარამანი იქ გაჩენილა და დარევია თავიანთ ჯარს და უწყალოდ ხო-ცავს და ცალ მხარესაც იმის სამსურ ცხენი, მაშინ ერთიან პირი იბრუ-ნეს და გაიქცნენ. მივიდნენ ნახეს რომ ციხის კარები შეკრულია, მაშინ დარჩნენ უგზო-უკვლოდ და არ იცოდნენ საით გაქცეულიყვნენ. მაშინ შე-სძახეს ერთმა მეორეებს, ჰეი დევთა სარდალნო და ჯართა დიდებულნო! ზარბაქ-დევი შეიპყრეს და ჩვენ ვიღასთვის ვიხოცავთ თავებსაო!? მაშინ მობრუნდნენ და ამბირ-დევს და აფთარ-ზანგს შეეხვეწნენ, ქურუკთან გვიშუა-მდგომლეთ შეეხვეწეთ ჩვენ მაგივრათ რომ ჩვენი დანაშაულობა გვაპატიოს. მაშინ აფთარ-ზანგს შეებრალა იმოდენა სარდლები თავის ჯარებით და ქუ-რუკთან მივიდა ცალ მუხლზე დაიჩოქა და მათ დევთა მაგივრად დანაშაუ-

ლობის პატიება სთხოვა. ქუჩუკმა აფთარ-ზანგას თხოვნა შეიწყნარა და ომიდამ ხელი აიღო. ერთ მაღლობზე დაჯდა დაისვენა, მაშინ მოვიდნენ ეს ამოდენა დევთა ლაშქარი და ქუჩუკს მუხლთ მოეხვივნენ და ეაჯებოდნენ, მათ ყველამ საბაოთ ღმერთი იწამეს და თავიანთ კერპს, ეშმაკს შეაფურთხეს და ჭეშმარიტ ერთგულობაზე შეჰფიცეს. მაშინ ეს ნაფიცნი დევები თავისუფლად ციხეშივე დაბრუნდნენ.

ციხეში ზარბაქ-დევი გონზე მოვიდა, ნახა რომ თავის თავი ჯინჯილებით არის შეკრულ-შებეჭდილი და ხელფეხზე დიდრონი კლიტეები ადევს. რა თავის თავი იმ ყოფაში იხილა, აქეთ-იქით მიმოიხედა და ვერავინ ნახა, მარცხნივ შეიხედა ნახა რომ ორმოც და ათი ათასი კაცით მათუზ-დევი იქა დგას, შეხედა თუ არა მაშინვე იცნა და იმ დროს ერთი ცის გრგვნასავით შესძახა: ჵეი შენ მათუზ-დევო! ეს რა დამმართებია? მე მეგონა ჩემისთანა ჯადოქარი არავინ გამოვიდოდა ქვეყანაზე და თურმე სხვანიც ყოფილან, რომ ჩემი თავი ესე ჯადოებით შეუკრავთ. მაშინვე მიიწ-მოიწია და ჯაჭვების დალეწვას ლამობდა. მაშინვე მიიჭრა კოჭლი დევი და თავში რამდონიმე ლახტი სცა და ისევ შებნიდა. იმ დროს ქუჩუკიც მოვიდა და ჰკითხა, მათუზ ეგ წყეული ხომ არ მოსულა გონზე? მათუზ-დევმა მოახსენა როგორც საქმე მომხდარიყო, იმ დროს ზარბაქ-დევის სასახლეში შევიდნენ ნახეს რომ ორმოც ათასამდე დიდებულნი და ვეზირნი ძლივას მოსულან გონზე და ფეხზედ დგომის ძალა კი არა ჰქონდათ შიშით, აქეთ-იქით მიიხედეს ნახეს რომ თავიანთ ხელმწიფე ზარბაქ-დევიც ადარსადა სჩანს: ქუჩუკმა მაშინვე კოჭლ-დევს უბრძანა: მიდი და ყოველივე ვითარება აუხსენ, რომელმაც საბაოთ ღმერთი იწამოს გაანთავისუფლე, რომელიც გეწინაღმდეგოს ყველა დახოცე.

მათუზ-დევი მაშინვე მივიდა და ყოველივე ქუჩუკის ბრძანება გამოუცხადა. ამათ ნახეს რომ საქმე საქმიდამ წასულია, მაშინვე დასთანხმდნენ და ქუჩუკთან მოცვივდნენ, ცალ მუხლზე დაიჩოქეს და საბაოთ ღმერთი იწამეს? და მოახსენეს: ჵეი ფალევანთა ფალევანო! დიდად მოხარულნი ვართ რომ ამ ბილწის ხელთაგან გაგვანთავისუფლე! იქიდამ მობრუნდნენ ერთ ადგილს შევიდნენ ნახეს რომ რომელნიც ექვსი ქალნი ზარბაქ-დევს თავს ადგნენ მერიქიფედ და ღვინოს აწვდიდნენ, ისინიც გულშემოყრილნი ეყარნენ, მაშინვე სამანდუზ-ჯადო მაიჭრა რაღაც ასუნებინა და ეს ქალნი გონზე მოიყვანა, რა თვალნი აღახვნეს და ქუჩუკი დაინახეს, ფეხქვეშ დაემხნენ და მოახსენეს: ჵეი გმირთა გმირო ფალევანო და ქვეყნის მხსნელო! ადიდოს ღმერთმა სახელი შენი და დაგიხსნას ყოველ გაჭირვებიდამ, როგორც ჩვენ გვიხსენ ამ ბილწ და საძაგელ ზარბაქ-დევისაგან.

აქნომამდე ამ ბილწის სატანჯველისაგან და ამის ყურებისაგან დავდნით და ფერმკრთალნი შევიქმენით.

მაშინ ქუჩუკმა ჰკითხა: ჩემო დედანო და დანო, თქვენ ვინა ბრძანდებით, ან რომელ წალკოტის ყვავილნი? მაშინ ტირილით მოახსენეს: ჵე ფალევანთა ფალევანო! ჩვენ ქაბულის ქვეყნის დიდებულების ქალები გახლავართ. თქვენ იმ დროს როდესაც ყეითარ-დევი ქაბულისტანში დააყენეთ და იმან რომ ის ქვეყანა ააოხრა, მაშინ ჩვენც დაგვიჭირა და წამოგვასხა, თუნდა იმ დროს ინდოეთის დედოფალმა თქვენ ძვირფასმა დამ რუიზანმა, ის წყეული ყეითარ-დევი დაამარცხა მაგრამ ჩვენ იმ დროს ხუთმა დევმა მოგვიტაცა და ამ ბილწ ზარბაქ-დევთან მოგვასხა, მას დღეს აქეთ ამ წყეულთან ვიმყოფებით ტყვედ.

როდესაც ქუჩუკმა ამ ქალთაგან ესეთი ამბავი მოისმინა და სცნა მათი ვინაობა, ძალიან გაიხარა და იცნო კიდეც ვისნი ასულნი იყვნენ, მაშინვე კარგ სახლში შეანახვინა და მრავალი მოახლენი და ხოჯანი მიუჩინა. მერე უცხო მეჯლიში გამართეს და დიდი ლხინი გარდაიხადეს.

მეჯლისი რომ გადაიხადა, მეორე დღეს ქუჩუკი შევიდა ერთ ხალვათ ადგილს ილოცა ღმერთი და შემდეგ იფიქრა თავის გულში, მე ამ ბილწის საქმე უნდა გავათავო როგორმე, როდემდის უნდა შევინახო თუნდა კიდეც დამმორჩილდეს, ეს ჩვენ ჭეშმარიტ ღმერთს არ იწამებს და ჩემთვის არაფრის გამოსადეგია ამის შენახვა. მაშინ ამბირ-დევს და აფთარ-ზანგს უბრძანა ზარბაქ-დევის მოყვანა. მაშინვე მოიყვანეს, შეხედა ნახა რომ ეს უშველელი დევი თავის ექვს ფეხით მოჰყავთ, ისე რომ თავის სიმძიმით დედამიწა იძროდა ფეხებს რომ მოაბიჯებდა და ისეთი საშინელი და საზიზღარი სანახავი იყო რომ კაცს იმის ნახვით გული გაუსკდებოდა. პირიდამ საძაგელი მყრალი სუნი ამოსდიოდა, იმისთანა რომ კაცი სუნით დაიბნიდებოდა. მოიყვანეს თუ არა ქუჩუკის პირისპირ დააყენეს. ზარბაქ-დევმა ქუჩუკი რომ იხილა და იმის მრისხვანე სახე, თავი გაიქნია და თავის გულში სთქვა (შაბაშ შენს ფალევნობას, შენი სახელი გამეგო და მართლაც ყოფილხარ სააპყირანობაში პირველი). იმ დროს ქუჩუკმა უთხრა: „ჵე ზარბაქ-დევო! იცი შენი გულისთვის რამდენი ჭირები და მწუხარება და ტანჯვა გამომივლია!? და შენის მიზეზით რამდენი უცხო და უცხო ფალევანნი დაიხოცნენ? ახლა ძლივას ხელთ გიგდე. ახლა მე ამას გირჩევ თუ შენის თავის განთავისუფლება გსურს, მოდი საბაოთ ღმერთი იწამე და შენ ეშმაკ რაჯაბისაგან ხელი აიღე და მაშინ გაცოცხლებ,—თუ არა უბრძანებ რომ ახლავე ორათ შუაში გაგკვეთონ და შენს სულს ჯოჯოხეთს გავისტუმრებ.

ზარბაქ-დევი დაჩუმებული ქუჩუკს ყურს უგდებდა ვიდრე ლაპარაკს დაასრულებდა. მერე ცის გრგვინასავით ერთი ხმა აღმოუტევა და უთხრა: ცუდი შე წყეულო მიწის შვილო, მე ჩემ რაჯაბ ეშმაკს კი ნუ მაგმობინებ, მხოლოდ ისე მიმსახურე. და დაუწყო ჭეშმარიტ ღმერთს გმობა. ქუჩუკს იმის გმობაზე ძლიერ ჯავრი მოუვიდა. იმ ჟამად მათუზ-დევი დარაჯად ედგა თავს ზარბაქ-დევს—ქუჩუკმა უბრძანა, კოჭლსა, ამბირს და აფთარს, როგორც დგას ეგრე გაატყავეთ ეგ შეჩვენებული ეშმაკის შვილიო! მაშინვე თავის მძიმე ლახტი ამ სამივემ ასწიეს და დავს დასთხლიშეს. ზარბაქ-დევი შებნიდეს, მიჰყვეს ხელი და ორ დღეს ძლივას გაატყავეს გუდა გახადეს და ბალახით გატენეს, ერთს მაღალს მინარეთზე დაჰკიდეს და მისი ლეში ოკეანეს ზღვაში გადაყარეს.

მაშინ ქუჩუკმა ღმერთი ადიდა. მაშინვე დაჯდა ერთი წიგნი მისწერა ფარვან-დევს და საჩქაროდ დაიბარა, ერთიც საჭმან-ადამზადს. ერთი წიგნიც თავის საყვარელ გულიჯანს, თავის დედმამას, თავის დასა და სიძეს, რუიზან და როვშან-ბახტს, ზორაბ-შაჰს და ზორაბ-დევს. ყოველივე თავის თავგადასავალი აცნობა. მაშინვე მოიხმო თავის ათთორმეტი დევები და სიჩქარით გაისტუმრა თავის სამშობლოში ეს წიგნები, მხოლოდ ფარვან-დევთან სამანდუზ-ჯადოს გაატანა, რადგანაც ძველად იმის შეგირდი ყოფილიყო და იმისგან ესწავლა ჯადოქრობა. ესენი რომ გაისტუმრა მაშინ ცხენს ამხედრდა და ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქი მოიარა, სადაც კი ჯადო და წინააღმდეგი მოახელა ყველა დააჭერინა და ცეცხლში დააწვევინა. ვინც დაიერთგულა მოდიოდნენ და ფერხთ ფიანდაზს უფენდნენ. ყოველმა მოქალაქემ და ერმა საბაოთ ღმერთი იწამეს. და უბრძანა: დღეის შემდეგ ნურავის შიში და მორიდება ნუღარ ექნებათ და ყოველნი თავთავის საქმეს დააყენა. იქიდამ გამობრუნდა და ზარბაქ-დევის სასახლეში შევიდა და უცხო მეჯლისი გაამართვინა და იდღესასწაულეს ის დღე. დიდი ლხინი გარდაიხადეს. რა დაღამდა შამჩრადებით გაანათლეს მთელი ქალაქი, აფთარ-ზანგი წარმოდგა ფეხზედ, ქუჩუკს მოახსენა: ფალევანო! თქვენ ნუ გგონიათ თუ მარტო ეს ქალაქი აქვს, სამი ამაზედ უკეთესი ქალაქები სხვა აქვს, ისინიც უნდა დალახოს თქვენმა ბედნიერმა ფეხმა. მობრძანდით იგი ქალაქებიც იხილეთ, თითო ქალაქს ას-ასი დაბა-სოფლები აქვთ, გარდა ამისა ერთი დიდი ქალაქიცა აქვს და იმასაც დიდი ციხეა აქვს, ეს წყეული ვისაც ინდოეთიდამ ინადირებდა ჯადოქრობით, ტყვეებს იქ მიიყვანდა, ზოგსა სჭამდა და ზოგს იქ ინახავდა, იქნება ახლაც ბევრნი იყვნენ იქ დამწყვდეულნი.

რა ქუჩუკმა ესე გაიგონა წყრომით უთხრა: რატომ აქნომამდე არ

შემატყობინეთ? ამაზედ მრისხანე სახით შეხედა ათთარ-ზანგს. ათთარ-ზანგმა ქუწუკის მრუდეთ შეხედვა რომ განიცადა, მივიდა მუხლს აკოცა და მოახსენა: ფალევანო მომიტევეთ, საქმისა გამოთ დამავიწყდაო, მეორეც ეს რომ, ზარბაქ-დევის ყოველი ძვირფასი საუნჯე, თვალ-მარგალიტი და თავის ტანჩასაცმელი, სამკაული და გვირგვინი, ყოველივე იქა აქვს შენახული. ფალევანო, ჩემი უთქმელობის მიზეზი ეს იყო რომ როდესაც იმ საუნჯეს იხილავდა თქვენი კეთილი თვალი, მაშინ იმ ტყვეებსაც განჩვენებდით. მაშინვე წინ გაუძღვნენ ათთარ-ზანგი, ამბრ-დევი და კოჭლი-დევი, ბევრი იარეს თუ ცოტა ერთს დიდ დაკეტილ კარებს მიადგნენ, ის კარები ფოლადით შექმნილი იყო, ქუწუკმა მაშინვე თავის გურზით დალეწა და შევიდნენ. ნახეს ერთ მთელნის ტოლა ადგილს შუაში აგებული იყო ერთი დიდი სასახლე, მივიდნენ კვალად დალეწა იმ სასახლის კარები ქუწუკმა, შევიდნენ და იქ ნახეს დიდი საცოდაობა. იქ შეეკრიბა მრავალი ტყვეები, ზოგნი თავქვე ეკიდნენ, ზოგნი ცალის ხელით. რომელნიც დიაცნი იყვნენ, ორ ათასამდე იქმნებოდნენ, ქუწუკმა რომ ესენი ესე იხილა მაშინვე ჩამოახსნევინა და ყველანი კარში გააყვანინა, იმათში რამდონიმე უკვე დახოცილიყვნენ. მეორე ადგილას გავიდნენ ნახეს რომ ერთი უზარმაზარი ქვაბი დგას, რომელშიაც თურმე იმაში ახარშვინებს თავის საკუთარ სადილს რომელიც იმ ქვაბში ჩაეტეოდა ორმოცი კაცი, დღეში თურმე ათს კაცსა სჭამს. მობრუნდა და იმ ჩამოკიდებულებში რომელნიც დახოცილიყვნენ მიწას მიაბარებინა და რომელნიც ცოცხალნი იყვნენ ისინი პატივით შეანახვინა, რიცხვით ათას ხუთასამდე იქნებოდნენ, ქალნი თუ კაცნი. მერე გაბრუნდა და იმის სალაროში შევიდნენ, რა ნახეს ენა ვერ მოსთქვამს იმის სიმდიდრეს. მაშინვე სალაროს კარი გაალებინა, რაც იქ ოქრო და ვერცხლი იყო უბრძანა დევთა და სარდალთა რომ სულ გამოეზიდნათ. შემდეგ იქიდამ წამოვიდა და უცხო მეჯლიში გაიმართა და ობოლსა და ქვრივ-ოხერს მრავალი გასცა, მერე ათთარ-ზანგს უბრძანა: ახლა წავიდეთ და მეორე ქალაქიც მიჩვენეო. ამბირ-დევი იქ დასტოვა და თავისი სამსური იმას ჩააბარა, თვითონ კი რამდონიმე ათას დევის ჯარით იმ ქალაქების სანახავად მიბრძანდა, ის ქალაქებიც მოიარა და დიდათ მოიწონა და ყოველივე რიგიანად დაათვალიერა და კაცნი დაუდგინა, ყოველივე გააწყო და გლახაკთა დიდი მოწყალება გასცა იქაც. მერე თუ რამა ჰქონდა ოთხფეხი საქონელი, ყველა ჩამოარეკინა. სპილოს ჯოგი, აქლემისა, ჯორისა ცხენისა, ხარ-კამეჩისა, ძროხისა, ცხვრისა და სხვებისა, ესენი ყველა შეკრიბა და თავი თავს მოუყარა. იქიდამ დაბრუნდა მოვიდა ტყვეებთან ნახა ყველანი და იმედი დაუდგა. ტყვეთა ქუწუკის მოსვლა რომ

იხილეს, მაშინვე პირმიწაგაერთებით სალამი უძღვნეს, დალოცეს და ქება შეასხეს, მოახსენეს: ჰეი ფალევანთა ფალევანო! ადიდოს ღმერთმა ძლიერება შენი რომ ამისთანა გაჭირვებიდან და ამ ბილწ დევისაგან დაგვიხსენ. როგორც ჩვენ გაგვანთავისუფლე ისე შენ გიხსნას ჭეშმარიტ ღმერთმა ყოველ განსაცდელისაგან. ქუჩუკმა უთხრა ამ ტყვეთა, მე ვეცდები რომ ვიდრე მე აქ ვიმყოფები, თქვენ ყველა, თქვენს სამშობლოში გაგისტუმროთ მშვიდობით. მაშინ ყველამ მადლობა მოახსენეს და გაიხარეს. მაშინვე ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი მოიხმო და უთხრა: ფალევანნო, მე მსურს ჩემს აქ ყოფნაშივე ეს ტანჯული ტყვენი თავ-თავის სამშობლოში გავისტუმრო, მათ მოახსენეს: ფალევანო ნება თქვენი აღსრულდესო, იმ დროს ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა დევები მოიყვანეს, მათ უბრძანა ქუჩუკმა რომ ისინი ყველანი თავ-თავიანთ ქვეყნებში მიეყვანათ მშვიდობიანად. რა ეს ტყვები დევებს ჩააბარა: დევებს უთხრა რომ თვითონ მალე დაბრუნებულიყვნენ უკან რომ სამზადისი ენახათ ინდოეთში წასასვლელად, რა ესენი გაისტუმრა თვითონ შექცევით იმყოფებოდა.

## ქუჩუკი ამ შექცევაში დაუტეოთ და ფარვან-დევის და საჭმან-ადამზადის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკმა წიგნები დასწერა და სამანდუზ-ჯადოს გაატანა, თავის სამშობლოში და სხვებთან, სამანდუზ-ჯადომ თავის ხელოვნებით და სიმარდით ექვსი დღე იარა, მეშვიდე დღეს მივიდა ფარვან-დევის ქალაქში და პირდაპირ სასახლე იკითხა ფარვან-დევისა და შევიდა, რა შეხედეს იცნეს რომ სამანდუზ-ჯადო იყო, ფარვან-დევის შაგირდი. შევიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფეო, სამანდუზ ჯადო გიახლათ და თქვენ ნახვას ისწრაფისო: მაშინვე შემოყვანა უბრძანა. როგორც შემოვიდა და ფარვან-დევი დაინახა სამანდუზ-ჯადომ, მაშინვე გაექანა და ფარვან-დევს მუხლს აკოცა. ფარვან-დევმა ჰკითხა, სამანდუზ-ჯადოვ ეგრე საჩქაროდ საით გივლია და ან საიდამ მოხვალო? მაშინ სამანდუზ-ჯადომ ყოველივე მოახსენა, ხელმწიფეო მახარობელი მოველ თქვენთან და ქუჩუკ-ყარამანისაგან წიგნიც მომიტანია, მაშინვე დაბეჭდილი წიგნი ამოიღო და მიართვა. რა ფარვან-დევმა ქუჩუკის სახელი გაიგო დიდათ გაიხარა და სამანდუზ-ჯადოს მაშინვე თავს მარგალიტი გადააყარეს და დიდ საჩუქრით აავსეს, მაშინვე ქუჩუკის წიგნი გახსნეს და წაიკითხეს: რა კითხვა გაათავეს, მაშინ ფარვანდ-დევმა სთქვა: ამ გვარი საქმე არა ფალევნისაგან და არა სააპყირანისაგან არა მსმენია და არც შეიძლება რომ ასეთი ფალევანი ადამიანის შვი-

ლისაგან დაბადებულიყოს და იმისთანა მძლავრი დევი დაემორჩილებინოს!
მეტადრე იმის ჯადოების გზებზე დარღვევა. მე ვიდრე ჩემის თვალით
არა ვნახავ არ დავიჯერებ, მეორეთ წაიკითხა იგი გამოგზავნილი წერილი
და დაიდასტურა. მაშინ სთქვა, ბარაქალა ქუჩუკ და შაბაშ შენს ფალევნო-
ბას რომ შენისთანა ფალევანი არც დაბადებულა და არც დაიბადება. ისე
გამხიარულდა რომ, ასე ეგონა ზეცით გვირგვინი ჩამოუვიდაო.

მაშინვე სამანდუზ-ჯადო, ფარვან-დევისაგან მსწრაფად წავიდა და ქუ-
ჩუკის გამოგზავნილი წიგნი მესამე დღეს საჭმანსაც მიუტანა. როდესაც სა-
ჭმან ადამზადმა ქუჩუკის წიგნი წაიკითხა და ისეთი ამბავი შეიტყო, ისიც
სიხარულით კინაღამ გაგიჟდა და გაიკვირვა, ამ გვარი საქმე ქუჩუკისაგან,
და დიდი ქება შეასხა. მაშინვე დაუყოვნებლივ თავის თერთმეტი დევი
შეიკრიბა და ათი ათასის გამოჩენილი ფალევანი დევებით და ქუჩუკის-
თვის დიდი საჩუქრებით და სიხარულით, ფარვან-დევისაკენ წამოვიდნენ.

მოვიდა ფარვან-დევთან სალამი უძღვნა, გარდაეხვია და დაჰკოცნეს
ერთმანერთის და ქუჩუკის საქმეს ჰკვირობდნენ, თუ ნეტარ იმოდენა თი-
ლისმის დარღვევა, იმისთანა უშველებელი დევის სიკვდილი ვის ძალედვა!?
დიდათ უკვირდათ და ქებას შეასხავდნენ.

მაშინვე ფარვან-დევმაც ოცი ათასი კარგი გამოჩენილი დევი და ხუ-
თი ათასიც ჯადოს ლაშქარი შეჰყარა და ქუჩუკისაკენ გაემართნენ, ბნელე-
თის ქვეყანაში.

სამანდუზ-ჯადო საჭმან-ადამზადისაგან დაბრუნდა და ვისთანაც წიგ-
ნები ჰქონდა მისატანი ქუჩუკისაგან ყველას მიართო. და ყოველნი გახა-
რებულნი დიდის სამზადისით წამოვიდნენ და დიდათაც ისიამოვნეს გზა-
ში მომავლობით. იმ დროს ერთი წიგნიც ზორაბ-შაჰჯას მიერთო. ისიც
დიდის სიხარულით ორმოცი ათასის ჯინისტნის ჯარით წამოვიდა და მა-
ღრიბისტანში მოაღწია, ზორაბ-დევთან. იმ დროს ჯაშუშთა შეხედეს რომ
ჯინისტნის მხრიდამ დიდი ლაშქარი მოდის. მაშინვე ზორაბ-დევს შეატ-
ყობინეს. იმანაც შეტყობა უბრძანა თუ ვინ იყვნენ, მაშინვე შეიტყეს და
მოახსენეს, რომ ზორაბ-შაჰჯა ორმოცი ათასის ჯინისტნის ლაშქრით მო-
ვაო. იმ დროს მაღრიბისტანში ხელმწიფედ როვშან-ბახტი იჯდა, ქუჩუ-
კისაგან დადგენილი თავის რუიზანა დედოფლით. მათ მოახსენდათ რომ
ზორაბ-შაჰჯა ორმოცი ათასის ჯინისტნის ლაშქრით მოვაო ჩვენკენ. მაშინ-
ვე თავის დიდებულნი წინ მიაგება და თვითონაც წინ მიეგებნენ.

როდესაც როვშან-ბახტმა და ზორაბ-შაჰჯამ ერთმანერთი იხილეს მა-
შინვე რაშებიდამ გადმოვიდნენ და ერთმანერთს გარდაეხვივნენ, ხელი-
ხელთ მისცეს და სადგომისაკენ წამოვიდნენ, რუიზანმაც რომ სცნა ზო-

რაბ-შაჰას მოსვლა, ისიც თავის ქალთა მხლებლებით წინ მიეგება, მიესალმნენ ერთმანერთს, მაშინვე ზორაბ-შაჰა მიუახლოვდა და ხელთ აკოცა რუიზანს, სალამი რომ დაასრულეს შავიდნენ და დასხდნენ. იმ დროს როვშან-ბახტმა ჰკითხა, ჩვენკენ მობრძანების მიზეზი რა არისო? ამ კითხვაზე, ზორაბ-შაჰამ შეატყო რომ ჯერ იმათ ქუჩუკისაგან წიგნი არ მიეღოთ და მისი ამბავი ჯერეთ არ იცოდნენ.

ზორაბ-შაჰა მაშინვე ფეხზე წარმოსდგა, და მოახსენა: დედოფალო! მომილოცავს ჩვენის საჰყირანის ქუჩუკის გამარჯვება და ზარბაქ-დევის სიკვდილი ქუჩუკის ხელით. იმ დროს ვიდრე ამ სიტყვას დაასრულებდა ნახეს რომ ჰაერით ორი დევი მოვიდნენ და დედოფალი რუიზანი და როვშან-ბეხტი იკითხეს, მაშინვე დარაჯები შევიდნენ და მოახსენეს: ორნი დევნი მოვიდნენ და თქვენ უმაღლესობის ნახვას ისწრაფიანო. მაშინვე შემოუყვანა ბრძანეს, რა წამს შემოვიდნენ პირმიწაგაერთებით სალამი ჰკადრეს, თაყვანი სცეს და საჩქაროდ წიგნი მიართვეს. რა ქუჩუკის წიგნი გახსნეს და წაიკითხეს ქუჩუკის დას და სიძე როვშან-ბახტს დიდათ გაეხარდათ და დიდათ გაჰკვირდნენ იმის მოქმედებას. მაშინ იმ მახარობელ დევებს იმდონი აჩუქეს რომ ანგარიში არ შეიგდებოდა. მაშინვე ესენიც დაემზადნენ და ორმოცი ათასი გამოჩენილი ლაშქრით ესენიც წარვიდნენ ქუჩუკისაკენ დიდის სიხარულით და შექცევით.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და მოვიდეთ ფარვან-დევთან და საჰმან-ადამზადთან.

იმ ჟამად როდესაც ფარვან-დევმა და საჰმან-ადამზადმა წიგნები მიიღეს თუარა ქუჩუკისაგან, მაშინვე მოემზადნენ თავიანთ ჯარებით და გაემგზავრნენ ქუჩუკისაკენ, ცოტა იარეს თუ ბევრი მოაღწიეს ქვეშკნელს და აპირობდნენ ჩასვლას, რა იმისთანა თილისმები იხილეს, დიდათ გაჰკვირდნენ და ამბობდნენ, ნეტარ როგორ დაარღვიაო ამისთანა ძლიერი თილისმებიო! ფარვან-დევი ხომ ქვეყანაზე პირველი მეთილისმე იყო მაგრამ ძლიერ გაიკვირვა და იძახდა რომ მეც კი გამიძნელდებოდა ამისთანა თილისმების დარღვევაო. რაღა გავაგრძელოთ ორმოცი დღე იარეს გზაზე და ზარბაქ-დევის სამეფოს მიაღწიეს. მაშინ ქუჩუკის დევებმა დაინახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი დიდი შავი ღრუბელი გამოჩნდა, რა ღრუბელი უკუ იყარა, ნახეს რომ ორმოც ათასამდე დევთა ლაშქარი გამოჩნდა და აგრეთვე ჯადოს ლაშქარი. წინ ასეთი დევთა სარდლები მოუძღოდნენ რომ თითო თითო მთებს ჰგვანდნენ. მაშინვე შევიდნენ და ქუ-

ჩუკს მოახსენეს: ფალევანო, აღმოსავლეთის მხრიდამ დიდძალი დევთა და ჯადოთ ლაშქარი მოდის. მაშინვე მათუზ-დევი მოიხმო და უბრძანა: მათუზ მალე შემიტყე თუ ეგ მომავალნი ვინ არიან, მტერნი თუ მოყვარენი, მაშინვე კოჭლმა-დევმა თავი დაუკრა და ჰაერში აღფრინდა და წინ გადუდგა და ერთს იმათ წინ მომავალ დევსა ჰკითხა: ეს მომავალი ლაშქარი ვინა ბრძანდებიანო ან ამოდენა ლაშქრით საით გაულაშქრიათო? იმათგანმა ერთმა იცნა და დაუძახა! ჵეი მათუზ-დევო მშვიდობა შენი ნახვა. ეს მომსვლელნი გინდა შეიტყო? ჩვენი ხელმწიფე ფარვან-დევი და საჭმან-ადამზადის თავიანთის ლაშქრებით ქუჩუკის სანახავად მობრძანდებიანო. მაშინვე მათუზ-დევი წინ მიიჭრა თაყვანი სცა და ფარვან-დევის კალთას აკოცა და საჭმანსაც მიესალმა და ერთმანერთის ნახვით ისიამოვნეს, მერე გამოემშვიდობა თავი დაუკრა და ქუჩუკთან მოვიდა და მოახსენა:

ფალევანო მიხარებია, ჩვენი ფარვან-დევი და საჭმან-ადამზადი მოდიან თავიანთ ლაშქრით. ქუჩუკმა რომ ფარვან-დევის მოსვლა შეიტყო და საჭმანისა, მაშინვე ამბირ-დევს და აფთარ-ზანგს უბრძანა, ორმოცი ათასის ლაშქრით მომზადება და წინ მიგებება, მაშინვე ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა მოამზადეს და მზად დადგნენ, ქუჩუკიც თავის საკუთარი ჯარებით და სარდლებით. მაშინვე ამათ წინ მიეგება დიდის ყოფით. რა ერთმანერთს დაუახლოვდნენ მაშინვე ფარვანი და საჭმანი დაქვეითდნენ და ისე წამოვიდნენ, რა ქუჩუკმა იმათი დაქვეითება ნახა, თვითონაც მხეციდამ გარდმოხტა და ფეხით წინ მიეგება. ფარვან-დევი მაშინვე გაექანა და კალთის კოცნას ლამობდა, მაგრამ ქუჩუკმა არ ინება და პირზედ აკოცა, აგრეთვე საჭმანსაც, და ტკბილად ერთმანერთი მოიკითხეს, შემდეგ ის თერთმეტი დევნიც, საჭმან-ადამზადის ამხანაგები, აქაქუნ-დევი, თეთრი-დევი და სხვები, წინ წარმოსდგნენ და ქუჩუკს მუხლს მოეხვივნენ, იმათაც ხელი სტაცა ქუჩუკმა და ააყენა ფეხზე და ტკბილად მოიკითხა, მერე მობრუნდა ფარვან-დევს და საჭმანს ხელი დაუჭირა და შინისაკენ გამოემართნენ. როდესაც სასახლეში მოვიდნენ ფარვან-დევმა გამარჯვება მიულოცა და მოახსენა: ჵეი ფალევანო! თქვენ რომ საქმე მოგიხდენიათ არას ხორციელ ადამიანისაგან არ გაგებულა, სხვა არა იყოს რა, ამოდენა თილისმების დარღვევას და ჯადოთ ამოწყვეტას, ვის ძალ ედვა, და მერე ზარბაქ-დევის სიკვდილი! რომელიც იმისთანა ძლიერი დევი ჯერ ქვეყანაზე არ გამოჩენილიყო. მე რომ თქვენი ზარბაქზე წამოსვლა მომაგონდებოდა, სწორედ მოგახსენოთ დიდათ ვშიშობდი, აწ ახლა მადლობა ღმერთსა რომ იმისთანა აბეზარ დევისაგან ქვეყანა გაანთავისუფლეო.

მაშინ ქუჩუკმა დიდი მადლობა უძღვნა ფარვან-დევს და უთხრა: „ჵეი

ფარვან! ამისთანა ძალ მომრეობა, უმთავრესად ღვთის განგებაა და თავის მოწყალება, რომ არ დამკარგა ქვეყანაზე, მეორედ მე თქვენგან უფრო მცირს ზარბაქის გამარჯვება, რომელიც თქვენის შნოებით და თილისმის განმაქარვებელ ლოცვებით ყოველგან გავიმარჯვე. მესამეც რაც ჩემ ძალ-ღონეს შეეხებოდა მეც ვეცადე. მხოლოდ მე დიდათ მადლობელი გახლავართ თქვენ. მე თქვენ სიკეთეს ვიდრე ცოცხალი ვარ არ დავივიწყებ.“

შემდეგ ქუჩუკმა თავის ქვეყნების ამბავი ჰკითხა და თავის მშობლებისა, ნარიმანისა, დედა უსნიარასი, შაჰპალ-შაჰისა, ბარამ-ჯიბილისა და აგრეთვე თავის საყვარელი გულიჯანისა. ფარვან-დევმა მათ მშვიდობით ყოფნა მოახსენა. უთხრა: ჩვენ რომ აქეთ გიახლებოდით, თქვენი გამოგზავნილი წიგნები, დევებმა ყველას წაუღეს და იმათი ამბავი ჩქარა მოგერთმევათ. რა ეს საუბარი გაათავეს, დიდი მეჯლიში გამართეს, ზარბაქ-დევის სასახლეში, და ისეთი მხიარულება გარდაიხადეს რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. მერე ქუჩუკი მოჰყვა თქმას თავის თავგადასავალს და რაც ზარბაქ-დევთან ამბავი მომხდარიყო, ყოველივე დაწვრილებით მოახსენა. როდესაც ქუჩუკის თავგადასავალი დაწვრილებით ისმინეს დიდათ გაჰკვირდნენ და დიდი ქება შეასხეს. მხოლოდ როდესაც ზარბაქ-დევის პირველი სარდალი ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი და სამანდუზ-ჯადო რომ იხილეს და მათთან თავის ათთორმეტი დევი, მაშინ თავიანთ გუნებაში სთქვეს, თუ ქუჩუკი კარგი ფალევანია არც ესენი არიან ნაკლებნი, ერთმანერთის შემწეობით უძლევიათ ზარბაქ-დევი. მაშინ წინ წარმოსდგნენ ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი და ფარვან-დევს მიესალმნენ, მაშინვე ქუჩუკმა მათი ქება და ერთგულობით სამსახური წარმოსთქვა, შემდეგ გამოვიდნენ მოედანზე შექცევათ ჯირითობდნენ და დროს ატარებდნენ.

მეორე დღეს ქუჩუკმა ფარვან-დევი და საჰმან-ადამზადი თავის ამხანაგებით სანადიროდ წაიყვანა და უცხოთ შექცევით ნადირობდნენ, იქიდამ მომავლობაში, ერთი მაღალი მინარეთსავით შორით რაღაც დაინახეს, რა ახლოს მივიდნენ ფარვან-დევმა შეხედა ნახა რომ ერთი უშველებელი დევის სახეა, დიდათ კაიკვირვა და მოახსენა: ფალევანო იმ მინარეთზე რომ დევის სახე მოჩანს, ვისი სახე უნდა იყოსო? მაშინვე იქითკენ გასწიეს; რა მიუახლოვდნენ ქუჩუკმა უთხრა, კარგად გაშინჯე თუ იცნობ ვისი სახეა? რა ზედ წარწერილება წაიკითხეს მაშინ გაიგეს რომ ზარბაქ-დევია. როდესაც ფარვან-დევმა, საჰმან-ადამზადმა და თავისმა ათთორმეტ დევმა კარგა გაშინჯეს, ღმერთს მადლობა შესწირეს და სთქვეს, გმადლობთ შენ ღმერთო რომ ამოდენა არსება დაგიბადებია ქვეყანაზე. დიდათ გაიკვირვეს და სთქვეს, ჩვენ ათასი წელიწადია ქვეყანაზედ ვცხოვრობთ და ამოდენა

უშველებელი დევის მორევნა ადამის შვილისაგან არ მინახავს და არც მსმენია. მობრუნდნენ და ქუჩუკს მოახსენეს: ჰეი ფალევანთა ფალევანო! ვაქებ შენს მშობლებს რომელთაც შენ დაგბადეს ქვეყანაზედ. ქუჩუკმა მადლობა გადუხადა ფარვანს და საჭმანს. იქიდამ წამოვიდნენ შინისკენ და დიდი მეჯლიში გამართეს.

## ესენი ამ მეჯლისში დაუტეოთ და როვშან-ბახტისა, ზორაბ-შაჭისა და რუიზან დედოფლის წამოსვლის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკისაგან წიგნი მიიღეს და მშვიდობის ამბავი მოხსენდათ და ზარბაქ-დევის სიკვდილის ამბავი ქუჩუკის ხელიდამ, დიდ აღტაცებაში და სიხარულში ჩაცვივდნენ რუიზანი და როვშან-ბახტიც. მაშინვე ერთი დიდებული ვინმე ამოარჩიეს მაღრიბსტანში თავიანთ მოადგილეთ, ვიდრე თვითონ უკან დაბრუნდებოდნენ, იქაურობა ჩააბარეს და თვითონ წამოსასვლელად მოემზადნენ. მაშინვე სამი უცხო ტახტი მოადებინა და ასი კარგი გამოჩენილი დიდებული თან სასხლებლად მოამზადეს, და ასი ათასი კარგი მეომარი და მოწინავე ჯარი. ზორაბ-შაჭამაც თავის მხრით ჯინისტნის ჯარები მოამზადა, აგრეთვე ზორაბ-დევმაც მოამზადა თავის მხრივ ასი ათასი დევთა ჯარი. ესენი ყველა ერთობრივ გაემართნენ. იმ დროს სამი უცხოთ შემკული ოქროს ტახტი მოართვეს, რომელიც რუიზანი და როვშან-ბახტი იმ უცხოთ შემკულ ტახტზე დასხდნენ, მეორეზედ ზორაბ-შაჭა და ზორაბ-დევი, მესამე ტახტზე რუიზანის პირის ფარეშნი და მოახლენი. მაშინვე ასწიეს ეს ტახტები და ჭაერში აღიწივნენ და ამიერბნელეთის ქვეყნისაკენ, ქუჩუკის სანახავად წამოვიდნენ და ორმოცი დღე და ღამე იარეს და მეორმოცდაერთ დღეზე ზარბაქ-დევის სამყოფს მიაღწიეს. მაშინვე სამანდუზ-ჯადო წინ წავიდა პირდაპირ ქუჩუკთან შესატყობინებლად, მივიდა ნახა რომ დიდი მეჯლიში აქვთ გამართული და ძლიერ ქეიფში არიან. მაშინვე წინ წარსდგა სამანდუზ-ჯადო, ქუჩუკს მდაბლად თავი დაუკრა მივიდა და მუხლს აკოცა და საჭმანს პირსა, და მოახსენა: ჰეი საპყირანო! მომილოცავს თქვენი დის ინდოეთის დედოფლის რუიზანის და როვშან-ბახტის მობრძანება. აგრეთვე ზორაბ-შაჭისა და ზორაბ-დევისა, სამასი ათასის დევისა, ჯინისა და ფერიების ლაშქრით და მაღრიბის დიდებულებით.

ქუჩუკ-ყარამანმა ამათ მოსვლა რომ შეიტყო, სამან-დუზ-ჯადოს მაშინვე დიდძალი თვალ-მარგალიტი გადააყარეს თავს და აგრეთვე ძვირფასა-

ში ხალათებით დააჯილდოვა, და ერთი კარგი სოფელიც აჩუქა. მაშინვე ქურუკმა ბრძანება გასცა რომ ასი ათასის დარჩეული ლაშქრით და რამდენიმე დიდებულებით წინ მიეგებება. მაშინვე ასაყარს ნაღარასა ჰკრეს და წინ მისაგებებლად წავიდნენ. ყველაზე წინდაწინ მათუზ-დევი წავიდა და ისინიც ის იყო რომ უნდა წასულიყვნენ. რუიზანის მხრიდამ შეხედეს ნახეს რომ ჰაერით ერთი საშინელი დევი მოისწრაფება იმათკენ, იმათ კოჭლი-დევი ჯადო ეგონათ. ზორაბ-დევმა მაშინვე წინ თავის დევები მიაგება, დევებმა შეხედეს ნახეს რომ ქურუკის ერთგული კოჭლი-დევია, მაშინვე მობრუნდნენ და მოახსენეს როშან-ბახტს, ეს მომავალი ვინც იყო. იმ დროს კოჭლი-დევი ჰაერიდამ ძირს ჩამოვიდა და პირდაპირ როშან-ბახტთან მოვიდა, ისინი იქ ჩამომხდარიყვნენ ერთ მშვენიერ ადგილს და მეჯლიში გაემართათ, კოჭლმა ნახა რომ დიდი მეჯლიში აქვთ და ყოველნი ერთობრივ იქ იმყოფებიან მშვიდობიანად და ის არის მეჯლიშიც თავდება და ასაყრელად ემზადებიან. როშან-ბახტთან მივიდა პირდაპირ და რუიზანთან, მათ მდაბლად სალამი უძღვნა და მუხლი აკოცა, ზორაბ-შაჰს და ზორაბ-დევს ხელსა. იმათაც მათუზ-დევი სიყვარულით მოიკითხეს. მაშინ უთხრეს, მათუზ კარგს რას გვეტყვი? მაშინ მათუზ-დევმა მოახსენა:

ინდოეთის დედოფალო და მეფავ! მომილოცავს თქვენი საყვარელ ძმის ქურუკის გამარჯვება ზარბაქ-დევზე და სიკვდილით ბოლოს მოღება იმისი. და ფალევან ქურუკის მშვიდობით გადარჩენა იმის განსაცდელ ჯადოებიდამ! და ისინიც გიახლებიან თქვენს მოსაგებებლად ახლავ.

რა რუიზან დედოფალმა, როშან-ბახტმა, ზორაბ-შაჰმა და ზორაბ-დევმა შეიტყვეს დაჭეშმარიტებით ქურუკის გამარჯვება, დიდ სიხარულს და აღტაცებაში შევიდნენ. მაშინ კოჭლი-დევი მრავალ საჩუქრით დააჯილდოვეს, იმოდენა მისცეს რომ ანგარიში არ შეიძლებოდა. როშან-ბახტმაც ცალკე ერთი სახელმწიფო ხალათი უბოძა და ინდოეთში ერთი კარგი გამოჩენილი დაბა სოფელი აჩუქა. მათუზმა ამ საჩუქრებისთვის დიდი მადლობა მოახსენა. შემდეგ ჰკითხეს მათუზ დევს, ისინი შორს არიან მომავალნი თუ ახლოს? მათუზმა მოახსენა ახლოს ბრძანდებიანო, მაშინვე ამათაც ასაყარს ნაღარას შეჰბერეს და გაემგზავრნენ. ერთი ალაჯი რომ გაიარეს იმათი ნაღარის ხმაც მოესმათ, ესენიც რასაკვირველია აქედამ აჩქარდნენ და ერთმანერთს გამოუჩნდნენ, მაშინვე ერთს მშვენიერს მინდორს გადახტნენ, ქურუკის დიდებულნიც შედგნენ. მაშინ ქურუკმა და რუიზანმა რომ ერთმანერთი დაინახეს, რუიზანმა როშან-ბახტს აღარ დააცადა, საჩქაროთ მოიჭრა თავის საყვარელ და სანატრელ ძმასთან თავის პირის ფარეშ მოახლებით ფეხით მიილტოდნენ. ქურუკმა შეხედა შორით

რომ რუიზანი ფეხით მიდის იმასთან. აქედამაც ქურუკი გაეჩქარა და რა ერთმანერთს დაუახლოვდნენ და რუიზანმა თავის ძმის ბრწყინვალე სახე იხილა, მაშინვე ერთ საშინელ ხმით შეჰკივლა და ყელს მოეხვია და გულს შემოეყარა სიხარულით. ჵეი მკითხველო მოიგონეთ თქვენი თავი თუ რამდონად ტკბილია უეცრად პოვნა რამდონიმე წლის დაკარგული ძმისა. რა-და გავაგრძელოთ ასეთი ყოფა ჰქონდათ და-ძმას რომ ერთმანერთის სურვილით და ნახვით ვერა სძღებოდნენ და ხან გახელებულები ერთმანერთს შესცქეროდნენ სახეზედ ხან იცინოდნენ ხან სტიროდნენ, დიდხანს სიამოვნობდნენ ამ გვარ სურათით და ლოშნიდნენ ერთმანერთს, მალ მალ ეუბნეეოდა რუიზანი, მშვენიერო გმირო და ჩემო მხსნელო ტყვეობიდამ ძმაო ქურუკ! განა მე ახლა შენთანა ვარ? განა მოვიფიქრებდი კვალად შენ სახის ხილვას? ვმადლობ ჩემ წილ მაღალ ღმერთს რომ კვალად გიხილე ცოცხალი! ამ ყოფა-ქცევაში რომ იყვნენ და ამ ოცნებაში, ამ დროს როვშან-ბახტი, ზორაბ-შაჰა და ზორაბ-დევიც მოვიდნენ, დედამიწას დაემხვნენ, და ღმერთს ადიდებდნენ, ქურუკის მშვიდობით გადარჩენისათვის და თვითონაც მიულოცეს მშვიდობით განთავისუფლება და ერთმანერთს გარდაეხვივნენ და ლოშნიდნენ ორ ჟამამდე. შემდეგ მოვიდნენ ფარვან-დევი და საჰმან-ადამზადი, რუიზანს თავი დაუკრეს და ქურუკის მშვიდობით ნახვა მიულოცეს. მერე როვშან-ბახტს თაყვანი სცეს, ზორაბ-შაჰას და ზორაბ-დევსაც მიესალმნენ, რა ყოველმა თავიანთ ნახულობა დაასრულეს, შემდეგ კარვები დასცეს და დიდი მეჯლისი გამართეს და ერთი კვირა შექცევაში და ლხინში იყვნენ,—და ერთმანერთის ამბავს იკითხავდნენ.

რა ამისთანა განცხრომაში იყვნენ, კარის კაცებმა ნახეს რომ ჰაერით ოციოდე ფერიანი მოისწრაფებიან ქვემოთ, ძირს რომ ჩამოხტნენ, კარის კაცნი შევიდნენ და ზორაბ-შაჰას მოახსენეს: რომ ოცი ფერია გიახლათო და თქვენ ნახვას ისწრაფიანო, მაშინვე ზორაბ-შაჰა გამოვიდა შეხედა ნახა რომ თავის ფერიები იყვნენ, ზორაბ-შაჰამ სხვებს მოახსენა რომ თავის ფერიანი არიან. ფერიანი მოუახლოვდნენ პირმიწაგაერთებით თაყვანისცეს და სალამი მოახსენეს: მაშინვე უბიდამ წიგნები ამოიღეს და დიდის კრძალვით ქურუკს მიართვეს. (ესენი ის ფერიები იყვნენ რომელიც ქურუკმა წიგნები გაატანა დევებს თავის სამშობლოში, დედმამასთან და ბეჰიასარვიხურამანთან და შაჰპალ-შაჰასთან და სხვებთან. იმ დროს ზორაბ-შაჰასთან რომ მიიტანეს ეს წიგნები, დევებმა უთხრეს რომ იმათთანაც გვაქვს ქურუკის წიგნები წასაღები, მაშინ ზორაბ-შაჰამ გამოართვა და თავის ფერიების ხელით გაისტუმრა, ეს ის ფერიები იყვნენ და პასუხი მოეტანათ ქურუკთან). რა ქურუკმა გახსნა წიგნი წაიკითხა, ყოველივე გარემოება-

შეიტყო. მაშინ ღმერთს მადლობა შესწირა და მხიარულის ღიმილით წიგნების მომტანთ ხალათები უბოძა და მრავალი თვალ-მარგალიტით დაასაჩუქრა და ორი დღე კვალად დიდი მხიარულება გარდაიხადა.

მერე ტკბილ საუბარში შევიდნენ და ქუჩუკი მოჰყვა თავის თავგადასავლის მოთხრობას, როგორც მაღრიბისტანიდამ გამოვიდა და რა ადგილებში გაიარა. რომელიც ზემოთ წაგიკითხავთ ქუჩუკის თავგადასავალი.

როდესაც იქ მყოფ კრებამ შეიტყო ქუჩუკის გულადობით მოქმედება. მაშინ ყოველმა ერთ ხმათ დასძახეს მრავალჟამიერ ქუჩუკის სიცოცხლე!..

მაშინ როშან-ბახტი წარმოსდგა ფეხზე და მთელ კრებას მოახსენა: „მოწყალენო ხელმწიფენო! თუ ნებას მომცემთ მე მსურს ორიოდ სიტყვა წარმოვსთქვა ქუჩუკის შესახებ. მაშინ ყველამ ერთ ხმათ ნება დართეს. მე ძალიან მიკვირს და გაკვირვებულვარ, არამც თუ მარტო მე არამედ უკვირს მთელ ქვეყანას, ქუჩუკის ძალმომრეობა, ზარბაქ-დევზე! მე ვგონებ რომ ადამის გაჩენიდამ აქნომამდე არა ადამიანი არ დაბადებულა ესეთი ძლიერი და მოხერხებული. მე ამას ვიტყვი რომ თუნდა ქუჩუკის ცდაა, მაგრამ ღვთის მოწყალებაც ჰფარავს ყოველ განსაცდელისაგან და თავს დასტრიალებს თვისი ღვთიური ძალა“. „ესე რომ არ იყოს ამოდენა თილისმების დარღვევა, ამოდენა ჯადოთ ამოწყვეტა და იმისთანა მთის ტოლა დევის სიკვდილი, ერთი ამისთანა ყრმა ფალევნისაგან აღსრულდეს! ეს სულ შეუძლებელია, მაშასადამე ეს ყველა ღვთის განგებაა. ჩვენ ვისურვებთ სულითა და გულით ქუჩუკის დღეგრძელობას, რათა ყოველთვის ჩვენც გვფარავდეს ამის ძალა და მფარველობა და ვცხოვრობდეთ მშვიდობით“.

რა ესეთი ნადიმი და დღესასწაული გაათავეს, ქუჩუკმა მადლობა მოახსენა ყველას და სთხოვა კრებას რომ წაჰყოლოდნენ ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქის გასაშინჯათ და იქაური საქმეების გასასწორებლად. და იქიდამ მსურს უშანგბათში წავიდეთო რომ ჩემი დედ-მამა და ჩემი საყვარელი გულიჯანიც ვნახო, იმათ ნახვას ძლიერ დავნატრულდი, თორმეტი წელიწადი იქნება რაც ისინი არ მინახავს, ზარბაქ-დევის საქმეების გამო.

მაშინვე აიყარნენ და ზარბაქ-დევის სატახტო ქალაქში შევიდნენ და სასახლეში ჩამოხდნენ. მაშინვე იქაც სუფრის მოღება უბრძანა და უცხოთ ილხინეს. რა ლხინი გაათავეს, ყველანი წავიდნენ და სადაც ზარბაქ-დევი გუდათ იყო ამოღებული და დიდ ხეზე ეკიდა იქ მივიდნენ. რა ყოველმა ყურება დაუწყეს რუიზანმა ვეღარ შეხედა და უკან გამობრუნდა, დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და ესე იტყოდა: ჰაი მაღალო ღმერთო! გმადლობ შენ რომ ჩემი ძმა ქუჩუკი დაგიხსნია ამისთანა საშინელ მძლავრ არსებისაგან. და ჩვენზედაც შენი მოწყალება სუფევდა რომ ამის

ხელში არ ჩაგვეარე. იმ დროს როდესაც დაჩოქილი რუიზანი ღმერთს მადლობას სწირავდა, იქ მყოფ ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა, კოჭლ-დევს ჰკითხეს, ეს მშვენიერი, კეკლუცი და საფალევნოდ აგებული და მრისხანის სახის მქონებელი ქალი ვინ არის? მაშინ მათუზ-დევმა ყოველი იმის ვითარება და ვინაობა მოახსენა: ან ამ ქალმა ინდოეთში რა ომები გარდაიხადა და თურქმანის ხელმწიფეები როგორ შეიპყრო, ან ყეითარ-დევი ვითარ დაემარცხებინა და ან ვითარ დაიჭირა. როვშან-ბახტის ვინაობა და იმის ვინაობა ყოველივე წვრილად უამბო და შეატყობინა და ბოლოს უთხრა ჩვენი ქუჩუკ-ყარამანის ალალი და არისო. მაშინ ამბირი და აფთარ-ზანგი დიდ განკვირვებას მიეცნენ და თქვეს: გმადლობთ შენ ღმერთო რომ ამათ შთამომავლობა სუყველა ესეთი ძლიერნი და სისხლის მღვრელნი სად გამოდიან, ვერავინ ვერ შესძლეს ამათ გვართაგანის შეპყრობა.

როდესაც რუიზანმა ღვთის ვედრება და ლოცვა დაასრულა, ადგა და თავის ძმა ქუჩუკთან მივიდა და სახეს აკოცა. მაშინ ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი მოვიდნენ დაემხვნენ დედამიწას თაყვანი სცეს და მიულოცეს ქუჩუკის ნახვა. მაშინ რუიზანმა ჰკითხა ძმას, საყვარელო და თვალთა ჩემთა ნათელო, ეს უცხო ფალევნები მილოცავენ თქვენ მშვიდობით ნახვას და კი არა ვცნობ ვინ არიან?!—მაშინ ქუჩუკმა მოახსენა: ესენი ჩემო საყვარელო დაო, აი ვინ არიან: ეს ორნივე ზარბაქ-დევის პირველნი სარდალნი იყვნენ, ამათი ძალ-გული და მამაცობა ყოველივე დაწვრილებით უამბო და აგრეთვე ამათი ჭეშმარიტი ღვთის წამება და შემდეგ ერთგულად სამსახური თვისი. რუიზანი მობრუნდა და თავის მხრივ მადლობა მოახსენა ამბირ-დევს და აფთარ-ზანგს და თავის საკუთარ სალაროდამ თითო ასეთი ხალათები უბოძა რომ თითო ქვეყნის ფასად ღირდა. ესენიც მივიდნენ და ფეხთ აკოცეს და მადლობა გადაუხადეს და გამობრუნდნენ.

ქუჩუკმა სამანდუზ-ჯადოს ამბავიც უთხრა, მისი რუიზანის სახელ გადაქცევა და მერე საბაოთ ღვთის წამება და ერთგული სამსახური მისგან. როგორც წინად მოგახსენეთ ამ ჯადოების მოქმედება. სამანდუზ-ჯადოც მოიხმო ქუჩუკმა და თავის დას გააცნო და უთხრა: ეს არის სამანდუზ-ჯადო რომელიც ამის ამბავიც გიამბე, რუიზანმა ამასაც ერთი ძვირფასი ხალათი უბოძა, რუიზანის მიხედვით, როვშან-ბახტმაც მრავალი საჩუქარი უბოძა სამანდუზ-ჯადოს.

შემდეგ ქუჩუკმა ფარვან-დევს სთხოვა რომ დღეს მოესვენათ და ხვალ ყოველნი მომზადებულიყვნენ წასასვლელად ზარბაქ-დევის მეორე ქალაქებში წეს-რიგი დაედგინათ და პატრონები აეჩინათ. იმ დღეს ყოველნი თავთავისად წავიდნენ მოსასვენებლად. რა დილა გათენდა ყოველნი შეიყარნენ

ქუჩუკთან სასახლეში, ქუჩუკიც გამოვიდა, ქუჩუკმა უბრძანა დევებს რომ ორი კარგი დიდი მარმარილოს სვეტი მოიტანონ, იმიტომ რომ ჩემი სახე ზედ დახატონ და ჩემი თავგადასავალი ყოველივე ზედ დააწერონ თუ რა დროს წამოველი ზარბაქ-დევზე და რა დროს მივდივარ უშანგბათს. მეორე სვეტზე დაიხატოს თვით ზარბაქ-დევის სახე.

მაშინვე ფარვან-დევი ფეხზე წარმოსდგა და ორასი დევი გაგზავნა ოკეანეს ზღვაში და იქიდამ ორი ისეთი მარმარილოს სვეტი მოატანინა რომ იმისთანა ქვა არსად იქნებოდა, მაშინვე ხელოვანი ოსტატები მოასხმევინა და უბრძანა: ერთს მხარეს ჩემი სახე და ჩემი სამსურ ცხენის სახე გამოხატეთო და ჩემი ყოველივე ამბავი, როგორც ზარბაქ-დევთან ვიომე და როდის დავიწყე, ან როდის გავათავე საქმე. მეორე მხარეს ზარბაქ-დევის ნამდვილი სახე. მაშინვე ოსტატებმა ხელი მიჰყვეს და დაასურათეს და ყოველივე დააწერეს. მაშინ ის სვეტი აიღო და თავის ხელით ერთს უცხო თვალსაჩენ ალაგს გაამაგრა, მეორე სვეტზედაც ზარბაქ-დევის სახე გამოახატვინა, ისიც მოატანინა და იმ თავის სვეტის გვერდზედ გაამაგრებინა. რა ამ საქმიდამ მოიცალა, სამი წვრილი მარმარილოს ქვები სხვები მოატანინა.

ქუჩუკი თავის კრებით წავიდა და ზარბაქ-დევის ქალაქები სულ მოიარეს, აგრეთვე დაბა-სოფლები, დიდათ მოიწონეს, რომელსაც ოთხი ქალაქი ჰქონდა და ოთხასი სოფელი. მაშინ ყოველ მოქალაქეთა უბრძანა ქუჩუკმა რომ ყოველი კაცი თავ-თავის საქმეს დასდგომოდა. და ამას იქით ნურაფრის შიში ნუღარ ექნებათ. მაშინ ვინცა ვინ იყვნენ ზარბაქ-დევის მოქალაქენი და სოფლელნი ხალისიანად დაადგნენ თავიანთ მრეწველობას და მეურნეობას. სასახლის წინ ერთი დიდი მოედანი ადგილი იყო და იქ იყო მთელი ერის ყრილობა და იქ გამოუცხადა ქუჩუკმა ყველას. აგრეთვე იყო იქ დევთა ყრილობა და ჯარი, თუ თავისი თუ ზარბაქ-დევისა თავიანთ სარდლებით.

ქუჩუკმა მოიხმო ამბირ-დევი და უბრძანა: „ამბირ-დევო! როგორც შენ მართალი ერთგულობა გამიწიე და მიიღე ყველა გაჭირვებაში მონაწილეობა, ამიტომ შენთვის მიბოძებია ზარბაქ-დევის საბრძანებლის ნახევარი და ნახევარიც აფთარ-ზანგისთვის, თავის ყოველი სოფლებით. სამანდუზ ჯადოსთვისაც მიბოძებია მეოთხე ქალაქი საკუთრივ. მაშინვე ორი დევის გვირგვინი მოაღებინა სახელმწიფო, ერთი ამბირ-დევს დაადგა თავის ხელით თავს, მეორე აფთარ-ზანგს და უცხო სახელმწიფო ტანისამოსით შემოსა. აგრეთვე სამანდუზ-ჯადოს. და ზარბაქ-დევის მთელ ერში ბრძანება გასცა სასტიკი რომ ამას შემდეგ ამ სამ კაცს იცნობდეთ და ამათ უნდა

ემსახუროთ ერთგულათაო. თუ თქვენ ამათ ეწინააღმდეგებით ვითომ ჩემთვის გაგიწევიათ წინააღმდეგობა“.

მაშინ ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი და სამანდუზ-ჯადო, მოვიდნენ პირმიწაგაერთებით მადლობა მოახსენეს და ქუჩუკს მუხლს აკოცეს და ერთგულ სამსახურზედ შეჰფიცეს. შემდეგ ქუჩუკმა სხვა სამსახურიც გაუჩინა ამბირ-დევს, უთხრა: ამბირ! შენ უნდა გებარებოდეს აქედამ მაღრიბისტანამდის და თუ რამ დაზარალდა ეს იცოდე რომ ვერ მომრჩები. ამბირმა რიგიანად შენახვა აღუთქვა. აფთარ ზანგსაც უბრძანა: შენც გებარებოდეს ფარვან-დევისა და ზორაბ-შაჰის საზღვრებამდის. აფთარ-ზანგმაც აღუთქვა ერთგული სამსახური, მერე სამანდუზ-ჯადოს უბრძანა: შენც შენი ქალაქი კარგა შეინახე რომ საჩივლელად არავინ გამოგზავნო თორემ ცეცხლში დაგაწვევინებ. შემდეგ მობრუნდა და ფარვან-დევს უბრძანა: ეს ყოველივე ზარბაქ-დევის საბრძანებელი უმთავრესად თქვენ და საჰმანს გებარებოდეთ და რაც ხარჯი და ხარაჯა მოგროვდეს თქვენს ხელში უნდა გაიაროს. მაშინ ფეხზე წარმოდგნენ ფარვანი და საჰმანი მოვიდნენ და მდაბლად თავი დაუკრეს და მადლობა მოახსენეს.

შემდეგ ზარბაქ-დევის ხაზინა გამოაზიდვინა და ჯარებს დაურიგა, იმოდენა დაურიგა რომ წაღება გაუჭირდათ. დანარჩენი ხაზინა და ქონება საწყალ ქვრივ-ოხრებს, ობლებს და გაჭირვებულებს დაურიგა. რაც ხაზინა დარჩა ესენიც ჯორ-აქლემებს აჰკიდეს და მაღრიბისტანში გაისტუმრა. ამ საქმეებს რომ მორჩა, შემდეგ ფარვან-დევს უთხრა: ჩემო ერთგულო ფარვან ახლა კი დროა ამ ხუთიოდ დღეში ტახტები მოამზადებინო ჩვენ წასასვლელად მაღრიბისტანში, მხოლოდ ერთი ტახტი კი ცალკე უნდა მოამზადოთ საკუთარ ზარბაქ-დევის ტყავისთვის. მაშინვე ფარვან-დევი ბრძანების მორჩილმა რაც უბრძანა ქუჩუკმა ორ დღეშივე მოამზადებინა. მერე ერთად შეიყარნენ ყველანი და კარგი მეჯლიში გამართეს. ამბირ და აფთარ-ზანგს უბრძანა: თქვენ თქვენს სახელმწიფოებს ნაიბები დაუნიშნეთ და თქვენ ორნივ ასი ათასის გამორჩენილის ფალევანი დევებით თან უნდა წამოგვყვეთ. ისინიც მაშინვე დაემზადნენ და მზათ დადგნენ, იმ დროს მოიღეს ერთი პატიოსანი ტახტი და ზედ ქუჩუკი დასვეს, თავის და რუიზანი და როვშან-ბახტი. მეორე ტახტს დასხდნენ ფარვან-დევი და საჰმან-ადამზადი. მესამეზედ ზორაბ-შაჰი და ზორაბ-დევი, მეოთხეზე ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი. მეხუთეზე ზარბაქ-დევის ტყავი გუდათ ამოდებული. ეს ტახტი ას დევმა იტვირთა. ექვსიც მარმარილოს სვეტები და წაიღეს. მეორე დევებმა ქუჩუკის სამცხენა იტვირთეს, ქუჩუკის მეტი იარაღის ზანდუკიც კოჭლი-დევის ამხანაგებმა იტვირთეს, კოჭლი-დევიც ასი

ათასის დევით ქუჩუკის ტახტს შემოახვია და დიდის ყოფით და მხიარულებით ხან ზღვით ხან ხმელეთით წარმოვიდნენ მაღრიბისტანისკენ ბევრი იარეს თუ ცოტა მოაღწიეს იმ ალაგს სადაც ზინდარ-ჯადო გაგუდული ეგიდა, სწორედ იმ ადგილს ჩამოხტნენ, მაშინვე იქ ერთი მარმარილოს სვეტი დაადგმევინა რომელიც თან მოჰქონდათ. და ზედ დააწერინა რაც იმ ადგილას საქმე გადახედოდა ზინდარ-ჯადოსაგან. მეორე მარმარილოს სვეტიც დაადგმევინა, გვერდით და ზინდარ-ჯადოს სახე ზედ დაახატვინა, მერე მობრუნდა და ვიდრე დალაგდებოდნენ, გაინადირა და მრავალი ნადირი დახოცა, დევებმა მოზიდეს, დაატყავეს მოამზადეს და მეჯლისი გამართეს რა მეჯლისი გაათავეს, კვალად გზას გაუდგნენ. მგზავრობაში ქუჩუკი ყოველივეს უანბობდა იმ ადგილებისას სადაც რა განსაცდელი გადახედოდა და როგორ გამარჯვებულიყო. ბევრი იარეს თუ ცოტა ახლა იქ მოაღწიეს სადაც სანგურ-ჯადო თავის ამხანაგებით იყვნენ ჩამოკიდულნი ძელებზედ. ზორაბ-შაჰმა ის ადგილი რომ ნახა ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ის დღე მოაგონდა როდესაც ქუჩუკმა იმის ხელიდამ გამოიხსნა ტყვეობიდამ. იქაც ერთი მარმარილოს სვეტი დაასმევინა და ზედ დაახატვინა როგორც სანგურ-ჯადო ხელთ ეგდო და ზორაბ-შაჰა და ზორაბ-შაჰას ბიძის ზალ-ხანის ქალი გულბანო გამოეხსნა. ზედ მოკლედ დააწერინა. აგრეთვე ნიშკალ-ჯადო როგორც ქალის სახედ გარდაქცეულიყო ესეთი სურათი მეორე სვეტზე დაახატვინა და ისიც გვერდს დაუსვეს. რა მოიცალეს დევები ჭალაში დაითვანტნენ სანადიროთ.

შემდეგ ქუჩუკი წინ გაუძღვა, რუიზანს, როშან-ბახტს, ფარვან-დევს და სხვებს ყველას, და სადაც ნიშკალ-ჯადოს და სანგურ-ჯადოს ხაზინა შეენახა იქ მიიყვანა. აფთარ-ზანგს და ამბირ-დევს უბრძანა: წადით და ის ხაზინა აქ მოზიდეთო. რა წავიდნენ ნახეს რომ ხაზინა სადაც აგროვია, დიდი წრე აქვს შემოვლებული, მაშინვე უკან მობრუნდნენ და მოახსენეს ფალევანო! ჩვენ იმ წრეს ვერ შეუვალთო და ვერც მოტანა შეგვიძლიანო, ამიტომ რომ წრეს საშინელი ბურუსი ახვევია და ჩვენგან მიდგომა შეუძლებელია. მაშინ ქუჩუკმა გაიცინა, მობრუნდა და ფარვან-დევს დიდი მადლობა უბრძანა და უთხრა: ჰეი ფარვან! ვიმეორებ ამ ჩემ სიტყვას რომ თუ შენი მოცემული ჯადოთ განმაქარვებელი ლოცვები არა მქონოდა აქანომამდე მე ქვეყანაზე აღარ ვიქნებოდი, ძლიერ მიშველეს შენ ჯადოს განმაქარვებელ ლოცვებმა და კვალად დიდ მადლობას გიძღვნი!..

(გაგრძელება მეთერთმეტე კარში იხილეთ).